ჭოროხი

გამოცემის 57-ე წელი | ნოემბერი-დეკემბერი | №6 | 2015 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე
დავით თედორაძე

სარედაქციო საბჭო
ცისანა ანთაძე
როინ აბუსელიძე
გიორგი (იური) ბიბილეიშვილი
გენრი დოლიძე
ანა დუნდუა
რამაზ სურმანიძე
ბელა ქებურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მალხაზ ჩოხარაძე
ამირან ხაბაზი
ნანა ხახუტაიშვილი

მთავარი რედაქტორი
სანდრო ბერიძე

რედაქტორი
ლალი კონცელიძე

პროზისა და პოეზიის
განყოფილების გამგე
ანზორ კუდბა

კრიტიკის, თარგმანისა და
პუბლიცისტიკის განყოფილების გამგე
გენრიეტა ქუთათელაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
მალხაზ ფაღავა

გამომცემელი
საქართველოს მწერალთა
კავშირის აჭარის ორგანიზაცია

ჟურნალი გამოდის
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით

ჟურნალი დაიბეჭდა
ს.ს. „გამომცემლობა აჭარის“
პოლიგრაფიულ ცენტრში,
ბათუმი, კლდიაშვილის, 27

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

© „ჭოროხი“, ბათუმი, 2015

რედაქციის მისამართი:
6010, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8).
ამასთან, რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება

შინაარსი

პოეზია, პროზა

ნათელა დუმბაძე – ლექსები 3
მამუკა დოლიძე – ლექსები 8
ანა დუნდუა – შვილის ნატრული (ნოველა) 11
ლევან ანანიძე – სიცოცხლეს გაფრთხილება სჭირდება (მოთხრობა) 19
დათო ახლოური – ლექსები 22
ნატო ჯაში-შაინიძე – მედეა (სცენარი) 24
ლეილა ხინთიბიძე – სიყვარული დაფრინავს (ნამდვილი ზღაპარი) 33

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ზურაბ ხაბაძე – უსათაუროდ და უმისამართოდ 40

ესე

დენიზა სუმბაძე – ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად (ანუ: ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის: „დავითიანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში) (გაგრძელება) 53
ლაშა ხომერიკი – პოეზია გვაღვიძებს 72

წერილები

ალექსანდრე ჩხაიძე – იოსებ სტალინის და ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება 80
ნანი გუგუნავა – პატრიარქის პედაგოგიური შეხედულებები 84
ნუნუ დიასამიძე – მეფე თამარი და ქალის როლი საქართველოში 91
იური სიხარულიძე – მოგონებები 95
ბადრი დოლიძე – თვალსაზრისი: ანბანური ჭეშმარიტება 106

პოეზია, ჩრდილ

ნათელა დუმბაძე

* * *

ვერ მოერია ოცნებას გული –
ეს ბოლო ფიქრიც ქარტეხილს გაჰყვა...
ცის ქარაფებში ჩარჩენილ სურვილთ
შემოაფლითა კალთები ქარმა!
ეს ბოლო ფიქრიც, ქარს აყოლილი,
გარჩენილია ქარაფის კართან!...

* * *

...и скучно и грустно, и никому руку подать...

М. Ю. Лермонтов

მე, მარტოსული,
ვარ მარტო სული...
ცრემლია სული –
წყვდიადი სრული!...
სევდისა არი
სევდის საარი –
არავინ არი,
არავინ არი!...
მეწამულ ფერში იხრჩობა ღამე,
მთვარეა თეთრი, თუ...
თითბრის მთვარე?
...მომისმენს ქარი?
...მომისმენს მთვარე?...
– არავინ არი!
არავინ არი!...
...მე მარტოსული
ვარ მარტო სული...
ყველა წავიდა...
ცა გარდაქარდა,
წლები გავიდა და ქარდაქარ და...
არავინ არი აქ მთვარის გარდა,
არავინ,
არცვინ მეგობართაგან!
არავინ არი აქ ქარის გარდა,
არავინ არი აქ მთვარის გარდა!
...მე, მარტოსული,
ვარ მარტო სული.
ცრემლია სული,
თუ...
დასასრული?!...

* * *

ვერ ამოვხსენი სიჩუმის მიღმა
ქარის და წვიმის მრავალწერტილი,
ვერ ამოვხსენი დუმილის მიღმა
სიტყვა უთქმელი და დაწყვეტილი...
ვერ ამოვხსენი ყველა რებუსი,
ამოუხსნელი დამრჩა რატომღაც –
ვეღარ ვიპოვე ზუსტი პასუხი,
ვერ ჩავაბარე მე ეს გამოცდა!
...ვერ ამოვხსენი სიჩუმის მიღმა
ქარის და წვიმის მრავალწერტილი,
ვერ ამოვხსენი დუმილის მიღმა
სიტყვა უთქმელი და დაწყვეტილი...

* * *

კითხვის თვალებით ცას შევყურებ სამყაროს
მდგმური!...
რა სევდიანად მღერის ქარი შემოდგომური!...
აღარც კი ახსოვს სულს, ოდესმე რა უხაროდა,

კითხვის თვალებით ცას შევყურებ - მკლავს
უკმარობა...
რა ოცნებებით უნდა მკვებო, ცაო მაღალო?
რა სურვილებით უნდა მგვემო –
აუხდენელით?
რა ფიქრით მომკლა, გამაცოცხლო და...
კვლავ დამმარხო,
ამომიშენო „რა ვქნას“ ციხე, აუღებელი!
...კითხვის თვალებით ცას შევყურებ,
სამყაროს მდგმური...
რა სევდიანად მღერის ქარი შემოდგომური!...

* * *

ამაღამ ქარი დამითვრა, ვგონებ –
ნეკერჩხლის ტოტებს ავარდა ალი...
და წაეკიდა ნაზამთრალ ლოყებს
მზე შემოდგომის, სუსტი და მცხრალი;
ამაღამ მთვარე ამოვა თითბრის,
გადაენთება ცის კიდე ღამით...
და შემოდგომა ნაზი და მშვიდი
შემოვა სულში ნეკერჩხლის კაბით;
დაეკიდება წამწამებს ცრემლი
და აღმოხდება კვნესა როიალს
და მე ქარით და ოცნებით შეშლილს
მომკლავს სევდა და მელანქოლია...
...გავცქერი ცას და გავცქერი შორეთს,
ისევ სევდით და ოცნებით მთვრალი
და ვიცი, ისევ არ მომასვენებ –
ნეკერჩხლის ტოტებს ავარდა ალი!

* * *

ხირხათის ნისლებს დაჰფენია შარავანდედი
სულმნათი ტბელის –
ცის კაბადონებს კითხულობდა ვინც უფლის
ნებით!
ვინც ქართულ სიტყვას უკვდავების დაუდგა
ძეგლი!
ეტრატით ხელში,
წმინდა წიგნით,
საგალობელით,
ვინც შემინახა საქართველო – ხატი და
ღმერთი!...
...საუკუნეთა სიმაღლიდან გაჰყურებს
მერმისს –
ვისაც მამულის სატკივარი საფლავშიც
ესმის!...
...ციურ პლანეტებს მოიხილავს ვარსკვლავთა
ეტლით,
წმინდა გიორგის საქართველოს ავედრებს
ზეცით
და... საქართველოს აღზევებას ხელახლა
ელის –
თანამოკალმე რუსთაველის,
სულმნათი ტბელი!...
...ხირხათის ნისლებს დაჰფენია შარავანდედი
სულმნათი ტბელის!...

* * *

როგორ მინდოდა შენთან შეხვედრა,
ჩემი ბავშვობის თეთრო ბილიკო!...
გადაბარდნილა ბარდით ფერდობი,
ქარი ქერქეტა ქალთან ქილიკობს...
ქარს წაუღია წარსულის ელდა –
ოცნება ტკბილი და საოცარი –
ის სიყვარული, ის გაოცება,
ის მზის ამოსვლა და ის ცისკარი!...
მე კი მეგონა, რომ აქ მელოდა
ჩემი ბავშვობა და სიხალისე...
თეთრო ბილიკო, თეთრო ბილიკო,
ცა სინანულის ცრემლით ამივსე!

* * *

წვიმის წვეთებით ივსებიან ცივი დღეები –
მოგონებებით,
შეხვედრებით,
განშორებებით...
პარადოქსია ეს შეხვედრაც –
ნუ აღელდები
მოგონებებით, შეხვედრებით,
განშორებებით!...

...წვიმის წვეთებით ივსებიან ცივი დღეები...
მე კვლავ მარტო ვარ თმებში ჩაწნულ
ქრიზანთემებით;
ფოთოლცვენაა...
მე კვლავ ღრუბლებს ვეღარ ვეხსნები,
ამ მონატრებებს,
მოგონებებს
ვეღარ ველევი!...
...წვიმის წვეთებით ივსებიან ცივი დღეები –
მოგონებებით,
შეხვედრებით,
განშორებებით...

* * *

დღეს დეკემბერი დგება ჩემს წინ
სასომიხდილი,
დარდით და ცრემლით გახევებულ ხეობებს
ვხედავ;
გადათოვლილი მწვერვალები ცივ სისპეტაკეს
თოვლის მკლავებში მალავენ და ცაც
ინავლება...
არაფერია სანუგეშო და სანუკვარი –
დარდში და ცრემლში აზელილი სევდის
ნუგბარი!
...არაფერია სანუგეშო და სანუკვარი!...

* * *

გზა არ ჩანს...
რაც ჩანს,
ბნელი და ბრუნდი!...
ხელებზე – ხუნდი!
ფეხებზე – ხუნდი!...
თვალებზე ბინდის ღამე ჩამოწვა...
მორჩა საკირე მიწის გამოწვა!
ჩაფქვა წისქვილმა ეს ბოლო მინდიც...
იმედო ჩემო,
გამინაპირდი!
არ მოიხედე,
არ დამიბრუნდი!...
...რად ეს გამოცდა?
ბაგეს წამოცდა
წყევლა...
შემინდე, მამავ, უფალო!...
ლოცვად დამიდექ, ჭირისუფალო,
ოდენ გაძლების მომეცი ნიჭი,
გამიცამტვერე არყოფნის შიში!...
...შემინდე, ღმერთო... მამავ, უფალო!
ლოცვად დამიდექ, ჭირისუფალო!...

თქვენი გაკვეთილი...

ქალბატონ **მერი გორგილაძეს**, ჩემს ისტორიის მასწავლებელს, ჩემს დამრიგებელს.

თქვენი გაკვეთილი – სიკეთის გაკვეთილი,
თქვენი გაკვეთილი – სიყვარულის
გაკვეთილი...
თქვენი გაკვეთილი – საქართველო –
ძლიერი,
ამაყი,
აწყვეტილი!...
თქვენი გაკვეთილი – საქართველო –
შუაზე გაკვეთილიც,
დაფლეთილიც!...
თქვენი გაკვეთილი – თამარი და
სამასი არაგველის თავგანწირვა...
ცრემლის გორგალი ყელში გაჩხერილი –
სამშობლო – სალოცავი წმინდათა წმინდა!
თქვენი გაკვეთილი ზარების გუგუნია...
მომყვება,
მაფიქრებს,
მაოცებს,
მაჯადოებს!
მანიშნებს, თუ სადმე უფსკრულია,
ხელებს შემაშველებს – არ დავეცე!...
თქვენი გაკვეთილი შთამაგონებს,
ლექსებს მაწერინებს,
მასაზრდოებს...
თქვენი გაკვეთილი – სიკეთის გაკვეთილი,
ფიქრი და ოცნება – საქართველო...
ათასი სანთელი ლოცვაში დაღვენთილი –

საქართველო
უფალმა გაამრთელოს!...
...ვიცი, კვლავ გაჰყვება თაობებს სინათლედ,
სულში გამოისხამს სიკეთის თავთავებს;
თქვენი გაკვეთილი არ მინდა დამთავრდეს...
სიკეთის ქალბატონო, უფალი გფარავდეთ!...

* * *

რისთვის?
რატომ?
მაინც რისად?
იქნებ ღმერთიც განმირისხდა?!
არც წარსული,
აღარც აწმყო...
ხელებს
ვიწვდი
სამოწყალოდ...
...ჩემო მიწავ,
მზეო, წყალო,
შემიწყალე!...
შემიწყალე!...
მე, ცოდვილი,
ხელებს ვიწვდი,
ხელებს ვიწვდი
სამოწყალოდ!...

* * *

...მიდიოდე და ამბობდე: ეს არ არის საქართველო...

გალაკტიონი

რომ არ სენი, სულთ დამშლელი,
გულთ წამღები ვარამი,
რომ არ ელდა, რომ არ სევდა,
ცეცხლში გულის მხარშავი!
აუხდენელ იმედებად დარჩენილი მარადის,
ისევ შენი საქართველო –
დავითის და...
თამარის!...
შენი განსასვენებელი –
აკვანიც და სამარხიც!
სულ წუხილი, მოლოდინი...
და საშველი... არსაით!
ნაცვლად შური, სავი შური
და იუდას ხარხარი!...
ბოროტება შარიშურით,
ტანის რხევით მავალი...
სიძულვილის კარნავალი,
სულთა ჩვენთა მომშთობად;
საქართველო –
დაღ-მა-ვა-ლი...
საქართველო – გოლგოთა!
სული ტანდაფლეთილი და
დარბეული სახლ-კარი...
ვინ, ან როგორ გაამრთელოს
ავადმყოფად გამხდარი!
...აღარც აღმაშენებელი,
არც გორგასლის მახვილი!...
ჟამი – გადამშენებელი,
ტყვია – გულში დახლილი!...
...შენი, ჩემი საქართველო
დავითის და თამარის,
საქართველო, საქართველო,
საქართველო სად არის?!...

* * *

როგორ რთულდება ირგვლივ ყოველი –
ფიქრი ობოლი ცრემლის წვეთია;
ნატვრა უფრორე ხდება ამაო,
სევდა სევდაზე უფრო მეტია!
როგორ რთულდება ირგვლივ ყოველი,
ოცნებაც ვეღარ გამიბედნია!...

* * *

ტკივილი ჩემი ტკბილი ხვედრია...
უფალო,
განა დამიყვედრია?!...
დარდის მძივები დამიბნევია,
ცის ბილიკებით
გამიწევია,
ისევ

ღრუბლებთან
სამასლაათოდ!
...ჰა, ტკივილებო, სულიც,
გაამოთ!

* * *

აყვავებული იასამნებით
თავბრუ ეხვევა ქარს...
სულ სხვა სიზმარი,
სულ სხვა ზმანება,
რაღაც საოცრად სხვა!...
შემომიფინა სულში სინათლედ
ვაშლის ყვავილთა ზღვა...
მთვარის სხივებით ქსოვდა დილამდე
ჩემი სიზმრების ცას...
...ღირდა სიცოცხლე?
ღირს კი სიკვდილი?
ან არჩევანი გაქვს?!
...მე ისევ შენი სევდით დაღლილი
მიახლოვდება ხმა:
„არა სიცოცხლე,
არა სიკვდილი,
არამედ რაღაც სხვა!“...

* * *

რას ფორიაქობ, სულო,
ნუთუ სასწაულს ელი?...
უთხარ მადლობა უფალს,
უფლის ძღვენია ცრემლიც!
– ახდება?...
– არ ახდება?...
...შენ მაინც ითვლი თმენით...
რას ფორიაქობ, სულო,
ნუთუ სასწაულს ელი!



მამუკა დოლიძე

* * *

წყვდიადისფერ სამოსს იცმევ,
ჰგავხარ ღამეგანათევს...
შენს თვალებში დრო და სივრცე
ვარსკვლავივით ანათებს.

შენი წმიდა სულის ხარჯზე
სისხლი იქცა ფერწერად...
გამოარჩევს მაგ შენს მარჯვენს
ღვთაებრივი ხელწერა...

* * *

დროში მაშინ ვერ ვეტევი,
კანში რომ ვერ ვეტევი,
ბრბოში გავჩნდი... ხალხში ვიდგე,
განა ვიღერღეტებდი?
სული დამიმშვიდე, ღმერთო,
ღმერთო, მეიმედები!..

* * *

უსიყვარულოდ სული ბნელია,
გული – ბუხარი ცეცხლის გარეშე,
ალბათ შევხვდებით ჩემო ფერიავ,
სხვა სამყაროში, სულ სხვა განედზე.

ო, სიყვარულო, შენ ხარ ოცნება
და გვენაზები, როგორც ველს სიო...
ვერ მოგიხელთეთ გულთან ცოცხლებმა...
სიცოცხლის მერე უნდა გვეწვიო...

* * *

ვახტანგ ღლონტს

წვიმა სევდას მოჰგვრის ქალაქს,
მთვარე სულში დაისს ათრევს...
ფიქრი აგხდის თავის ქალას,
ოცნებებში გაიზამთრებ.

ვიცნობ შენი სახის ნაოჭს,
უფლის ხატთან, სანთლის შუქზე...
ერისკაცო, ღმერთთან დაობ,
თუ ცრემლსა ღვრი დედის მუხლზე?

გამოიდარებს სულში ოდესმე
და გამოაღებ მაგიდის უჯრებს...
და შენი ლექსის ოქროს ზოდებზე
გაამზეურებ ბათუმის ქუჩებს...

* * *

მოგვდგამს ფიქრი და წუხილი
წუთისოფლიდან წასვლამდე,
წარსულს, აწმყოს და მომავალს
დედა ერთი ჰყავს სამთავეს,
ჩვენი სიცოცხლის მდინარეს –
შენაკადსა და სათავეს...

* * *

მოდი, გამანდე შენი წუხილი,
დაგელოდები ღია კარებთან...
ნუ შეგაშინებს ჭექა-ქუხილი,
მე მიგაცილებ ღვთის სიწყნარესთან.

გზააბნეულო კაცობრიობავ,
შენ რომ გველივით კანს არ იცვლიდე,
ღია სამარე – მიწის ჭრილობა
არ მოგანატრებს სულის სიმშვიდეს.

მოდი, გამანდე შენი წუხილი,
დავცლი ამ ცრემლებს, როგორც კონიაკს...
მაშ, გაუმარჯოს კაცობრიობავ,
ჩემი და შენი სულის ფორიაქს.

* * *

დილა იწყება მუხლმოყრით, ლოცვით,
ვიდრე ვნებები ძილღვიძილშია...
როდესაც დიაცს ტუჩებში კოცნი,
ღმერთს ემსახურო არ შეგიძლია.
უხდება ჯვარის ჩამოხსნა ამბორს
ყელიდან... სულიც გაიქურდება.
როგორც მზე ყინულს მალი-მალ გალღვობს,
გძრავს შენივ სისხლი და გემუქრება...
დილა იწყება მუხლმოყრით, ლოცვით,
ვიდრე ვნებები ძილღვიძილშია...

* * *

ეჰ, ლექსო, ჩემი ტკივილის
საფლავზე ამოყვანილო,
გამომიზრდიხარ შვილივით,
სული რომ ამიყვავილო.

შენ ჩემი სისხლის ღელვავ და
რიტმის და სიტყვის კაფიავ,
სიცოცხლის გაგრძელებავ და
სიკვდილის ეპიტაფიავ...

* * *

სახლში თუ არ შემოვუშვი,
ბაღში მაინც შემოვა.
ქალი, როგორც გაზაფხული,
ქალი, სულთმოფენობა.
ქალი უტკბილესი სულზე,
ქალი – კაცის მხნეობა,
ქალი – უმტკიცესი რჯულზე,
ქალი და... უშენობა...
გულში თუ არ შემოუშვი,
სახლში როგორ შემოვა!..

* * *

მომეყრდენი, როგორც კედელს,
ჩვენ მივყვებით მატარებელს
ამოდიან-ჩამოდიან,
მგზავრებიან – ჩემოდნიან...
მომეყრდენი, აქ ვარ ვიდრე,
მიწის გულში ჩადის მეტრო...
ჩვენ კი ფეხზე უნდა ვიდგეთ,
ვით მგზავრები უბილეთო...

* * *

შემომესივნენ ქვეყნის დარდები,
როგორც ძაღლები იანვრის მთვარეს...
თან დამყვებიან უცხო ლანდები,
თან მარიდებენ ცრემლიან თვალებს...
მოზღვავებულა ბრბო, ვით ნახირი
და ცხვრების ბედში ფათურობს ბოტი,
უკიდეგანო სევდის ნაპირით,
წვიმის მაგივრად ღვარცოფი მოდის.
ფიქრს მისცემია თეთრნაბდიანი,
კვლავ ჰყეფს ქოფაკი თვალებბრიალა,
ცხვარივით ძიძგნის ქართული სული
სევდის ღვთაებრივ, ცისფერ იალაღს...

* * *

მაღალო ღმერთო, მომმადლე ნიჭი,
გავუძლო ყოფას, როდესაც მიჭირს...
და როცა მოვა გარდაცვალება,
ისე ნუ მომკლავ, ვით სიკვდილმისჯილს...

* * *

ღვინით დამთვრალ შემოდგომას
შეუღებავს უპე ინით,
მთვრალს და სულელს ვინ გაარჩევს,
ერთურთს ჰგვანან ტყუპებივით.
ჩამოასხით – ჭიქა ითხოვს,
ჩამოასხით – ითხოვს ყელი...
ჩამომასხით – თვითონ ითხოვს
ღვინო, ჩემი სისხლისფერი.

ჩამოასხით, გაშრა ყელი!
ჭიქის დაცლა არ მთხოვს დიდ დროს,
ჩამოასხით, ერთი თქვენი!..
თუ მტრობაა, ღვინომ მიმტროს!..

* * *

ჯერარშობილ ლექსს

მოდი, გეძახი, წვიმს, ვზივარ სახლში,
ჩემი ცხოვრების მკვიდრი წევრი ხარ,
ოჯახის წევრებს სახლიდან გავყრი,
რადგან სუყველას შენ მირჩევნიხარ...

* * *

ქართველი გადის საქართველოდან,
ნაცვლად შემოდის შავი მანქურთი,
რადგან არავინ გადაეღობა,
ააფრიალა ბნელში მან ქუდი.
სიცილით კვდება ბიჭი და გოგო, –
– ეგ მტრის შვილები – დავითის ძეგლთან,
მეფემ ხანჯალი იშიშვლა, ოღონდ
ვერ მოიგონა, რა უნდა ექნა...

* * *

ვუძღვნი ცისანა ანთაძეს

ნაზამთრალ ხრიოკზე დაკრეფილ იებს ჰგავს
ეს ჩემი ლექსები,
თქვენთვის რომ ჩამომაქვს ქალაქად...
მთები დამყურებენ, ვით დევის ეშვები,
ნეტავი განახათ...
ეს სიზმარ-ცხადია – ღმერთები დადიან...
ირემი ბალახობს.
აქ წმინდა მარია, პოეტის გადია
კვლავ ტოვებს კარს ღიას – საღამოს...
ამ ქოხში მადლია,
ამ ქოხში დარდია...
გაწვდება სამყაროს...

* * *

მარტო ვარ, მარტოშობილი
ვეუცხოები ახლობლებს,
გულ-თვალ-ხელ ზეაღპყრობილი
ვდგავარ, ყურს ვუგდებ ამ სოფელს...
რამხელა დარდით მოვდივარ?!
რა უდარდელად სახლობენ!



ანა დუნდუა

შვილის ნატრული

(ნოველა)

> მარტო ხარ? წამოვალ შენთან,
> ავად ხარ? მოგირჩენ ტკივილს,
> თუ გინდა გავხდები დედა
> შენი სანატრელი შვილის.
>
> *ბორენა ჯაჭვლიანი*

გამალებით მიცურავდა ცაზე თეთრი ღრუბლები. მერე ის ღრუბლები ბამბის ქულებად გადაიქცა და ნახევარი ცა დაფარა. ძალუმად არხევდა ნიავი ხეების წვეროკინებს. ქარში მავთულები ობოლი ბავშვივით ტიროდა. გვანცას მთას ნისლის საბანი წამოეხურა. ირგვლივ ოქროსფერი შემოდგომა ბატონობდა. ვახტანგ გზირიშვილის სმენას იმ სიოს ჩურჩული მისწვდომოდა, ხეებს რომ ელამუნებოდა.

ქუჩაში სწრაფად მიმავალს მეგობარი, გურანდა დვალიშვილი, შეხვდა, რომელსაც ულამაზესი ქალი ახლდა. გურანდამ იგი გააცნო მეგობარს.

– მეგი ხიდაშელი, – ხელი გაუწოდა უცნობმა.

– ვახტანგ გზირიშვილი, – ჩაიბურტყუნა, ფრიად განცვიფრებულმა ქალის არნახული სილამაზით. ქალის მშვენიერება ხომ სრულყოფაშიაო – გაიფიქრა. სრულყოფის მთავარი ატრიბუტი მაინც სახე იყო. მშვენიერი, როგორც ბადრი მთვარე, წაბლისფერი თმითა და მომნუსხველი, ხშირი წამწამებით მოჯარული შავი მბზინავი თვალებით. ამ ლამაზი ქალის ხილვისას არნახული შუქით გაუბრწყინდა თვალები ვახტანგს. მის გულში რაღაც მხურვალე კოცონი აგიზგიზდა. ისეთი ჯადოსნური წამები დადგომოდა, როცა ადამიანს თავის გაკონტროლება უჭირს. იქვე ყვავილებს ჰყიდდა ქალი. ვახტანგმა მიირბინა, ყველაზე ლამაზი წითელი ვარდები ამოარჩია და მეგის მიაწოდა. მეგიმ ამ ჟესტით რომანტიზმის სუნთქვა იგრძნო. გაუღიმა და ყვავილები ჩამოართვა. ვახტანგის გულში კვლავ ვნების კოცონი აგიზგიზდა. გრძნობდა რომ მას ვერაფერი ჩააქრობდა. ყველა ადამიანს აქვს მსგავსი წამები, ჯადოსნურ წამებს რომ ვუწოდებთ, როცა საკუთარი თავის გაკონტროლება გიჭირს. ვახტანგმა ამის შემდეგ ძილი და მოსვენება დაჰკარგა. სატელეფონო ზარები საიმედოს არაფერს ეუბნებოდა. იგი დუმდა.

მერე მეგისთან შეხვედრა გურანდას დახმარებით მოხდა. ვნების ქარიშხალში გახვეულს გონება ებინდებოდა. იგი გაოგნებული იყო.

– სანამ მთავარ სათქმელს გეტყოდეთ, ქალთა შორის უმშვენიერესო, გივი არაშიძის სალექსო სტრიქონებს გეტყვით, იმიტომ რომ იგი ჩემს სულს ეხმიანება.

მოდი კარგო, მომაცილე სევდა გულზე მოწოლილი,

თორემ ლამის მომწყდეს გული შემოდგომის ფოთოლივით.

მეგიმ გადაიკისკისა. ეტყობა ლექსი მოეწონა.

– ეს შესავალია, მთავარი ჯერ არ მითქვამს.

– რა უნდა მითხრა ამ ლექსზე უკეთესი?

– მეგი, რაც დაგინახე, მას შემდეგ ძილი და მოსვენება დავკარგე. ჩემს თავს მე ვერ ვცნობ. ჩაუქრობი ცეცხლი ტრიალებს ჩემს გულში. გევედრები გამაბედნიერე. გამომყევი ცოლად.

მეგისათვის ეს ჟესტი, თითქოს, მოულოდნელი არ ყოფილა. მან დამშვიდებით უპასუხა.

– არა, ვახტანგ. თქვენ ძალიან კარგი ხართ. სხვა შემთხვევაში ეგებ უარიც არ მეთქვა. ახლა არაფრით არ შემიძლია. ამის მიზეზი ისაა, რომ მე დიდი ხანია სხვა მიყვარს, რომლისთვისაც ცოლობის პირობა მაქვს მიცემული.

ვახტანგი გაშრა. თითქოს თავში რაღაც ჩასცხესო. სწრაფად მოწყდა ადგილიდან და დატოვა ფრიად განცვიფრებული ქალი. იგი მიდიოდა აჩქარებით და ნოემბრის წვიმა მის ნაღველს ერწყმოდა. ვახტანგი ვერ ამჩნევდა თუ როგორ ებრძოდა ქარს აფარფატებული ფოთლები.

* * *

ირგვლივ მშვენიერება მეფობდა. ყვავილდებით გადაპენტილიყო ირგვლივ ყოველი. ტყემლებზე თეთრი ბუსუსი გადაწოლილიყო. ბუნებასთან ტრფობის წამი დამდგარიყო. მეგი ხიდაშელისა და ლაშა ჯანდიერის სიყვარული სწორედ მაშინ დაიწყო. ნანატრი სტუდენტობა და სულის უშორეს ხვეულებში განფენილი სიყვარული, სიყვარული ხელშეუხები, დაუსაბამო. ქვეცნობიერების ინსტინქტით კოდირებული რეფლექსი ეწეოდა ერთმანეთისკენ. „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“, – ნათქვამია. სახლში ფეხით მიმავალ მეგი ხიდაშელს ვახტანგ გზირიშვილი დახვდა მანქანით და მოიტაცა. მანქანაში ძალით შეაგდეს. მშველელიც არავინ გამოჩნდა. ამდენ ჯიკავში მკლავი იღრძო და მერე მთელი თვე ტკიოდა.

ვახტანგმა მეგი ნათესავის ოჯახში მიიყვანა. როცა მარტონი დარჩნენ, ვახტანგმა ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო, მაგიდაზე დადო და მეგის უთხრა... – ეგ ნაბიჯი მე უნაპირო სიყვარულმა გადამადგმევინა. შენს გარეშე სიცოცხლე მაინც არ მინდა. ალბათ, მიჩივლებ, დამიჭერენ და ციხეში ჩამსვამენ. მე წინასწარ წერილს დავწერ, რომ მე თვითონ ვიკლავ თავს, რომ შენ არ დაგბრალდეს. აი, იარაღი, მომკალი და შენი გამამართლებელი საბუთი მაგიდაზე იქნება. მეგი სულ გაოგნდა. თავზარი დაეცა. კაცს ხომ არ მოკლავდა იმის გამო, რომ შეიყვარა. მის გულში ქარიშხალი ბობოქრობდა. ბოლოს სიკეთემ და სიბრალულმა სძლია და ვახტანგს უთხრა... ყველაფერი მიპატიებიაო. ვახტანგმა იგი გულში ჩაიკრა.

როცა მამა და ძმა მოვიდნენ წასაყვანად, მეგი არ გაჰყვა, რადგან სარეცელი ვახტანგთან უკვე გაზიარებული ჰქონდა.

* * *

ცის ტატნობზე თვალისმომჭრელად ელავდა ცხრათვალა მზე. ნიავი ფოთლებში დაშარიშურობდა. ირგვლივ ჩიტების ჟღურტული ისმოდა. კრიალოსანივით იმარცვლებოდა წლები და იგი ჭაპანაწყვეტილი ცხენებივით მიჰქროდა. მეგის მოტაცებიდან რვა წელი გასულიყო. ქმრის სიყვარული არა და არ მოდიოდა. რაც მთავრია, შვილი არ ეყოლა. როგორ უნდოდა პაწია! მეგის დიდი საჯავრო უშვილობა იყო. ლაშას სიყვარულს კი დავიწყების ზეწარი არა და არ ეფარებოდა. ის, რამაც მათი გულები შეძრა, დიდი ხნის წინანდელი ამბავი იყო. ქარიშხალივით მოვარდა და თანაბრად დამკვიდრდა მეგის და ლაშას გულში. მეგი გრძნობდა, რომ მათი სიყვარული ხომალდს გაჰყვა. ხომალდს, რომელიც არასოდეს დაბრუნდება. მეგი იმასაც გრძნობდა, რომ ცხოვრების მარადიულ რბოლაში ლაშას დავიწყებას ვერ შეძლებდა. ანდრე მორუამ რომ თქვა: ადამიანი ყველაფრისგან იღლება და მათ შორის სიყვარულისგანო – არაა სწორი. მე ლაშას სიყვარულისგან არ დავღლილვარ. იგი ჩემი ყოველდღიური სიხარულია. როცა იგი ჩემს თვალწინ გაიელვებს, მაშინ ვდგები კარგ ხასიათზე. რამდენი წელი გავიდა... მე დღესაც მივსტირი პირველ სიყვარულს, ჯერაც ჩაუმქრალს. სულის უშორეს ხვეულებში კვლავ მის სიყვარულს ვგრძნობ. ლაშას მოგონებისას იგი ტიროდა. ცრემლები ხომ ყველაფერს ახლავს... უსაშველო მონატრებას, უსაშველო დარდს. როცა მოაგონდებოდა მასთან გატარებული დრო, მაშინ იგი მთელი არსებით ბედნიერი იყო. დასანანია, რომ წარსული წარსულშივე არ რჩება. მას ლაშა მუდამ ახსოვდა და გულს უკაწრავდა მისი ხსოვნა. სიყვარული სულიერების უმაღლესი გამოვლინება ყოფილა-თურმეო. ზოგჯერ ამასაც ფიქრობდა. იგი გრძნობდა, რომ მთელი ცხოვრება ლაშას მონატრებით უნდა ეცხოვრა უიმედოდ, უპერსპექტივოდ. მის გაუხარელ ცხოვრებას მხოლოდ წარსული აელვარებდა. ლაშა ყოველთვის დარდისა და ტკივილის საგანი იქნება

ჩემთვის. მოფრინავენ, მოფრინავენ ტკბილი მოგონებები ლაშაზე და მხრებზე მასხდებიან. ქვეცნობიერების ინსტინქტით კოდირებული რეფლექსი ლაშასკენ რომ ეწეოდა, ჯერ კიდევ არ გამქრალიყო. მარტოობის, განწირულობის გრძნობით შეპყრობილს არაფერი უხაროდა ამ ქვეყნად. მის გაუხარელ ცხოვრებას, რაც უშვილობით იყო გამოწვეული, მხოლოდ წარსული აელვარებდა. მეგის კალთას ცრემლები წვავდა. ირგვლივ რუხი მოწყენილობა მეფობდა. ცაზე თეთრი ღრუბლები გამალებით მიიწევდა დასავლეთისკენ. ჟუჟუნა წვიმა და სიო შეხმატკბილებულად აკეთებდა თავის საქმეს. ასევე თავის საქმეს აკეთებდა რადიოც...

დღესაც ვტირი ტაო-კლარჯეთს, ჩვენს მშობლიურ ძირძველ მიწას,

საქართველოს ძლიერების აკვანი ხომ აქ დაირწა.

ჰაუ, რამდენი სატირალია ქვეყნად? ჩემი უშვილობაც ხომ სატირალია.

– მეგი, შემოდი, შვილო. აივანზე არ გაცივდე... ეს დედამთილია, ნორმალური ქალი. ზოგიერთი დედამთილივით თავი ტომის ბელადად არ წარმოუდგენია.

– კი, დედა. ახლავე შემოვალ... ბედისწერა იყო თუ ახირება ეს მშვენიერი ქალი დღეს თავს უბედურად გრძნობდა. თუ შეიძლება მოარულ ფიქრად და დარდად გადაიქცეს ადამიანი, ეს მე ვარ მეგი ხიდაშელი, დარდად ქცეულიო-ფიქრობდა. ტყუილია რომ ამბობენ, გული მალე ივიწყებს იმას, რის დავიწყებაც გწადიაო. ბევრი ვეცადე, მაგრამ ლაშა ჯანდიერის დავიწყება ვერ შევძელ. ლაშას მოგონებაზე ცრემლები ღაპაღუპით წამოუვიდა. გარეთ საშინლად გაწვიმდა. თითქოს მის სატირალს ბუნებაც ტიროდა. გულზე სევდა მოთოვილიყო.

* * *

მეგი მამის სანახავად სოფელში წავიდა. დილით ადრე ჩავიდა მატარებელი. ნამგალა მთვარე ცის კაბადონს ვერცხლისფერში ხვევდა. სადღაც შორს ქარიც დაშლიგინობდა. როგორი საყვარელია ჩემი სოფელი... „სად ხართ ჩემი ტოლები“... სახლში მისულს მამა არ დახვდა. მეგის ძმა თბილისში ცხოვრობდა და მასთან წასულიყო. ბიძაშვილები მოინახულა. დედა... საყვარელი დედა არ ჰყავდა ცოცხალი. დიდი ცაცხვის ძირში გაუთხარეს სამარე ათი წლის წინ. დედის საფლავიც მოინახულა და უკან გამობრუნდა. სახლში რომ მივიდა, ღამის პირველ საათს გადაცილებული იყო. ზარი დარეკა. კარის გაღება დაუგვიანეს. მერე როგორც იყო შეცბუნებულმა ვახტანგმა გაუღო კარი. საძინებლის კარი შეაღო. მათ საწოლში ვიღაც ფერფლისფერთმიანი იწვა. აი, ოჯახის წაბილწვა. აი, მრუშობა. თუმცა ცოლქმრობაც მრუშობა არაა? ოღონდ ლეგალიზებული.

– მეგი, მაპატიე, – ვახტანგი მუხლებზე დაეცა. – მაპატიე, თუ შენს შესაძლებლობას არ აღემატება.

– მაგის პატიება შეუძლებელია. გაეთრიოს ახლავე აქედან.

– სად წავიდეს ამ შუაღამისას. წასასვლელი არსაით აქვს.

მეგის ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს გაზაფხულმა თავზე გადაუქროლა და გაუჩინარდა. მერე დადგა ზამთარი, ძალიან ცივი ზამთარი. მეგის და ვახტანგის ცხოვრება ისედაც ქვიშის საძირკველზე იდგა, ერთი ხელის აქნევა იყო საჭირო, რომ ხუხულასავით დანგრეულიყო. თუმც ისიც იცოდა, რომ წლების შემდეგ ყოველდღიურ ცხოვრებაში რომანტიზმის შენარჩუნება შეუძლებელია. რვა წლის ქორწინების უღელქვეშ მყოფს, უშვილოს, არაფერი ახარებდა ამ ქვეყნად. „შვილი ჩემი საყვარელი, სანატრელი სულით, გულით“. სადაა შვილი...

ცოლქმრობა უსიყვარულოდ ცუდი სიზმარიაო, – რომ ამბობენ, ისაა მართალი; მეგის თვალებში მარადიული სევდა დაგუბებულიყო და მხოლოდ დარდი იმზირებოდა. ისე სწორია, რომ ამბობენ, ქორწინების შემდეგ ცოლქმარს იდუმალების საბურველი ჩამოეცლება და უინტერესო ხდებაო; ლაშას რომ გავყოლოდი ცოლქმრობა მაშინაც დაარღვევდა ჩვენს უნაპირო სიყვარულს? ვინ იცის, იმასაც ამბობენ, რაც დიდხანს გძინავს ერთ პარტნიორთან, მით უფრო ნაკლებ ჰორმონებს გამოიმუშავ-

ებსო ტვინი. თურმე ცოლ-ქმარი ერთმანეთს შვილების გამო ეგუებიან. ჩვენ რა გვაკავშირებს? სიყვარული თავიდანვე არ ყოფილა „ვაი რა გადამრიე“, მერე შვილიც არ გვეყოლა.

* * *

ოქროსფერი შემოდგომაა. ფანჯრიდან ფოთოლცვენა ილანდება. ცის კიდურს ალი წაეკიდა. მზე ჩადიოდა. ჩამავალი მზის მეწამული შუქი მაღიზიანებს; რაღაც წარმავალს ვხედავ მასში. მეგიმ გადაწყვიტა მეგობართან, თამთა ლეჟავასთან, წასულიყო. აუცილებელი სათქმელი მაქვს, ტელეფონში ვერ გეტყვიო-დაურეკა მეგობარმა.

მიყელყელაობდა ქუჩაში მეგი ხიდაშელი და მამაკაცების გამჭოლი მზერა აცილებდა. სინათლის შუქზე მოვარდნილ ანგელოზს ჰგავდა. მეგობარი კარებში შემოეგება. ერთმანეთი გადაკოცნეს. – რაღაც არ მომწონს შენი სახის ფერიო, – უთხრა თამთამ. – ჩემი თავი მე თვითონაც არ მომწონს. რა ვარ მე? უშვილო, გაბუკებული.

– ნუ იტყვი მაგას. შვილმა ბევრს ჩაუმწარა სიცოცხლე.

– შენ შვილები რომ გყავს, ხომ კარგია?! შვილი ცხოვრების მიზანია. პატარას გულში რომ ჩაიხუტებ, იმაზე ბედნიერება რა გინდა ადამიანს.

– შეიძლება ისეთი რამ გაგიკეთოს შვილმა, რომ თავი მოსაკლავად გაგიხდეს. ერთ ბულგარულ ანეგდოტს გეტყვი. ერთი ხანდაზმული კაცი ძალიან გახარებულია. რა გიხარიაო – შეეკითხენ. ჩემი მტრის მტერი დაიბადაო – უპასუხა. თურმე შვილიშვილი შეძენია.

– კარგი რას ამბობ. სხვა რაიმე მითხარი.

– გურულის თქმის არ იყოს, ნატოს კარები ღიაა, ჩვენ არ შევდივართ, თურმე.

– მაგ ძველი ანეკდოტია.

– აბა ახალი ესაა... ხომ იცი მწერალმა კარგად რომ წეროს, ბევრი უნდა იკითხოს. ჩუქჩას ჰკითხეს: თუ იცი ეს შენო. კიო – თავი დაუქნია. ჩეხოვი თუ წაგიკითხავსო – კითხეს – ნეტ, ნე ციტალ. ტოლსტოი თუ წაგიკითხავსო – კითხეს. ნეტ, ნე ციტალ. ბალზაკიო... ნეტ, ნე ციტალ. ყველაზე იძახის: ნე ციტალ, ნე ციტალ. ბოლოს გაბრაზდა ჩუქჩა და თქვა: ცუქცა პისაატელ, ცუქცა ნე ციტაატელ... ხომ დაგაყენე კარგ ხასიათზე. ახლა ერთ რაიმეს გეტყვი და არ ინერვიულო. ამიტომ დაგირეკე... ჩემი ბიძაშვილის ქმრისთვის უთქვამს ვახტანგს: მე უშვილო ვარ, შვილი არასოდეს მეყოლება. ამის შესახებ მეგიმ არაფერი იცისო.

– ეს უსინდისო. მე მაიმედებდა. რა გეჩქარება, გვეყოლებაო. რვა წელი ვიცადე. ნეტა ადრე გამეგო.

– მერე რას მოიმოქმედებდი საინტერესოა!

– რას და წავისვამდი ბლომად მაკიაჟს. გავიშლიდი თმებს. მოვიშვლეპდი გულისპირს. დავდგებოდი ქუჩაში. ყოველ გამვლელ მანქანას გავაყოლებდი თვალს. ყოველი მეორე თუ არა, მესამე მაინც გამიჩერებდა და გაყოლას მთხოვდა.

– ნუ გამაცინე. შენ ღალატს არ იკადრებ.

– მე რომ მიღალატეს ის არაფერია? მითხარი უშვილოდ გადავშენდე? ჩემს პაწიას ძუძუ არ ვაწოვო? მისი ზრდა-განვითარებით არ დავტკბე? ბავშვზე საყვარელი ქვეყნად არაფერია. მე ამ სიამოვნებას ცოლქმრული უღლის სიწმინდისათვის ვერ მოვიკლებ... მეგი ცრემლად დაიღვარა.

– კარგი ახლა ნუ ტირი. რომ არ ვიცოდე შენი შეურყვნელი ბუნება, მართლა დავიჯერებდი ამ ნათქვამს. შენ დედამთილი მაინც გყავს ნორმალური. აბა ჩემი... რომ დავინახავ, ისეთი ასოციაცია მექმნება, თითქოს ჩემს წინ ურჩხული იდგეს და ჩემი შეჭმა უნდოდეს. თუ ფრთხილად არ ვიქნები ამ განზრახვის შესრულებაში ხელს არაფერი შეუშლის. ესეც იცოდე, ქორწინების შემდეგ ცოლ-ქმრობის იდუმალებას საბურველი ჩამოეცლება, მათ შორის სიცარიელე იბუდებს და უინტერესო ხდება. ამ დროს თუ ზნეობრივი კატეგორიები უკან დაიხევს, ეს უბედურებაა. ქართველი ქალის აკრძალულმა გენმა სხვა კაცებისკენ არ უნდა გაგახედოს, რადგან ქმარი გყავს.

– ქმარი თუ უშვილოა?! აბა მე ორჯერ გავესინჯე ექიმს და გეყოლებაო-მითხრა.

– რა ვუყოთ მერე თუ უშვილოა. იშვილეთ. ნაშვილები არანაკლებ საყვარელია, ვიდრე

საკუთარი. ძლიერია ბავშვის თავდაცვის ინსტინქტი. ისე შეგაყვარებს თავს იტყვი, აქამდე რატომ არ ავიყვანეო.

– არა, მე ჩემი შვილი მინდა, ჩემი პაწაწკინტელა, ჩემი ქვასასია. მე შვილს არასოდეს მივატოვებ და ის დედა არასოდეს ვიქნები, შვილმა სკაიპში რომ მნახოს. სენტ ეგზიუპერმა რომ თქვა ჭკუაზე თუ იყო ნეტა მაშინ. „მე ქალს ცოლქმრობის უღელში ვაბამ და ვბრძანებ, ქვით ჩაქოლონ ორგული ცოლი“. იმან კიდევ, ქალი რომაა ნოველებს რომ წერს, ძუკნა, იმას რა ენაღვლება კი ჰყავს შვილები. იცი რა თქვა? „მწერალს ზნეობრივი დოქტრინის სათავეები უნდა ეჭიროს ხელში და ხელოვნების რაშს ისე უნდა მიაქროლებდეს. დღეს ზნეობას უჭირს, ზნეობაა გადასარჩენი. მწერლის კალამი მარადიული ბრძოლა უნდა იყოს უზნეობის გადასარჩენადო“. მე მეუბნები მაგას? უშვილობით გამწარებულ ქალს? მწერალმა ქალმა უშვილო ქალები არ უნდა შეიცოდო? იცი რა თქვა კიტა ბუაჩიძემ? „ქალის ერთადერთი დანიშნულება დედობააო“. მე ოჯახის სიწმინდეს შევეწირო?

– თუ გინდა ღირსეული ქალი გერქვას, უნდა შეეწირო.

– არ მინდა მე აგიტაცია-პროპაგანდა. კაცობრიობის პირველ ნახევარს ხომ ყველაფრის უფლება აქვთ. მათ ყველაფერი ეპატიებათ. კაცობრიობის მეორე ნახევარი... რა სასაცილოდ ჟღერს! ჩვენთვის ადევს ყველაფერს უაზრო „ვეტო“. მიუხედავად იმისა მე ცოლი მერქვა, სამოჯნურო თავგადასავლები მისთვის უცხო არ იყო. ნუთუ არ მაქვს ბედნიერი ცხოვრების უფლება?

– რას ეძახი შენ ბედნიერ ცხოვრებას, ბუშის გაჩენას? აპატიე ქმარს. ჰილარი კლინტონმა ქმარს აპატია ღალატი.

– პრეზიდენტი რომ მყავდეს ქმარი მეც ვაპატიებდი.

– იცი, დედაჩემი რას ამბობდა? შეიძლება გათხოვილ ქალს ვინმე უყვარდეს, მაგრამ მისი გრძნობები გულში შეინახოს, ქმარს არაფერი აგრძნობინოს. ეს ქალობაა. დანარჩენი ყველაფერი გარყვნილებაა. ცნობიერებამ წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს, თორემ ყოფიერება პირუტყვად აქცევს ადამიანსო. როცა მორალი ჭაობში ჩაეფლობა ქვეყნიერებაც მაშინ დაიღუპება.

– კარგი თამთა. შენც ნუ გაახურე ნამეტანი. იცი რა დაწერა ლაშა ნადარეიშვილმა, ამ უჭკვიანესმა კაცმა? „ჩვენს გაღვიძებას ღმერთი ელოდა, დავითი ისევ გასაჩენიაო“. რა ქნას ამ კაცმა, მეტი რა თქვას. აღმაშენებელია გასაჩენიო. დანარჩენი იგულისხმება... დემეტრე, ცოტნე, მღვდელი თევდორე, ილია, ერეკლე... ვინ იცის რამდენი დიდებული ადამიანია გასაჩენი და მე უშვილოდ გადავშენდე? ვინ იცის ვინ უნდა მეყოლოს. თუ ბიჭი მეყოლა, მას მე ერისკაცად გავზრდი.

– მეგი მე მესმის, რომ როცა ქმარი არ გიყვარს და სხვა გიყვარს, მაშინ მაღალ ზნეობრივ კატეგორიებზე ძნელია ლაპარაკი. პირამიდაში სხვა სიყვარული ვერ ეტევა. ოჯახი სხვა წესებზე დამყარებული „კონგლომერატია“. მუდამ გახსოვდეს როცა მორალი ჭაობში ჩაეფლობა, მაშინ ქვეყნიერება დაიღუპება. ისიც ცნობილია, რომ ქალისა და კაცის ურთიერთობის იდეალური ფორმა არაა ცოლქმრობა, მაგრამ კაცობრიობამ უკეთესი ვერ მოიგონაო. სხვათაშორის ჭაბუა ამირეჯიბმა თქვა: პიროვნების ზნეობაზეა დამოკიდებული ერის ბედიღბალიო.

– კარგი ერთი ნუ გააჭირვა საქმე მაგანაც. მე რომ შვილი გავაჩინო, თუნდაც უკანონოდ, ამის სახელმწიფო რა ზარალს ნახავს. მე რომ ქმარს წარმოვიდგენ იმ ფერფლისფერთმიანთან, გული სიმწრით მეწურება, არარაობის განცდა მეუფლება. თურმე მაგრად ჩარაზული კარებითაც ვერ შეინარჩუნებ ოჯახურ სიწმინდეს. შვილი რომ მყოლოდა მისგან, მაშინ ყველაფერს ავიტანდი. ჩემი შვილის ან შვილების მამაა-მეთქი, ვიტყოდი. ახლა რა ვქნა უშვილომ? გამაუბედურა, დამაბერწა. გეცოდებოდე. გაცრუებული იმედების მტვერში ვარ გახვეული. მინდა შვილი მყავდეს. ამის დიდი სურვილი მაქვს.

– ავხორცული გრძნობაა, მეგი, სურვილი. თუმცა სურვილსაც გააჩნია. პუშკინი რომ მოკლეს, ერთმა ქართველმა თავადმა ყველაფერი გაყიდა და რუსეთში წავიდა დანტესის მოსაკ-

ლავად. მართალია, მან დანტესი ვერ მოკლა, მაგრამ სურვილი ხომ თავისთავად უდიდესი ფენომენია, შენ რომ უზარმაზარ ადამიანად გაქცევს. იგივე სურვილმა შეიძლება ნამუსი დაგაკარგვინოს.

– კარგი მაშინ ნატვრა დავარქვათ. რა კარგად ამბობს ფრიდრიხ ფონ ლოგაუ: „დედა მუცლით ატარებს შვილს თავდაპირველად 9 თვე, დედა ხელით ატარებს შვილს, ვიდრე ფეხზე არ დააყენებს, ხოლო მთელი სიცოცხლე იგი გულით ატარებს შვილს“.

– სწორია. მაინც ყოველთვის ისეთი ნაბიჯი უნდა გადადგა, რომ მართალი იყო ღმერთისა და ჯამაათის წინაშე. ინდოეთში გათხოვილი ქალები შუბლზე წითელ ხალს იკეთებენ. აქაო და, გათხოვილი ვარ და სხვანაირად არ შემომხედოთო. ისე განგება ერთგულების ნიჭს თუ არ დაგაბერტყავს, წასულია შენი საქმე.

– ნუ გადამიწურე წყალი. მე ჯერ არ მიღალატია. მე მიღალატეს და იგი ღირსია ღალატის-გამოუტანა ქმარს ვერდიქტი.

– ეგებ შენ არ ხარ კარგი ცოლი და იმიტომ გიღალატეს.

– შეიძლება. ეს ჩემი ბრალი არაა. სხვა მიყვარდა და მაგან მომიტაცა. ამომგლიჯა გულიდან იმ კაცის სიყვარული, რომელიც ქვეყნიერებას მერჩივნა.

– ნუ გაამუქე. არაფერი ამოუგლეჯია შენს ქმარს შენი გულიდან. შენ ლაშა დღესაც გიყვარს. სხვათაშორის არისტოტელემ თქვა: დედებს მამებზე მეტად იმიტომ უყვართ შვილები, ისინი უფრო მეტად არიან დარწმუნებული, რომ ეს მათი შვილებია.

– იცი თამთა, ასე მგონია მატარებელი მალე გადავარდება ლიანდაგიდან და მისი ამოყვანის იმედი არ არის.

– კარგი, მეგი, ნუ მაშინებ. რაიმე სისულელე არ ჩაიდინო.

– მითხარი, თამთა, რა არის ჩემი ცხოვრება! მყავს ქმარი, რომელიც არ მიყვარს. ვინც მიყვარს იგი მოსკოვშია, რუსის ქალი ჰყავს ცოლად და შვილებით დატვირთულია. რას ვხედავ ოჯახში? ჭუჭყიანი ქვაბების ხროვა, დაუმთავრებელი სარეცხი, სადილი, ვახშამი, კენგურუსავით დახლებს შორის ხტუნვა ბაზარში.

– აბა, ის ჯობია ყოველდღე პამპერსები გეჭიროს ხელში, რომელიც ვინ იცის რა დაავადებას აჩენს. ეგებ უშვილობას იწვევს. გამოირკვია ვინმემ? მეტი არაა ჩემი მტერი.

– არაფერს არ ვაქცევ ყურადღებას. სადაა „შვილი ჩემი საყვარელი, სანატრელი გულით, სულით...“ ღალატი იცოცხლე...

– იცი, მეგი, მამაკაცებს ზნეობრივი პასუხისმგებლობის ზიდვა უფრო უჭირთ, ვიდრე ქალებს. ისინი ითმენენ, ითმენენ, მაგრამ ბოლოს მაინც ღალატობენ. იცოდე, ცხოვრება ყოველთვის მორალურ სენტენციებს არ ემორჩილება.

– ჩემთვის ემორჩილება?

– შენ ქალი ხარ, არ დაგავიწყდეს. ქვეცნობიერების ინსტინქტით კოდირებულ რეფლექსებს მამაკაცები ვერ ერევიან. ეგებ შენც მართალი ხარ...ყველაფერი მოიცდის ამ ქვეყნად რაც ხელშესახებია, ხოლო დედობა არ მოიცდის.

* * *

მზე ამოკაშკაშდა. ირგვლივ ყველაფერი გამოცოცხლდა. მოციმციმე მზის სხივები ქარს სადღაც შორს მიჰქონდა. მზის სხივებისაგან სახლის სახურავები ვერცხლისფრად ლაპლაპებდა. ბაღში გაზაფხული შემოპარულიყო. ზეციდან დედამიწაზე მზის კაშკაშა სხივები იღვრებოდა. მშვენიერი ბუნება მდუმარებაში გაქვავებულიყო. ინსტინქტმა თუ წინათგრძნობამ მეგი ქუჩაში გაიყვანა. სახლში მარტო ყოფნა მოსწყინდა. ვახტანგი მივლინებაში იყო, დედამთილი-სოფელში დასთან. მეგის თვალები სიხარულითა და იმედით უბრწყინავდა. მას ქუჩაში შორიდან მოჰკრა თვალი, დიდი ხნის უნახავი რომ ჰყავდა და ქვეყნიერებას რომ ერჩივნა... ახდენილი ოცნება... ლაშა მეგის უახლოვდებოდა, რომლის თვალები სიხარულისაგან ჩირაღდანივით ბრწყინავდა, გულში კი მეგის სახე იდო, როგორც მოუშუშებელი ჭრილობა. ქუჩაში გამვლელებსაც არ მორიდებიან, ისე გადაეხვივნენ ერთმანეთს. სიხარულისაგან ორივე ტიროდა. თურმე როგორ მყვარებიაო-ორივემ ეს გაიფიქრა.

– ნეტავ, შენი სიყვარულის გაქრობა ისე შემძლებოდა, როგორც დედაჩემი სულის შებერვით აქრობდაო ლამპას, – უთხრა მეგიმ.

– ნუ იტყვი მაგას. სამშობლოდან მოწყვეტილს შენი სიყვარული მახლდა საგზლად. იგი მასულდგმულებდა. ჩემი სიხარული შენი მოგონება და შვილები იყო მხოლოდ. ახლა მიტოვებულ ბინას ჩამოვაკითხე. სამ დღეს დავრჩები და მერე კვლავ შენი მონატრებით ვიცხოვრებ, ჩემო აუხდენელო ოცნებავ. ქუჩაში რას ვდგავართ. წამოდი ჩემთან. მეგის თვალი არ დაუხამხამებია ისე გაჰყვა ლაშას... ამ წუთებს წლების მანძილზე ველოდი და ამისრულდა კიდეც. მერე მკვდარი გრძნობები გაცოცხლდა, ქმარმა რომ ჩაუკლა... ვნების ქარიშხალში გახვეულ მეგის გონება ებინდებოდა... როცა ზნეობა უკან იხევს, ეს უბედურებააო, – მეგობრის სიტყვები ჩაესმოდა. გრძნობდა, რომ ცხოვრების გადამწყვეტი წუთის ზღვარზე იდგა და არაფრის შეცვლა არ შეეძლო... გარეთ გაზაფხული იდგა და ფანჯრიდან მწვანე ფოთლები მოჩანდა.

* * *

დაღამდა. რაღაც თავისებური მწუხრი ჩამოწვა. ვარსკვლავებით მოიჭედა ცარგვალი, რომელზეც ნამგალივით მოხრილი ახალი მთვარე ეკიდა, რომლის მთრთოლვარე შუქი დედამიწას ეფინა. მეგი სახლში გვიან დაბრუნდა. ძილი არ ეკარებოდა. მარადიული ტკივილით შეწუხებული აივანზე იდგა განმარტოებით ბუნების ეს თვალწარმტაცი მშვენიერება და მთვარის შუქით დაბინდულ ქვეყანას თვალსაწიერამდე გასცქეროდა. მისი კვნესა ცაში მთვარესაც აკრთობდა. მის ტვინის ხვეულებში სიმართლეს შეეღწია. ეს რა ჩავიდინე!... მის წინ რუსული პროზის ტიტანი ტოლსტოი წამოიმართა: „რაც მოსახდენია, უნდა მოხდეს, ოღონდ მხნეობა არ დაკარგო“. როგორ არ მინდოდა ჩემი ზნეობრივი პრინციპებისთვის მეღალატა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. წინასწარ ვგრძნობდი, თავზე ცა უნდა ჩამომმხობოდა. ჩამომემხო კიდეც. ქმარს ვუღალატე. ზნეობრივ ღირებულებათა დევალვაცია დაიწყო. აწი მას შეაჩერებს რამე? მეტი არ შეგჭამოს რუხმა მგელმა. ძლივს ჩაეძინა. ყვავილების ბაღში იყო და ხელში პაწია ეჭირა. საიდანღაც ვანო ჩხიკვაძის სალექსო სტრიქონები ჩაესმა: „ჩვენი ყოფა ისე გაძაღლდა, გადავაყოლეთ ბავშვი ნაბან წყალს“. შეშინებულს გამოეღვიძა... სადაა ბავშვი. ქალის კალთას ცრემლები წვავდა. გონება მალე ივიწყებს იმას, რისი დავიწყება სწადია. მხოლოდ ის დანაშაული არ შეიძლება დავიწყებას მიეცეს, რომლის გამოც სინდისი გქენჯნის. მერე ეჭვიანობის ბობოქარი სცენა წარმოიდგინა და გააჟრჟოლა. მეგიმ თვალებში მარადიული სევდა დაგუბებულიყო.

რა მაგიური კვერთხი მართავს ქვეყნიერებას, ადამიანებო. ან რა ძალაა ის ძალა, მთელი ცხოვრება თვალცრემლიანს რომ გატარებს და მერე გადაგისვრის მარადისობაში. ნუთუ პატარა, მაგრამ ყოვლისმომცველი სიტყვაა პატიოსნება რომ ჰქვია, საუკუნედან საუკუნეებს რომ გადაეცემა და რომლის დაკარგვა დიდ ტკივილთანაა დაკავშირებული... გოდებდა მშვენიერთა შორის უმშვენიერესი. მას ტვინს უბურღავდა მეგობრის, თამთა ლეჟავას, ნათქვამი: – ცუდი ყოფაქცევის ქალები დიდხანს შემორჩება ისტორიას. ძვ.წ. 48 წელს რომის იმპერატორის კლავდიუსის მეუღლე ცნობილი იყო აღვირახსნილი ცხოვრებითა და გარყვნილებით. ჩვენამდე მოაღწია ამ ამბავმაო.

ამ დროს, თითქოს არაფერი მომხდარიყოს მთვარე მკრთალ შუქში ხვევდა გარემოს. გაღმიდან ბულბულის ხმა ისმოდა.იგი ღამითაც არ ისვენებდა და თავისი უმშვენიერესი მელოდიით ავსებდა გარემოს.

* * *

ცაზე ღრუბლები თანდათან იღუშებოდა და მუქდებოდა. შორიდან ქარის კვნესა და ქვითინი ისმოდა, რაც შიშისმომგვრელი იყო. სარკმლიდან მუქი ღამე იმზირებოდა. ეულად ებრძოდა სიბნელეს აფარფატებული ფოთლები. მეგის გულში არეული ფიქრები დაფარფატებდა სიყვარულზე, ღალატზე, დავიწყებაზე, მოვალეობაზე. იცოდა, სიცოცხლის უკანასკნელ

წუთამდე იმ ტკივილით უნდა ეცხოვრა, რომ ქმარს უღალატა. ამ ფონზე ფეხმძიმობაც თითქოს გაუფერებულიყო. როცა დარწმუნდა რომ ფეხმძიმედ იყო სახლში ბარათი დატოვა: „ვახტანგ, უპატიებელი საქმე ჩავიდინე. ეს შვილის სიყვარულით გავაკეთე. ახლა ფეხმძიმედ ვარ. მივდივარ. არ მეძიო. მაინც ვერ მიპოვი“.

დავტოვე ოჯახი, ქმარი. ვგრძობ, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა ძალიან მიჭირს, რადგან მე იქ გული დამრჩა. ვგრძნობ, რომ ქმარი მაინც ჩემი სხეულის ნაწილი იყო, რომლის მოკვეთა დიდ ტკივილთანაა დაკავშირებული.

რა ხანია მზე ღრუბლებმა დაატყვევეს. მალე, ალბათ, ხმაურითა და სტვენით ქარიც ამოიჭრებოდა, გაბრაზებული მოღრიალე ქარი. ირგვლივ რაღაც თავისებური მწუხრი ჩამოწოლილიყო, რაც მეგის გულს ეხმიანებოდა. ვინ იცის რა მოცულობის სევდას იტევდა მისი აქამდე შეურყვნელი გული.

* * *

ცის კაბადონზე მთვარე შემოცურებულიყო და ყველაფერი ვერცხლისფერში გაეხვია. მერე მთვარე ტაატით გაცურდა დასავლეთისაკენ. ირგვლივ სიოც არ ქროდა. ჰაერი მორჩილად გარინდულიყო. მთვარის ნაზ ჯადოს თითქოს ხეები მიეძინებინა. მთვარე უკიდეგანო სივრცეებში მეფობდა და მისი შუქი ნეკერჩხლის ფოთლები იჭყიტებოდა.

ორი თვე გასულიყო ლაშას შეხვედრიდან, როცა მეგიმ ფეხმძიმობა იგრძნო და ოჯახიც დატოვა. მეგის მეგობარი თამთა ლეჟავა პატრონობდა. მშობიარობა ნორმალურად ცხრა თვეზე დაეწყო, მაგრამ მერე გაძნელდა. საკეისრო კვეთა დარჩა საჭირო. ვაჟი დაიბადა ნორმალური 4 კილოგრამი, 50 სანტიმეტრი. საკეისრო კვეთის შემდეგ მეგის სიცოცხლე დადგა ეჭვის ქვეშ... ექიმები დიდ იმედებს არ იძლეოდნენ. თამთამ გადაწყვიტა ვახტანგ გზირიშვილისთვის დაერეკა. ვახტანგმა მეგის ცუდად ყოფნა რომ გაიგო, კინაღამ გაგიჟდა. სიმწრით ყელში რაღაც ბურთივით გაეჩხირა. სული რომ მოითქვა, თამთას უსაყვედურა: რატომ არ გამაგებინე მეგი თუ შენთან იყოო. მე დავიღალე მის ძებნაშიო. მისამართი იკითხა. ამ წუთას მანქანით მოვალო...როცა მომაკვდავი მეგი იხილა, თვითონ ცუდად გახდა. როცა მობრუნდა მკურნალ ექიმს დაუჩოქა და უთხრა: გადამირჩინეთ დედა-შვილი და თქვენზე მლოცველი ვიქნებიო მუდამ. მომეხმარეთ, მიშველეთ. მე იგი მონატაცები მყავს. სიყვარულით ვითხოვე. ვახტანგი ატირდა. მისი გადარჩენა ჩვენი მოვალეობაა – უთხრა ექიმმა. – იცით, ალბათ, ხალხური სიბრძნე... პაციენტი იღუპება ერთხელ. ექიმი კი კვდება ყოველ გარდაცვლილ პაციენტთან ერთად. ვახტანგი ვერგამხელილი ჯავრისაგან გარინდებულიყო,. მისი თვალები უსაზღვრო სევდას გამოხატავდა.

* * *

ირგვლივ გაზაფხულის სურნელი იდგა. ცაზე კანტიკუნტად მიცურავდა თეთრი ფუმფულა ღრუბლები, აფეთქებული კოინდარი მწვანედ ბიბინებდა. უზარმაზარი მზე ზღვაში ეშვებოდა. მეგის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა. ერთი კვირის შემდეგ ფეხზე წამოდგომის უფლება მისცეს. ფანჯრიდან გადაიხედე. შენი და ბავშვის წასაყვანად ვინაა მოსული, იმას დაინახავ – უთხრა მეგობარმა. მეგიმ ფანჯარაში გაიხედა, მანქანასთან ვახტანგი იდგა და უღიმოდა. მეგის გულში სითბო ჩაეღვარა. ქრისტემ ხომ ყველას შეუნდო და აპატია... ის პატიების გრძნობა ედო ახლა ვახტანგს გულში.

2015 წლის 20 ივლისი



ლევან ანანიძე

სიცოცხლეს გაფრთხილება სჭირდება

90 წლისთავი შეუსრულდა მთიელ ბერიკაცს ლომანას, ხანდაზმულია იგი, მაგრამ მხნედ, უდრეკად გამოიყურება. შეხედავ მას და გულში უმალვე გაგივლის აზრი: ნუთუ ამხელა ასაკისაა ეს თმაშეფიფქული ბერიკაცი? იგი ჯერჯერობით ალვის ხესავით ამართულია. არ ემჩნევა ლომანას წელში მოხრა. ქოჩორი ადრე შეეფიფქა ბერიკაცს. იგი მაშინ ოცდათხუტმეტი წლისა იყო.

– რას ნიშნავს, ბიჭო, მაგ ლამაზი ქოჩრის ასე ადრე ალაგ-ალაგ შეთეთრება? – ღიმილით ეკითხებოდნენ ახლობლები და ნაცნობები. ამ შეკითხვას ლომანა მხიარულად უპასუხებდა:

– ღმერთს ასე სურვებია. ქოჩორზე ალაგ-ალაგ სითეთრის დამჩნევა ვერაფერს დამაკლებს. მთავარია, არ მღალატობდეს ახალგაზრდული მხნეობა.

ლომანას მხიარული იუმორი საუბრის დროს დაგავიწყებს, თუ გაქვს რაიმე საფიქრალი. იგი მაშინვე იყენებს ხალხურ ანდაზას და გამოჩენილ ადამიანთა ბრძნულ გამონმათქვამებს:

– ასი წელი რომ შემისრულდეს, ათი წელი მჭირდება. აზერბაიჯანელ მაჰმუდ აივზოვასავით ვერ მივაღწევ 120 წელს. მე ლომანა მქვია და ლომივით უნდა ვიყო სიცოცხლის დასასრულამდე. 100 წელს ვიცი მივაღწევ. ყველა სიხარულით მომილოცავს იმ დროს, დამენიშნება დიდი პენსია. მთავარია შეუცვლელად მქონდეს ეს ახალგაზრდული ხასითი.

ბერიკაცი გამოცდილი ექიმის ნათქვამს არასოდეს ივიწყებს. ის 15 წელიწადს სოფლის მაღაზიაში მუშაობდა და ახსოვს, ექიმმა რომ ურჩია, გაფრთხილებოდა ყოველთვის ჯანმრთელობას. იცის მან, დაუკვირველობა ადვილად უკარგავს ადამიანს მხნეობას, საჭიროა მხნეობის შენარჩუნება. ლომანა 3 წლიწადს მსახურობდა საბჭოთა ჯარში. ის ჯარში სამსახურის დროს ისე მიეჩვია დილის გამამხნევებელ ვარჯიშს „ფიზარიადკას“, რომ ამ სიბერეშიც მას მიყვება. განთიადისას 6 საათზე ეღვიძება ლომანას. მაშინ ნელ-ნელა ქრება ღამის ბინდი და განთიადის სინათლე მკვიდრდება ირგვლივ. ის აღებს თავისი ოთახის ფანჯრებს, ჩადის სახლის ქვევით სავარჯიშოდ. მაშინ ჩიტებიც გადმოდიან თავიანთი ბუდეებიდან. უხარია, რომ დილის გამამხნევებელი ვარჯიში ორგანიზმს უკაჟებს. ის პირმცინარედ ამბობს:

– ჯერ გული არ ამტკენია. წნევის გასინჯვას არ ვარ მიჩვეული. ფიზკუტურულ ვარჯიშს ვენაცვალე. ის არის ჩემი ერთგული ექიმი.

სახლში როცა დილით გაეღვიძებათ, ეღიმება ყველას მის ჩვეულებაზე. 70 წლის მისი უფროსი ბიჭი პირმცინარედ ეუბნება:

– სიბერე დაგავიწყდა, ჩვენზე ადრე რომ წამოდექი?

– მე, ჩემო ბიჭო, ჯამბულ, ასე მიყვარს.

– დილის ექვს საათზე ჯაზინენეები ხომ არ გიფრთხობენ, მამაჩემო, ძილს?

– ჯაზინენეებს რა უნდათ ჩემთან? „ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევარი“ ხომ გახსოვს კარგად? ლოგინში ბიჭო დიდხანს წევს ავადმყოფი, მე ხომ ავადმყოფი არ ვარ?

90 წლისთავთან მისულ ლომანას რძალმა გულნარამ მოუმზადა სხვადასხვაგვარი

ნამცხვარი, ტკბილეულობა. იცოდა რძალმა, რომ ოჯახში ბევრი სტუმარი მოვიდოდა მამამთილთან მოსალოცად. მეუღლე ხატიჯე 55 წლისა გარდაეცვალა ლომანას. კომუნისტური წყობილების დროს ლომანას მეუღლე დასაქმებული იყო თამბაქოს მოსავლის მოყვანით. მაშინ კოლმეურნეობაში შეჯიბრება იყო გაშლილი, თუ ვინ მოიყვანდა მაღალ ხარისხოვან და ბევრ თამბაქოს. ისეთი დაძაბული შრომა იყო მაშინ, რომ ადამიანს ავიწყდებოდა წესიერად საჭმლის ჭამა და დასვენება. კოლექტიურმა შრომამ ხატიჯე დაასნეულა. ლომანა მას ყველაფერში ეხმარებოდა, მაგრამ რადგან ჯანმრთელობას არ უფრთხილდებოდა, სიცოცხლე შეიმოკლა. მაშინ, იმ დაძაბულ პერიოდში ლომანა ყველას საყურადღებოდ ამბობდა: – სიცოცხლეს გაფრთხილება ჭირდება. დაძაბული მდგომარეობა ყველას ორგანიზმზე ახდენს ცუდ ზეგავლენას. ადამიანი ბალახის თესლივით ვერ გაღვივდება ისე, რომ გაიზარდოს.

ხატიჯემ ლომანას გაუზარდა ხუთი შვილი, ორი ვაჟი და სამი ქალიშვილი. შრომისადმი და სწავლისადმი უსაზღვრო სიყვარული მათ დედამ ჩაუნერგა. მათგან ლომანას 20 შვილიშვილი ჰყავს. შვილებმა ჯამბულმა, მზეონამ, იამზემ და მზიამ მიულოცეს ლომანას 90 წლისთავი. სახლის დიდ, ფართო დარბაზში შეიკრიბნენ მობრძანებული სტუმრები. მათ იუბილარს მიართვეს ძვირფასი სხვადასხვა საჩუქარი. მაგიდაზე გაისმოდა მათი მომხიბლავი სადღეგრძელოები. ლომანას შვილებიდან სამი სოფელში ცხოვრობს, დანარჩენი ქალაქში. სოფლიდან საცხოვრებლად ქალაქში გადასვლა ვერ წარმოუდგენია უფროსს შვილს ჯამბულს.

30 წლის განმავლობაში ჯამბული შოფრად მუშაობდა სხვადასხვა სახის მანქანაზე. ის თავის პროფესიას კეთილშობილურად ემსახურებოდა. მისი მუშაობის პერიოდში სოფელში და ქალაქში საავტომობილო გზები იყო უვარგისი. ჯამბულს ცუდი რამ არსად შემთხვევია, ხალხს თავისი შოფრობით უსაზღვროდ შეაყვარა თავი. ახლაც ამბობენ მის შესახებ თანასოფლელები: – ყველგან ფრთხილად დაჰყავდა მანქანა. თუკი გზაში ჩამოცვენილ ქვებს დაინახავდა, გააჩერებდა მაშინვე მანქანას და ქვებს გზიდან გადაყრიდა. არ წაცდებოდა გლახა სიტყვა გზის ოსტატების მიმართ. ახლა, ამ ჩვენ დროში გზები მოასფალტებულია. ახალგაზრდა შოფრები მსუბუქ და სატვირთო მანქანებს ისე დააქროლებენ, რომ გული სევდით აგევსება. ბევრმა მათგანმა თავისი დაუკვირვებლობით მოახდინა ავარია გზაში, დაიღუპა ადრე თვითონაც და სხვაც. ასფალტი იმიტომ კი არ არის გზაში დაგებული, რომ განავითარო დიდი სიჩქარე და საფრთხეში ჩაიგდო თავი. ოჰ, ოჰ, ღმერთო, გამჩენო, ჭკუა, დაკვირვება, მიეცი ახალგაზრდა შოფრებს. ხალხის გულწრფელი ნათქვამი არასდროს ავიწყდებათ 90 წლის ლომანას და მის შვილს ჯამბულს.

ლომანას მეორე ბიჭი ბიძინაც შოფერი იყო, ის ახალგაზრდობიდან იყო განსხვავებული ხასიათის, ბიძინა ჯამბულს დასცინოდა: მანქანას მეფის დროინდელი ურემივით ნუ ატარებო. უყვარდა მას ელვის სისწრაფით მანქანის გაქროლება. გზაში ნაცრისფერი მტვერი, ბუღი იდგა და გამვლელ-გამომვლელს სულს უხუთავდა. იტყოდნენ უკმაყოფილოდ მის მიმართ: – ბარემ ქორსავით ფრთები გამოისხას იმ ოხერტიალმა. ხშირად ბიძინა შემთვრალი მართავდა მანქანას. მამამ ბიძინა ბევრჯერ გაკიცხა ამის გამო. მამის და სხვათა რჩევა-დარიგებას არაფრად აგდებდა ბიძინა. გაიცინებდა, თავისი სიჯიუტის ტყვეობაში იყო. ერთხელ ქორწილში ბიძინა ისე ძლიერ დათვრა, რომ სახლში ბანცალ-ბანცალით ძლივს მოიყვანეს. მას ღვიძლის ანთება დაემართა და 45 წლის ასაკში გარდაიცვალა. ქვითკირის სახლი ნახევრად მოუწყობელი დაურჩა. ლომანა ბრაზდებოდა გარდაცვლილ შვილზე: – ეჰ, ჭკვაგაფანტულმა არ ისმინა, რომ სიცოცხლეს გაფრთხილება სჭირდება. რა იქნებოდა ქვით-

კირის სახლი რიგიანად მოეწყო? ეცხოვრა მეზობლების გვერდით? მას რა ეშელება, თორემ ობლად დარჩენილი მისი შვიდი შვილი ჩვენი მზრუნველობით მაინც გაიზრდება, ყველა გაიგნებს ცხოვრების გზას.

ბერიკაცის 20 შვილიშვილი ცდილობს ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს საზოგადოებაში. მათგან სამი მეზღვაურია. ისინი ზღვაში არიან. ყველა მათგანმა გულითადად მოულოცა ლომანას 90 წლისთავი.

ლომანას გაუხარდა ძლიერ ბადიშების მოლოცვა. მხოლოდ სასურსათო მაღაზიის „რადუგას“ გამგე სერაფიონი არ ჩანდა. ლომანამ იცოდა თავისი ბადიშის სერაფიონის შესახებ. 40 წელს მიღწეული, დაუქორწინებელი ახალგაზრდა ყოველთვის ძმაკაცებთან ატარებდა დროს. ღვინის სმას გადაყოლილი ავარიაში მოხდა. ეს შემთხვევა სერაფიონს 3 ათასი დოლარი დაუჯდა. იგი მაინც იმედიანად იყო, ვინმეს არ ვათქმევინებ შოფრობას ვერ გაართვა თავიო, ყველაზე გვიან ბაბუა ლომანას მან მიულოცა ღირსეული თარიღი. გზაში მიმავალი მოასფალტებულ გზაზე მანქანას ისე მიაქროლებდა, რომ „ცა ქუდად მიაჩნდა, დედამიწა ქალამნად“. დიდი სისწრაფით მომავალი მანქანა, ბიძამისის, ჯამბულის სახლის წინ ეზოში ძლივს გააჩერა. ჯამბული იმ დროს კიბესთან იდგა და ძლიერ გაუკვირდა ახალგაზრდა მძღოლის ქცევა.

– გამარჯობა ბიძაჩემო, ბაბუაზე სახელოვანი წლისთავის მილოცვა დავაგვიანე და უნდა მაპატიოთ.

– ისე ჩქარა შემოგრიალდი ეზოში, რომ მივხვდი ქალაქიდან დიდი სისწრაფით წამოსულხარ.

– შენ რომ ერთ დროს მუშაობდი შოფრად ბატონო, ის დრო არ არის ახლა, სულ ასფალტია გზაში დაგებული, სად გაგონილა ბიძაჩემო ლოკოკინასავით ფრთხილად მოძრაობა?

– მერე? შეიძლება სერაფიონ გადაჭარბებული სისწრაფე?

– ვინც ნამდვილი შოფერია, მისთვის შეიძლება.

– ხომ გახსოვს ბიჭო, ორჯერ შეგემთხვა ავარია.

– ოჰ, ნუღარ გამიხსენებ. ჯოჯოხეთია მოსაგონებლად.

– ახალგაზრდა მძღოლები დაუდევრობით ღუპავენ თავის თავსაც და სხვასაც...

იმ დროს სახლის აივანზე იჯდა ლომანა. გაიგონა ყველაფერი, რაც უთხრა ჯამბულმა სერაფიონს. აივანზე ასული სერაფიონი მხურვალედ გადაეხვია ბაბუა ლომანას, გულითადად მიულოცა მას 90 წლისთავი. ლომანამ შვილიშვილს მადლობა გადაუხადა, მერე კი უთხრა: – სამართლიანია ბიძაშენის შენიშვნა. სიცოცხლეს გაფრთხილება სჭირდება. ეს გახსოვდეს, ბიჭო, ყოველთვის.

დათო ახალბური

მცხეთა

აქ მესხები შემოსულან თურმე,
მეც ნაკვალევს დავეძებდი მესხთა...
გზაზე ვიღაც მიუყვება ურემს,
მთვარის შუქში განაბულა მცხეთა.

არსაკიძე... პომპეუსი... აზო...
ნეტავი რამ გამახსენა ერთად...
ფარნავაზი დღესაც ფარნავაზობს,
თუმცა არმაზს აღარ თვლიან ღმერთად.

აქ ღვთისმშობელს „დაუდვია“ ბინა,
ისმის წყნარი შარიშური ხეთა,
გაცს და გაიმს აღმერთებდნენ წინათ,
დღეს ქრისტეს კვართს ეფერება მცხეთა.

ღმერთო ჩემო, როგორ მიყვარს ქართლი,
ზედაზენი მზის სხივივით მათბობს...
შევცოდავ და, ფარნავაზის ხათრით,
მეც კერპივით გაგაღმერთებ, ქართლო.

* * *

ციკლიდან „მომენატრა ახალგორი“

ვერ ვეგუები, ვეღარ ვიტან უკვე ამ ურდოს,
მათ მბრძანებლობას ხანგრძლივსა თუ
მოკლევადიანს...
ისეთი რამე გავაკეთო, მინდა მამულო,
სხვას კი არა და, გაუკვირდეს ცოტნე
დადიანს!

ჩემო მამულო, ვით ვახტანგი, ყველამ
გაგწირა,
ჩამოგაქციეს, არ გაკმარეს ასჯერ გაყოფა,
გაყიდულია ქართლის მიწა ნაწილ-ნაწილად,
ფეხზე ჰკიდიათ შენი ყოფნა, შენი არ ყოფნა...

ჩემო მამულო, არ ეღირსა ამოსვლა შენს მზეს,
ამ ყრუ სოფელში აღარ ვიცი, ვიღას
მივმართო...
ხომ შესძელი და წამოდექი ათასჯერ ფეხზე,
უნდა შეძლო და ერთხელ კიდევ წამოიმართო!

* * *

ჩემო გაბუტულო გოგო,
სულაც არ გიწონებ ჯიბრს –
როცა მონატრებით ვცხოვრობ,
როცა უშენობით მსჯი!

შენი სიყვარული, ქალავ,
ჩემთვის მთელ სამყაროდ ღირს,
ჰოდა, აღარ გაგხდი, არა,
მე შენ უჩემობის ღირსს!

ვეღარ დაგტოვებ და დაგთმობ,
ასე ქალღმერთივით ქალს...
გულში შემოხველ და მათბობ,
ჩემი ერთი ცალი ხარ!

* * *

ცრემლად დაღვენთილი ნაწვიმი ცა,
დილით უცნაურად გამზიანდა,
ჩემი ამოსუნთქვის ნაწილი ხარ,
გულში შემოსულო განთიადად.

ღიმილს შეჩვეული შენს ლოდინში,
აღარც მარტოობას ვწუხვარ ახლა...

შენ ჩემს ცხოვრებაში შემოგიშვი,
ჰოდა, იყავი და ნუღარ წახვალ...

ციდან მომზირალი ღმერთის თვალი,
თურმე არ მტოვებდა ასე ცალად,
ბევრჯერ გინატრე და ვერ გითხარი,
შენზე ვფიქრობდი და არ მეცალა...

მე შენ უფალივით უნდა მწამდე,
ჩემო ღვთის ხატო და ანგელოზო,
მინდა მზის აქეთაც გვერდით მყავდე,
მინდა მზის იქითაც დაგელოდო!

* * *

მოჰყვები ჩემს ქუჩას ლამაზად,
ქალური ხიბლით და ქერა თმით...
ფიქრების ტყვე ვხდები ანაზდად,
თვალს ვეღარ გაშორებ ვერაფრით...

გიმზერენ ველური იერით
და ქარიც მამრივით ავშარობს.
ვნება კი, ასეთი მშიერი,
ფეხდაფეხ მოგყვება, ქალშავო...

არ ვიცი, ან ჩემგან რა გინდა,
ან სხვას რად უღიმი ამ დილით...
ლამის და გაიქცეს კაბიდან სხეული –
თვალებით გახდილი...

უფალს ვთხოვ: ღვთის მადლო, ამ წამებს
ნუ მოშლი, ნურც გამომილევო.
მერე რა – თუ ფიქრი მაწამებს,
თუ მზეზე მწველი ხარ, ლილეო...

ღმერთქალო, გიმზერდე, სულ მინდა,
ხან მზის და ხან მთვარის ჯინაზე.
ვერსაით წამივა გულიდან
ეგ შენი ველური სინაზე...

მოჰყვები ჩემს ქუჩას ლამაზად
და ქარიც მამრივით ავშარობს...
იღვიძებს ვნება და ანაზდად
მუხლებზე გასკდება, ქალშავო!

ნაგო ჯაფი-ფაინიძე

მედეა

(სცენარი)

(ფარდა იხსნება, მოჩანს კოლხეთის პეიზაჟი, სცენის განაპირას (მინდორში) ზის ორი ქალიშვილი და საუბრობენ, ხშირ-ხშირად ყურადღებით გახედავენ გზას, ეტყობათ რომ ვიღაცას ელოდებიან, ქალიშვილების შორიახლო ახალგაზრდა ყმაწვილი დგას და გოგონებისაკენ მორიდებით იყურება, მიახლოება და გასაუბრება უნდა, მაგრამ თითქოს ვერ გაუბედავსო. ამ დროს შორს, ბილიკზე გამოჩნდება მომავალი მგზავრი,რომელსაც აბგა აქვს მხარზე მოგდებული.

1 **გოგონა** – ჩამოვიდა, ჩვენი ძმა ჩამოვიდა (გოგონები სიხარულით მიეგებებიან ძმას, რომელიც გულში ჩაიკრავს მონატრებულ დებს). ჩამოჯექი, დაისვენე, შორი გზიდან მოდიხარ, დაღლილი იქნები.

2 **გოგონა** – ძმაო, იპოვე რასაც ეძებდი?

ქამთააღმწერელი – ვიპოვე, აი აქ არის (აბგიდან ძველისძველ წიგნს ამოიღებს ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელიც აქამდე დების შორიახლო იდგა, ახლოს მოსულა და ყურადღებით აკვირდება ახლადმოსულს).

ახალგაზრდა ყმაწვილი – (ჟამთააღმწერელს მიმართავს) ეს რა არის? (წიგნს გამოართმევს).

ქამთააღმწერელი – ფრთხილად, ძველია, არ დააზიანო.

ახალგაზრდა ყმაწვილი – შენ ვინ ხარ?

ქამთააღმწერელი – მე ჟამთააღმწერელი ვარ, ეს კი მედეას ისტორიაა.

ახალგაზრდა ყმაწვილი – მოგვიყევი მეგობარო.

ქამთააღმწერელი – კარგი (იქვე ჩამოჯდებიან და მოსასმენად მოემზადებიან, ჟამთააღმწერელი იწყებს თხრობას). ერთი ფიქრი არ მაძლევდა მოსვენებას, ბოლოს დიდი განსჯის შემდეგ გადავწყვიტე ჩემი სათქმელი ქაღალდზე გადმომეტანა და თქვენთვის მომეთხრო ჭეშმარიტი ისტორია ჩვენთვის ცნობილი პირველი ქართველი ქალის, მედეას შესახებ. რომლის ამბავიც ათი საუკუნის მანძილზე თაობიდან თაობას ნამდვილი, შეურყვნელი სახით გადაეცემოდა, და მხოლოდ ამის შემდეგ, ძვ.წ.აღ V საუკუნეში მედეას ისედაც ცოდვილსა და გაწამებულ სულს უმძიმესი შვილთამკვლელობის ბრალი წაუყენეს. როგორ და რატომ მოხდა ეს ფაქტი? ვის აინტერესებდა მედეასთვის საკუთარი შვილების დახოცვა დაებრალებინა? ამბის უკეთ გასაგებად გადავინაცვლოთ იმ ისტორიულ დროში.

მაშ ასე, ძვ.წ.აღ V საუკუნე, კორინთო, ქალაქის მთავარ მოედანზე მოქალაქეები შეკრებილან და რაღაცაზე გაცხარებით ბჭობენ, საინტერესოა რაზე საუბრობენ, იქნებ ჩვენს ამბავს შეეხება, მივუახლოვდეთ და ჩვენც მათ შევუერთდეთ.

პირველი კორინთელი – ასე აღარ შეიძლება გაგრძელება, ჩვენს ქალაქს ბავშვთა მკვლელის სახელი უნდა ჩამოვაშოროთ.

მეორე კორინთელი – როგორ? თქმა ადვილია, შესრულება ძნელი.

პირველი კორინთელი – ჯერ არ ვიცი, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა შევძლოთ, ამ ცოდვით ვეღარ ვიცხოვრებთ.

(ამ დროს თეატრიდან გამოსულმა მაყურებელმა ჩამოიარა, ისინი ევრიპიდეზე საუბრობდნენ.)

პირველი მაყურებელი – მართლაც დიდი ტრაგიკოსია ევრიპიდე, თუმცა უნდა გამოგიტყდე, ქალებს დიდად არ სწყალობს.

მეორე მაყურებელი – გეთანხმები, ნამდვილი ქალთმოძულეა, მისი ტრაგედიის მთავარმა გმირმა ქალებმა არ იციან საზღვარი არც სიყვარულში, არც სიძულვილში, განსაკუთრებით მძვინვარენი შურისძიებაში არიან.

პირველი მაყურებელი – ამბობენ ქალებს სძულთო ევრიპიდე.

მეორე მაყურებელი – რატომ?

პირველი მაყურებელი – სპექტაკლიდან სახლში დაბრუნებული, ეჭვებით შეპყრობილი ქმრები ცოლებს საშინელ ბრალდებებს უყენებენ და ათასგვარ ვერაგობაში სდებენ ბრალს. ქალები გადაუხდიან ამ სიძულვილისათვის ევრიპიდეს სამაგიეროს, ეს მხოლოდ დროის ამბავია, ჩემი სიტყვები რომ ასრულდება, მაშინ მომიგონე.

(ისინი ჩაივლიან და სცენიდან გავლენ).

ქამთააღმწერელი – მართლაც, ქუჩაში ცოფიან ძაღლებს დააგლეჯინეს ევრიპიდე ქალებმა, თუმცა ეს მოგვიანებით მოხდა და სხვა ისტორიაა, ჩვენ კი ჩვენს ამბავს დავუბრუნდეთ.

1 **კორინთელი** – გაიგონეთ? ეს არის გამოსავალი.

2 **კორინთელი** – რას გულისხმობ?

1 **კორინთელი** – ევრიპიდეა ჩვენი მხსნელი, პიესა შევუკვეთოთ.

ქამთააღმწერელი – კორინთელებმა ევრიპიდეს ხუთი ოქროს ტალანტი (დაახლოებით 75000 ოქროს მონეტა) გადაუხადეს ქრთამად, რათა ბავშვების დახოცვა დედისათვის გადაებრალებინა, ხოლო მათი ქალაქისათვის ჩამოერეცხა ბავშვთამკვლელობის სისხლიანი ლაქა.

ქამთააღმწერელი – და აი, ევრიპიდემ ხელთ აიღო მისგან ათასი წლის წინათ კორინთოში დატრიალებული სისხლიანი ამბავი. ევრიპიდე ჯერ ნამდვილი თქმულების ხაზს გაჰყვა, ხოლო შემდეგ სინამდვილეს გადაუხვია და კორინთელთა ნაცვლად მედეას შვილები მედეასვე დაახოცვინა.

ევრიპიდე – ოოოოოო,რა ტრაგიკულია და როგორი შთამბეჭდავი (წერს და ხმამაღლა ფიქრობს). „იაზონი ღმერთებს შესთხოვს სასტიკად დასაჯეთ შვილების მკვლელიო.

– რომელი ღმერთი დაგიჯერებს ფიცის გამტეხო? – ზიზღით პასუხობს მედეა.

„ოოო, საყვარელო შვილებო – გოდებს იაზონი“.

– საყვარელი მხოლოდ დედისთვის. – მიუგებს მედეა.

(ამ დროს ევრიპიდესთან სტუმრად მიდის მისი კოლხი მეგობარი, კარზე აკაკუნებს).

კოლხი – ევრიპიდე, მადლობა ზეცას მშვიდობით გნახე.

ევრიპიდე – (გახარებული შეეგებება) მობრძანდი ძვირფასო მეგობარო.

კოლხი – ვხედავ მთლიანად შენს საყვარელ საქმეში ხარ ჩაფლული, თუ საიდუმლო არ არის, რაზე მუშაობ, მეტყვი?

ევრიპიდე – რა თქმა უნდა გეტყვი, ეს იქნება ჩემი უკვდავი ქმნილება, კოლხი მედეა, ბედკრული ქალის ისტორია, რომელმაც ქმარზე შურისძიების გამო საკუთარ შვილებს გამოსჭრა ყელი.

კოლხი – ეს სიცრუეა!!! ბავშვები კორინთელებმა დახოცეს, ეს შენც კარგად იცი.

ევრიპიდე – კორინთელებს სურთ ჩამორეცხონ ბავშვთამკვლელის სახელი თავიანთ ქალაქს.

კოლხი – კორინთელებმა გიყიდეს? (მრისხანებით) კარგი ოსტატი ხელს არ გაიმრუდებს ევრიპიდე. ისტორია არ გაპატიებს ამ სიყალბეს. ნუღარც მედეას გვემულ სულს აწუხებ, მე არ მოგცემ უფლებას თავს მოახვიო მედეას შვილთამკვლელობის უმძიმესი ტვირთი (პაუზა). შენსას არ იშლი? კარგი! მე თვითონ ავიღებ ხელში კალამს და ჭეშმარიტ ისტორიას მოვუთხრობ ხალხს „მზის შვილიშვილ“ მედეაზე.

ქამთააღმწერელი – კოლხმა თავისი სიტყვა მართლაც შეასრულა. დასავლეთში ყველაზე დიდი მბრძანებელია კრეტის მეფე, ზევსის ძე მინოსი, აღმოსავლეთში – კოლხეთის მეფე, ჰელიოსის ძე აიეტი – ასე იწყება მისი მოთხრობა. ამ ორ ხელმწიფეს თანაბარი უფ-

ლებებით უჭირავს მსოფლიო წონასწორობის სასწორი. არიან მეგობრებიც და მოყვრებიც (მინოსს ცოლად ჰყავს აიეტის და პასიფაე).

ოქროს ქვეყნად იწოდება კოლხეთი, ვინაიდან კავკასიონის მთებიდან დაქანებულ მდინარეებს მოაქვთ ოქროს ქვიშა. კოლხები მდინარეთა ჩქერებს ცხვრის ტყავებს ჩაუგებენ და როცა ამოიღებენ ოქროს ქვიშა ამოჰყვება ოქროს საწმისებს.

ოქროს ქვეყანაა კოლხეთი და მზე ჰელიოსის ნაშიერებიც ოქროს სხივებს ისვრიან თვალთაგან.

კოლხეთის მეფე, ბუმბერაზი აიეტი, მზის შვილი, ბუნების მომნუსხველ ქალღმერთის კირკეს ძმა და ქვეყნიერების უდიდესი ჯადოქრის მედეას მამა, ოკეანიდან ამომავალი მზის გულივით მოციმციმე გმირი მეფე, რვალის პერანგს იცვამს, ოქროს მუზარადს იხურავს, მრავალკეცი ხარის ტყავის ფარს ხელთ იღებს, მსუბუქად ატრიალებს შუბს, რომლის ტარებას მხოლოდ ჰერაკლე თუ შეძლებს. ოქროს ეტლით დაატარებს აფსირტე, ქარივით სწრაფი ცხენები შეუბამს ეტლში. ოქროს საწმისის ციმციმით გადის ხოდაბუნებზე, თესავს დრაკონის კბილებს, ერთ დღეში შვიდი დღის სახნავს ხნავს და ხოცავს მიწისშობილ ბუმბერაზებს.

ქამთააღმწერელი – აი, სწორედ ამ აიეტთან ინახებოდა ოქროს საწმისი, ქვეყნის სიმდიდრისა და ძლიერების სიმბოლო, რომლის წასაღებადაც საბერძნეთიდან ჩამოვიდნენ „არგონავტები“ თესალიელი უფლისწულის იაზონის მეთაურობით.

ძნელი და ხიფათიანი მოგზაურობის შემდეგ არგონავტებმა მიაღწიეს კოლხეთის ნაპირს. არგო მდინარე ფაზისში შეაცურეს და მიადგნენ აიეტის დიდებულ სასახლეს. გაოცებულნი დარჩნენ ბერძნები ამ დიდებული, ქვის მაღალი სვეტებითა და სპილენძის ქონგურებით დამშვენებული სასახლის ხილვით, რომლის ეზოშიც დაუშრეტელი შადრევანი მოჰქუხდა, საიდანაც წყალთან ერთად რძე და სურნელოვანი ზეთი მოედინებოდა.

ყველაზე დიდი საოცრება, რაც ბერძნებმა კოლხეთის სატახტოში იხილეს, იყო აიეტის უმრწემესი ასული მედეა, უმშვენიერესი ქალწული, ბრძენი აქიმ-მკურნალი, გულთმისანი და წინასწარმეტყველი.

იაზონი ღრმად ჩააფიქრა ყოველივე ხილულმა, მიხვდა რომ ამ ხალხთან ძალით ვერას გახდებოდა.

იაზონი – (ხმამაღლა ფიქრობს) ძნელი იქნება საწმისის მოპოვება, ნებით არ მომცემენ, ხოლო ძალის გამოყენებით ვერაფერს მივაღწევ, დავმარცხდები. როგორ მოვიქცე? დახმარებისა და რჩევისათვის ჩემს მფარველ ათენასა და ჰერას უნდა მივმართო და ისე ვიმოქმედო.

ქამთააღმწერელი – მართლაც, მფარველ ღვთაებებს მიმართა იაზონმა რჩევისათვის. – „აფროდიტეს ევედრე გადმოგხედოს მოწყალე თვალით“ – ურჩია ჰერამ. აფროდიტეს დახმარებით იაზონი დანახვისთანავე შეუყვარდა აიეტის უმცროს ქალიშვილს, გრძნეულ მედეას.

მედეა – ბატონო მამა, საიდან მოვიდნენ და რა სურთ უცხოტომელებს?

აიეტი – საბერძნეთიდან, მოსვლის მიზეზი ჯერ არ უთქვამთ, მაგრამ გულის ხმა მკარნახობს, რომ ჩვენი ცოდნისა და სიმდიდრის მიტაცება უნდათ, თუმცა თქმა ვერ გაუბედავთ, დაველოდოთ, დიდი იმედია სტუმართმასპინძლობის მტკიცე წესს არ დაარღვევენ და კეთილად გავისტუმრებთ.

ქამთააღმწერელი – აიეტმა ტკბილად მიიღო სტუმრები, ჯერ საგანგებო ნადიმზე უმასპინძლა, მერე ამბავი გამოჰკითხა (ცეკვა ქართული, ცეკვა ლაზური).

აიეტი – უცხოტომელო, გვამცნე შენი კოლხეთს მოსვლის მიზეზი.

ქამთააღმწერელი – იაზონმა ძლივს შეჰბედა მისი კოლხეთს მოსვლის ნამდვილი მიზეზის თქმა.

იაზონი – დიდებულო მეფეო, მწადს ოქროს საწმისის წაღება, მე იოლკოსის მეფის შვი-

ლი ვარ, ბიძაჩემმა პელიასმა სამეფო ტახტი წამართვა, ერთადერთი რაც ტახტის დაბრუნებაში დამეხმარება, ოქროს საწმისია, დამითმე იგი.

ქამთააღმწერელი – თავდაპირველად აიეტი ძალზე განარისხა იაზონის თხოვნამ, მაგრამ შემდეგ ხერხს მიმართა.

აიეტი – უცხოტომელო, ოქროს საწმისის ტარება ღირსეულთა ხვედრია, გამოცდას მოგიწყობ, მაშინ გამოჩნდება ხარ თუ არა საწმისის ღირსი, დავალებას თუ შეასრულებ, საწმისი შენი იქნება, ამას მე აღგითქვამ, აიეტი! ახლა კი ყური დამიგდე, ჩემი სპილენძის ჩლიქებიანი ხარები უღელში უნდა შეაბა, ფოლადის სახნისიანი გუთნით შვიდდღიური მიწა ერთ დღეში უნდა მოხნა, ურჩხულის კბილები დათესო და იქედან აღმოცენებული სპილენძის ჯავშნიანი გოლიათები დახოცო.

ქამთააღმწერელი – იაზონს ასეთი დავალების შესრულება არ შეეძლო, მაგრამ ანგარიშმიუცემლად მაინც დასთანხმდა.

(იაზონი მეგობრებთან ერთად სამეფო ბაღში განერიდება კოლხთა მახვილ თვალს).

ტელამონი – ეს რა თავსატეხი გაგვიჩინა აიეტმა.

ავგია – გამიგია აიეტი მძლეთამძლე და ბრძენი მეფეაო, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, დიდი განჭვრეტის უნარი ჰქონია, ერთი წვეთი სისხლიც არ დაუღვრია, ისე გვამცნო თქვენ აქედან ოქროს საწმისს ვერ წაიღებთ და მშვიდობით განგვერიდეთო.

ტელამონი – მერედა ჩვენ აქ რისთვის ვართ? მადლობა ზევსს, ძალა გვერჩის და მეგობრებიც მხარში ამოგვიდგებიან, რჩეული გმირები წამოვედით საბერძნეთიდან, რასაც ნებით არ გვაძლევენ, ძალით წავიღოთ (დამცინავად). ჰოდა კოლხების სისხლიც გამოვუშვათ ცოტათი.

ავგია – სისხლი გიდუღს ტელამონ, ფრთხილად იყავი, შენი სისხლი არ გამოუშვან, გონებას მოუხმე, ამათთან ძალით ვერაფერს გახდები, ერთი არასწორი ნაბიჯი და მშვიდობით საბერძნეთო, თუ ორგულობა შეგვნიშნეს მდიდრული პალატების ნაცვლად მონების დილეგში გვიკრავენ თავს მყისიერად.

ტელამონი – შენ მგონი რაღაც გეგმა გაქვს, ასეა?

ავგია – ჯერ არა, თუმცა გზა ვიპოვე, რომელსაც უნდა მივდიოთ და თუ გაგვიმართლებს, ფონსაც გავალთ.

ტელამონი – რა გზა?

ავგია – ცბიერების! (მცირე პაუზის შემდეგ) ალალი და გულმართალი ხალხია, მიმნდობი, ვაჯკაცურად მოგვიდგნენ და ჩვენგანაც ამასვე ელიან, თუ მართლა გმირები ხართ, აი თქვენ საგმირო საქმე – გვაჩვენეთ, რა შეგიძლიათო, ჭკუით გვაჯობეს, ჩვენ კი ცბიერებით ვაჯობებთ (იაზონი ყურს უგდებდა მეგობრების საუბარს).

ტელამონი – გაიგე იაზონ, რას იტყვი?

იაზონი – არგოზე დაბრუნდით, იქ დამელოდეთ, მარტო დამტოვეთ, დაფიქრება მჭირდება.

ავგია – ეს ჩვენი ერთადერთი გზაა, თუ სხვა გამოსავალს ხედავ, გვითხარი.

იაზონი – დამტოვეთ!

(იაზონი ხელით ანიშნებს, გამეცალეთო, ტელამონი და ავგია უკმაყოფილო სახეებით მიდიან).

ტელამონი – უმადური, ჩვენ დახმარებას ვცდილობთ, ის კი გვავდებს.

იაზონი – დავიღუპე, წასულია ჩემი საქმე, თუ დავალება ვერ შევასრულე, საწმისს ვეღარასოდეს ვეღირსები, თუმცა ამას ვინ ამბობს, თავიც არ დავკარგო.

(დაფიქრებული ხეს მიეყრდნობა).

ქამთააღმწერელი – იაზონს დამხმარედ აიეტის ასული, გრძნეული მედეა გამოუჩნდა.

მედეა – რად ჩაფიქრებულხარ, უცხოტომელო?

იაზონი – მშვენიერო ასულო, მრისხანე აიეტის დავალებაზე ვფიქრობ, ვაი რომ ძალა არ შემწევს მის შესასრულებლად.

მედეა – შეძლებ, მე დაგეხმარები.

იაზონი – შენს ყურადღებას ვაფასებ მედეა (ყოყმანით), მაგრამ ნაზი ასული როგორ შეძლებ ჩემს დახმარებას?

მედეა – მერწმუნე. ეს მალამო გამომართვი (გადასცემს) მე თვითონ დავამზადე პრომეთეს სისხლით გაპოხილ მიწაზე აღმოცენებული ყვავილებისაგან. სხეულზე წაისვი, უძლეველი ძალა შეგიდგება ტანში და ყველას სძლევ.

ქამთააღმწერელი – მართლაც, აიეტისა და კოლხი დიდებულების თვალწინ იაზონმა ბრწყინვალედ შეასრულა დავალება, თუმცა გრძნეულებას ნაზიარევი აიეტი მიხვდა, რომ აქ მედეას ხელი ერია და იაზონის დატყვევება განიზრახა.

მედეა – იაზონ, მამა ბატონი მიხვდა, რომ მე დაგეხმარე, საშინლად განრისხდა, შენი დატყვევება ბრძანა. დრო არ ითმენს, ჩქარა უნდა იმოქმედო, აი ეს ჯადო წამალი აიღე, საწმისის მცველ გველეშაპს შეაფრქვიე და დაეძინება, წაიღე ოქროს საწმისი, წადი შენს სამშობლოში და იყავი ბედნიერი.

იაზონი – ერთად წავიდეთ, მედეა, ჩემი ბედნიერება ახლა შენს ხელშია, მიატოვე შენი მამა, სახლი, სამშობლო, მე სამარადისოდ შენთან ვიქნები და გიერთგულებ სამარის კარამდე.

(იაზონი და მედეა ხომალდისაკენ გარბიან).

ქამთააღმწერელი – აიეტმა გაქცეულებს მდევრები დაადევნა უფლისწულ აფსირტეს წინამძღოლობით. იაზონმა მედეას დახმარებით აფსირტე გემზე მიიტყუა.

აფსირტე – იაზონ, სტუმრად მიგიღეთ, შეგიტკბეთ, შენ კი თურმე ვერაგობა გქონია დაფარული გულში. კოლხეთის ორი საუნჯისა და განძის ერთდროულად გატაცება განგიზრახავს.

იაზონი – ამიერიდან მედეა და ოქროს საწმისი ჩემია, განზე გადექ აფსირტე, მიმყავს მედეა და მიმაქვს საწმისი, შენ ვეღარაფერს შეცვლი.

აფსირტე – მედეა კოლხეთის შვილია, მისი გონება დაბნელებულია, ისე იგი არასგზით არ უღალატებდა თავის სათაყვანებელ მამასა და სამშობლოს. (მედეას მიმართავს) დაო!!! დაბრუნდი!!! გაიგონე ჩემი ხმა, ჩემთან ერთად სამშობლო გეძახის, ყური დაუგდე მას.

მედეა – გამშორდი აფსირტე, მე ჩემს გულისხმას მივყვები.

აფსირტე – მცდარია ეგ გზა და მოლიპული ფრიად, ეს კაცი თავის სასარგებლოდ იყენებს შენს ნიჭსა და ძალას, ნუ ენდობი მის დაპირებას, რადგან ბოლოს თვითონვე ინანებ.

მედეა – (ჩურჩულით) გამშორდი (სცენიდან გადის).

აფსირტე – დაო, მედეა.

იაზონი – ხომ გაიგონე, გაშორდი მას და ამ წუთისოფელსაც.

აფსირტე – ფლიდო, მოპარვით მაჯობე, ვაგლახ მე... (სცენაზე უსულოდ დავარდება, იაზონი ბერძნებს ანიშნებს მოახლოებას, აფსირტეს გვამს მხრებში ჩაავლებენ ხელს და სცენიდან გაიტანენ).

ქამთააღმწერელი – იაზონმა ზურგიდან მიპარვით მახვილი აძგერა აფსირტეს და გემიდან გადააგდო.

არგონავტებმა სვლა განაგრძეს, მედეას დახმარებით გზად შემხვედრ ყველა ხიფათს დააღწიეს თავი და მშვიდობით მიაღწიეს ქალაქ იოლკოსს, სადაც იაზონს მეფობა უნდა მიეღო, მაგრამ ბიძამისმა პელიასმა მას ტახტი არ დაუთმო, იაზონი მედეას შეუჩნდა რაიმე ეღონა პელიასის თავიდან მოსაშორებლად, მედეამ მიმართა თავის გრძნეულებას და პელიასი თავისივე ქალიშვილებს დააჩეხვინა. ყველა მიხვდა, რომ მოხუცი მეფის მოკვლა იაზონის ჩაგონებით მოხდა. იაზონს იოლკოსში აღარ დაედგომებოდა, იგი ოჯახიანად კორინთოში გადაიხვეწა.

ქამთააღმწერელი – გავიდა შვიდი წელი, იაზონსა და მედეას უკვე ორი ვაჟი ჰყავდათ: მერმეროსი და ფერესი, ბედნიერი ცოლ-ქმარი თითქოს დამშვიდდა, წარსული ჭმუნვა თითქოს გაქარწყლებულიყო, მაგრამ ბედისწერა

თურმე დიდ უბედურებას უმზადებდა უბედობაში აჩემებულ ქალს.

(მედეა ზის, ფანჯრიდან ჰორიზონტს გასცქერის და მღერის: ლალე, ლალე, დივლიდალა ლალე, ჩემო ლამაზო სამშობლო, შენ კი გენაცვალე.

(შემორბიან მედეას შვილები).

მერმეროსი – რას უმღერი დედა?

მედეა – ჩემს სამშობლოს, კოლხეთს.

ფერესი – ჩვენც გვინდა კოლხეთს ვუმღეროთ, ჩვენც გვასწავლე სიმღერა დედა.

(ერთად მღერიან). დედა როდის წაგვიყვან კოლხეთში? ბაბუა აიეტის გაცნობა გვინდა.

მერმეროსი – როგორია ჩვენი ბაბუა, ჩვენთან რატომ არ მოდის, ან ჩვენ რატომ არ მივდივართ მასთან? არ ვუყვარვართ ბაბუა აიეტს დედა?

მედეა – რა თქმა უნდა უყვარხართ. სულ მალე მასთან წავალთ, გაიცნობთ ბაბუას.

ფერესი – დედა მე ვგავარ ბაბუს?

მერმეროსი – შენ კი არა, მე უფრო ვგავარ, არა დედა?

მედეა – ჩემო საყვარელო შვილებო, ჩემო პატარა კოლხებო (გულში ჩაიკრავს ორივეს, ამ დროს შემოდის იაზონი).

ფერესი, მერმეროსი – მამა, მამა მოვიდა (ყვირილით გაიქცევიან და მამას მიეგებებიან, წააქცევენ და იქვე ხალიჩაზე ეთამაშებიან, მედეა სიყვარულით შესცქერის ქმარ-შვილს).

მედეა – ბავშვებო, მეცადინეობის დროა, გაიქეცით მასწავლებელს ნუ ალოდინებთ (ბავშვები გავლენ). იაზონ, რომ იცოდე თქვენი შემყურე რა ბედნიერი ვარ. კარგი შვილები გვეზრდება, ზრდილი, უფროსის პატივისმცემელი... იაზონ, არ მისმენ?

იაზონი – მაპატიე, ჩაფიქრებული ვიყავი.

მედეა – რა მოგდის? მითხარი რა გაწუხებს? გამიზიარე შენი დარდი, შენ იცი, რომ მე შემიძლია ნაღველისაგან განგკურნო, ოღონდაც მითხარი რა გემართება?

იაზონი – არაფერია, დაღლილი ვარ, შენის ნებართვით მოსასვენებლად წავალ.

ქამთააღმწერელი – მედეა ამჩნევდა, რომ იაზონს მოუსვენრობა დასჩემდა, სიტყვაძვირობდა, შინ გული არ უდგებოდა. იგი ამაოდ ცდილობდა ქმრის გულის კარი გაეღო და შიგ ახალი დარდის მიზეზი ამოეკითხა. რა იცოდა კოლხმა ქალმა, რომ ამ ახალ სანაღვლოს ვერა ძალით ვერ განკურნავდა. პატივმოყვარე იაზონისათვის ერთგული ცოლი და ბედნიერი ოჯახი არ იყო საკმარისი, მეფობა ეწადა. კორინთოს მეფე კრეონს ჰყავდა ლამაზი ასული, სახელად კრეუსა. იაზონს მისი ცოლად მოყვანა გადაეწყვიტა, ამ გზით აპირებდა იგი კრეონის სიკვდილის შემდგომ კორინთოს მბრძანებელი გამხდარიყო.

(კორინთოს მეფის სასახლე. კრეუსა სეფექალებით არის გარშემორტყმული, ერთ-ერთი მათგანი წიგნს კითხულობს, დანარჩენები ყურადრებით უსმენენ. შემოდის მსახური და კრეუსას იაზონის მოსვლას მოახსენებს, შემოდის იაზონი. კრეუსა სეფექალებს წასვლას ანიშნებს, ისინიც თავის დაკვრით გავლენ).

იაზონი – ბედნიერი ვარ, რადგან შენი ჭვრეტის სიხარული მხვდა წილად, ოჰ, კრეუსა, მას შემდეგ რაც პირველად გიხილე, მოსვენება დავკარგე, შენა ხარ ჩემი ღვთაება და ფიქრთა მპყრობელი (მუხლს მოიყრის კრეუსას წინაშე და ცდილობს მის ხელს მიწვდეს, კრეუსას ხელზე ეამბორება). შენს ხელშია ჩემი სიცოცხლე და ველოდები შენს განაჩენს, შენი პასუხი ან სიცოცხლეს დამიბრუნებს, ან სიკვდილს სანატრელს გამიხდის.

კრეუსა – ლამაზი სიტყვებია.

იაზონი – ეს მხოლოდ წარმოთქმული სიტყვები როდია, რომელსაც ნიავი წამოქროლვისთანავე გაფანტავს, ჩემს გულში რომ შეგეძლოს ჩახედვა, იქაც იგივეს ამოიკითხავდი.

კრეუსა – (მკაცრად) ჩემთან ასეთ საუბარს როგორ ბედავ იაზონ? შენ ხომ მეუღლე გყავს.

იაზონი – ოჰ, მიზეზი მხოლოდ ეს არის? თავისუფალი რომ ვიყო მაშინ?..

კრეუსა – (ყოყმანით) მაშინ მოგისმენდი.

იაზონი – მხოლოდ მომისმენდი?

კრეუსა – საკმარისი არ არის? (მცირე პაუზის შემდეგ, კეკლუცად) შესაძლოა დავფიქრებულიყავი კიდეც შენს წინადადებაზე.

იასონი – (სიხარულით) შენ მე იმედი მომეცი და ძალა შემმატე ძვირფასო (მოწიწებით ხელზე ეამბორება).

კრეუსა – (თავმომწონედ) დღეისათვის ეს იკმარე, ახლა კი დამტოვე, მამა მელოდება.

იასონი – შეხვედრამდე ჩემო სატრფოვ (მიდის).

კრეუსა – (კარებთან მიირბენს და მალულად თვალს გააყოლებს იაზონს) ოჰ, რა ძალუმად მიძგერს გული, რაო რა თქვა? (იაზონის სიტყვებს იხსენებს და ხმამაღლა წარმოსთქვამს) შენს ხელშია ჩემი სიცოცხლეო... ან სიცოცხლეს დამიბრუნებ, ან სანატრელს გამიხდიო სიკვდილს (გახარებული ხელი-ხელს შემოჰკრავს და ადგილზე დატრიალდება. შემოდის კორინთოს მეფე კრეონი, კრეუსა მამას მიეგებება, კრეონი შვილს მიიზიდავს და შუბლზე აკოცებს).

კრეონი – ჩემო თვალისჩინო, ჩიტივით რატომ ფრთხიალებ?

კრეუსა – მამა, ბედნიერი ვარ, უზომოდ ბედნიერი.

კრეონი – ასე რამ გააბედნიერა ჩემი გოგონა?

კრეუსა – (დარცხვენით) სიყვარულმა.

კრეონი – (კრეონი შვილს ხელით ანიშნებს ახლოს მისვლას, კრეუსა მამას ფერხთით დაუჯდება, კრეონი ნიკაპს აუწევს შვილს და დაკვირვებით აკვირდება სახეზე). იმედია, ის ვინც შენი გული სიყვარულით ააძგერა, ღირსია შენი.

კრეუსა – ოჰ, მამა, დიაღ, ღირსია.

კრეონი – ვინ არის?

კრეუსა – (აღტაცებით) უბადლო მეომარი, გმირი, ოქროს საწმისის მომპოვებელი, იაზონია მისი სახელი.

კრეონი – (დაფიქრდა, აშკარად ეტყობა რომ ამ ამბავს აღტაცებით არ შეხვდა). კრეუსა, შვილო, იაზონმა თავად გამიმხილა ამ სიყვარულის ამბავი და შემომფიცა, რომ გაგაბედნიერებს, მაგრამ მას ხომ ცოლი ჰყავს, ამაზე დაფიქრდი, არ მინდა დაიტანჯო, ნუ აჩქარდები.

კრეუსა – ოჰ, ის კოლხი ბარბაროსი, წყეულიმც იყოს. მაგრამ მამა მას რა შეუძლია, იგი არ წარმოადგენს დაბრკოლებას ჩემთვის, ერთი შენი სიტყვა და სამუდამოდ დასტოვებს კორინთოს საზღვრებს.

კრეონი – ის კოლხი ბარბაროსი, როგორც შენ უწოდებ კოლხეთის მეფის მძვინვარე აიეტის შვილია, იმასაც ამბობენ გრძნეულიაო.

კრეუსა – გრძნეული? (გადაიკისკისებს) საკუთარი ქმარი გაექცა, რა უნდა მავნოს. ოჰ, მამა, გთხოვ დასთანხმდი ჩემი და იაზონის კავშირს.

კრეონი – (დაფიქრებული), კარგი (ამოიხვნეშებს). იყოს ისე როგორც შენ გსურს, ბედისწერას ვერავინ გაექცევა.

ქამთააღმწერელი – კრეონიც დათანხმდა ამ ქორწინებაზე. ეს ამბავი უბედურ მედეას კრეონის ერთმა მსახურმა შეატყობინა, თან მეფის ბრძანებაც მიიღო, დაუყოვნებლივ გადახვეწილიყო კორინთოდან.

მედეა – (ამ ამბის გაგება ძალას წაართმევს, ერთ ადგილას გაირინდება და მწუხარებისაგან თავზარდაცემული ხმას ვერ იღებს, ჩუმ გოდებას დაიწყებს და შემდეგ ნელ-ნელა სიტყვებიც გამოიკვეთება)

„ჰოი ბედშავო მედეა, უცხო მხარეში ქმრისაგან მიტოვებულო, იაზონ, თურმე მეფობა გწადს (დაცინვით), მეფურ საზრუნავთა შორის ჩვენთვის ვეღარ იცლი? (მწუხარებით) ოდესღაც კი შველას მევედრებოდი კოლხი მეფის ასულს, ჯობდა კი იმ დროს მომკვდარიყო შენი მედეა, მას შემდეგ ჩემი ცხოვრება მხოლოდ წამებაა, რისთვის შევიყვარე ზომაზე მეტად უცხო კაცი, რისთვის მივეცი მალამო, მაშინ მასთან ერთად დაიღუპებოდა ამდენი ვერაგობა, რისთვის შემოიჭრა გადამთიელი ჩემს ბედნიერ ცხოვრებაში, რისთვის (ქვითინებს). მაპატიე მამა, სამშობლო, ჩემი სახლი, მშობელი

მამა ვანაცვალე გადამთიელს, მისთვის გავწირე ყველაფერი და შედეგსაც ვიმკი, მშობლიური სიყვარული ვერ დავაფასე, მამა ბატონო მაპატიე, ო, ახლა რომ შეგეძლოს შენი შვილის დანახვა, რომ იცოდე როგორ უზომოდ ვნანობ ჩადენილს, მაგრამ რაღა დროს, გვიანია, ახია ჩემზე. (განცდების ნაკადს მოსდევს რისხვა და მუქარა) შური უნდა ვიძიო, მე ვერ დამამცირებ იაზონ, ამის უფლებას არ მოგცემ!!!

„რისხვას ჩემს გულში რომ მწიფდება გზა უნდა დიდი,
გამიძეხ ბრაზო, სინანული მომიხდეს თუნდაც,
ვნანობ, რომ ქმარი მოღალატე ვიხსენი მაშინ“.

ქამთააღმწერელი – მედეა იაზონს მშვიდად და ტკბილად შეხვდა, მან ქმარი დაარწმუნა, რომ შეურიგდა თავის მწარე ხვედრს, მერე ერთი ძვირფასი წამოსასხამი და ოქროს გვირგვინი ძვირფასი ქვებით მოჭედილ სკივრში ჩაალაგა და იაზონს გადასცა, შენს საცოლეს მიართვიო ძღვნად (მედეა სკივრს გადასცემს იაზონს და სცენიდან გადის).

იაზონი – (ხმამაღა ფიქრობს) ნამდვილად გამაოცა მედეამ, თუმცა სხვა გზა არ ჰქონდა, მიხვდა რომ მტკიცეა ჩემი გადაწყვეტილება (ბავშვები შემოხვდებიან სასახლისაკენ მიმავალ იაზონს).

ბავშვები – მამა, მამა.

იაზონი – ჩემო ვაჟკაცებო.

მერმეროსი – რა ლამაზი სკივრია მამა, ვისია?

იაზონი – კრეუსას საჩუქარია, სასახლეში მივდივარ, გინდათ თან წაგიყვანოთ?

ფერესი – (აღტაცებულები) გვინდა, რა კარგია. მაგრამ დედა გველოდება სახლში უნდა წავიდეთ, თორემ დედას ეწყინება.

იაზონი – არ ეწყინება, იცით რა, ეს საჩუქრები კრეუსას თქვენ გადაეცით, ძალიან გაუხარდება.

(ხმამაღლა ფიქრობს) ასე სჯობია, კრეუსა უფრო ლმობიერად მიიღებს გერებს (ბავშვები სასახლისაკენ მიჰყავს და სცენიდან გავლენ).

ქამთააღმწერელი – კრეუსამ როგორც კი სადედოფლო წამოსასხამი და გვირგვინი მოირგო, მაშინვე ცეცხლი მოედო. ასევე დაემართა მეფე კრეონსაც, როცა იგი ცეცხლმოდებული შვილის სხეულს შეეხო, ორივენი საშინელი წამებით დაიხოცენ. როგორც კი საშინელი აგონია დასრულდა, რომელიღაც კორინთელმა იყვირა:

კორინთელი – კორინთელებო, ვინ მოუტანა მეფის ასულს ეს მოწამლული საჩუქრები? გრძნეული კოლხი ბარბაროსის შვილებმა, აი ვინ!

იაზონი – (ბავშვების კორინთელთაგან გარიდებას ცდილობს) გაიქეცით ბავშვებო.

(ბავშვებს დადევნებულ კორინთელებს გზას გადაუღობავს, წინააღმდეგობის გაწევისას კეფაში სატევრის ტარს ჩაარტყამენ და გონებადაკარგული იქვე ჩაიკეცება).

ქამთააღმწერელი – მედეას ბავშვები ელდაცემულნი მაშინვე გარეთ გაცვივდნენ და სირბილისაგან გულამოვარდნილებმა დადევნებულ კორინთელებს ტაძარში შეასწრეს და საკურთხეველს ჩაეხუტნენ. მათ იცოდნენ, რომ ტაძარში არამცთუ კაცთაკვლა, არამედ უბრალოდ ხელის შეხებაც კი დიდი მკრეხელობა იყო. მაგრამ აი, შეცვივდნენ კორინთელები ტაძარში, მახვილები აღმართეს და საკურთხეველს დააკლეს კოლხი ქალის შვილები...

(კორინთელები შეძრწუნებულები დაიშლებიან ყელგამოჭრილი ბავშვების დანახვაზე, შემოდის დაჭრილი იაზონი და საკურთხეველთან მკვდარ შვილებთან გახევდება, შემორბის მედეა, შვილების დანახვისას ერთი მწარედ დაიკივლებს და იქვე ჩაიკეცება).

მედეა – ვაი თქვენს დედას შვილებო (ზმუილით გოდებს, და მუხლზე ჩოქვით მიუახლოვდება შვილების სხეულს, შუაში ჩაჯდება და მკერდზე მიიხუტებს ორივეს). ჩემო იმედო, ჩემო პატარებო, თქვენ უნდა დაგეტირათ უბედური დედათქვენი (დაჩეხილ სახეზე ეფერება ხან ერთს ხან მეორეს). რა მარჯვენამ გაგიმეტათ, გტკივათ? (მხრებზე ხელს მოხვევს და გამწარებით ტირის). დედის ნანა დაგიამებთ ტკივილებს (მღერის):

„იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო,
დედის მკერდში მიგიგნიათ თქვენ ტკბილი ბინაო,
ტკივილები დაამდება, ნუ გეშინიათო,
უბედური დედათქვენი გულში ჩაგიკრავთო...“

იაზონი – (ხმაჩაწყვეთილი) მედეა, რას ჩადი? (მიუახლოვდება და ცდილობს წამოაყენოს).

მედეა – (იაზონს მოიშორებს და ნაწყვეტ-ნაწყვეტ მიუგებს) გამშორდი, მაცალე ჩემს პატარებს სულების სამყაროში გადასვლა გავუადვილო, დედის ნანა გზას გაუნათებს და ტკივილებს შეუმსუბუქებს (ბავშვების თავთან თვითონაც თავს ჩარგავს).

(სცენის სიღრმეში კიბეებიდან (ზეციდან) ეშვება ორი ანგელოზი, რომლებიც „ლაზურ ნანას“ მღერიან, ბავშვებთან მივლენ და მოეფერებიან (ჩააცმევენ თეთრი ფერის გრძელ სამოსს). ბავშვების სულები ცოცხლდებიან, წამოდგებიან, ჯერ ერთმანეთს მოეხვევიან, მერე დედას დაინახავენ და მას ჩაეხუტებიან, მაგრამ მედეა ამას ვერ გრძნობს, რადგან ეს ბავშვების სულებია. ანგელოზები ფრთხილად მოკიდებენ ხელს მერმეროსსა და ფერესს და სცენიდან გაჰყავთ. სცენაზე რჩებიან ტკივილისა და მწუხარებისაგან გათანგული მედეა და იაზონი, სცენა თანდათან ბნელდება, მკრთალი შუქი ანათებს მხოლოდ მედეას და ბოლოს ისიც ქრება) (მიდის ფონად ლაზური „ნანა“ და ჟამთააღმწერლის ტექსტი).

ჟამთააღმწერელი – ამ ამბიდან მცირე დრომ განვლო, კორინთელებს ბავშვთმკვლელობის სისხლიანი სახელი დარჩათ, ხოლო მედეას გვემული და გაწამებული სიცოცხლე. იგი ერთ ხანს ათენში ცხოვრობდა მეფე ეგეოსის სასახლის კარზე, მერე ადგა და სულ წავიდა საბერძნეთიდან. საით? კოლხეშთი! არავინ იცის როგორ დაბრუნდა მარტოსული და გაწამებული მისგანვე ნაღალატევ სამშობლოში, როგორც კი მშობლიურ მიწაზე დაადგა ფეხი, კვლავ აღორძინებულა მისი გრძნეული სული, არც ის არის ცნობილი, რა ძალამ დასცა აიეტის ხელმწიფება, მაგრამ ამას კი დარწმუნებით ამტკიცებენ, რომ მედეამ კვლავ აღადგინა კოლხეთის ტახტზე მშობელი მამის მბრძანებლობა. არ ვიცით როგორ დაასრულა თავისი წამებული სიცოცხლე „მზის შვილიშვილმა“ მედეამ, ჩვენთვის ცნობილმა პირველმა ქართველმა ქალმა, ხოლო მისი დიადი მამის კოლხი აიეტის აღსასრულს გვამცნობს მის საფლავზე ამოტვიფრული ეპიტაფია:

„აიეტი, ოქრომრავალ კოლხთა მეუფე,
აქ გააპატიოსნა ღმერთთა ყოვლისდამთრგუნველმა ბედისწერამ“.

გამოყენებული ლიტერატურა

აკაკი გელოვანი „მითოლოგიური ლექსიკონი“.
ლევან სანიკიძე „უქარქაშო ხმლები“.



ლეილა ხიწოროგიძე

სიყვარული დაფრინავს

(ნამდვილი ზღაპარი)

ვუძღვნი უმშვენიერეს პოეტ ქალბატონს,
ბელა ქებურიას.

ერთ ზღვისპირა ქალაქ თეთრობში, ცისფერაივნიან თეთრ სახლში, ქალაქში კარგად ცნობილი ერთი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. რაკი ჩვენი ზღაპრის გმირები ისინი არიან, მოდით და სახელებით მოვიხსენიოთ. ცოლს ლოტა ერქვა, ქმარს – ლეონი, გვარად თეთრაძეები იყვნენ.

იტყვით, რა ჰქონდა სანატრელი ამ ულამაზეს, სიმდიდრით და სიყვარულით აღსავსე ოჯახსო. მაგრამ სანატრელს და სადარდებელს რა გამოლევს ამ წუთისოფელში. საქმე იმაშია, რომ ლოტა და ლეონი შვილის ნატრული იყვნენ.

ხუთი წლის წინ, მათ გოგონა შეეძინათ – ულამაზესი, ცისფერთვალება ლაია.

მზეთუნახავი გეზრდებაო, ეუბნებოდნენ ბედნიერ დედას გოგონას სილამაზით აღფრთოვანებული მნახველები.

სილამაზესთან ერთად, ლაია მეტად ჭკვიანი და საზრიანი გოგონა იყო. სამი თვისამ გარკვევით წარმოთქვა „დედა“, შვიდი თვისამ სიარული დაიწყო, ცხრა თვისა – ალაპარაკდა, ერთი წლისა საყვარელ თოჯინას „ნანინას“ უმღეროდა.

ერთი შეხედვისთანავე გაფიქრებინებდა, რომ ამ მართლაც მზეთუნახავში, ზებუნებრივი არსება სულდგმულობდა.

სამი წლისა იყო ლაია, როცა მშობლებს განუცხადა: „მე თქვენთან დროებით ვარ, აქედან მალე წავალ, მაგრამ ამის გამო არ უნდა იდარდოთ. თუ ჩემს გამო თვალებს ცრემლებით აივსებთ და დადარდიანდებით, აღარასოდეს აღარ დავბრუნდები. თუ მშვიდად შეხვდებით ჩემს წასვლას, ისევ დაგიბრუნდებითო“.

ცოლ-ქმარი საგონებელში ჩავარდა. მათ ბოლომდე ვერც გააცნობიერეს გოგონას სიტყვები. მხოლოდ ეგ იყო, რომ შეშფოთებულმა მამამ თავისთვის ჩაილაპარაკა – სამი წლისაც არაა და ასეთი უცნაური აზრები საიდან მოსდის თავშიო.

მიდიოდნენ დღეები. ლაიას ზღვის სანაპიროზე, პლაჟზე თამაში უყვარდა. ბრტყელ ქვებს შეაგროვებდა, სათამაშო სახლებს აშენებდა და თოჯინა კიწისთან ერთად სახლობანას თამაშობდა.

ზღვის სანაპირო პლაჟი კეთილაძეების სახლთან, სულ ოცდაათიოდე მეტრით იყო დაშორებული. დედა აივნიდან უთვალთვალებდა შვილს და გული საგულეს ჰქონდა. კარგა ხანს აცლიდა თამაშს გოგონას და გადასძახებდა: – ლაია, ამოდი დედა გენაცვალოს! ფისო ვასკამ უშენოდ მოიწყინაო.

სათნო და მორჩილი გოგონასთვის დედის სიტყვები კანონი იყო – დაავლებდა თავის კიწის ხელს და სახლისაკენ გარბოდა.

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, დილის საუზმის შემდეგ, ლაიამ პლაჟზე წასვლა გადაწყვიტა. მშობლებს უარი არ უთქვამთ. მაგრამ დედამ შენიშნა, რომ გოგონა ოთახიდან თავისი განუყრელი კიწის გარეშე გავიდა. პლაჟისაკენ მიმავალს, აივნიდან შეახსენა კიდეც თავისი საყვარელი თოჯინა, მაგრამ

ლაიას თითქოს არც გაუგონიაო, ისე განაგრძო გზა და ნაბიჯსაც აუჩქარა.

დედის გული გაურკვეველმა წინათგრძნობამ მოიცვა და ლეონს უთხრა: – საჩქაროდ უკან გავყვეთ, გული ცუდს მეუბნებაო.

ზღვისკენ მიმავალი აფორიაქებული მშობლები რომ დაინახეს, მეზობლებიც დაედევნენ. მათ იცოდნენ ლაიას წინასწარმეტყველების შესახებ და ძვირფასი ადამიანების მიმართ განსაცდელში თანადგომის სურვილი გამოხატეს.

მიდის ლაია აჩქარებული ნაბიჯებით, თითქმის სირბილით პლაჟზე. აი, მიუახლოვდა ზღვას. საცაა დაეწევიან დადევნებული მშობლები და მეზობლები, მაშველებიც შეგროვდნენ, მაგრამ გვიანღაა – გოგონას ვეღარ მიუსწრეს.

საოცრება ის იყო, რომ ლაია წყლის ზედაპირზე ისე გადაადგილდებოდა, თითქოს მიწაზე აბიჯებსო ფეხს. უცნაური სანახაობა მირაჟივით გაქრა. გოგონა აღარ ჩანდა. ვერავინ მიმხვდარიყო, ზღვამ ჩაყლაპა თუ ცამ სამი წლის მზეთუნახავი ლაია.

უნაპირო სევდამ დაისადგურა თეთრაძეების ოჯახში. გაურკვევლობა ორმაგად ამძიმებდა მდგომარეობას. ცრემლებს გულში ყლაპავდნენ მშობლები. ლოტასა და ლეონს კარგად ახსოვდათ ლაიას სიტყვები – „თუ ჩემს გამო თვალებს ცრემლებით აივსებთ, აღარასოდეს დაგიბრუნდებით...“

ქალაქში იყო ერთ მითქმა-მოთქმა ამ საოცარი გოგონას გაუჩინარებასთან დაკავშირებით. რასთან არ აკავშირებდნენ ამ საოცრებას. ყველა ფანტასტიკა გადაფარა ოჯახის ამბავმა.

ერთნი ამბობდნენ – პატარა მზეთუნახავი ზღვის ღმერთმა მოიტაცა და შვილივით ზრდისო; მეორენი ამტკიცებდნენ – ღრუბლების ეტლში მჯდომარე დაუნახავთ, ზეცაში მიფრინავდაო. მესამენი მომხდარს უცხოპლანეტელთა ოინებს უკავშირებდნენ. მეოთხენი გულმოდგინებით შთააგონებდნენ ლოტას – ილოცეთ მშობლებმა, არ გადაუხვიოთ თქვენეული სიკეთის გზიდან და გოგონას ღმერთი დაგიბრუნებთო.

მშობლები ყოველდღე მიდიოდნენ ზღვის პირას. დილით ამომავალ მზეს ხვდებოდნენ, შებინდებისას ჩამავალ მზეს ატანდნენ ნატვრის სიტყვებს, იდუმალ ფიქრებს და ლოცვებს.

ერთხელ ლოტა მარტოდ წავიდა ზღვაზე, პლაჟზე მოწყენილი ჩამოჯდა და ფიქრებს მიეცა. ვერც კი იგრძნო, ნელ-ნელა როგორ დაცარიელდა იქაურობა და სანაპიროს მარტოკა შემორჩა. ფიქრებიდან ხმაურმა გამოაფხიზლა. ხმაურმა ფრთების ტყლაშუნი მოიტანა. ცხადად დაინახა ლოტამ, როგორ ამოვიდა ზღვის შუაგულიდან უზარმაზარი თეთრი ფრინველი, რომელსაც ნისკარტით რაღაც ეჭირა და ფრთების ტყლაშუნითვე ნაპირისკენ გამოემართა. იგი ელვის უმალ ლოტას წინ გაჩნდა და ჰოი, საოცრებავ, კენჭებზე ფრთხილად დაუშვა ახალშობილი. ეს უცნაური ფრინველი წამიერად გაუჩინარდა.

ვერ აეხსნა ლოტას რა ხდებოდა, ბავშვი ხელში აიყვანა. იგი თოვლის ფანტელივით თეთრი და ფაფუკი იყო. ახალშობილს თავზე შარავანდედი ადგა და ბაგეზე ანგელოსური ღიმილი დასთამაშებდა.

ლოტამ მოულოდნელად იგრძნო, რომ მკერდში რძე ჩაუდგა. ერთხანს თავი სიზმარში ეგონა. გონს მხოლოდ მაშინ მოეგო, როცა ეს „უცნაური საჩუქარი“ დედობილის რძეჩამდგარ მკერდს ისე დაეწაფა, როგორც ამ ოთხი წლის წინ ამას ლაია აკეთებდა.

* * *

ლეონი და ლოტა სიხარულით ცას ეწივნენ. მათ ოჯახში სიხარულის სხივი შემოიჭრა. პატარა გოგონა ლაიას საწოლში ჩააწვინეს და ამ უცნაური მოვლენის შემდეგ დაკარგული შვილის დაბრუნების რწმენითაც აღივსნენ.

მთელი უბანი ხარობდა თეთრაძეების ოჯახის უეცარი სიხარულით. ღვთის საჩუქარს

დედამ ლაბელა დაარქვა. რატომ ლაბელა? – იკითხა მამამ. ცოლმა აუხსნა: ჩვენ ხომ თეთრ ზღვასთან ვცხოვრობთ, ბავშვითაც თეთრმა ფრინველმა დაგასაჩუქრა. გოგონაც თოვლის ფანტელივით თეთრია. „белая“ ხომ თავისთავად თეთრს ნიშნავს. ჩვენი პირველი შვილის სახელი ლაია იყო, ახლა ორთავეს სიყვარული ამ ერთში გავამთლიანე და ლაბელა დავარქვიო.

ლაბელა ისეთივე ჭკვიანი, გონიერი და უმშვენიერესი გოგონა იყო, როგორც ლაია. შვილობილი ტყუპისცალივით ჰგავდა მზეთუნახავ ლაიას. სამი წლისა იყო გოგონა, როცა ზღაპარი შეთხზა და მშობლებს მოუყვა. უფრო საოცარი ის იყო, რომ ხუთი წლისამ ლექსების შეთხზვა დაიწყო. ლაბელა იყო მეოცნებე და ჰქონდა ძალიან ლამაზი ოცნებები, ისეთი, როგორიც საოცარი ზღაპრის გმირებს...

გოგონას განსაკუთრებით ზეცა იზიდავდა – მზე, მთვარე, ვარსკვლავები... თეთრი, ქათქათა, ფუმფულა ღრუბლებით მოქარგული. უცქეროდა ქარის ფრთებით გადაადგილებულ ამ მოფარფატე მშვენებას და სახელებსაც არქმევდა სათითაოდ: თეთრი მტრედები, ანგელოზები ფრთებით, ზღაპრის თეთრი ფერია და რა არ...

ოცნებობდა, მზის სხივები პერანგივით შემოტმასნოდა ტანზე, თეთრი ღრუბლებისგან სადედოფლო კაბა შეეკერა, სადედოფლო გვირგვინი მზის სხივებით მოექარგა.

ამასობაში ლაბელა 13 წლისაც გახდა. სკოლაში წარმატებულ მეოცენებე გოგონას მთელი ქალაქი იცნობდა თავისი ულამაზესი ლექსებით...

* * *

იმ ზაფხულს ქალაქში მაგარი სიცხეები დაიჭირა. ქალაქის მცხოვრებლები სახლებიდან გარეთ ვერ გამოდიოდნენ. გვიან ღამით, როცა მზე კარგა ხნის გადასული იყო, ისინი შეზლონგებით პლაჟს მიაშურებდნენ და იქ იძინებდნენ. სახლებში ადრე დილით, მზის ამოსვლამდე ბრუნდებოდნენ. თუ ვინმე გაბედავდა და შუადღის ხვატს ქუჩაში მოსიარულე შეხვდებოდა, მზის დარტყმით ძირს ეცემოდა და ცხრა მთას იქით, რაც იქ დატრიალდებოდა... თუმცა რატომ ცხრა მთას იქით? ცხრა მთას იქითაც ხომ ადამიანები ცხოვრობენ?

მინდა ისიც იცოდეთ, ბავშვებო, რომ იმ შორეულ დროში, როცა ჩვენი ზღაპრის გმირები ქათქათა ქალაქში, თეთრი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ, ქოლგები საერთოდ არ არსებობდა. ამიტომაც დადიოდნენ პაპანაქება სიცხეში ადამიანები უქოლგოდ. დადიოდნენ და მცხუნვარე მზის მსხვერპლნი ხდებოდნენ.

მზეს არ უნდოდა ბოროტება ჩაედინა, მაგრამ რა უნდა ექნა. დედამიწაზე სხივები ხომ უნდა გამოეგზავნა მიწის გასათბობად, იქ ჩათესილი მარცვლის გასაღვივებლად, ყვავილების სახალისოდ...

ლაბელა რაღა მეოცნებე იქნებოდა, თანამოქალაქეებზე რომ არ ეზრუნა. და რადგან პრობლემა უშუალოდ მზის მცხუნვარებასთან იყო დაკავშირებული, კაშკაშა მანათობელთან საუბარი გადაწყვიტა.

დილაადრიან ჩაუსაფრდა გოგონა ზეციდან გამოგზავნილ პირველ სხივს და ხელისგული შეაგება. სხივი ათამაშდა მზეთუნახავი ლაბელას ხელის გულზე. გოგონა გაოცებული უცქერდა მის ლიკლიკს და ეჩურჩულებოდა:

– მზის მოგზავნილო სხივო, ჩემო მზეწვია სტუმარო, დაბრუნდი დედამზესთან და სთხოვე, რომ მელაპარაკოს...

– შეგისრულებ თხოვნას, თეთრხელებიანო ცისფერთვალებავ, მე უკვე მივფრინავ! – ეს თქვა მზის სხივმა და დედასთან გაფრინდა.

მოხდა უცნაური რამ. დედამზე გულში ჩაეღვარა ლაბელას და საოცარი სითბო იგრძნო... მერე ზეციდან წკრიალა ხმებმაც ჩამოაღწიეს და ირგვლივ ყველაფერი გადაკაშკაშდა. მიხვდა გოგონა, რომ ეს დედამზე იყო. წამიც და სიტყვებიც გაარჩია:

– მშვენიერო ლაბელა, რა უნდა მთხოვო სამყაროს მანათობელს?

– დედამზეო, გემუდარები, ასე ახლოდან ნუ მიეცხუნები ადამიანებს... ისინი ამის გამო იტანჯებიან და ხანაც კვდებიან!

– მშვენიერო, ნუთუ არ გესმის, რომ ეს შეუძლებელია. ზეცამ ხომ წელიწადის ოთხი დრო მე ჩამაბარა. ჯერ ზამთარი უნდა გადავაგორო, მერე გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა... ზაფხულს უმზეოდ ხომ ვერ დავტოვებ... უჩემოდ ვინ დაამწიფებს თავთავებს, ბაღ-ბოსტანს, ვინ გაუთბოს მერცხალს ბუდე?.. ადამიანებმა თვითონ უნდა იფიქრონ იმაზე, თუ როგორ უნდა დაიცვან თავი ზაფხულის ხვატისგან. შენ ხომ მოეცნებე გოგონა ხარ, ლაბელა... იოცნებე, რათა სარჩდილობელი შექმნა. შენ ეს შეგიძლია... – თქვა ეს და მზე თავის საბრძანებელს დაუბრუნდა.

ლაბელა გაოცებულიც იყო და საოცრად ნათელი აზრებით მოცული...

გოგონამ ზეცას ახედა და დაინახა უცხო ფრინველი იაროს ჰკრავდა მოწმენდილ ცაზე. მერე უცებ ძირს დაეშვა და იქვე მდგარ ნეკერჩხალს ტოტზე შემოაჯდა. წითელ-ყვითელი ფერებით შემოსილი ნეკერჩხალი ნატვრის ხეს ჰგავდა. შუადღის ჩრდილი გაწოლილიყო იმის ტოტებქვეშ. ცხელოდა, ქუჩას ბუღი ასდიოდა. გზად მიმავალი მოხუცი ნეკერჩხლის ხესთან შედგა და მის ჩრდილქვეშ სული მოითქვა. გეგონებოდათ, ხემ ტოტები შემოახვია მოხუცს საჩრდილობლადო.

– ვიპოვე! – აღმოხდა ლაბელას. – უკვე ვიცი, როგორ უნდა გავაკეთო საჩრდილობელი. ეს იქნება ხის ტანის მსგავსი კონსტრუქცია, ფოთლების ნაცვლად მზეგაუმტარი ქსოვილით.

ბევრი იჩხირკედელა ლაბელამ, სანამ შედეგს მიაღწევდა. ჯერ ნახაზი შეადგინა და მშობლებს თავისი ჩანაფიქრის შესახებ მოუთხრო. მამამ დახმარება აღუთქვა და სიამაყითაც აღივსო.

საჩრდილობლისთვის რამდენიმე ტარი ბამბუკისა და თხილის ხისაგან დაამზადეს, რამოდენიმეც მსუბუქი ლითონისაგან. ბევრი იფიქრეს იმაზეც, თუ როგორ უნდა დაეკეცათ საჩრდილობელი.

და აი, დადგა ნანატრი დღეც – ლაბელამ თავისუფლად გახსნა და დაკეცა თავისი ამდენი ხნის ნალოლიავები სარჩდილობელი. გოგონამ იგი თეთრი ტილოს ქსოვილისგან დაამზადა. რა არ მიახატა მასზე – მზე, მთვარე, ვარსკვლავები, იაჟუჟუნები. რამდენიმე ადგილას ოქროს სირმებით იყო ამოქარგული გული და უსაყვარლეს ადამიანთა სახელები.

ლაბელამ გადაწყვიტა იმდენი საჩრდილობელი დაემზადებინა, რამდენი მცხოვრები იყო თეთრობში. გაითვალისწინა, რომ მამაკაცების საჩრდილობლები უფრო დიდი მოცულობისა და მუქი ფერისა უნდა ყოფილიყო. ქალებისა შედარებით პატარა, ნატიფი და ნაზი ფერებით მოქარგულ-მოხატული, პატარებისთვის – თვალისმომჭრელი და სახალისო.

ჩემო პატარებო, იმ დროს ქალაქებში ათიათასობით ადამიანი კი არ ცხოვრობდა. თეთრი ზღვის სანაპირო ქალაქი თეთრობი სულ სამასამდე მაცხოვრებელს ითვლიდა.

სამასი დღე დასჭირდა ლაბელას სამასი საჩრდილობლის დასამზადებლად.

უთუოდ უნდა იცოდეთ, მან გადაწყვიტა თითოეულ საჩრდილობელს მისი მფლობელის სახელი რქმეოდა, რომ ამ საოცრად კაცთმოყვარე გოგონას წინასწარი განცხადება არ გაუკეთებია იმ სიურპრიზისათვის, რომელსაც მისგან მოელოდნენ ივლის-აგვისტოს ხვატით დასიცხული და შეწუხებული ადამიანები.

როცა ლაბელამ საბოლოოდ დაასრულა სამუშაო, მშობლები მოიხმო და სთხოვა, საჩუქრის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი, სიურპრიზის სახით, მაგნოლიების სკვერში მოეწყოთ. აქ მოსვლა სარისკო არ იყო, რადგან უზარმაზარი ხეები მზის სხივებს არ ატარებდნენ თავიანთ დაბურულ ტოტებში და მზის დარტყმის საშიშროებაც გამორიცხული იყო.

* * *

მაგნოლიების ხეივანში ტევა არ იყო. ყველა აქ მოსულიყო, ქალი და კაცი, დიდი და პატარა.

მთელი საათი გასტანა საჩუქრების გადაცემის საზეიმო ცერემონიალმა. ყველა აღფრთოვანებული იყო გოგონას გამოგონებით. ხალხი მადლიერების გამოსახატავად სიტყვებსაც ვერ პოულობდა.

– ამიერიდან თქვენ აღარ შეგაწუხებთ თაკარა სიცხე! – გაამხნევა ლაბელამ თეთრობის მცხოვრებლები. იგი ხალხის შუაგულში იდგა თავისი ოქროსსირმებიანი საჩრდილობლით და ბედნიერებით ავსებდა ადამიანთა მადლიერი მზერა...

ერთი მოხუცი ქალბატონი მიუახლოვდა ლაბელას და ჰკითხა – მშვენიერო ასულო, რა დავარქვათ შენს გამოგონებას? ამ ლამაზ და ჩვენთვის ასე საჭირო ნივთს ხომ სახელიც შესაფერისი უნდა.

ლაბელას აქამდე არც კი უფიქრია შესაფერისი სახელი ეპოვა თავისი გამოგონებისათვის. ახლა კი სახელზე ჩაფიქრდა, დაძაბა გონება... წუთიც და სიხარულით წამოიძახა – ვიპოვე! – ქალაქს ოცნების ლამაზი გვირგვინი ადგას! – თითო საწყისი ასო-ბგერა, თითოეული სიტყვისგან და აი, რა მივიღეთ – ქოლგა!

– კარგია! კარგია! ქოლგა! ქოლგა, ქოლგა!... – წამოიძახა რამდენიმემ ერთხმად.

დაისვენა ქალაქმა მზისგან. მაშინ მზემ აკრიბა თავისი სხივები დედამიწიდან და თეთრობში კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ქოლგამ აქაც უშველა ხალხს. მაშინ მზემ ქარი გამოიძახა და დავალება მისცა – დაუარე ამ ქოლგებს და დაგლიჯე! დახე, როგორ ჯიბრში მიდგებიანო.

არ შეუშინდა ქარი მზის რისხვას და პირდაპირ მიახალა:

– ვერ გამიგია რას ერჩი ადამიანებს. ნათესები გადაუწვი, სარჩო-საბადებელი არ დაუტოვე, შენი ძლიერი დარტყმით ბევრი მიწას გაეკარი. მზედედაო, ასე რამ გაგაბოროტათ?!...

მზე სიბრაზისგან სულმთლად გაწითლდა, მაგრამ იცოდა, რომ ქართან ვერაფერს გააწყობდა და პასუხი არც გაუცია, ისე ჩაიძინა ჰორიზონტს მიღმა. მოუსვენარმა ქარმა იწრიალა, იგუგუნა, იგრიალა და მთვარესთან მიფრინდა.

– მთვარეო, შენ მაინც მითხარი, რატომაა დედამზე ასე გამწყრალი ადამიანებზე?

ბავშვებო, უნდა იცოდეთ, რომ მთვარე ცოტათი კიდეც შურიანობდა მზის ასეთი ბრწყინვალების გამო. ცოტათი ჭორიკანაც იყო და ქარის დანახვაზე გაიხარა. იფიქრა, დადგა დრო, როცა მზის საიდუმლოს შევატყობინებ, ამაში ეს შარახვეტია ქარი დამეხმარებაო.

აი, რა მოუთხრო მთვარემ მოქირქილე ქარბორიას: თურმე მზეს დიდი ხნის წინათ ულამაზესი ასული – ჰეროდია გარდაეცვალა. იგი მშობიარობას გადაჰყვა.

მზე დარდისაგან დაპატარავდა, დაილია და თავის თავში ჩაიკეტა, თვალებში სხივებიც კი ჩაუქრა. მერე ამას მზის დაბნელებაც მოჰყვა.

მზე დარდმა გააბოროტა და შურისძიება ახალშობილზე გადაწყვიტა. მოიხმო თავისთან თავისი სასახლის მზვერავი ფიქალქალდანი – უზარმაზარი თეთრი ფრინველი და დავალება მისცა: მოიგდე კანჭებში ეს დედის მკვლელი ახალშობილი და მიუვალ ღარტაფში მოისროლეო.

ფიქალქალდანი თავისი მბრძანებლისაგან განსხვავებით, კეთილი აღმოჩნდა და გოგონა ფრთხილად ჩამოაფრინა დედამიწაზე.

ხომ გახსოვთ ბავშვებო, თეთრი ზღვის ნაპირას, ახალშობილით, ლოტას წინ მოფრენილი უზარმაზარი თეთრი ფრინველი?!

როცა მზე თავისი სხივებით ლაბელას შეეხებოდა, გულში გაივლებდა – როგორ ჰგავს ეს გოგონა ჩემს ჰეროდიას? ხომ არ მიღალატა აქამდე უღალატო ფიქალქალდანმაო?

* * *

ფიქალქალდანი მზის მეგობრის, ვენერას ვაჟიშვილი იყო. იგი უცნაურ ძალას ფლობდა. შეეძლო ახალგაზრდა უფლისწულად გადაქცევა, ხანაც ფრინველად მოევლინებოდა დედამზეს.

ფიქალქალდანი დაინტერესებული იყო ლაბელას ბედით და ხშირად ჩამოფრინდებოდა ქალაქ თეთრობში, რათა შორიდან თვალი მოეკრა გოგონასათვის.

ამასობაში ლაბელა ცამეტი წლის გახდა, ტანი აიყარა, დამშვენდა, ნამდვილი მზეთუნახავი იყო. ფიქალქალდანს გულში წაეკიდა მისი სიყვარული და გადაწყვიტა გაცნობოდა ქალიშვილს.

ნანატრი დღეც დადგა. გოგონა სურსათსანოვაგით დატვირთული, ერთ მიუსაფარ მოხუცთან მიდიოდა.

მაგნოლიების ხეივანს რომ გასცდა, საიდანღაც უზარმაზარი, ავყია ქოფაკი გამოვარდა და ღრენით ლაბელას მიეჭრა. გოგონამ ერთი კი შეჰკივლა და უგონოდ ძირს დაეცა. ამასობაში პატრონიც გამოჩნდა.

ფიქალქალდანი მივარდა გულწასულ გოგონას და ხელში აიყვანა, იქვე მდგარ ძელსკამზე ფრთხილად დასვა და მოასულიერა.

ლაბელამ მადლიერი თვალები მიაპყრო გადამრჩენელს, ფიქალქალდანმა უთხრა – ასეთ მდგომარეობაში მარტო ვერ მიგატოვებ, სახლამდე მიგაცილებო. გოგონა იმდენად იყო აფთორიაქებული და შეშინებული, რომ უარი არ უთქვამს.

ლოტამ და ლეონმა მადლობა გადაუხადეს უფლისწულს და თხოვეს ოჯახში სხვა დროსაც წვეოდა. ეს წვეულება რამდენიმეჯერ შედგა და ლაბელასა და ფიქალქალდანის სიყვარულში გადაიზარდა.

დადგა დრო, ფიქალქალდანს ლაბელას ხელი ეთხოვა მშობლებისაგან. სადარდებელში ჩავარდა უფლისწული – როგორ მოეთხრო ლოტასა და ლეონისთვის სიმართლე, რომელიც მის წარმომავლობასთან იყო დაკავშირებული?

ფიქალქალდანმა ჯერ თავის მშობლებს მოუთხრო ლაბელასთან დაკავშირებული დიდი სიყვარულის ისტორია. მათთვის არც ის დაუმალავს, რომ მისი სატრფო დედამზის შვილიშვილი იყო და არც ის, თუ როგორ მოხვდა დედამიწაზე, ზღვისპირა ქალაქ თეთრობში. დედოფალ ვენერას მოაგონდა დედამზისაგან გამხელილი საიდუმლო: ჩემს ჰეროდიას შვილი არ შეეძინა. გადავწყვიტე, დედამიწის ულამაზესი პატარა გოგონას სული მის სხეულში ჩამესახა. ჩემი ჯადოსნური სხივები გამოვაბი თეთრი ქალაქის უთეთრეს გოგონას, ლაიას, ზღვის ზედაპირით ვატარე, სხეულის გარსი ჩემივე სხივებით მოვაშორე, სული კი ჰეროდიას სხეულს მივაბარეო. მაგრამ ჰეროდია მშობიარობას გადაჰყვა. როგორც ჩანს, დედამიწამ ამის გამო წყევლა გამომიგზავნა, გამამწარა. ამიტომ აღარ მინდა ეს გოგონა მზის სასახლეში იზრდებოდეს. გამომიგზავნე ფიქალქალდანი დამეხმაროს მის ჩამოშორებაშიო.

შემდეგ რაც მოხდა, თქვენ ზღაპრიდან უკვე იცით.

ფიქალქალდანის მშობლები სიხარულით შეხვდნენ ვაჟიშვილის არჩევანს.

დაწვრილებით მოუთხრო უფლისწულმა ყველაფერი ლაბელას მშობლებს. დედა ვენერასგან მოსმენილიც შეატყობინა – ლაბელაში ლაიას სული ფეთქავსო. ამ სასწაულმა უსაზღვრო სიხარულით აავსო კეთილაძეების ოჯახი. ახლა უკვე ლაბელაში ლაიაც გაცოცხლდა.

ლოტამ და ლეონმა თხოვეს ფიქალქალდანს, სანამ ქორწილი შედგებოდა, გაფრენილიყო დედამზესთან, ყველაფერი სიზუსტით მოეთხრო და შვილიშვილის ხელი ეთხოვა. თანაც ეუწყებინა, რომ კეთილაძეების ოჯახმა ყველაფერი აპატია გულმოკლულ დედას და ახლა მზეზე ლოცულობენო.

მაგრამ რატომღაც დედამზესთან შეხვედრა ლაბელამ ისურვა.

– კი მაგრამ, ლაბელა დედამზის სასახლემდე როგორ მიაღწევს. ის ხომ ასე შორსაა დედამიწიდანო – იკითხავთ თქვენ და მართალიც იქნებით ბავშვებო. მაგრამ ერთ სასწაულ ამბავსაც გეტყვით, ჩემო ცუგრუმელებო! საქმე ისაა, რომ ოქროსსირმებიან ქოლგას, რომელიც ლაბელამ თავისთვის დაიტოვა, ფრენის

უნარი აღმოაჩნდა. გოგონა ხელს დააჭერს ღილაკს და ცისკენ მიფრინავს ოცნების ქოლგა. ჩაუფრენს მთვარეს, ვარსკვლავებს, გადმოხედავს დედამიწას და ლოცვასავით, წარმოთქვამს ულამაზეს სიტყვებს... ეს სიტყვები რატომღაც ქაღალდზეც გადაიტანა. როცა ქაღალდზე გადატანილი წაიკითხა, მიხვდა, რომ ეს ჩვეულებრივი სიტყვები არ იყო. ასე სხვები ვერ ლაპარკობდნენ: სიმღერას ჰგავდა ლაბელას სათქმელი, უფრო სწორად ზეციურ საგალობელს. ამ შთაგონებით ზეცა ავსებდა მას. ზეცა კი თავისი ოცნების ქოლგით დაიახლოვა.

და აი, მზის წინაშეა მზეთუნახავი ლაბელა. ცამეტი წელია ასე ახლოდან მზე არ ენახა. გულახდილად მოუთხრო დედამზეს ყველაფერი და გულიც აუჩვილდა... მზემ გულში ჩაიკრა გოგონა და სითბოთი და სინათლით აავსო...

ქორწილი დედამიწაზე შედგა, საქორწილო მოგზაურობა პლანეტა ვენერაზე. იქ მაყრიონი ქოლგებშებმული ეტლით გაემგზავრა. უხილავი ხმა სადღეგრძელოსავით წარმოთქვამდა:

„ახლა ვდგავარ და სივრცეს გავყურებ,
მზე ჩამავალობს სევდით ღვთიურით,
ციმციმებს ცაზე მთვარის საყურე
და ვარსკვლავები ფანტასტიური.

ოი, რამდენი ფიქრი მდაღავდა,
ოი, რამდენი ტკივილი ვზიდე,
მე უცნაური ბავშვობა მყავდა,
ჩემს დიდ სიყვარულს წავაწყდი ვიდრე...“

კეთილი ზღაპრის დასასრულიც ასეთია – „სიყვარული დაფრინავს, სიყვარული არ დადის...“



ფიქრები ხანაძეზე

უსათაურო და უმისამართოდ

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, როცა მხატვარ დელაკრუას დღიურები წავიკითხე, ამას წინათ კვლავაც დამჭირდა გადათვალიერება, იგი ასე იწყება: „Больше всего мне хотелось бы не забывать, что я пишу только для самого себя, значит, я буду, надеюсь, правдив и стану от этого лучше“.

მე ვეთანხმები დელაკრუას, რომ იგი მართალი იქნება, მაგრამ არა ყველასთან, არამედ თავის თავთან და ზოგადად.

რა თქმა უნდა, მეც კალამი ამაღებინა ხელში არა იმან, რომ სხვებს გავუზიარო, მე რასაც ვფიქრობ, არა, სხვამ გინდ დამიჯეროს, გინდ – არა. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ხელოვნებას, ისიც დღევანდელ დღეს, როცა ამდენმა არაპროფესიონალმა მოიყარა და თავი მხატვრებად მოაქვთ. მე მხოლოდ თავის თავში ჩაღრმავების გამო დამჭირდა, სიტყვით გადმომეცა ის, რაც მაწუხებს.

ერთი ჩემი მეგობარი, ამას წინათ, მეუბნებოდა, ისე არ გამოვიდეს ნაშრომი, რომ ზედმეტად გამოსჭვიოდეს განსწავლულობა, პროვინციალობას დაგწამებენო, როგორც ვოლტერი იტყოდა სარკაზმით ფილოსოფოს პანგლოსზე: „ყველაფერი იცის, ესე იგი, პროვინციელიაო“. ყველაფრის ცოდნა მე კი არა, ფრანგ ენციკლოპედისტებსაც კი არ გააჩნდათ, უბრალოდ, რაც ვიცი და ვინმესთან მისაუბრია, ყველაფერს ვამხელ, დე, თქვან, ამის გამო პროვინციელიაო, ჩვენ ხომ ისედაც ვერ გავექცევით ამ ყურით მოთრეულ იარლიყს.

მაშ, ასე, თბილისი, 1965 წელი, ეს იყო უკვე დიდი ხნის წინათ, ზემელი! ამბობენ იქედან შეერქვა ვიღაც გერმანელი აფთიაქარის გამო, აქ, ამ ადგილას დგას რუხი შენობა, ამ შენობის პირველ სართულზე იყო მოთავსებული საკმაოდ დიდი სასადილო დარბაზი, მეტსახელად „ობლების“ სასადილოს ეძახდნენ მაშინ. ამ დარბაზში კი იჯდა, ყოველდღე, ერთი მოხუცი მხატვარი, რომელიც გალოთებულიყო და აღარ ხატავდა, ჩვენ სტუდენტები ვპატიჟებდით – ხან ლუდს, ხანაც ღვინოს და, რა ვიცი, ალკოჰოლურ ნაირსახეობას ვთავაზობდით ხოლმე, მას კი ცხვირი ასწრებდა ლუდის კათხაში ავსებულ თეთრ ქაფში ამოსვრას, ვიდრე ტუჩი. ერთხელ მითხრა, მამაჩემს აქვს ერთი მოთხრობა დაწერილი, „რა ბალღი ყოფილხარ“, გაქვს წაკითხულიო? არა, ვუპასუხე მე, წაიკითხეო. მამამისი ცნობილი ქართველი მწერალი შიო არაგვისპირელი გახლდათ, მას ყოველთვის, როგორც ყველა ლოთს, ბინძურად ეცვა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც გვიზიდავდა თავისი საინტერესო საუბრით, არც ინტელექტი ჰქონდა დაბალი, თუ რაიმეს გეტყოდა და შეგატყობდა არცოდნას, უხაროდა ბავშვივით და რამდენჯერმე გაგიმეორებდა, არ იცოდიო? ხშირად ახსენებდა დიდ მხატვრებს რემბრანდტს, დელაკრუას, მიქელანჯელოს და სხვებს – თანამედროვე მხატვრებს, იტყოდა ხოლმე ზოგჯერ „Искусство это есть смех сумасшедшего и слезы ребенка“. ამაში იქნებ დაეთანხმო ან არა, რადგან არავინ

იცის, თუ რა არის ნამდვილი ხელოვნება ან კიდევ თუ იციან, ძალიან ცოტამ, ან იქნებ თავისი გამონათქვამიც იყოს შესაფერი ლოზუნგი ხელოვნებისა. გარდა მაგისა, აღარ არსებობს ისეთი მხატვარი ან ხელოვნების სხვა დარგის ნაწარმოებნი, რომლებიც ყველას ერთნაირად მოსწონდეს? მინახავს ისეთნიც, ვისაც გენიოსებიც კი არ მოსწონთ, მაგალითების მოტანა იმდენად უხერხულია და იმდენად არასასიამოვნო ჩემთვის, რომ არ მიმაჩნია მათი ჩამოთვლა მიზანშეწონილად.

ჩემი ღრმა რწმენით, მლიქვნელობა ყველაზე დიდი მანკიერებაა ადამიანურ თვისებებს შორის, მაგრამ არსებობს მსგავსი რამ. რასაც დიპლომატიას ეძახიან მაღალი წრის საზოგადოებაში, იგი ალამაზებს ადამიანებს, რაც უნდა უხეში იყოს, შეიძლება დიდი პოლიტიკოსნი სასტიკნი და დაუნდობელნი იყვნენ, მაგრამ ხელოვნების ნაწარმოების გარჩევის ან შეფასებისას ისინი თავს იკავებდნენ და მიმართავდნენ იმ ავტორიტეტებს, რომელთაც დაეჯერებოდათ ბევრი რამ.

ზოგნი იტყვიან „კვერცხს მე არ ვდებ, მაგრამ მისი გემო ვიციო“. არ არის მთლად ეგრე საქმე. განა ყველა ერთნაირად აღიქვამს საგნებს, ხელოვნების ნაწარმოებებს ან მუსიკას? მოხუცი დედაბრიშვილი ამბობდა:

– სოკრატე აბსოლუტური უნივერსალისტია, მისი თვალსაზრისი მიზანს დაშორდა, იგი მხოლოდ ზოგადს ხედავს.

– კი, მაგრამ, ვუპასუხე მე, სოკრატე ხომ არისტოკრატი არ ყოფილა და მას არსად არისტოკარტული იდეალებისათვის არ უბრძოლია. მის კონსერვატიზმს ასაზრდოებდა სწორედ ის კლასი, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდა.

– დიახ, – მეთანხმება მოხუცი, ეს იყო კლასი ათენის ხელოვნებისა, რომელიც იმდროინდელი ეკონომიკის პირობებში მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს წარმოადგენდა და თანაც ახალ პირობებს შეევიწროებისა და ეკონომიურ გაჭირვებაში მოექცია.

– ახლაც ხომ მასეა, გაჭირვებაში მოქცეული დიდი ნაწილია, და სწორედ იმ უმრავლესობაშია მოქცეული ტალანტებიც და გენიოსებიც, რომლების ამორჩევა და დახმარების ხელის გაწოდება არ სურთ დღევანდელ სახელმწიფო ჩინოვნიკებს.

– მართალია, – მპასუხობს იგი, – ზოგჯერ გაჭირვებაში იბადება დიდი ხელოვნება. მაგალითად, ვაჟა-ფშაველა, დანიელ ჭონქაძე, ეგნატე ნინოშვილი და ასე შემდეგ.

– ფიროსმანი? – ვეკითხები მე.

– მე მომწონს ფიროსმანაშვილის რამდენიმე ტილო, უფრო სწორად, მუშამბა, მაგრამ ამდენი ქება ფიროსმანისა, მე გადაჭარბებული მეჩვენება, თუმცა ერთიც საკმარისია დიდებისათვის.

კი, მართალია, შოთა, მაგრამ გააჩნია, როგორ ერთზეა საუბარი, თუ ის ერთი არის „ჯოკონდას“ ტოლფასი, ანდა „ვეფხისტყაოსნის“, მაშინ გამოდგება ერთიც, ანდა „მერანის“ ტოლფასი ლექსი, მეც პირადად მომწონს ფიროსმანის „დათვი მთვარიან ღამეში“ ყველა მის ნაწარმოებებთან შედარებით, მაგრამ სულ მეეჭვება, არის ის მსოფლიო კორიფეების გვერდით ჩამოსაკიდი სურათი?

მინდოდა, ისევ დავბრუნებოდი მიზეზს, თუ რა ჰქმნიდა დიდ ხელვნებას, ნიჭის გარდა, რა უწყობდა ხელს – ტირანია თუ უკიდურესად დუხჭირი მდგომარეობა სახელმწიფოში და მე განგებ დავუსახელე პლატონის იდეალისტური სახელმწიფო. დედაბრიშვილმა ქაფმორეული ლუდი მიიტანა ბარაქიან ცხვირთან და რამდენიმე ყლუპი გადაჰკრა.

– სოკრატე ებრძოდა ფულის კულტს, სიმდიდრეს, ფუფუნებას, ყველაფერს, რაც ახალმა დრომ მოიტანა, – აღგზნებულად ამბობდა მოხუცი.

– იგი ებრძოდა იმიტომაც, რომ თვითონ გაჭირვებაში იყო და მისი კონსერვატიზმი იმდროინდელი მსოფლმხედველობის იდეოლოგიაში იყო გახვეული, მისი ფილოსოფია და საქმიანობაც ანტიდემოკრატიული სვლით იყო გამსჭვალული, და არა სოკრატეს საბერ-

ძნეთი ყოფილა დემოკრატიის საბერძნეთი.

– გეთანხმებით, – დედაბრიშვილმა სიგარა გააბოლა და დაუმატა: – როგორც ახლა, ამჟამად.

– თუმცა მარტო სოკრატე კი არა, პლატონიც მთელი თავისი საქმით, ფიქრით, წიგნითაც ხომ ათენის დემოკრატიულის წინააღმდეგ იბრძოდა.

– ხომ გეუბნები, – მაწყვეტინებს მოხუცი, – არ სჯობდა ასეთ ფსევდოდემოკრატიას, კომუნისტების მცდარ იდეალებზე ამშენებული საბჭოთა კავშირი? როცა საღებავებს და ქაღალდს მაინც იშოვიდი თითქმის მუქთად.

– მაინც რომელ დროს შეიქმნა უფრო დიდი ხელოვნება – თამარის ფეოდალური სახელმწიფოს დროს, რომელსაც რენესანსი უწოდეს, თუ დღეს – დღევანდელი განუკითხაობის პერიოდში შექმნილი მხატვრული ღირებულებანი ლიტერატურასა და ხელოვნებაში?

– შენ როგორ ფიქრობ, – შემიბრუნა სიტყვა მოხუცმა და მაგალითისათვის მითხრა, – ავიღოთ თუნდაც ბექა ოპიზარი, ბექა, როდესაც ჰქონდა რაიმე შეკვეთა, აიღებდა დაახლოებით რვაკილოგრამიან ჩაქუჩს და ვერცხლის ზოდს, დარტყმით აბრტყელებდა ცხელ მდგომარეობაში, რათა მიეღო ვერცხლის ფირფიტა, რაზედაც შემდეგ გადაიტანდა გამზადებულ კომპოზიციას და შემდეგ ჭედავდა. დღეს კი დაახლოებით ერთი ან ორი მანეთი ღირს ლითონის ფირფიტა, თანაც რასაც ეწოდება ფერადი ლითონი, არც მხატვარი ნაღვლობს მის გაფუჭებას, რადგან სპეციალურ მაღაზიებში თუ საწყობებში, რამდენიც გნებავთ, უამრავია სხვადასხვა მილიმეტრისა თუ ზომისა.

მე მივაგებე სიტყვა, – როგორ სჯობია, ესე იგი, ხელოვნება ემიჯნება თუ არა სახელმწიფოს, პოლიტიკას, რელიგიას, ხალხს?

დედაბრიშვილმა განაგრძო: ჩვენამდე მოაღწია დიოგენე ლაერტის გადმოცემამ, რომ „ეკვლიდეს მოწაფის ევბულიუსის სახელგანთქმული პარადოქსებიდან ყველაზე სახელგანთქმული იყო „ცრუს“ აპორია. ეს აპორია მეტად საინტერესო თემას შეადგენდა ანტიკურ მწერლობაში. მის შესახებ თეოფასტეს სამი წიგნი დაუწერია, „ხრიზოჰოსს“, ხოლო ერთი ფილოსოფოსი კიდევაც გაგიჟებულა ამ პრობლემის ამოხსნის ძებნაში.

– თუ ხალხს ძალიან უჭირს ან შემოქმედს, მაშინ იქმნება დიდი ხელოვნება? არა მგონია.

– მხოლოდ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები, თუმცა, ვან გოგი მღვდელი იყო, მაგრამ ის მღვიმეში არ ჰქმნიდა თავის მართლაც განუმეორებელ მხატვრობას.

– ოო, ვან გოგი, ვან გოგი... ერთეულებზე და ფანატიზმზე არ არის საუბარი, რამდენმა ნიჭიერმა ხელი ჩაიქნია ცხოვრებასთან სასტიკ ბრძოლაში, თუმცა ვაჟა ამბობდა:

„ნუ დამასვენებ ნურას დროს,
მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული“.

მაგრამ ხომ ვამბობ, ეს ერთეულებს ეხება და არა ყველას.

დედაბრიშვილი: – ყველა არც უნდა ხატავდეს და არც სწერდეს. ყველაზე დიდი შეცდომა კომუნისტებისა ის იყო, რომ თითქმის არავის უშვებდნენ სამხატვრო აკადემიის კედლებიდან ჩამოყალიბებულ მხატვრებს. ამის თქმა კი გადაჭარბებული იქნება, მაგრამ სხვა მხრივ კი ნიჰილიზმმა გაიდგა ფესვები და კრიტიკოსობას, ისედაც კუდაბზიკა ქართულ ხასიათს უფრო ხელი შეუწყო, ვიდრე იმ ცეცხლის ნაპერწკლის გაღვივებას, როცა აკადემიის კედლებში შესვლის დროს უღვიოდა ქართველ სტუდენტობას.

– მაგრამ გეთანხმებით, რაფაელს სიქსტეს მადონაში 70 კილოგრამი ოქრო გადაუხადეს, რაც დღეს იშვიათობაა. განა შეუშალა ხელი ამ თანხამ? ან ცხოვრებაში, ანდა ფორნარინას სიყვარულში? არა მგონია.

– სჯობს ისევ ხელოვნებაზე ვისაუბროთ და არა იმაზე “ხელოვნება ეკუთვნის ხალხს”, თუ “ხელოვნება ხელოვნებისათვის”. მე კი მგონია, ორივე შემთხვევაში თუკი ჰიპოთეზა სწორია, ხელოვნება ხალხსაც ეკუთვნის და ხელოვნე-

ბასაც, და დაუმატა: არა ისეთ ხალხს, როგორიც დღესაა. თუმცა კარგებსაც რა გამოლევს.

– დიახ, – დავუმატე, – კარგებიც ბევრია ამ ქვეყნად და ცუდებიც, ნიჭიერებიც ცოტაა, განა?

– ვინ მიგაჩნიათ თქვენ დიდ მხატვრად? – დედაბრიშვილმა უცებ დილეტანტური შეკითხვა დამისვა.

– გააჩნია, რომელ დროში, რომელი დროისათვის. ისე კი არიან ყველა დროის დიდი მხატვრები, მაშინ რატომღაც მაზაჩო იყო მოდაში და მეც დიდხანს არ მიფიქრია, მიუხედავად იმისა, არაფერი ვიცოდი მაზაჩოს შესახებ, მისი შემოქმედების გარდა.

– ოო, მაზაჩოს ფრესკების ასლებს ხომ დიდი მიქელანჯელოც აკეთებდა ზოგჯერ, მაგრამ განა შეჩერდა ადამიანის გემოვნება მაზაჩოსთან? ან იგივე მიქელანჯელოსთან? ანდა, გნებავთ, ძველ ბერძნებთან? პირადად მე, როცა შექსპირის რომელიმე პიესის სპექტაკლს ვესწრები, დაღლილ-დაქანცული როდესაც ვბრუნდები სახლში, გადავგორდები ჩემს ტახტზე და გადავშლი გიორგი წერეთლის „პირველ ნაბიჯს“ ან ეგნატე ნინოშვილის „ქრისტინეს“ და იმათაც ვკითხულობ სიამოვნებით. ამ ნაწარმოებებში ჩემი სოფლის ორღობეებს ვხედავ და მიქარწყლებს ცოტათი მაინც ნოსტალგიის გრძნობას. მართალია, „ქრისტინე“ მაღონებს ფრიად, მაგრამ იგი ამომიტივტივებს კითხვის დროს სოციალური სიდუხჭირით გამოწვეულ ტრაგედიებს ჩვენი ვარსკვლავა გოგონებისა, რომლებსაც არაერთხელ წავწყდომივარ როგორც ჩვენში, ისე სხვაგან.

იცი, რისი თქმა მსურს ამით? იმისა, რომ ადამიანს სჭირდება ყოველ დროში პატარა ხელოვნებაც იმიტომ, რომ სიცოცხლე მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში სხვაგვარად წარმოუდგენელია ადამიანის მრავალფეროვანი ცხოვრებაც და მისი დაუკმაყოფილებელი ბუნებაც.

– მე გამახსენდა რუსი ფილოსოფოსის ბელინსკის აზრი ნაციონალების შესახებ, „ყველა ნაციონალობის აზრი მის სუბსტანციაში არსებობს“. რომაელების სუბსტანცია სულ სხვა იყო, ვიდრე ბერძნების, – აღნიშნავდა იგი. ესე იგი რომაელები უფრო სამოქალაქო სამართლის ხალხია და არა მჭევრმეტყველობითი, ბერძნები კი უმთავრესად მოქმედ მჭევრმეტყველობითი და არტისტული ბუნების ხალხია, მე მიმაჩნია, რომ ჩვენ, ქართველები, თუ არ მოვწყდებით ჩვენს ნაციონალურ ადათ-ჩვევებს, იგი აუცილებლად უნდა ირეკლებოდეს ხელოვნებაშიც. როგორც ეთნოგრაფია და ყოფა-ცხოვრება, ისე ისტორია და ჩვენი წარსული, როგორი გავლენაც არ უნდა ჰქონდეს – ბიზანტიური თუ სპარსული, ან გნებავთ არაბული, თურქულიც კი, მაგრამ ჩვენს წინაპრებს ქართულ ყაიდაზე გადმოჰქონდათ. მაგალითად, მთის ხალხებში უფრო ნაკლებად შეაღწია, ავიღოთ თუგინდ ხევსურული ტალავარი თავისი ორნამენტებით. იგი თვითმყოფადია, მათ ნაქსოვ წინდებს აქვს ორნამენტული კავშირი აჭარელთა ნაქსოვ წინდებთან თუ ხურჯინების, წარმართული ჯვრებისა და ბორჯღალოს მზის, იქნება ის სამკუთხა ორნამენტის, რომბის, კვადრატის, თუ სხვადასხვა კომპოზიციური სტრუქტურის თუ ქარგასთანაა კავშირში.

ხალხურობა გულისხმობს რაღაც უძრავსაც – ერთხელ და სამუდამოდ დადგენილს. მაგრამ ეროვნულობა შეიცავს იმასაც, რაც უნდა იყოს და იქნება მომავლაშიც. მაგალითისთვის ქართული ფრესკები გამოდგება. მართალია, ათეისტური სახელმწიფოს დროს შეჩერდა მთელი საუკუნე, მაგრამ ისევ დაიწყო აღორძინება, ეროვნება ერთმანეთთან აახლოებს უაღრესად საწინააღმდეგო მოვლენებსაც, საზოგადოება ყოველთვის არის ნაცია.

– თქვენ ახსენეთ ქართული ფრესკა. ჩვენი ფრესკები ტოლს არ დაუდებს მსოფლიოს არც ერთი ხალხის მართლმადიდებელი ტაძრებისა თუ მღვიმეების ფრესკებს, მაგრამ ჩვენი უბედურებაა ის, რომ არ გვიცნობენ ევროპის ქვეყნები და ჩვენც ზურგი შევაქციეთ, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩვენს ხატწერის სკოლებს. ამ-

აში ათეისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ შეუწყო ხელი. ჩვენი მხატვრები ძალიან ნიჭიერები არიან, მაგრამ გამოფენებზე როდესაც შეხვალ, იქ სჭარბობს ევროპული გავლენა და დოზირება იმდენად მეტია დასავლეთის, რომ ცოტათი მოვწყდით კიდევაც ეროვნულობას.

– სწორედ ამიტომაც სხვებს ანუ სხვა ერებს, ნაკლებად იზიდავს ჩვენი ხელოვნება-მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ არის რაღაც დამაბრკოლებელიც ჩვენი წარუმატებლობისა. დიდი შემოქმედი მარტო თავისას კი არა ჰქმნის, არამედ მხოლოდ ნამდვილ არსებობას ანიჭებს იმას, რაც მასზე ადრე შესაძლებლობაში არსებობდა, ჩვენს გონებაში ბევრი რამ დარჩა და დაილექა ბიზანტიური გადმონაშთისა. ჩვენი წინაპრები თვალებს რომ თხრიდნენ დამნაშავეებს, ეს იმათგან მოდის, ქრისტიანობა – კედლის მხატვრობა, სამეფო დროშები, მხედართა აღჭურვილობა, მეფეთა გვირგვინები თუ იარაღები, ქალისა თუ მამაკაცის სხვადასხვა სამკაულები, საყოფაცხოვრებო ჭურჭლეულობა. მაგრამ მე რომ მკითხოს კაცმა, ჩვენ მაინც აზიელები ვართ, იმათგანაც ბევრი რამ დარჩა ჩვენს ხალხში, განცხრომისადმი ლტოლვა მიმაჩნია ყველაზე დიდ მანიკიერებად.

მაშასადამე, ზეცაში ტკბობა აღუთქვა მაცთუნებელ ხასათა, ეს იყო ამ მიწიერი ჰურიების ამოსარჩევი საშუალება, უზრუნველყოფა, აქ კი არაბული ტკბილი ყალიონის დამათრობელი სურნელებით გაბრუებული ახალგაზრდობა ისეა გატაცებული ათასგვარი ნარკოტიკით, ლამის ერი და ეროვნულობა მთლიანად წალეკოს.

– მაგ მხრივ განა არ სჯობდა ჩვენი პერიოდი, როდესაც აქა-იქ თუ გაიგონებდი და ყურს მოჰკრავდი ნარკომანთა სახელებს. მთავარია, ადამიანი არ ჩავარდეს ჭაობში, თუ არა იქედან თავს ვეღარ დააღწევს. განა შეიძლება ადამიანის სიკვდილით დასჯის გაუქმება, რამაც დანაშაული 75 პროცენტით გაზარდა.

– ვერ დაგეთანხმებით ბატონო შოთა, მაგალითად, შუა საუკუნეების ევროპის მუზეუმებში გამოფენილი იყო ათასგვარი მანქანები ადამიანის წვალებისა, საჭყლეტი ხრახნები თუ ამაზრზენი წნეხები ადამიანის საწამებლად მოგონილი. რა საჭიროა დღეს ეს ყველაფერი, სახელმწიფომ ჰუმანური ხერხებით უნდა იზრუნოს იმაზე, რომ არ აღიზარდოს მკვლელი, ყაჩაღი, გარეწარი. მაშინ აღარ დასჭირდება ისეთი იარაღები და არც წამების მეთოდები.

– კი, გეთანხმებით мой мальчик, მაგრამ ცივილიზებულ ერებში, ჩვენში ჯერჯერობით ნაადრევი იყო ეს ყველაფერი.

– რატომ, თუ თამარმა სიკვდილით დასჯა გააუქმა, ხომ შესაძლებელია, დღესაც მოხდეს და გატარდეს ასეთი რეფორმა.

– კი, მაგრამ თამარის მემატიანე ასე აღნიშნავს, „იყო დრო, სიწრფოებითა სრულითა“. ესე იგი წრფელი, სამართლიანობა. ჯერ უნდა შექმნან სახელმწიფო მმართველებმა ისეთი სახელმწიფო და შემდეგ იზრუნონ სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე.

– ჩვენ გადავუხვიეთ, მგონი, ძირითად თემას. სჯობს, დავუბრუნდეთ ხელოვნებას. ამაზე სხვამ იმსჯელოს.

– შენ, როგორ გგონია, ესეც ისეთი გადაუჭრელი პრობლემაა, როგორც ხელოვნებაში დღემდე დაკანონდა რაიმე?

– რატომაც არა, როდესაც კანონები არსებობდა, უფრო დიდი ხელოვნება იქმნებოდა, ვიდრე დღეს.

– რუსებმა სცადეს მე-18-19 საუკუნეებში აღედგინათ იტალიური რენესანსი, მაგრამ რა გამოუვიდათ? გარეგნულად კი მათ ნაწარმოებებს ვერც რაფაელი და ვერც ლეონარდო და ვინჩი ვერ გაასწრებს, მაგრამ შინაგანი ნაკლებად სჩანს. მათ უფრო კლასიციზმი გამოუვიდათ, მიმბაძველობითი და თეატრალური, ვიდრე ორიგინალური და პიროვნული. ლიტერატურასა და მუსიკაში კი ჰყავთ კორიფეები, წარმოიდგინეთ პოლიტიკაშიც მოიკოჭლებენ.

– ვის გულისხმობთ მაგათ დიდ პოლიტიკოსად?

– პეტრე დიდს, რომელსაც რუსებმა საკურ-

თხევლები უნდა აუგონ, ფალკონეს ცხენოსანი ფიგურა არ კმარა მისი სახელის უკვდავსაყოფად.

– პეტრემ ხელი შეუწყო ხელოვნების განვითარებას, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ხელოვნებაზე, მაგრამ პოლიტიკის სამსახურში არ უნდა ჩააყენოს და ვინც ჰქმნის ღირებულ ნაწარმოებებს, მას უნდა მისცეს მატერიალური მხარდაჭერა.

ძია შოთამ ასანთი აანთო და პაპიროსის კოლოფიდან ამოიღო ერთი ღერი პაპიროსი და მოუკიდა. „ყაზბეგის“ კოლოფი კი ისევ მაგიდაზე დატოვა, ოღონდ, ზედ ასანთის კოლოფი დადო, შემდეგ განაგრძო:

– მე საერთოდ ვერ გავაკეთე ვერაფერი, მაგრამ რომ შემექმნა რაიმე, მაშინ მუხტი მეტი მექნებოდა უდავოდ.

– ჰოდა, რა არის არისტოკრატია, ჩვენში არსებობს იგი? არა მგონია. მე ის ასე მესახება, ისტორიულად განვითარებული, პრივილეგიური წოდება, რომელიც სახელმწიფო მწვერვალზე მდგომი შუამავლობას ეწევა ხალხსა და უმაღლეს ხელისუფლებას შორის და თავისი ყოფა-ცხოვრებითა და საქმიანობით ავითარებს იდეალურ წარმოდგენებს პირად ღირსებაზე, კეთილშობილებაზე, მათი უფლებების ხელუხლებლობაზე, მოდგმიდან მოდგმას გადასცემს უმაღლეს განსწავლულობას, ცხოვრების ფორმათა იდეალურ მშვენიერებას. ასეთი იყო არისტოკრატია ევროპაში, საბერძნეთში, რომში, ბიზანტიაში.

– ჩვენ ევრო-აზიის საზღვარზე ვმდებარეობთ, რუსთაველი იყო უდიდესი არისტოკრატი, ავთანდილი ასე მიმართავს თავის საყვარელ ვასალს შერმადინს:

„შენ დამახვედრე სამეფო
მტრისაგან დაულეწელი“.

შერმადინსაც იმიტომ უყვარდა თავისი პატრონი, რომ ბევრ უფლებებს აძლევდა მას.

– ვინ არის ჩვენი პატრონი? მე შუა საუკუნეები იმტომ ვახსენე, რომ შეიძლება მე არ ვიცნობ, თავისი ბნელი და მძიმე მხარეებით შუა საუკუნეებს, მაგრამ ფაქტია იმისა, რომ ხელოვნებაზე ყურადღება მეტი იყო, ეს კი ცხადია, ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტელი ფარაონები არქიტექტორებისა და მხატვრების გვერდით ცხოვრობდნენ. იმათ კარგად იცოდნენ, რომ ეროსი, სიყვარულის ინსტიქტი ყოველივე ხელოვნების ძირია, ხოლო სიკეთე მშვენიერების ერთ-ერთი სახეობაა. “ის უკვე თავის თავად არის მშვენიერებაო”, – გვასწავლის პლატონი.

დედაბრიშვილმა პაპიროსი გააბოლა და ამოთქვა: აქედან, ცხადია, ვინც სიკეთეს დაეუფლა, იგი არ შეიძლება ხელოვანებში მშვენიერებას არ ჭვრეტდეს.

– პლატონმა კარდინალური სათნოება ასე ჩამოაყალიბა: სიბრძნე – σοφια.

მეორე სათნოებას ვაჟკაცობა წარმოადგენს – χνορειχ.

მესამე კარდინალურ სათნოებას პლატონთან ჰქვია ϖυφρϖνλγ – მიკერძოება, ეს სულის ისეთ მდგომარეობას გულისხმობს, როცა ყველა ნაწილი შეთანხმებულია, თუ ვინ უნდა იყოს მბრძანებელი და ვინ შემსრულებელი.

– პლატონი ამტკიცებს, რომ ზნეობის სამივე ეს მოტივი ადამიანის სულშია, სამივესთვის განკუთვნილი ადგილია. სათნოების განხორციელების უკანასკნელი საშუალებაც. ცოდნაც, თავის და საქმის სიკეთის ძიებაში ღებულობს.

– პლატონი წარსულია, რესტავრაციაზე და მოდერნიზაციაზე ოცნებობს. არტისტოტელესთან ცოტა სხვაგვარად არის საქმე. მასთან ათენი არ დომინირებდა, არც მთელი ბერძნული სამშობლო, არისტოტელე წარსულისკენ არ იყურება.

– საბერძნეთი ჩვენთვის და მთელი კაცობრიობისათვის მაგალითის მიმცემია, მაგრამ იმას კი ვერ შევგუებივარ, რომ ისინი ყველას ბარბაროსებს ეძახდნენ.

– არა, ბერძნები ჩამოუყალიბებელ ხალხებს უწოდებდნენ ბარბაროსებს.

– სხვებმაც საკმაოდ გაგვლანძღეს. იოჰან ჰარდერი ქართველებს ახასიათებს შემდეგნაირად: „საბრალო ქრისტიანული საქართვე-

ლოს ბედი, აქ არის ეკლესიები და ეპისკოპოსები, ბერები, ქართველი ქალები ლამაზები არიან, მამაკაცები გულადნი და მაინც მშობლები ჰყიდიან თავიანთ შვილებს, ქმრები ცოლებს, თავადები ქვეშევრდომებს, მორწმუნეები მღვდლებს, უცნაური ქრისტიანობაა გავრცელებული ამ სულით ლაღ, ხოლო ქურდული გულის სირღმეში ღალატიან ხალხში".

– ჰარდერმა რა იცოდა ჩვენზე, განა ერთი და ორი მაგალითით შეიძლება ერის შეფასება? მაშინ ყველა ერი სალანძღავი ყოფილა. როდის იყო მშობლები ჩვენ გვყიდდა ან ქმრები ცოლებს. მართალია „ოთარაანთ ქვრივი" მხატვრული ნაწარმოებია, მაგრამ განა არ შევხვედრივართ ცხოვრებაში ისეთ დედაშვილურ სიყვარულს, როგორსაც დიდი ილია გვიხატავს?

– ამას ჰარდერი ფილოსოფიის ისტორიისათვის სწერდა 1780-იან წლებში. წეღან თქვენ ბერძნები ახსენეთ. ისინი ბარბაროსებს ეძახდნენ სხვადასხვა ერებს, მაგრამ არც მთლად მასეა საქმე. როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო ასურეთი, განცვიფრდა იმათი კულტურით და წარმოთქვა: „ტყუილად ეძახიან ბერძნები სხვადასხვა ხალხებს ბარბაროსებსო, ასურელებს არავისზე ნაკლები კულტურა არ გააგჩნიათო – გვეთანხმები, мой мальчик, გარდა მაგისა, განა ძველი ეგვიპტე დაუდებს ტოლს მსოფლიოს ნებისმიერ ერებს?

– კი, მაგრამ ალექსანდრე არ იყო ბერძენი, იგი ბერძნულ კულტურას იყო ნაზიარები, მისი მასწავლებელი, იგივე არისტოტელე ასწავლიდა მას, როგორ მოქცეოდა დაპყრობილ ხალხებს. თუმცა ერთხელ შენიშვნაც კი მისცა, „შენ ძალიან ლმობიერად ეპყრობი დაპყრობილ ხალხებსო. დედაბრიშვილი ცოტა ჩაფიქრდა და განაგრძო საუბარი.

– რომის იმპერატორი მარკუს ავრელიუსიც მხატვარ დიოგანეტიდან ღებულობდა ღირსეულ რჩევებს. იგი აღნიშნავდა კიდეც: "მე მისი წყალობით ვარჩევდი ჭეშმარიტებას სიყალბისგანო". შენ არ იცი, მეფეები და ტირანი რა საძაგლები იყვნენ? ავიღოთ თუნდაც ალექსანდრე დიდი ფილიპეს ძე, როდესაც მისი ეგოიზმი არაფერში არ ეტეოდა, ადამიანის სიცოცხლე და ბედნიერება მას არარად მიაჩნია.

– ჰეგელი ოცნებობდა კონსტიტუციურ მონარქიაზე, როგორც სახელმწიფოს იდეალზე.

– არა, мой дорогой, მონარქები არ უნდა იყვნენ, რადგან მონარქი არ არის ძმა, იგი ყოველთვის გამოეყოფა მას თუნდაც ცარიელი ეტიკეტით, ადამიანები უნდა იყვნენ ძმები და რაიმე ფორმალური და გარეგანი უპირატესობის აჩრდილითაც კი არ უნდა შეურაცხყოფდნენ ერთმანეთს.

– გეთანხმებით. ჩემი საყვარელი პიროვნებები და მოღვაწეები არა მარტო ძველის დამანგრევლებია, არამედ ძველის კარგად გამგრძელებლებიც, მაგალითად, ლუთერი, ვოლტერი – ენციკლოპედისტები, ბაირონი და ასე შემდეგ. იცი, რატომ არის ჩემთვის ვოლტერის მკრეხელობა უფრო საინტერესო? უფრო სწორედ საამო, ვიდრე რელიგიის, საზოგადოების ან ვისიმე ავტორიტეტის აღიარება? ვიცი, რომ შუა საუკუნეები დიდი ეპოქაა, თავისი პოეზიით, რელიგიის სიწმინდითა და გრანდიოზულობით, რამაც შექმნა უდიდესი კედლის მხატვრობა, მუსიკა და რამდენი ხელოვნების დარგი შვა, უდიდესი დამსახურება მიუძღვის, მაგრამ მე უფრო მეტ სიამოვნებას მგვრის რელიგიის დაცემის ეპოქა, კერძოდ, XVIII საუკუნე, იმიტომაც რომ შუა საუკუნეებში კოცონზე წვავდნენ თავისუფლად მოაზროვნეებს, ჯადოსნებს, XII საუკუნეში გილიოტინაზე თავს კვეთდნენ არისტოკრატებს, ხუცებს, დადგება დრო, როდესაც არავის არ დასწვავენ, არავის არ მოჰკვეთენ თავს და არც არავის არ მოუწყობენ ტერორს.

დედაბრიშვილი: ჩვენ ვუბრუნდებით ისევ იმ კამათს, გუშინ რომ ვამბობდით, დამნაშავე უნდა დაისაჯოს, აბა, როგორ გინდა, ანარქია როგორ უნდა მოსპო, სწორედ ისეთი, როგორიც დღესაა.

– ადამიანი გაორებულია მუდამ, ყოველ შემ-

თხვევაში, უმრავლესობა. მომწონს წარმართული რელიგია, თუმცა, მას კარგად არ ვიცნობ.

მოხუცი: როგორ შეიძლება არ იცნობდე და გიყვარდეს?

– განა მაშინაც არ იყო სიკვდილით დასჯა?

– იყო, მაგრამ ასეთნაირად არა. როდესაც სიკვდილით დასჯას ადამიანი თვითონ მოითხოვს და ვერ ეღირსება იგი მას, იმისათვის, რომ სიცოცხლე იქნება მისი სასჯელი. ისე როგორც ახლა სიკვდილია ასეთ ტირანიაში და არა დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრება.

დედაბრიშვილი: მაშინ მარქსიზმის პროპაგანდისტებსაც ამართლებ რაღაცით.

– მათ უნდოდათ ახალი რელიგიის შექმნა, მაგრამ ვერ შეძლეს. იგი ემსგავსებოდა რომაელთა გლადიატორების აჯანყებას, რომელიც ისევე მალე ჩაახშეს, როგორც კომუნიზმის იდეა, თუმცა, ჩემი სიმპათიები იხრება სპარტაკის პროვნების მიმართ, იგი მამაჩემს მაგონებს, რასაკვირველია, რაფაელო ჯოვანიოლის მიხედვით.

მოხუცი: შენი მსჯელობა მართლაც პარადოქსალურია, თუ მარქსიზმი არ მოგწონს, მაშ როგორ მოგწონს სპარტაკი, მუშათა კლასის ბელადები ხომ ძალიან, ფიზიკურად თუ არა, სულიერად მაინც გვანან შენს საყვარელ სპარტაკს.

– არა, მე იმას ვიტყოდი, რომ ანარქიას სჯობს ყოველგვარი სახელმწიფოებრივი წყობილება, თუმცა იდეალურისაგან ყველა შორსაა.

დედაბრიშვილი: ჩვენს რეალობაში რატომ ხელისუფალნი არ მოქმედებენ კანონით? იმიტომ, რომ თავი დაიცვან დანაშაულისაგან.

– მე კი მგონია, იმიტომაც, რომ არ უნდა აღიზარდოს ცივილიზებულ გარემოში მკვლელი.

საათს დავხედე. ჩემი შინ წასვლის დროს კარგა ხანია გადამიჭარბებია, მოხუცს – შოთა პაპას დავემშვიდობე და შინისაკენ გავუყევი.

მივდიოდი და ვფიქრობდი, ჩემთვის საინტერესო იყო შოთა პაპა, მაგრამ პოლიტიკაზე აეწყო ჩვენი საუბარი. აწი რომ შევხვდები, ვეცდები სულ ხელოვნებაზე ვესაუბრო. გამახსენდა რუსთაველის თქმული „ანუ მომეც განკურნება ანუ მიწა მე სამარი“. სხვა ვერ განგკურნავს, მხოლოდ შენ უნდა ეძებო და პასუხიც იპოვო. დღემდე დიდი სურვილი კი მაქვს, რამე საღი აზრი გავიგონო ხელოვნებაზე, მაგრამ ძალიან იშვიათად თუ ვინმე რამეს გეტვის. დიდ ხელოვნებას არ ან ვერ ასწავლიან ვერავის, ისევ შენ უნდა ეძებდე და შენვე პოულობდე ხელოვნების იმ დაფარულ გამომსახველობის ხერხებს, რასაც სხვანი ვერ გიკარნახებენ.

ავუყევი ქობულეთის აღმართს, ბევრჯერ ამივლია და ჩამივლია „კოლხური კოშკის“ ახლოს, მაგრამ შიგნით არასოდეს შევსულვარ – მაშინ დიდი სურვილი არც მქონდა. რომც მქონოდა, ალბათ იოლად ვერ მივხვდებოდი და არც სათანადო მომზადება მქონდა იმისა, რომ დიდი მწერლისთვის რაიმე ისეთი მეკითხა, ან კიდევ ისეთ საუბარს გავუმართავდი, იმისთვის საინტერესო რომ ყოფილიყო. ეს გახლდათ სწორედ დაბრკოლების მიზეზი.

ნებისმიერ ადამიანთან შეხვედრას თავისებური მომზადება სჭირდება, მით უმეტეს, ისეთ მწერალთან, როგრიც კონსტანტინე გამსახურდია იყო, მე იგი მარტო რუსთაველის პროსპექტზე და თეატრში მინახავს.

ერთი კვირის შემდეგ კვლავ შევხვდი შოთა პაპას. იგი ისევ „ობლების სასადილოში“ იჯდა ერთ კუთხეში ლუდის ბოთლებით და მინორულ კაიფს განაგრძობდა.

მივედი და თან ორიოდ ბოთლი ლუდი მივუტანე, ჩამოვჯექი. გულიანად მომესალმა.

– შოთა პაპა, ამბობენ, დისჰარმონია ჰარმონიის პირობააო.

შოთა: ეგრე რომ არ იყოს, დელაკრუა არ იტყოდა მაშინ: „Неуклюжесть направляет рука художника“. მაგრამ იცი რა არის უბედურება, როცა ვინმე შემკვეთისათვის ასრულებ რამეს ან ვიღაცის პორტრეტს, იქ პატარა წერტილიც კი დილეტანტისთვის თვალშისაცემია და შენ, ხელოვანი, იძულებული ხარ, გაასწორო და დაიყვანო ფოტოგრაფიულობამდე იმიტომ,

რომ სულერთია – ეს გაასწორე, ეს მოშალე, ეს გადაღებე და ა.შ. ისე კი დიდი მხატვრების ნაწარმოებებსაც უბრალო მღებავიც კი გაასწორებს, მაგრამ მხატვარმა რომ თავიდანვე მიაქციოს ყურადღება მას და ასწოროს ყველაფერი, მაშინ ის დიდი ცეცხლი შემოქმედებისა ჩაქრება და გამოვა მშრალი აკადემიზმი.

– გეთანხმებით, შოთა პაპა, მაგრამ არსებობს ლეონარდო და მის ნახატებს ან ფერწერულ პორტრეტებს რომ შეხედო, ყველაფერი გათვლილი და გაანგარიშებულია, სფუმატოც ხელს უწყობს მის სიფრთხილესა და თავდაჭერილობას. განა მის ნახატებს გაასწორებს ვინმე?

– სუსტი მხარეები ლეონარდოსაც და მის ფერწერსაც ახლავს. ზოგიერთნი, მაგალითად, მის ფერწერას გრაფიკას ეძახიან. უფრო მეტსაც გეტყვი, ველასკესმა დუმილით ჩაუარა რაფაელის ფრესკებს, მიქელანჯელოს ფრესკებსაც გრაფიკას უწოდებენ ზოგიერთნი. ჩემის აზრით კი, რა შუაშია ფერწერა ან გრაფიკა, მთავარია, მხატვრული ნაწარმოები თუ არის ის, რასაც ადამიანის თვალი უყურებს – ეს არის და ეს.

– აკადემიაში კი ასე გვასწავლიან, ზოგიერთნი იზიარებენ რუსთაველის ნათქვამს და იმეორებენ: „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა“.

მოხუცმა გაიღიმა, გაუხარდა რუსთაველის ხსენება და პაუზის შემდეგ დაუმატა:

– მართალია, მაგრამ ფორმა? ფორმა იკარგება ფერთა თამაშში. სეზანმა დააკავშირა უფრო მეტად ფორმა და ერი ერთმანეთს, ავიღოთ თუნდაც მოდილიანი, მასთან ვერ ნახავთ კონტრასტებზე აგებულ ფერწერას, მას უფრო ფორმა და პლასტიკა აინტერესებს, ხოლო ფერი მისთვის დამხმარე საშუალებაა.

– განა უდიდესი ფერმწერი რემბრანდტიც სულ რამდენიმე ფერით არ აღწევს ყველაფერს? მე მისი სურათები მინახავს, ორიგინალები და როცა უყურებ, ასე გგონია, თაფლით სწერდა ყველაფერს, ოქრო, ბორდო და შავი... ამით ჰქმნის სწორედ იმას, რასაც ჰქვია „გვაქვს უთვალავი ფერითა“.

მოხუცი კვლავ ჩაფიქრდა, ლუდი ისევ ცხვირთან მიიტანა.

– იცი, რას გეტყვი? ვან გოგი სულ სხვა ვინმეა. მან თავდაყირა დააყენა ფერწერა. რემბრანდტი შეუცვლელია, მაგრამ არსებობს ვან გოგიც, რომლის პატარა „მზესუმზირებიც“ აუქციონზე ყველაზე ძვირად ფასობს.

– გემოვნებაზე არ დავობენ, ყველაზე იოლი გამოსავალია „არა უშავს“, „დამავიწყდა“, „თითქოს მოდაშია“ და ა.შ. ეგვიპიტე, ძველი საბერძნეთი და რომი სულ მოდაში იქნებიან, მაგრამ არც რემბრანდტი და ველასკესი გაადავლენ მოდიდან. ჩვენც გვყავს თითო-ოროლა მსოფლიო მნიშვნელობის მხატვარი და პოეტი, მაგრამ ჩვენი უბედურება ისაა, რომ არავინ გვიცნობს. რატომ არ უნდა გვიცნობდნენ? ჩვენ თუ შორეულ იაპონელებს ვიცნობთ, ზუკუსასი და ისაკავა ტაკუ ბოკუს, სხვებმა ან იმათ რატომ არ უნდა იცოდნენ ყინწვისის ანგელოზი, ქართული საგალობლები ან ვაჟა-ფშაველა?

– იმიტომ, რომ ლათინურ ენაზე არ დაწერილა ნიკოლოზ ბარათაშვილის „სულო ბოროტო“, არც ვაჟა, არც გალაკტიონი და არც რუსთაველი. ჩვენ ენას, შეიძლება უფრო მეტი ჟღერადობა გააჩნია, ვიდრე ლათინურს, მაგრამ მაინც მხოლოდ რეცეპტების ენად იქცა ლათინური. ენა ჩვენ კი შემოვინახეთ, მაგრამ მაინც არ გვიცნობენ, ისე როგორც საჭიროა.

– ოჰ, ეს მაგრამ, მაგრამ რომ არ ყოფილიყო, რა უნდა გვექნა არ ვიცი, პირდაპირ ის „მაგრამ“ აფუჭებს სწორედ ყველაფერს. „მე მქონდა ბინა, თავშესაფარი, მაგრამ ქარიშხალს არ ჰქონდა ბინა“. აქ კი ხედავ? რა დიდებულად იხმარა ეგ სიტყვა იმ მართლაც გენიალურმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ.

– პირველ ხანებში არ მომწონდა გალაკტიონი იმიტომ, არ ვიყავი სათანადოდ მომზადებული და მომწიფებული. სკოლაში შეუძლებელია გალაკტიონის გაგება, სკოლაში კი არა, არც სკოლის შემდეგ იცის ბევრმა, თუ ვინ იყო გალაკტიონი. მის პოეზიას მაღალი დონე

სჭირდება, რომ ჩაწვდე. მისი მუსიკალურობისა და ლირიკის გაგება თუ გინდა, განათლებასთან ერთად, დაახლოებით ისეთი ცხოვრების გზა უნდა გქონდეს გამოვლილი, როგორიც მან გამოიარა. აი, მაშინ გახდება გასაგები „ედგარი მესამედ“, „მერი“, „რომელი საათია“, გურიის მთებს“ და სხვა.

გაუხარდა მოხუცს, რომ ისიც ისეთი ბოჰემა იყო, როგორიც გალაკტიონი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ერთი ჰქმნიდა, მეორე კი აღარ, ერთმა პოეზიას ანაცვალა ყველაფერი, მეორემ კი ალკოჰოლს, ერთმა ალკოჰოლი გამოიყენა პოეზიისათვის, მეორემ კი ალკოჰოლით მოისწრაფა სიცოცხლე. მისი ცხოვრება ერთი შეხედვით ზემოდან ჭაობი იყო, ხოლო სიღრმეში, ქვემოთ გიზგიზებდა ცეცხლი ხელოვნებისა, სივარულისა, სამშობლოსი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დიდი ხანია დაგვაკარგვინეს სამშობლო და ჩვენი ხალხის სიყვარული.

ჩვენი სიყვარული მოჩვენება ყოფილა და მეტი არაფერი, რადგან სიყვარულიც ძველდება და რაც ძველდება, ის აღარ არის ნამდვილი სიყვარული, მხოლოდ სამშობლოს სიყვარული არ ძველდება, მაგრამ სამშობლო დაგვაკარგვინეს. ხომ ვთქვი ზემოთ, ვინ დაგვაკარგვინა – მარტო მტრებმა კი არა, მტრებთან ერთად ჩვენივე ხალხმა, ქიშპობამ, შურმა, გაუტანლობამ, სიძულვილმა.

– ვინკელმანმა კლასიკური საბერძნეთის ხელოვნება დაუპირისპირა რომის ხელოვნებას, რომლის ქვაკუთხედად იგი თვლიდა პოლიტიკურ თავისუფლებას.

მოხუცი: ჟულიკები არიან ხელოვნებათმცოდნეები ზულცერი, გოტშედი, ბაუმტირტენი, ვინკელმანი, არიან მათ შორის წესიერი ჟულიკებიც. რა საჭიროა ხელოვნებათმცოდნეობა, რატომ არ არის ფიზიკათმცოდნეობა, ქიმიათმცოდნეობა, ქირურგიათმცოდნეობა, თავად მხატვარი უნდა იყოს ხელოვნებათმცოდნე.

– რატომ ხელოვნებათმცოდნე გადასცემს ხალხის მასებს ხელოვნების არსს და დანიშნულებას ხალხისა და ქვეყნის მიმართ. განა ვილკელმანის დამსახურება არაა ის, რომ გერმანელ ხალხს გააცნო ანტიკური ხელოვნება და ამით საფუძველი ჩაუყარა ანტიკური ხელოვნებისა და ესთეტიკის ახლებურ გაგებასა და გააზრებას. ის ხელოვნების ქვაკუთხედად თვლის ამაღლებულ მშვენიერებას, ჰარმონიას, რასაც ჰქმნის ბუნება და ფანტაზია, ნიჭი და სინამდვილე. შენ რომ ლანძღავ, ეს ის ვინკელმანია, რომელმაც თქვა: „არიან ადამიანები, რომლებიც სილამაზეს უპირატესობად არ თვლიან, რადგან ყველა ლამაზია. მოგზაურები ამას ერთხმად ამბობენ საქართველოზე“.

– რას ამბობ, ვინკელმანმა რა იცის, რამდენი მახინჯია საქართველოში, ვინ მოსთვლის. ალბათ თვითონ იყო თბილისში, გაიარა ერთხელ რუსთაველზე და ალალბედზე წააწყდა ლამაზმანებს, ეგრე როდია საქმე, მართალია, ბევრი ლამაზმანი გვყავს, მაგრამ მათ გვერდით ბევრი მახინჯიც დადის, რა თქმა უნდა, საშუალო უფრო მეტია, ვიდრე ულამაზონი და ლამაზები.

– შოთა პაპა, ამაში არ გედავები. საქართველოში სხვადასხვა მხარეში, სოფლებში მეც მინახავს ისეთები, კვაზიმოდოს რომ ჰგვანან გარეგნობით. მაგრამ ესმერალდაზე კარგებიც მინახავს ჩვენში.

– ჩვენშიც არიან ისეთები, რომელითაც სხვა ერები იტრაბახებდნენ.

ვინკელმანისა და ლესინგის შეხედულებები ზოგ რამეში ემთხვევა, მაგრამ ჩემთვის მაინც არ არის ამომწურავი ის აზრი, რომ სახვითი ხელოვნება – გაქვავებული სიმშვიდეა, პოეზია კი დაუსრულებელი მოძრაობაა.

– ჰეგელის აზრითაც ლაოკოონი არაა მოკლებული თეატრალობას, მანერულობას და უფრო გვიან ხანას ეკუვნისო.

მოხუცს თითქოს არ გაუგონია ნათქვამი და ლუდი კვლავ მიიტანა დიდ ცხვირთან.

– შენ, ზოგიერთი ჩვენი პროფესორის მსგავსად, ლანძღავ ვინკელმანს, ლესინგს,

სხვებს, დიდრო კი გენიოსის მთავარ თვისებად თვლიდა არა წარმოსახვის თვისებას და აღფრთოვანების ეფექტს, არამედ მოვლენის სიღრმეში წვდომის უნარსა და მაღალ ოსტატობას, ანტიკური ეპოქის გენიოსების ამ თვისებასა და ღირსებას სწვდებიან და ადიდებენ ახალი დროის გენიოსები – ვინკელმანი და გოეთე.

– დიდრო ჩემთვის მოძველდა, ახალი კი... მარად ახალი, იცი რა მგონია, мой мальчик? ჩვენი ქართული ხალხური ლექსი „თავფარავნელი ჭაბუკი ასპინძას ქალსა ჰყვარობდა“. აი, ეს მგონია უბერებელი.

– ბევრი უწერია ესთეტიკაზე გოეთეს – გენიალურ პოეტ-ენციკლოპედისტს, მოაზროვნეს, რომელმაც ბრწყინვალედ იცოდა ლიტერატურა, ხელოვნება, თეატრი, ფიზიკა, ქიმია, ანატომია, მორფოლოგია, ფიზიოლოგია და ოპტიკა, მხოლოდ უმეცრებითა და დაბალი ესთეტიკური გემოვნებით შეიძლება აიხსნას სკეპტიკოსთა და ნიჰილისტთა პრეტენზია ერთი ადამიანის მრავალმხრიობის შესახებ. რა დროც უნდა დადგეს, ეს მრავალმხრივობა ძალაში დარჩება. მას თავისი რეალისტური პრინციპებიდან არ გადაუხვევია.

შოთა პაპამ გაიღიმა, ცოტა ხნის შემდეგ შემომხედა და მეუბნება:

– შენ გჯერა მაგი? ერთ ადამიანში არა მგონია ამდენი ცოდნა იყოს თავმოყრილი. გოეთე ვერ სძლევს ანტიკურობის ჯადოს, ადიდებს ბუნებასა და ხელოვნების სიახლოვეს ქმნილების შინაგან თუ გარეგან წესრიგსა და ჰარმონიას, ბუნების მსგავსად მოვლილ შინაგან კანონზომიერებას და ლოგიკას.

– ოო, ეს შინაგანი... შინაგანი, რატომ არ დაიხვიეთ ხელზე თქვენ და თქვენი თაობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა სიტყვა „შინაგანი?“

– ჰეგელის ცნობილი დებულებით, რომანტიკული ხელოვნება, საერთოდ, ხელოვნების აღსასრულია. ვერც ჰომეროსი, სოფოკლე და შექსპირი ვერ განმეორდებიან. „ყველაფერი ითქვა თავისუფლად და ბოლომდე“. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხელოვნება საერთოდ დასრულდა. არა, შეიცვალა მხოლოდ ხელოვნების საგანი და არა შინაარსი. მითოლოგიას და ისტორიას სულაც არ დაუკარგავს თავისი როლი და მნიშვნელობა, ოღონდ ორივე ემორჩილება ახალ შინაარსს, ამაღლებს და ალამაზებს მას. ამის შესახებ უკვე ვილაპარაკეთ ჩვენ.

– არც ჰეგელის მჯერა მთლიანად. განა, ჰომეროსის შემდეგ არ დაიბადა იგივე შექსპირი, მიქელანჯელო და რემბრანდტი? არადა, რემბრანდტის შემდეგ არ გაჩნდა ვან გოგი? თუ გნებავთ, თქვენივე სკეპტიციზმი რუსული ხელოვნებისა?

აქ შემაჩერა მოხუცმა:

– არა, რუსულ ხელოვნებას პატივს ვცემ – ვრუბელს, კანდინსკის, შაგალს, ლევიტანს, ნესტეროვს, სეროვს, კუინჯის და მრავალს, მაგრამ სტასოვს ბევრ რამეში ვეთანხმები, როდესაც ივანოვზე საუბრობს. იმაში არა, თუმცა, იმაშიცვე, რომ იტალიური რენესანსის შემდეგ ისეთი ტილო არ დაწერილა, როგორიც „Явление Христа“ დაიწერაო.

– კი, მაგრამ იგივე სტასოვი არ ამბობს, ქრისტე ამ სურათში ორდინარულია და неудачен.

– არა, მაგას სტასოვი ამბობს ქრისტესა და მარიამ მაგდალინელზე, ამბობს მერე და ბოლო სურათზე, ფაქტობრივად, მთელი ცხოვრება რომ სწერდა, ეს იყო „Явление Христа народу“ აქ ივანოვი ამაღლდა უზარმაზარ სიმაღლემდე, როგორც არასოდეს ამაღლებულა რუსული ხელოვნება, თუ არ ჩავთვლით, რა თქმა უნდა, რუსულ ფრესკებსა და ხატწერას.

– მაგრამ სტასოვი იმასაც ამბობს, ივანოვი ვერასოდეს ვერ აღწევს ბრწყინვალე კოლორიტს – ისეთს, როგორსაც აღწევდნენ, მაგალითად, ტიციანი და სხვები რომ იყვნენ. თუ არა ხარ დაბადებით კოლორისტი, ვერასოდეს გახდები ძალით კოლორისტი.

– გარდა კოლორისტისა, სხვა დანარჩენი მის სურათში სხვებზე მეტადაა დამთავრებუ-

ლობა, უფრო სწორად, სრულყოფილება.

– შოთა პაპა, მიკვირს სტასოვისა და მისივე საწინააღმდეგო აზრებისა.

ის რომ, იგივე სტასოვი წერს: „არ შეიძლება არ დაინახო სხვადასხვა ნაკლოვანებანი ივანოვის სურათში, ისინი გამორბიან წინ „იოანე ნათლისმცემელში“ და ეჩხირებიან თვალში ადამიანს. მიუხედავად ამისაო, იგი ჩვენთვის უძვირფასესია თავისი გამომსახველობით, ტიპაჟებით, გნებავთ: პლენერის შეგრძნებით.

მოხუცმა სიგარას მოუკიდა, მერე თავი ასწია და წარმოთქვა:

– ჰო, მისი ეტიუდები უკეთესია, ვიდრე სურათი. Имей Иванов талант Брюллова или Брюллов душу и сердце Иванова, каких чудес мы были бы свидетелями!

– გეთანხმებით, მაგრამ გამოვიდა ისე, რომ ერთი მათგანი შემძლე იყო, გამოესახა ყველაფერი, რაც უნდოდა და მეორემ შეძლო ეთქვა ბევრი, მაგრამ მისი ენა ცელავდა, ერთი წერდა ეფექტურ სურათებს, მაგრამ პოეზიის გარეშე, უგულოდ, მეორე ღრმად ატაცებულ სიახლეს, ცოცხალ აზრს, მაგრამ შესრულება გამოუვიდოდა არათანასწორი, მიახლოებითი, არაცოცხალი.

– ერთი შეიძლება ითქვას, წარმოგვიდგენდა ჩვენ სიყალბეს, მეორე ყალბად, სუსტად და დაუჯერებლად წარმოგვიდგენდა სიმართლეს.

– რატომ ისმება ასეთი კითხვა, რისთვის გვჭირდება ჩვენ შესწავლა ივანოვისა? როცა არიან უზარმაზარი მაღალი ჟღერადობის რეგისტრები? მაგრამ ამაშია დამსახურება დიდი ტალანტისა, იდეალისტისა, მოაზროვნისა, რომ ის აჩვენებს სხვებში იაფფასიან დაუკმაყოფილებლობას.

– არ არის შემოქმელებითი გრანდიოზულობა, არ არის და არ გვასულდგმულებს მისი ქრისტე, არც მისი იოანე ნათლისმცემელი.

– იცი, რას გეტყვი, შოთა პაპა? აი, ამდენი ხომ ვილაპარკეთ ივანოვისა და ბრიულოვის შემოქმედებაზე, მაინც გაუგებარია იმიტომ, რომ მართალია, თურმე ასზე მეტი კერძი მზადდება კვერცხისაგან. ჩვენ შემწვარ-მოხრაკული კერცხის მეტი არა ვიცით რა, თუ არ ჩავთვლით ჩირბულს.

მოხუცმა გაკვირვებით შემომხედა და მკითხა: – რა არის ჩირბული?

– ოო, ჩირბული ისეთი რამეა, როცა მთვრალი ხარ, განსაკუთრებით მეორე დღეს, გამოყავხარ მდგომარეობიდან, მაგას ჩვენთან, აჭარაში აკეთებენ, კვაწარახისა და კვერცხისაგან, წვნიანი, უგემრიელესი კერძია.

მოუნდა მოხუცს მისი გასინჯვა, მაგრამ აბა საიდან? კერძებს ვერ ვაკეთებ და დედაჩემი ბათუმში იყო, მაგრამ მოხუცს მაინც ვუთხარი, ბათუმში რომ წავალ, ჩამოგიტან და გაგასინჯებ-მეთქი.

– ხუმრობა ხუმრობაა, მაგრამ აბა ვნახოთ, – თქვა ლუდით გაბრუებულმა მოხუცმა.

ისევ დავუბრუნდით ხელოვნებას.

– იცი, რატომ ვამბობ მაგას შოთა პაპა? ადამიანი რასაც აკეთებს, მხოლოდ მერე ხვდება, თუ რა სირთულეებთან აქვს საქმე „მეცნიერება არ არის შემოქმედება, მისი სტიქია არა თავისუფლება, არამედ აუცილებლობაა“. ლეონარდო კი ხელოვნებას მეცნიერებას უწოდებდა.

დედაბრიშვილი ჩაფიქრდა და განაგძო: – აი მაგაში არ ვეთანხმები ლეონარდოს, თუმცა მეცნიერება არის გრუნტის მომზადება, საღებავებისა და პიგმენტების ცოდნა, თუ როგორი მიწისაგან მზადდება და როგორი კრისტალისაგან ხარისხიანი საღებავი, მაგრამ ამათ ყველაფერს ხელოვნება მოიცავს და მისი დანამატია და არა ხელოვნება მთლიანად.

– მე პირადად, რაც დრო გადის, ნიჭს ნაკლებად პატივს ვცემ, ვიდრე შრომას, რასაკვირველია, სახვით ხელოვნებასა და პროზაში, ხოლო მუსიკასა და პოეზიაში კი ნიჭს ვეთაყვანები.

– ისე არაფერი დგას მუსიკასთან ახლოს, როგორც ფერწერა, არცერთს თარგმნა არ ესაჭიროება, არც ქანდაკებას, პოეზია და პროზა მაშინ წაიკოჭლებენ, განსაკუთრებით პოეზია.

– დიახ, ჩემი აზრით, პოეზია არ ითარგმნება. მე წავიკითხე „ილიადა“ ჰომეროსისა და

მას ისე ვერ ჩავწვდი, როგორც მსოფლიოს ხალხები აქებენ. მარტო იარაღის ჟღარუნის ხმა მესმის და მეომართა ტირილი და გოდება. „ოდისეა“ კი მეტად საინტერესოა.

– გეთანხმები, მაგრამ პოეზიას აქვს მეტი საშუალება, მეტი ასპარეზი, რომ ასახოს ცხოვრება თავისი მრავალფერვნებით, ტანჯვითა და სიხარულით, სიტყვით ადამიანი შეიძლება მოკლა და განკურნო, მაგრამ ფერწერით ან ქანდაკებით იშვიათად რომ ვინმე აატირო.

– სამაგიეროდ, განაცვიფრებ და გააკვირვებ სხვას. უნიჭოთაგან ხშირად გაიგონებ: ვის გააკვირვებ, ვის რაში სჭირდება, ჩვენ ნუ შევედრებით დიდებს და ა.შ. მე აკადემიაში გამიმართლა, და ისეთ მასწავლებლებთან მომიწია სწავლება, რომლებიც კარგად ხატავდნენ და პირიქით მეუბნებოდნენ, ისედაც ისწავლი ხატვას, როგორც ლეონარდო ხატავდა ან რატომ არ უნდა შეედარო იმავე მიქელანჯელოსო, შეიძლება როგორც სტუდენტებს, გულს გვიკეთებდნენ, მაგრამ ისინი დღესაც ასე ფიქრობენ, როგორც მაშინ, პირველ კურსზე. ახლა კი მესამეზე ვარ და იმასვე მეუბნებიან, რასაც მაშინ.

– „როცა სხვაზე მაღალი ხარ, სხვაზე მეტი იცი და სხვაზე მეტს აკეთებ, მუდამ დარტყმის ქვეშ იქნები“ – უთხრა სოკრატემ პერიკლეს.

– ლაოკოონის მსგავს ქმნილებებს არ სჭირდება არც შელამაზება და არც განმეორება, ნერონმა მაკედონელის ქანდაკების მოოქროვება ბრძანა და გააფუჭა. დიდროს კი ასე უთქვამს ამის შესახებ, რომ „ურჯუკებს გემოვნება არა აქვს“.

– გემოვნებაზე არ დავობენო, გემოვნებასაც აღზრდა უნდა, როგორც სხვა რამეებს, რაც უფრო დიდია მხატვარი და ოსტატი, მით უფრო დახვეწილია მისი გემოვნება, ის დაოსტატების დროს იხვეწება, როგორც ხელოვანი. მიქელანჯელოს ტყუილად უკიჟინებენ, ნამეტანი ტლანქი ფიგურებია მის ფრესკებშიო, ეს ბაროკოს სტილიაო, ის დეტალებს უკეთ გადმოსცემს, ვიდრე მთლიანობასო და, რა ვიცი, რამდენ საწამლავ ნემსს უკეთებენ კრიტიკოსები ცხონებულს, მაგრამ ერთი რამ თვალთახედვიდან ეპარება ყველას. რომ მის ენას ის ბაროკო ესაჭიროება, მის სალაპარაკო ენას სწორედ ის უხდება, რასაც ის ძერწავდა და ხატავდა. მე ჩემს ბავშვობაში წამიკითხავს ძველი მსოფლიოს ისტორიის წიგნში ლაოკოონი და მისი შვილები როგორ იღუპებიან გველთან ბრძოლაში, სიბრალულისა და თანაგრძნობის ფიქრი არ მასვენებდა, ის დღემდე არ გაქარწყლებულა. ლაოკოონის კუნთები მიქელანჯელოს გმირებზე ნაკლები როდია. ის კი არა, ზოგ დილეტანტს მიქელანჯელოს ქანდაკება ჰგონია, მე კი მგონია რომ რაღაცნაირი გაგრძელებაა, მიქელანჯელოს მონებში რომ გადმოსულა მათი გმინვა და ისინიც ლაოკოონისა და მისი შვილებივით იტანჯებიან არა ურჩხულისგან, არამედ სხვა მიზეზის გამო, რასაც დიდი მოქანდაკე არ ამზეურებს, პირიქით, იგი ანზოგადებს და მხილველს უტოვებს ფიქრის საშუალებას, თუ რატომ იღუპება მომაკვდავი მონა.

– ფოტოგრაფიულობა ცუდია ხელოვნებაში, მაგრამ ფოტო შეიძლება კარგად გამოიყენო მხატვარმა, რა ვიცით ჩვენ, ადრე რომ ყოფილიყო ფოტო, როგორ გამოიყენებდა ლეონარდო მადონების ხატვის დროს ფოტოს და არც მის ტყვეობაში არ მოექცეოდა. უბრალოდ ზედმეტ შრომას შეუმსუბუქებდა კიდევაც. ის მაშინ არ დასვრიდა თაბაშირის ხსნარში? „დაკაპიროვკებას“ და არ გადააფარებდა საგნებს, არ დაუწყებდა ხატვას. ამას ფოტო მალე დაუფიქსირებდა. ანდა ვინ იცის, როგორ გამოადგებოდა, მთავარია, ფოტოს ტყვეობაში არ მოექცეს მხატვარი.

– მე მგონი სალვადორ დალი იყენებდა ფოტოს.

– ოო, სალვადორ დალი მაღიზიანებს. გიჟია მაგი, თუმცა კი ვთქვი: „Смех сумасшедшего“ ზოგიერთი რამ კი მომწონს სალვადორ დალის: აი, გრაფიკა კი მთლიანად მომწონს.

5 ივლისი, 2003 წ.

დეზიკა სუმბაძე

ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად

(ანუ: ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის: „დავითიანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში)*

საქართველოს ეკლესიის აწყობა მსოფლიოს ახალი წესრიგისა და ანკესის ტექნოლოგიის დანერგვისათვის

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბიბლია ქართული ცნობიერებით სათანადოდ ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი.

ალბათ გამონაკლისს სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული კირიონ მეორე წარმოადგენს (გიორგი საძაგლიშვილი), დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პატრიარქი (1918 წლის), რომელიც გაურკვეველმა ძალებმა, თავის საპატრიარქო რეზიდენციაში, მოკლეს ღამით, საწოლში მძინარე და ხელში დააჭერინეს რევოლვერი, ვითომ მძინარე პატრიარქმა თვითონ მოიკლა თავი. ისტორიულმა წყაროებმა გვამცნეს, რომ გამოძიების შედეგად მიღებული ინფორმაციით, ნასროლი ტყვია და კათალიკოსის ხელში ჩაჩრილი იარაღი, ერთიდაიგივე მარკისა არ იყო... რაც, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ იგი სხვა იარაღით ნასროლი ტყვიით იყო მოკლული... ეს გახლავთ ერთერთი საშინელი მკვლელობა საქართველოს ისტორიაში, რომელიც დღემდე აუხსნელია და იდუმალებით მოცული... მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნება შევნიშნოთ, რომ ცნობილმა რუსთველოლოგმა, ბ-ნმა **გაიოზ იმედაშვილმა**, 1980 წლიდან მოყოლებული, თერთმეტი წელი ატარა საპატრიარქოში, მის პირად, ოჯახურ არქივში დაცული, თავისი მამის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, **იოსებ იმედაშვილის** გამოუქვეყნებელი წერილი კირიონ კათალიკოსის მკვლელობაზე, და მის გამოქვეყნებას საეკლესიო პრესაში ვერ მიაღწია. ბ-ნ გაიოზს ბავშვობიდან ვიცნობდი და ხშირად შემომჩიოდა კირიონის წერილთან დაკავშირებით, მაგრამ მე, როგორც საპატრიარქოს პატროლოგს, არავითარი უფლებები არ გამაჩნდა. საპატრიარქოს ყოველთა საქმეთა მმართველი და ყოველგვარი უფლებამოსილებით უფლებამოსილი, შეიძლება ითქვას, ერთგვარი ჰიუმორითაც, მსოფლიო საეკლესიო კრებათა საღვთისმეტყველო კომპეტენციების ჩათვლით, პატრიარქის თანაშემწე ქალბატონი გახლდათ. მახსოვს, ერთ საღამოს, პატრიარქის ვახშამზე ბ-ნი გაიოზ იმედაშვილი ბრძანდებოდა. სუფრას პატრიარქის თანაშემწე ქალბატონი ემსახურებოდა. ბ-ნმა გაიოზმა, რომელმაც ვერ მიაღწია ამ ყველა უფლების მფლობელი ქალბატონისაგან თანადგომას, ეტყობა ვეღარ მოითმინა, და როგორც კი ქალბატონი

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, №4, 5 2015.

ოთახიდან გავიდა, ხმამაღლა, ყველას გასაგონად იკითხა: „ვინ არის ეს შორენა, თქვენო უწმინდესობავ?“ უწმინდესმა არაფერი უპასუხა. რამდენიმე წუთში ქ-ნმა თანაშემწემ კიდევ რაღაც შემოიტანა სუფრაზე და გავიდა. ბ-ნმა გაიოზმა თავისი შეკითხვა უწმინდესის მიმართ კვლავ ხმამაღლა გაიმეორა, ყველას გასაგონად. უწმინდესმა კვლავ არაფერი უპასუხა... ბოლოს და ბოლოს ბ-ნმა გაიოზ იმედაშვილმა მამამისის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, იოსებ იმედაშვილის დანატოვარი ისტორიული წერილი საქართველოს დიდი კათალიკოსის კირიონ მეორის მკვლელობაზე, რომლის გამოქვეყნების მომენტსაც იგი წლობით ელოდა, გაზეთ „კომუნისტში“ შესძლო რომ გამოექვეყნებინა, 1991 წელს. წერილის ავტორი კირიონ კათალიკოსის მკვლელობაში პატრიარქის პირად თანაშემწედ დანიშნულ ვინმე **დავიდოვს** ამხელდა, რომელიც, საქართველოს პატრიარქს, სახელმწიფოს მიერ მისთვის თანაშემწედ დანიშვნისთანავე განგაშით გაუძევებია თანამდებობიდან...

– დავიდოვს თუ არ მომაშორებთ, პატრიარქის სამოსს გავიხდიო – უბრძანებია. საქმე იმაში გახლავთ, რომ პატრიარქის თანაშემწეობა იმდენად დიდი და საპატიო თანამდებობობა ყოფილა ბიზანტიის იმპერიაში, რომ თორნიკე ერისთავს, ბარდა სკლიაროსის დამარცხებისა და ბიზანტიის გადარჩენის შემდეგ, იმპერატორისაგან ჯილდოდ, კონსტანტინოპოლის პატრიარქის თანაშემწეობის შეთავაზება მიუღია, თუმცა მას ამაზე უარი უთქვამს, და დაბრუნებულა ათონის მონასტერში. „სუინკელოსი“ ბერძნული სიტყვაა და „სვინკელოსობა“, პატრიარქის, როგორც ბერის და პირველიერარქის „თანამოკელიობას“ ნიშნავს. **თორნიკე ერისთავის** ამ ისტორიიდან ისიც ნათელი ხდება, რომ სვინკელოსის დანიშვნის პატივი ბიზანტიის იმპერიაში, სადაც მსოფლიო საეკლესიო კრებებს იმპერატორები ნიშნავდნენ და საერო კანონებს საეკლესიო კანონების მიხედვით ასწორებდნენ, იმპერატორს ჰქონდა. ამგვარი დანიშვნით, სიმბოლურად, სვინკელოსის სახით, სახელმწიფო იყო ეკლესიის მსახური. ეს ტრადიცია საქრისტიანო მსოფლიოს, როგორც ჩანს, დღემდე შემორჩა. თუმცა, თუ მაგალითად, ინგლისში ანგლიკანური ეკლესიის მეთაურად მონარქი ითვლება, ხოლო შვედეთის სამეფოში პროტესტანტული ეკლესიის მეთაურად – მეფე, ეს ტრადიცია, ბუნებრივი და ლოგიკურია, ცალკეულ ქვეყანაში მიიღებს თავის ინდივიდუალურ სახეს. საქართველოს ეკლესიაში, რომელიც კათალიკოს კირიონ მეორის დროს, მსოფლიო საქრისტიანო სივრცეში ავტოკეფალურია, ხოლო სახელმწიფოსთან მიმართებაში დამოუკიდებელი და იდეოლოგიურად დაპირისპირებული, სვინკელოსის დანიშვნა სახელმწიფოს მიერ ატარებს ეკლესიაში შეგზავნილი პოლიტიკური და იდეოლოგიური დესანტის შინაარსს, რაც კათალიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობის, კირიონ მეორისათვის, როგორც ჩანს, პიროვნულად შეურაცხმყოფელი იყო. არ შეიძლება არც იმის დავიწყება, რომ დავიდოვის გაძევება და ამ შეურაცხყოფის თავიდან აცილება მის უწმინდესობას, სრულიად საქართველოს კათალიკოს- პატრიარქს, კირიონ მეორეს, სიცოცხლის ფასად დაუჯდა. იოსებ იმედაშვილის წერილში მოყვანილია უჩვეულოდ მნიშვნელოვანი რელიგიური ფაქტი: კირიონის მკვლელობის შემდეგ კირიონის მიერ გაძევებულ „სვინკელოსს“, მარჯვენა ხელი გახმობია, რაც ხალხის მიერ აღქმულ ყოფილა ღმერთის მიერ მოვლენილ სასჯელად კირიონის მოკვლისათვის. ამგვარად მკვლელი ღვთისაგან იქნა მხილებული, მაგრამ რა იყო მიზეზი და საფუძველი კირიონ კათალიკოსის გამიზნული მკვლელობისა, საიდუმლოდ დარჩა. ხომ არ იყო დაკავშირებული კათალიკოსის ხედვასთან ებრაელთა ბიბლიური ისტორიის მიმართ?! საიდუმლოდ დარჩა ბ-ნი გაიოზისთვის ისიც, თუ **რატომ არ დაბეჭდა საქართველოს საპატრიარქომ იოსებ იმედაშვილის წერილი კირიონ კათალიკოსის მკვლელობაზე თერთ-**

მეტი წლის განმავლობაში?!

საქართველოს ეკლესიაში განვითარებულ მოვლენათა სიღრმისეული ახსნისათვის ალბათ უმნიშვნელო არ უნდა იყოს მოვნიშნოთ, რომ საქართველოს პატრიარქის თანაშემწე ქალბატონი, რომელიც არავინ არ იცის, საიდან მოვიდა და როგორ მოიპოვა ამდენი უფლებამოსილებანი საპატრიარქოში, საპატრიარქოში მოვიდა ეკლესიის მრევლში გავრცელებული ბრალდებით: მკვლელის. ბრალმდებელი გახლდათ საქართველოს ეკლესიის ცნობილი მოძღვარი, **მამა არჩილ მინდიაშვილი**. მამა არჩილი დაუფარავად აუწყებდა ადამიანებს, რომელთა შორის აღმოვჩნდი მეც, რომ მას საცოლე, ნაზი ზვიადაური, ცნობილი დისიდენტის, ნაზი შამანაურის მეგობარი, მოუკლა პატრიარქის ახლანდელმა თანაშემწემ, ხელისკვრით....და მცხეთის გზაზე ზურგიდან მომავალი მანქანის დაჯახებით... ჩემთვის პირადად ამ ბრალდების სიმართლე დაუჯერებელი და წარმოუდგენელი იყო, და მითუმეტეს, ათიათასგზის წარმოუდგენელი იყო, რომ ხელისკვრის შემდეგი სამიზნე მე თავად გახლდით... ეგებ ამის გამოც იყო, რომ მამა არჩილმა საგანგებოდ გამაჩერა და ეს ინფორმაცია კეთილისმყოფელის გაფრთხილებად ჩამიბეჭდა გონებაში. მე მასთან იმდენად დაახლოვებული არ ვიყავი, რომ ჩემთან კონფიდენციალურ თემებზე ესაუბრა... ეს ხმები წამებული დისიდენტის, **ნაზი შამანაურის** მეგობრის მკვლელობაზე კარგახანს ბოგინობდა ეკლესიის ხალხში და გაურკვეველ ბრალდებად დარჩენილი ნელნელა მინელდა... გამორიცხული არ არის, რომ იოსებ იმედაშვილის წერილის გამოქვეყნებას კირიონ კათალიკოსის მკვლელობის შესახებ მისივე გაძევებული თანაშემწის, დავიდოვის ხელით, საქართველოს საპატრიარქომ ამ მიზეზითაც აარიდა თავი... მიუხედავად იმისა, რომ ეს წერილი ეკლესიისათვის მიუტევებელ ცოდვად აღიარებულ საკმაოდ უარყოფით მოვლენას: საკმაოდ დიდი პიროვნების, კათალიკოს პატრიარქის, მისი უწმინდესობის, კირიონ მეორის თვითმკვლელობას აქარწყლებდა და ეკლესია თავად უნდა ყოფილიყო დაინტერესებული ამით. და მაინც საოცრად მისტიურად მეჩვენება, რომ დავიდოვის ისტორიით ბ-ნი გაიოზ იმედაშვილი მაინცა და მაინც თეთრუაშვილს მიადგა გამოსაქვეყნებლად. ძალაუნებურად ჩნდება კითხვა: „დავიდოვი“, მოგეხსენებათ „დავითაშვილია“. საქართველოში კი დავითაშვილებიც და თეთრუაშვილებიც ქართველებიც არიან და ებრაელებიც. როგორ ხდება, რომ ოქტომბრის რვოლუციის შედეგად მოპოვებული საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის პატრიარქის, კირიონ მეორის (1918) თანაშემწესაც და მსოფლიოს ახალი წესრიგისაკენ მიმავალი საქართველოს პატრიარქის თანაშემწესაც, საქართველოს სახელმწიფო ამ ნიშნით ნიშნავს?! ნუთუ შემთხვევით?

კათალიკოს-პატრიარქი **კირიონ მეორე**, ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი წარმოუდგენლად გაბედულ შეფასებას აძლევს ებრაელთა ბიბლიურ ისტორიას. ხაზგასმით არის აღსანიშნავი, რომ ეს შეფასება ეკუთვნის მას, როგორც მეცნიერსა და პროფესიონალ ისტორიკოს-არქეოლოგს, ღრმად ნაზიარებს მე-19 საუკუნის უდიდეს არქეოლოგიურ აღმოჩენებთან, რომელთაც გადატრიალება მოახდინეს ევროპულ ბიბლეისტიკაში. ამ აღმოჩენებმა ნივთიერად დაასაბუთეს, რომ ბიბლიის მთელი კოსმოგენეზისი ნასესხები იყო სხვა ხალხის, კერძოდ, ქალდეველი ხალხის შემეცნებითი მონაპოვრიდან, იმ ხალხისგან, რომელთა ქვეყნიდანაც ბიბლიურივე გადმოცემით, მთელი თავისი დედა-ბუდით იყო წამოსული აბრაამი, პირველი პატრიარქი და ერთგვარად გენეტიკური დამწყებიც ებრაელი ხალხისა...

До сих пор существовало превратное понятие о еврейской культуре. Более 2000 лет Евреи держали в религиозно-историческом порабощении почти весь мир сумев навязать человечеству **негласно присвоенные ими от древнейщих народов и сколоченные на свой лад религиоз-**

ные воззрения. Придав значение божественного откровения исключительно своему национальному культу, евреи, как народ богоизбранный, **навязали всему миру и свою национальную историю**, которая у них слилась с историей религии.

Раскопки доказали что в Месопотамии за VII-VIII тысяч лет до Рождества Христова жили **Калды, которые первые в мире выработали свою высокую национальную культуру**, сделавшуюся источником и образцом для культур последующих народов. Они же первые изобрели клинообразные знаки и этим оказали великую услугу человечеству, облегчив благодаря дальнейшим усовершенствованиям составление азбуки. Калды по историческим памятникам народ гуманный (გაზ. „ერის ღირსება“, 2006 წ. №№5, 6, 7).

როგორც ვხედავთ, კათალიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე საუბრობს ებრაული კულტურისა და საერთოდ ებრაული ფენომენის ხელახალი შეფასების აუცილებლობის შესახებ, „რჩეული ერის“ მიერ დაუმსახურებლად და უსამართლოდ მითვისებული წოდების შესახებ, რომლის მეშვეობითაც მათ 2000 წელი ამყოფესო კაცობრიობა თავიანთი(ე.ი. ებრაულ-იუდეური) რელიგიურ-ისტორიული ღირებულებებისადმი დამონებაში. მისი უწმინდესობა, საქართველოს პატრიარქი კირიონ მეორე შეახსენებს მთელ მის თანამედროვეობას იმ ჭეშმარიტებას, რომელიც ებრაელებმა თავიანთი წმინდა წერილით დაუმალესო კაცობრიობას და რომელიც სამზეურზე ნივთიერად ამოიტანა ევროპელი მეცნიერების არქეოლოგიურმა გათხრებმა. მე-19-ე საუკუნეში წარმოებული ამ არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულობებით, ებრაელებზე უწინარესად, შუამდინარეთში, ცხოვრობდნენ **ქალდები**, რომელთაც თავიანთი ეროვნული კულტურით კაცობრიული ცივილიზაციის ეპოქა შექმნეს. ბიბლიის მიხედვით, სწორედ ამ **ქალდების** ქვეყნიდან მოდის თავისი დიდი ოჯახით ებრაელთა პირველი პატრიარქი, აბრაამი, პირველმოძღვარი და გენეტიკური საფუძვლის ჩამყრელი თავისი ერისა ახალ „სამშობლოში“. წმინდა წერილი არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ როგორ განსწავლეს ქალდეველთა ქვეყანაში ყოფნის დროს ქალდეველებმა აბრაამი. მხოლოდ ქრისტეს მოვლინებიდან 19 საუკუნის შემდგომ მოპოვებული ნივთიერი საბუთებით, რომელზედაც კათალიკოსი კირიონი საუბრობს, სწორედ იმ არქეოლოგიური გათხრებით და მიწიდან ამოღებული ჭეშმარიტებით იგებს კაცობრიობა ქალდეველების მოპოვებული სიბრძნის გადმოსესხების ამბავს ებრაელთა წმინდა წერილში, სამყაროს შექმნის მთელი ბიბლიური თეორიის გადმოლაგებას საკუთარ ფსიქოლოგიაზე და მორალზე მორგებით. და ფაქტიურად, ამგვარი არქეოლოგიური შემეცნების გზით იგებს მსოფლიო საზოგადოებრიობაც ქართველი ხალხის წინაპარი ხალხის – ქალდების ვინაობასა და დამსახურებასაც კაცობრიული სულიერი განვითარების ისტორიის წინაშე... მსოფლიოსთვისაც და ქართველი ხალხისთვისაც დაფარულ ისტორიას ქართველი ხალხისას...

90-იან წლებში, პროფესორი **ნოდარ ნათაძე**, ეროვნული მოძრაობის ერთგვარად საგანგებოდ შექმნილ ვითარებაში იქნა ამორჩეული პასუხის გამცემად, ქართველი ხალხის სახელით, კითხვაზე: „არის თუ არა „სიონიზმი“ რასიზმი?!“ და ბატონმა ნოდარმა წმინდა ქართული სულისკვეთებით, ებრაელი ხალხისთვის შემართული თანადგომითა და სიყვარულით სავსე პასუხი გამოაქვეყნა ამ საკითხზე, რუსულ ენაზე, პატარა ბროშურის სახით: სიონიზმი არისო სამშობლოს სიყვარულის მოძრაობა მხოლოდ და დასაგმობიაო გაეროს ბრალდება, გამოტანილი გაეროს დადგენილების სახით 1975 წელს, **თითქოს სიონიზმი იყოს რასიზმი**. ცხადია, ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემის საჭიროება და დემონსტრაცია პასუხის შინაარსისა გარკვეულ ძალებს სჭირდებოდათ იმისათვის, რომ გაეთვალსაჩინოებინათ და წერილობით აესახათ, თუ რა დონეზე

ერკვეოდა ქართული საზოგადოება მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, და წარმოდგენა ჰქონდა თუ არა მას, ქართველ ხალხს, იმაზე, რომ თვით მისი ქვეყნის, საქართველოს და ქართველი ხალხის ეროვნული მოძრაობა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მოთხოვნით, მსოფლიოს სიონისტური მოძრაობის სამსახურში იდგა. ბ-ნ ნოდარ ნათაძისეული პასუხის სრულიად საპირისპირო ინტერპრეტაციის შემცველი იყო ბ-ნი ნოდარის ბროშურაზე უფრო ადრე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1982 წელს, თბილისის **უნივერსიტეტის პროფესორის ოთარ გაბიძაშვილის და პოლიტოლოგ ებონ ციციაშვილის**, ქართველი ებრაელის მიერ გამოცემული წიგნი: „იუდაიზმი და სიონიზმი". სიონიზმის არსი აქ გადმოცემული იყო მაღალი პროფესიონალიზმით და მსოფლიო რეალობის სიღრმისეული ცოდნით: ავტორთა ხედვაში, სიონიზმი, როგორც მსოფლიოში გაფანტული ებრაელი ხალხის მოძრაობის მიზანი ისტორიული სახელმწიფოს აღდგენისათვის, თავისი ფესვებით იუდაიზმში იდგა, ხოლო თავისი ამბიციით ემსახურებოდა ღმერთის რჩეული ერის, ებრაელი ერის მიერ მსოფლიო მმართველობის სადავეთა პყრობასა და ბიბლიური ოცნების განხორციელებას: ბიბლიური ღმერთის რჩეული ერის გაბატონებას მსოფლიოზე. „როგორც ფაშისტები, ისე სიონისტები ერთნაირი იდეოლოგიური ბუნებისანი არიან. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ გერმანელმა ფაშისტებმა შექმნეს „არიული რასის" კულტი, სიონისტები კი ცდილობენ შექმნან „უმაღლესი ებრაული რასის" კულტი" – ასეთი გახლავთ ა. მალიკის განცხადება გაეროს 26-ე სესიაზე (ციციაშვილ-გაბიძაშვილის დასახ. წიგნი. გვ. 53). განსხვავებით ბ-ნ ნოდარ ნათაძის პოზიციისაგან ებონ ციციაშვილისა და ოთარ გაბიძაშვილის ამ საუნივერსიტეტო გამოკვლევით, ფაქტიურად გამოთქმულია სრულიად საპირისპირო პოზიცია, რომ გაეროს 25-ე სესიაზე, 1975 წლის 10 ნოემბერს მიღებული №3379 რეზოლუციის მიხედვით სიონიზმის გამოცხადება რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის ფორმად, სრულიად შეეფერება სინამდვილეს (იქვე, გვ. 75 და მთელი წიგნი).

ავტორთა მსჯელობით რჩეული ერის გაბატონებას მსოფლიოზე, სიონისტური მოძრაობის ხედვაში, საბჭოთა კავშირის, როგორც სახელმწიფოს დაშლა ესაჭიროებოდა, რამდენადაც საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ხალხთა თანასწორობის დროშითა და რომელიმე ერის განსაკუთრებულობის უარმყოფელი კონსტიტუციით, თავად მიიმართებოდა მსოფლიოს პყრობისაკენ. მე-20-ე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ცნობიერებისათვის, მთელი ეს მსჯელობანი, ინტერესისა და ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი და ქართულ რეალობაში არავის მოსვლია თავში აზრად, რომ ისინი, ეს მსჯელობანი ბიბლიური რჩეული ერის ამბიციისა ან თანამედროვე მსოფლიოს სიონისტური მოძრაობის მიზანდასახულებისა, ქართული ეროვნული მოძრაობისათვის, ან საზღვარგარეთელი მხარდამჭერი ძალებისათვის დაეკავშირებინა. თავისი ისტორიული, ანუ ბიბლიაში გადმოცემული ამბიციით, ებრაელი ხალხი არავისთან, მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხთაგან არავისთან ისე არ იყო დაკავშირებული, როგორც ქართველ ხალხთან, არა იმიტომ რომ ქართველებსა და ებრაელებს 26 საუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებთ, არამედ იმიტომ რომ ქართველები და საქართველო წარმოადგნენ მემკვიდრე ხალხსა და ქვეყანას იმ ხალხისას და იმ ქვეყნისას, რომლის წიაღშიც, რომელთან დაპირისპირებაშიც იბადება ებრაული ცნობიერება და ებრაელი ერი. ეს გახლავთ ქალდეველთა ქვეყანა, ქართველი ხალხის წინაპარი ხალხის ქვეყანა. ასე რომ ქართველებსა და ებრაელებს მარტო 26 საუკუნოვანი მეგობრობა კი არ აკავშირებთ, არამედ 40 საუკუნოვანი ერთიანი ისტორიაც, და, დასამალი არ არის, ურთიერთდაუძინებელი მტრობაც, რაც თავის საინფორმაციო მნიშვნელობას აშ-

კარად, გამიზნულად ვერ იძენს. ბიბლიაში აღწერილია, რომ ქალდეველთა ქვეყანას, მომთაბარე ებრაული თემის წინამძღოლი, ებრაელი ხალხის ეპონიმი და პირველი მამამთავარი, აბრაამი, თავისი ღმერთის, მომავალში ებრაელთა ღმერთის გამოცხადებითა და კარნახით, თავისი დედა-ბუდით სტოვებს, და მიიმართება თავისი ახალი ღმერთის მიერ აღთქმული მიწისაკენ. შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით, თანამედროვე „სიონიზმი“, ანუ მსოფლიოს სიონისტური მოძრაობა, ებრაელთა ამ ახალი ღმერთისა და ახალი, ებრაულ-მონოთეიტური მოძღვრების მსოფლიო ბატონობისათვის, იწყება აბრაამის მოდგმის გამოსვლით ქალდეველთა ქვეყნიდან. ხოლო რამდენადაც აბრაამის წამოსვლა ქალდეველთა ქვეყნიდან მომავალი ებრაელი ხალხის ღმერთის კარნახით ხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ქალდეველთა ქვეყანაში შესდგა ებრაული თემისა და ქალდეური მოდგმის რელიგიური დაპირისპირება. უფრო მეტი: ქალდეველთა ქვეყანაში შესდგა ქალდეური გენისა და ებრაული გენის რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება, ანუ ქართული გენისა და ებრაული გენის ურთიერთ-ალტერნატიულ მორალურ და ფსიქოლოგიურ თვისობრიობათა შეჯახება და დაპირისპირება. ამ შეჯახებისა და დაპირისპირების საფუძველზე შესდგა ჩამოყალიბება ებრაული რწმენისა და ებრაული რელიგიური მოძღვრების, რომელიც შემდგომში უკვე ფანატიკურ ხასიათს იღებს და გადაიზრდება მთელი კაცობრიობისადმი დაპირისპირებაში. ბიბლიური გადმოცემით ქალდეველთა ქვეყანა თავისი ახალი დედაქალაქის, ბაბილონის მიხედვით, ისტორიულად ბაბილონის სამეფოდ გარდაისახება. ქალდეველები ხდებიან ბაბილონელები. ბიბლიური გაგებით, ღმერთი, რომელიც ბაბილონის ცადაწვდენილ გოდოლს, ანუ ბაბილონის ტაძარს ანგრევს, ეს ებრაელთა ღმერთია. ეს ღმერთი, ღმერთი აბრაამისა, ისააკისა და იაკობისა, ებრაელი ხალხის უდიდეს მეფეთა ზეობაში, დავითისა და სოლომონის ზეობაში აშენებინებს, თავის დროზე ქალდეველებთან რელიგიურ დაპირისპირებაში მოსულ ებრაელ ხალხს, ახალი რწმენის და ახალი ღვთისმსახურების ტაძარს. ქალდეველთა ქვეყნიდან წამოსული ეს მომთაბარე, პატარა ებრაული თემი თავისი ბიბლიური ისტორიით დავითის და სოლომონის ოქროს ხანას აღწევს და თავიანთი მფარველი ღმერთისათვის, იაჰვესათვის(იგივ იეღოვასათვის) აგებს ტაძარს, რომელიც“სოლომონის ტაძრის“ სახელწოდებას იღებს. მაშასადამე, ბიბლიური ცნობიერებით, ღმერთი ისრაელისა „ბაბილონის გოდლის“ სახით ანგრევს ბაბილონელთა რელიგიური ცნობიერებისა და ბაბილონური ცივილიზაციის მიერ აღმართულ საგუშაგო კოშკს, დედამიწის ყოველი მხრიდან თვალისმისაწვდენს, მსოფლიო ხალხების შესაკრებელს, რომ არ დაიფანტოს კაცობრიობა და მსოფლიო. ფაქტიურად, ბიბლიური გადმოცმით, ღმერთი ისრაელისა ანგრევს ცენტრალურ ტაძარს ქალდეველებისას და აშენებს ებრაელთა ახალი რწმენისა და ახალი ღვთისმსახურების ტაძარს „სოლომონის ტაძრის“ სახით. **ამ ორი ტაძრის სახით, ბაბილონის გოდოლისა და სოლომონის ტაძრის სახით ორი ცივილიზაცია უპირისპირდება ერთმანეთს**. სულ ახლახანს, გაზეთ „საერთო გაზეთში“ (რედაქტორი: ბ-ნი ვახტანგ ხარჩილავა) ბ-ნ დავით ქობალიას წერილით გამოქვეყნდა ინფორმაცია ინგლისელ ენათმეცნიერთა ვარაუდის შესახებ, რომ ბაბილონის ტაძრის მფლობელთა ენა იბერიულის, ანუ ძველ-ქართველურის მონათესავე უნდა იყოს... თუ არსებობს დედამიწაზე ცივილიზაციათა შეჯახება, ეს არის შეჯახება ბაბილონური, ანუ ქალდეური ცივილიზაციისა და ებრაული ცივილიზაციის, რომელიც ბაბილონური ცივილიზაციის დიდ მუხაზე ჩამოტეხილი ტოტებიდან აღმოცენდება, როგორც ჩანს, ხალხთაშორისი ურთიერთობების მორალური პრინციპების დარღვევის გზით, რის გამოც ბაბილონელებს არასოდეს შეუწყვეტიათ თვალის მიდევნება

ებრაელთა რელიგიური ცხოვრების მიმდინარეობაზე. ამის გამოა, რომ ძველი აღთქმისეულ მეფეთა წიგნებში ავტორი საგანგებოდ შენიშნავს, რომ როგორც კი გადაიხრეხოდნენო ებრაელები თავისი ღმერთისგან, სასჯელად შემოუსევდა ხოლმეო მათ მათივე ღმერთი ქალდეველებს. ამ შემოსევათაგან უდიდესი, რომელიც შეიძლება შევაფასოთ როგორც გარკვეული რელიგიური რევანში ქალდეველებისა ებრაელებზე, ეს არის სწორედ ებრაელთა სამეფოს ოქროს ხანის შემდგომი თავდასხმა ქალდეველებისა ებრაელებზე, სოლომონის ტაძრის დარბევა და მთელი ებრაელი ერის ტყვედ წასხმა ბაბილონში, რაც საბედისწეროდ მნიშვნელოვან ნიშანსვეტად იქცევა ებრაელი ხალხის ცხოვრებაში. ეს მნიშვნელოვნება მკაფიოდ ფორმულირდება ებრაელი ერის მთელი ისტორიის გადმოცემის მათე მახარობლისეული სქემით, იესო ქრისტეს გენეალოგიური ვინაობის წარმოსახვის კონტექსტში: აბრაამიდან დავით მეფემდე – 14 თაობა, დავითიდან ბაბილონის ტყვეობამდე – 14 თაობა, ბაბილონის ტყვეობიდან – ქრისტემდე 14 თაობა. სწორედ ეს „ბაბილონის ტყვეობა“ გახლავთ ქალდეველთა მიერ ებრაელთა ქვეყნის დარბევის ისტორია, სოლომონის ტაძრის დანგრევა და მთელი ებრაელი ხალხის წასხმა ტყვედ, ბაბილონში. ბიბლიურივე გადმოცემით, ღმერთი ისრაელისა, ბაბილონელებზე, სპარსეთის მეშვეობით იძიებს შურს, როდესაც ფალავანი ქვეყანა სპარსეთი ხდება და სპარსელები დაარბევენ ბაბილონს. იმ დროისათვის კი, როდესაც იუდეაში იესო ქრისტე მოევლინება ქვეყანას, ებრაელთა ქვეყნის მპყრობელნი არიან რომაელები, ხოლო ქალდეველი მოგვები ქრისტეს შობის სახარებლად, იერუსალიმში მოდიან სპარსეთიდან. ებრაელთა ქვეყანა რომის უზარმაზარი იმპერიის შორეული პროვინცია ხდება. სოლომონის ტაძარი, რომელიც ქრისტეს წინარე მე-მე-10 საუკუნეში ააშენებინა სოლომონ მეფემ სახელგანთქმულ ფინიკიელ არქიტექტორს – ჰირამ აბიფს, და რომლის მშენებლობასაც, ბიბლიური უწყებით, 80 ათასამდე მშენებელი ემსახურებოდა, როგორც ჰირამისეული ტაძარი, აღარ არსებობს... წყაროები გვამცნობენ, რომ **ჰირამი, ლეგენდარული მცოდნე ტაძრის შენების ხელოვნებისა**, ზემოდან უყურებდაო სოლომონ მეფეს და მისეული, ჰირამისეული არქიტექტურული საიდუმლოებანი, იმდენად მიუწვდომელი პიროვნული საკუთრება იყო ებრაელთათვის, რომლის წართმევაც მათ არ შეეძლოთ, რომ გაღიზიანებულ მოშურნეებს, ვერ გამოუძალავთ რა ეს საიდუმლოებანი, ჰირამი მოუკლავთ სოლომონის ტაძრის აშენების შემდეგ. როგორც ცნობილია, ჰირამის აშენებული „სოლომონის ტაძარი“ დაინგრა ბაბილონელთაგან, ჩვენს წელთ აღრიცხვამდე 586 წელს, ხოლო მეფე ჰეროდეს მიერ აღდგენილი სახე ტაძრისა დანგრეულა რომაელთაგან, ჩვენი წელთაღრიცხვის 70 წელს. დღეს უკვე, 21-ე საუკუნის პირველი მეოთხედის ისტორიულ მონაკვეთში, როდესაც ებრაელმა ხალხმა დავითისა და სოლომონის სამეფო ტერიტორიაზე, ორი ათასეული წლის შემდეგ, ისრაელის სახელმწიფო აღიდგინა, როგორც საინფორმაციო წყაროები გვაუწყებენ, იერუსალიმში, 200-ზე მეტი ავტობუსი დადის ტრანსპარანტებითა და პლაკატებით, რომლითაც გამოხატულია მოთხოვნა სოლომონის ტაძრის აღდგენის. მიზანი სოლომონის ტაძრის აღდგენისა, ცხადია, არ გულისხმობს ტაძრის აღდგენას სამუზეუმო სანახაობის მნიშვნელობით. როგორც გვახსოვს, სოლომონი ერთდროულად აშენებდა სამეფო სახლსაც და საღმერთო სახლსაც. სოლომონის ტაძრის აღდგენის მიზანი მოიცავს სოლომონის ტახტის აღდგენის მიზანსაც, მიუხედავად იმისა, რომ გავრცელებული აზრით, დავითისა და სოლომონის ხორციელი, ანუ გენეტიკური მემკვიდრე, არ შერჩენიათ ისრაელიანებს. არსებობს ინფორმაცია, რომ ისრაელის მხრიდან, წლების წინ, ისრაელის სამეფო ტახტის შეთავაზება მიიღეს ესპანეთში მცხოვრებმა ქართველმა ბაგრა-

ტიონებმა, რაზედაც ებრაელებმა ქართველ ბაგრატიონთაგან უარი მიიღეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველ ბაგრატიონთა ცთუნების საფრთხე არ არსებობს. მით უმეტეს, რომ თავად საქართველოში ფესვმოკიდებული ორგვაროვანი ინტერპრეტაცია „დავითიანობისა“, ამასთან დღევანდელი ავტორიტეტული ეკლესიის მიერ „დავითიანობის“ გაგების პროებრაული მნიშვნელობის მხარდაჭერა, გაუგებრობისა და დაბნეულობის საფუძველს ისედაც ჰქმნის, რასაც ებრაელთა დაინტერესების ფაქტიც ერთვის თან: ქართველ ბაგრატიონთა გამოცხადებისა ებრაელთა დიდი მეფის, ბიბლიური წინასწარმეტყველის, დავითის შთამომავლებად. ფაქტია ისიც, რომ გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში ებრაელებმა უკვე სცადეს გამოეყენებინათ, ცრუ გაგება „დავითიანობისა“, ანუ ქართველი მეფეების სამეფო ტიტულის – „დავითიანის“ – გაგებისა ქართველ მეფეთა ებრაული წარმომავლობის მნიშვნელობით, მითუმეტეს იმ დროს, როდესაც საქართველოს სამეფო ტახტი გაუქმებული იყო რუსეთის მიერ. მათ მოისურვეს ისრაელიანთა სამეფო ტახტის შეთავაზებით, ეცთუნებინათ ქართველი ბაგრატიონები და პრაქტიკულად მთელი მსოფლიოსთვის დაემტკიცებინათ, რომ ქართველი ბაგრატიონები ებრაელთა მეფის – დავითის შთამომავლები არიან. ამ ცთუნებას ისიც აძლიერებდა, რომ არსებობდნენ ამგვარი მოკლე ჭკუის მამულიშვილები, რომელთაც მიაჩნდათ, რომ ქართველ ბაგრატიონებს გენეტიკური უფლება ჰქონდათ ისრაელის ტახტიც დაეკავებინათ. ქართველი ბაგრატიონების ამგვარი პოზიციების ხელში ჩაგდებით, ებრაელებს სურდათ, თავიანთი ტახტის გზით საქართველოს სამეფო ტახტი ჩაეგდოთ ხელთ, გაენაღდებინათ თავიანთი უფლებამოსილება საქართველოს სამეფო ტახტზე და საქართველოც და მისი ტერიტორიაც საქართველოს სამეფო ტახტიდან მიეთვისებინათ. ისრაელის ტახტზე აღსაყდრების შემთხვევაში, თავად ბაგრატიონები იქნებოდნენ მთელი მსოფლიოს წინაშე მაღიარებელნი ქართველ ბაგრატიონთა ებრაული წარმომავლობისა. უფლებამოსილებას, ძალაუფლებას და ფულს დახარბებული რომელიმე ქართველი ბაგრატიონის ცთუნებით და ფულთან ერთად ისრაელის ტახტის შეთავაზებით, როგორც აღვნიშნეთ, ებრაელებს შეეძლოთ საქართველოს სამეფო ტახტი ჩაეგდოთ ხელთ. ყველაზე უტიფარი ვერაგობის შემთხვევაში კი – საქართველოს სამეფო ტახტი ოფიციალურად გამოეცხადებინათ დავით წინასწარმეტყველის სამკვიდრო ტახტად, რასაც ახლა თავად აკეთებინებენ საქართველოს ეკლესიას და ამით არა მხოლოდ ძალაუფლების თვალსაზრისით იგდებენ ხელთ საქართველოს სამეფო ტახტს: როგორც თანამედროვე მსოფლიოს ახალი წესრიგის პოლიტიკურ სადავეთა მფლობელნი, ხელთ იგდებენ უფლებამოსილების თვალსაზრისითაც, თუ ვინ უნდა დასვან საქართველოს სამეფო ტახტზე, საქართველოში მონარქიის აღდგენის შემთხვევაში. მადლობა უფალს, ესპანეთში გადახვეწილმა ქართველმა ბაგრატიონებმა ისრაელის ტახტზე უარი განაცხადეს. თუ საქართველოს სამეფო ტახტი ებრაელთა მეფის, დავით წინასწარმეტყველის შთამომავალთა კუთვნილია, ამასთან ისეთი კომპეტენციის დასტურით, როგორიც საქართველოს ეკლესიაა, თანაც დღევანდელი მსოფლიო ავტორიტეტის მქონე ქართული ეკლესია, მაშინ ის ტახტი, ორი ათასეული წლის შემდეგაც, ერთდროულად ქრისტიანთა და ანტიქრისტიანთა კუთვნილი ტახტია! ერთდროულად ქართველთა და ებრაელთა კუთვნილი! ქართულ-ებრაული ბიბლიურ – ისტორიული 40 საუკუნოვანი ურთიერთმიმართების ფონზე, როდესაც მსოფლიოს სიონისტურმა მოძრაობამ ორიათასწლეულით დაკარგული სახელმწიფოებრიობა აღიდგინა, და დავითისა და სოლომონის ტახტის აღდგინებისათვის შეუდგა ზრუნვას, ცხადია, დავითიან-სოლომონიანთა მოდგმის არსებობა და საქართველოს სამეფო

ტახტის, როგორც დავითიანთა სამეფო ტახტის დაუფლების იდეა, მსოფლიო ბატონობაზე მიმართულ ებრაულ ცნობიერებაში, არსად არ წასულა. თუნდაც მარტო ამ მიზნისათვის შეეცდებოდა სიონისტურ-მასონური მოძრაობა საბჭოთა კავშირი დაეშალა, და საქართველო გამოეგლიჯა რუსეთის მფარველობისაგან. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ქრისტიანები სცნობენ ძველ აღთქმას და ახალ აღთქმას ერთდროულად, ანუ ტოლერანტულნი არიან იუდეველთა მიმართ, მაგრამ იუდეველნი მხოლოდ ძველი აღთქმის მცნობელნი და მაღიარებელნი არიან და ახალი აღთქმა მათთვის მიუღებელია. იმისათვის რომ ქართულმა საზოგადოებრიობამ გაიაზროს, რა საშიშროების წინაშე დგას საქართველო, ბაგრატიონთა „დავითიანობის“ ეკლესიური ინტერპრეტაციით, იმისათვის რომ გავიაზროთ, თუ რამხელა ლტოლვა აქვს ისრაელს საქართველოს მიმართ, ვფიქრობ, საინტერესო იქნება ვახსენო ერთი ეპიზოდი 90-იანი წლების საქართველოს ცხოვრებიდან, მონათხრობი თვითმხილველისაგან, ისტორიულ საგვარეულოთა საკრებულოს ერთერთ შეკრებაზე.

როდესაც **ზვიად გამსახურდია** პრეზიდენტი გახდა, ისრაელს უთხოვია მისთვის, საქართველოს პრეზიდენტისათვის, მიეღო მისი, ე. ი. ისრაელის წარმომადგენელი კონფიდენციალური საუბრისათვის. ზვიადი დათანხმებულა მიღებაზე და როდესაც ეს საუბარი შემდგარა და სტუმარიც გაუსტუმრებია ზვიადს, როგორც თვითმხილველი ბ-ნი იგორ ჩხეიძე გადმოგვცემს, გამოსულა აღელვებული ზვიადი იქ მყოფ თავისიანებთან, თავზე ორივეხელშემორტყმული შემდეგი სიტყვებით: „რა დღეში ვართ, ხალხო! ისრაელი კონფედერაციას გვთხოვს“-ო.

ქართული საზოგადოებრიობის ყურადღება მინდა მივაპყრო კიდევ ერთ მნიშვნლოვან მოვლენას: ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობიდან, ე. ი. 1991 წლიდან სამ-ოთხ წელიწადში საქართველოში, თბილისში, იწყება ერთგვარი სექტანტური მოძრაობა დევიზით: „საქართველოში უნდა დაიდგას მამა ღმერთის ტახტი“. ამ ფორმულირების ავტორად მოგვევლინება ქართველი მწერალი, ბ-ნი **აკაკი ჯორჯაძე**, ახალი რელიგიური სტატუსით: „სასძლო კაცი“. ჩემი უახლოვესი ადამიანი, ლია გულედანი, რომელიც თავს ჩემს სულიერ შვილად თვლის, 90-იან წლებში მახვედრებს ბ-ნ აკაკი ჯორჯაძეს, როგორც ახალ მოძღვარს, რომელზეც ჩემი აზრი უნდა რომ გაარკვიოს, და ბ-ნი აკაკი პირველი შეხვედრისთანავე მიცხადებს ღიად: „საქართველოში უნდა დაიდგას მამა ღმერთის ტახტი!“ მე, როგორც იტყვიან, არც ვაციებ და არც ვაცხელებ, პირდაპირ თავისი მიმდევრების წინ ვპასუხობ: „ბ-ნო აკაკი, თქვენ ებრაული აზროვნება გაქვთ. მამა ღმერთის ტახტს თქვენი დადგმა არ სჭირდება. ის დიდი ხანია დადგმულია ებრაული ცნობიერების მიერ“. რამდენიმე წლის შემდეგ კი, შევუთვლი: „საქართველოში მამის ტახტი დაიდგმება, მხოლოდ დედა უფლისათვის მარჯუენით“, რაც ჩემი სამეცნიერო შრომებით ნიშნავს ქრისტიანული წმინდა სამების – მამისა, ძისა და სულიწმიდის – მესამე ჰიპოსტაზის, ანუ სულიწმიდის ჰიპოსტაზის გაცხადებას დედურ საწყისად ქართული თეოლოგიური აზროვნების მისიით. სხვათაშორის, ბ-ნმა აკაკი ჯორჯაძემ, მას შემდეგ, რაც ჩვენ მის რელიგიურ იდეას ებრაული იდეა ვუწოდეთ და მისი „სასძლო კაცობა“ ქრისტიანობის იუდაიზმად გადაკეთების მოძრაობად შევაფასეთ, ბ-ნმა აკაკიმ თავის რელიგიურ მოძრაობას ანტი ებრაულ-მასონური პოლიტიკური ხასიათი მისცა, რასაც ჩემთვის უკვე მისეული მთავარი დევიზის – „საქართველოში მამაღმერთის ტახტის დადგმის“ – დამცავი მექანიზმის მნიშვნელობა ჰქონდა. მომავალში, ალბათ, ეს ყველაფერი გაიშიფრება საჭირო სიღრმითა და აკადემიურობით, თუ რამ წარმოშვა ბ-ნ აკაკი ჯორჯაძისეული, ეკლესიასთან ერთგვარად დაპირისპირებული, სექტანტური მოძრაობა, მაგრამ ფაქტი ერთია: საქართველოში

პოულობენ ადამიანებს და გზებს, რომლებიც იქადაგებენ მამა ღმერთის ებრაული ზეციური ტახტისათვისაც და ებრაული მიწიერი სამეფო ტახტისათვისაც. სახეზეა მცდელობანი ქართული მიწისა და საქართველოს ზეცის ერთიან დაპყრობისა არაქართული და ანტიქართული ძალის მიერ. მსოფლიოს ახალი წესრიგის მესვეურნი ახერხებენ ინფორმაციული ომის გაჩაღებას საქართველოს ეროვნული ღირსებისა და ეროვნული მეობის წინააღმდეგ ქართველი მეცნიერების და საერთოდ ფიზიკური ქართველების ხელით.

ამრიგად, ორივე ეს ისტორიული ფაქტი : ისრაელიანთა მხრიდან ესპანეთში მცხოვრები ქართველი ბაგრატიონებისათვის ისრაელის სამეფო ტახტის შეთავაზებაც და ისრაელის მხრიდან კონფედერაციის საქართველოსთვის შეთავაზებაც, სრულიად გამოკვეთილად აჩვენებს ისრაელიანთა სიღრმისეულ დაინტერესებას საქართველოთი, და არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენს სხვა მრავალსაბუთები ამ აზრის დასადასტურებლად და ნათელსაყოფად. დასაბუთებას არ საჭიროებს აღარც ის ფაქტი, რომ თანამედროვე მსოფლიოს ახალი წესრიგის მესვეურები ებრაელი კაპიტალისტები არიან. დასაბუთებას არ საჭიროებს არც ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირი დაშალეს სიონისტურ-მასონურმა ძალებმა. სახეზე გვაქვს ის რეალობაც, რომ **პოსტსაბჭოთა საქართველოში სახელმწიფო მექანიზმს სიონისტი მასონები ფლობენ**: კერძოდ, საყოველთაოდ ცნობილია, რომ რევოლუციებს ჯორჯ სოროსი გვიწყობს და სახელმწიფო პრინციპებს დიდი სიონისტი ბიზნესმენი ჯორჯ სოროსი გვიდგენს. ხელისგულზე დევს, ყველა ჩვენთაგანის თვალწინ საქართველოს ეკლესიის განსაკუთრებული სიმპათიების გაჟღერება ებრაელთა დიდი მეფის, დავით მეფსალმუნის მიმართ, დაგვირგვინება ამ აფიშირებული სიმპათიისა საგანგებო გადასაფარებლის მოქარგვით დავითის საფლავის გადასაფარებლად და იერუსალიმში, საქართველოს ეკლესიის დიდი ამალითურთ, საქართველოს პატრიარქის მიერ ამ გადასაფარებლის გადაფარების რიტუალით. საქართველოს ეკლესია ისრაელში იქით უწყებს მტკიცებას ისრაელის მთავრობას, რომ ჩვენი მეფეები ისრაელიანთა დიდი მეფის, დავით მეფსალმუნის შთამომავლები არიან. რაღა დაგვრჩა იქამდე, რომ საქართველოს სამეფო ტახტიც ისრაელს ჩავაბაროთ?! ეკლესია ხომ ამ მიმართულებით მიდის?! სრულიად არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ყველა საიდუმლო ღონისძიებას საქართველოს ეკლესიაში მართავს ქართულ-ებრაული საგვარეულო წარმომავლობის ქალბატონი, თეთრუაშვილი, საქართველოს პატრიარქის ცნობილი თანაშემწე- ქალბატონი და საპატრიარქოში მსახურებისა და ნებისმიერი ფუნქციის აღმასრულებლობის უშუალო განმგებელი. საპატრიარქოს კონსულტანტად მონარქიის საკითხებში სწორედ მის მიერ ხელდასხმული **გაიოზ მამალაძე** აცხადებს თავისთავს მოძღვრად ქართული ეკლესიისად. გაიოზ მამალაძის არაკვალიფიციური და სრულიად ტენდენციური, გამიზნული მსჯელობით, რომელიც მის მიერ მონარქისტულ საკითხებთან დაკავშირებულ წიგნშია წარმოდგენილი, ებრაელები ქართველები არიან. საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლის უფლებამოსილება გაიოზ მამალაძის გამოგონილი ლეგიტიმაციით მხოლოდ მასონური ორიენტაციის დავით ბატონიშვილისა და საქართველოს სამეფო ტახტის პირდაპირი მემკვიდრის, ბატონიშვილ ნუგზარ ბაგრატიონის ქალიშვილის, ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის ქორწინებით შეიძლებოდა მიღწეულიყო. **საქართველოს პატრიარქს ამ გამოგონილი ქორწინების ლოცვა-კურთხევა გამოსძალეს... და საქართველოში ერთდროულად შექმნეს ლეგიტიმური უფლისწულიცა და ქართველ ტამპლიერთა ორდენიც**, მომავალი მეფეც და მისი დამცველი საერთაშორისო ლაშქარიც. როგორც გაზეთებშიც დაიწერა, საქმეში თვით ინგლისის დედოფალი ელისაბედია ჩართული, მსოფლიოს მასონური მოძრაობის დედოფა-

ლი, რომელსაც საქართველოს პატრიარქი ინგლისში ვიზიტის დროს პირადად შეხვდა.

ბაგრატიონთა სახლიც, მისი კანცლერი, ბ-ნი **კახა ქორიძეც** და პირადად ბატონიშვილი **ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკიც** დაუფარავად აღიარებენ, რომ ეს ქორწინება ე. წ. ლეგიტიმური უფლისწულის ხელოვნურად შექმნისა საქართველოს პატრიარქის მოთხოვნა იყო და რაიმე აუცილებლობა გენეტიკური თვალსაზრისით არ არსებობდა... „ბაგრატიონთა სამეფო სახლის“ ოფიციალურ ინტერნეტ გვერდებზე არაერთგზის შევხვდებით განმარტებას, რომ „ ბაგრატიონ-გრუზინსკების ოჯახს ნამდვილად არ სჭირდებოდა ქალიშვილის ხელმეორედ გათხოვება მემკვიდრეობის გასამაგრებლად, რადგან ტახტის მემკვიდრეობის რიგში მამის შემდეგ კანონიერად იდგა და დგას ანა ბატონიშვილი, შემდეგ კი მისი ქალიშვილი – ირინე“. ბაგრატიონთა სახლის ოფიციალურ განმარტებებში ახსნილია ისიც, რომ ანა ბატონიშვილის მეუღლე – გრიგოლ მალანია – რომლისაგანაც ანას ორი ქალიშვილი ჰყავს, დედის მხრიდან, საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი მე-12-ის შთამომავალია. მადრიდელ ბაგრატიონებს, რომელთაც დავით ბატონიშვილი ეკუთვნის, არანაირი უპირატესობა უკვე სახეზე მყოფ რეალიებთან მიმართებაში არ გააჩნია და ბაგრატიონ-გრუზინსკების ახსნით ანა ბატონიშვილის გაყრა-გაცილება საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი მე-12-ის შთამომავალ ქმართან და მადრიდელ დავით ბატონიშვილზე ქორწინება, მხოლოდ პატრიარქის ხათრით განხორციელებული ღონისძიება იყო. ჩნდება ეჭვი, რომ არსებობდა გარკვეული პოლიტიკური ინტერესი ესპანელი დავით ბაგრატიონის პიროვნული შემოყვანისა საქართველოს სატახტო უფლებამოსილებებში, რადგან მისი ზნეობრივი პორტრეტი ამას არ იმსახურებდა, ხოლო მსოფლმხედველობრივი ვინაობა ქართული საზოგადოებრიობისათვის უცნობი იყო. ბაგრატიონთა სახლის ოფიციალური ვებ გვერდით განმარტებულია ისიც, რომ მადრიდელ ბაგრატიონებს საქართველოს სამეფო ტახტზე მემკვიდრეობა არ ეკუთვნით, რომ მათ ეს უფლებამოსილება მითვისებული ჰქონდათ ბაგრატიონ-გრუზინსკებისაგან, რამდენადაც მათ,როგორც ესპანეთში მაცხოვრებლებს, ეგონათ, რომ საბჭოთა რეჟიმის პირობებში მაცხოვრებელი ბაგრატიონები განადგურებულები იყვნენ. ბატონიშვილ დავითს მოუხდა ბოდიშის მოხდა ბაგრატიონ – გრუზინსკებთან იმ თავდაჭერისათვის, რომელსაც მადრიდელი ბაგრატიონები იჩენდნენ და აღიარება ბაგრატიონ-გრუზინსკების ნამდვილი უპირატესობისა მათთან, მადრიდელ ბაგრატიონებთან მიმართებაში.. ლეგიტიმური უფლისწულის მთელი ეს თეორია ხორციელდებოდა საპატრიარქოში ჩვენს მიერ წოდებული ე.წ. „მარდოქაი-ესთერის“ მექანიზმით. ბიბლიური წიგნის „ესთერის“ მოშველიებით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ლეგიტიმური უფლისწულის შექმნის საიდუმლო პროცედურა აშკარად იმართებოდა სახელმწიფოს მხრიდან. საბოლოოდ კი ისინი, სახელმწიფოც და პატრიარქიც ამ პროცედურაში აღმოჩნდნენ სრულიად ერთიანნი.

ბაზალეთის ტბა ხომ ჩავაბარეთ თავისი ოქროს აკვნით ებრაელებს, აჭარა ხომ ჩავაბარეთ თურქებს?! აფხაზეთი ხომ ჩავაბარეთ რუსეთს?! საინფორმაციო ომი აფხაზეთში ხომ წავაგეთ? საქართველოს მეფეთა გამოცხადებით ისრაელის მეფის შთამომავლებად ხომ მთელი ქრისტიანული საქართველოს თვითმყოფადობა უარვყავით?! ამაზე უარესი რა უნდა გვიყოს მტერმა, ჩემო ქართველო ხალხო?! ხომ დავემორჩილეთ მსოფლიოს ახალ წესრიგს, რომელშიც ერთადერთ ერსა აქვს უფლება ერად ყოფნის: ებრაელ ერს. მსოფლიოს ახალი წესრიგით ჩვენ ყველას ხომ ღია სამოქალაქო საზოგადოებებად ყოფნა გვაქვს მოსჯილი, როგორც ჩვენს მიერ მოპოვებული თავისუფლება და დამოუკიდებლობა?! არაუშავს! საქართველოს პატრიარქი ხომ მოგვიწოდებს რომ მერხიდანვე ვისწავლოთ ანალიტიკ-

ური აზროვნება?! ცხადია, უნდა ვისწავლოთ! ოღონდ, როცა ჩვენ ანალიტიკურ აზროვნებას ვისწავლით, საქართველოში უკვე ყველაფერი იქნება გაანალიზებული და ჩვენი გასაანალიზებელი აღარაფერი აღარ იქნება! ეს უნდა ვიცოდეთ. უკვე ყველაფერი გვექნება ჩაბარებული მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის.

„მასონობისა“ და „ტამპლიერობის“ გაგებისათვის

წინამდებარე გამოკვლევის საწყისშივე, მთავარი საკითხის დაყენებისთანავე შევნიშნეთ, რომ როგორც ცხელ ხაზზე გამავალი პრობლემა, ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის – „დავითიანობის“ – ჩვენეული ახსნა უშუალოდ არის გამოწვეულიც და დაკავშირებულიც თანამედროვე მსოფლიოს ახალი წესრიგის წამყვან ძალებთან და ამ ძალების მიერ საქართველოში დანერგილ პოლიტიკასთან. რამდენადაც საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს, რომ ეს ძალები მსოფლიოს არალეგიტიმურად, თუ ლეგიტიმურად, მაგრამ შეფარულად მოქმედი და ოფიციალური ლეგიტიმური ფუნქციების მიღმა მდგომნი, წარმმართველები არიან დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისა, საჭიროება ითხოვს, ქართველ ბაგრატიონთა „დავითიანობის“ გაგებისათვის, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ჭრილში, მაინც საგანგებოდ შევჩერდეთ „მასონობისა“ და „ტამპლიერობის“ ცნებათა მნიშვნელობაზე და შევეცადოთ, არსებული ზღვა ინფორმაციიდან, ჩვენი პრობლემების გაშუქებისათვის აუცილებელი შტრიხები გავამუქოთ.

თანამედროვე მასონური მოძრაობა, რომელიც თავის დასაბამს ებრაელთა ბიბლიური მეფის, სოლომონის ტაძრის მშენებელთა შორის მოიაზრებს, თავისივე ისტორიაში სწორედ ამ საწყისს მიიჩნევს მასონური მოძრაობის ყველაზე მნიშვნელოვან და ყველაზე ფუნდამენტურ მოვლენადაც. მიუხედავად იმისა, რომ სოლომონის ტაძარი ფინიკიელი არქიტექტორის აშენებულია და ბუნებრივია, მის ლეგენდარულ ამშენებელს, **ჰირამ აბიფს**, სოლომონის ტაძრის აშენებაში თავისი ქვეყნის ტრადიციული სამშენებლო ცოდნის გამოყენება მოუხდებოდა, და თავისი ეროვნული, ფინიკიური ელფერის შეტანას ვერ აიცდენდა, ოფიციალური სალექსიკონო განმარტებები გვაუწყებენ, რომ თანამედროვე ფარული საზოგადოებების სახით არსებული, ე. წ. „მასონური ლოჟები“, არსებითად სიონისტური სულისკვეთებისა და მიზანდასახულობისანი, აგებულია-ო იგივე სიმბოლიზმითა და პროპორციებით, როგორითაც სოლომონის ტაძარი იყო აგებული: „დიდი ოსტატი“ ზის ლოჟის აღმოსავლეთით, უფროსი და უმცროსი დიაკვნები დასავლეთით და სამხრეთით.

როგორც ვხედავთ, ამ მცირედი ინფორმაციითაც ნათელია, რომ თანამედროვე მასონური მოძრაობა რელიგიური სულისკვეთების მოძრაობაა, მაგრამ არა ისეთი საყოველთაო, როგორიც ჩვენი ეკლესიური ცხოვრების წესრიგია, ყველასთვის მისაწვდომი და თავისუფალი დასწრების. თანამედროვე მასონური მოძრაობა არსებობს საიდუმლო ორგანიზაციების სახით, რომლებშიც დასწრებისა და მონაწილეობის უფლება განსაზღვრულია პიროვნული ვინაობითა და ამ მოძრაობის ინდივიდუალური აღიარებით, ოფიციალური ინდივიდუალური გაწევრიანებით. ამავდროულად, შეიძლება ითქვას ისიც, რომ დღევანდელი მასონური მოძრაობა ერთგვარი გაგრძელებაა ისტორიულად არსებული მსოფლიოს საიდუმლო ცოდნის ფარული კერების, რომელსაც ის, ე. ი. სოლომონის ტაძრის „ქვისმთლელთა“-გან დაწყებული მოძრაობა ეუფლებოდა საუკუნეების განმავლობაში და აყენებდა ებრაული რელიგიური ინტერესების სამსახურში. ამით იმის თქმა გვსურდა, რომ დღევანდელი მასონური მოძრაობა, რომელიც დღეს უკვე მსოფლიო პოლიტიკას მართავს, არ წარმოადგენს

დღევანდელი არასამთავრობო ორგანიზაციების რაიმე ადექვატურს და რაღაც სახელდახელოდ შექმნილ პოლიტიკურ ძალას. მავანთათვის არარეალური, იგი საუკუნეების წინ დაწყებული მოძრაობაა და უშუალოდ უკავშირდება ებრაელი ხალხის ისტორიასა და ებრაელი ხალხის პერსპექტივისათვის ბრძოლას მთელი კაცობრიული ისტორიის კონტექსტში.

ქართველი მკითხველისათვის, თორნიკე ერისთავის, საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული გმირის ქვეყნისათვის, ნათლად და მარტივად არის გასაგები, რომ ბიზანტიას, ქრისტიანობის, მისი რელიგიური მრწამსისა და მოძღვრების ჩამომყალიბებელ ქვეყანას, არაქრისტიანული ქვეყნების მოძალებულ თავდამსხმელთაგან თავის დასაცავად ქრისტიანული ქვეყნებისაგან თანადგომა და დახმარება ესაჭიროებოდა. ამის მაგალითი იყო სწორედ, **მეათე საუკუნეში**, საბერძნეთში, ათონის მთაზე, ბერად აღკვეცილი ქართველი სარდალი – თორნიკე ერისთავი, რომელმაც ბიზანტია იხსნა ბარდა სკლიაროსის შემოსევისაგან. უკვე მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში, ბიზანტიის კეისარმა ალექსი პირველმა კომნენოსმა (1081-1118 წწ.) სელჯუკების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის მიმართა ევროპას და რომის პაპს გაუგზავნა თხოვნა. რომის პაპმა, **ურბან მეორემ**, 1095 წელს, ევროპის მოსახლეობას ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ მოუწოდა და წმ. მიწის, იერუსალიმის განთავისუფლება მოითხოვა ურწმუნოთაგან. ევროპული სამზადისი ქრისტეს საფლავის გამოხსნისა ურწმუნოთაგან, სრულმასშტაბიან სამხედრო კომპანიად გადაიქცა. თუ გავიხსენებთ, რომ მსოფლიოს ბოლო საეკლესიო კრებამ, რომელიც ბიზანტიის იმპერიაში შესდგა 787 წელს, მეშვიდე საეკლესიო კრებამ, ებრაელთა ქრისტიანული ნათლობა აკრძალა, რადგან ნათლობის ფორმალურობა და ქრისტიანული სარწმუნოების გამოყენება ამხილა ებრაული ინტერესებისათვის, უნდა დავასკვნათ რომ ბიზანტიაში ქრისტიანობას უკვე მერვე საუკუნეში აქვს სერიოზული საფრთხე შექმნილი ქვეყნის შიგნიდანაც და ქვეყნის გარედანაც. მე მინდა მკითხველის ყურადღება საგანგებოდ შევაჩერო **მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე**, რომელიც ჩემის აზრით განსაკუთრებით არის საინტერესო თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური აზროვნების სტილისა და ე.წ. „ანკესის“ ტექნოლოგიის საიდუმლო ნიშნების ამოკითხვის თვალსაზრისით. ეს კრება ასევე შესანიშნავად აჩვენებს სიმბოლურად, თუ საით და როგორ მიიმართება მსოფლიო ისტორია ბიზანტიის ისტორიის ამ ერთი მოვლენით. კერძოდ, **მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრება სრულიად ნათელ სურათს წარმოგვიდგნს იმისას, რომ იუდაიზმის, როგორც რელიგიური მოძღვრების შეჯახება ქრისტეს მოძღვრებასთან, არ დასრულებულა იესო ქრისტეს ჯვარცმით**. იმის გამო რომ ჯვარცმული ქრისტეს მოძღვრება მსოფლიო იმპერიად და საერთოდ საქრისტიანო მსოფლიოდ იქცა, მსოფლიოში გაფანტულ იუდეველთათვის სამიზნედ იქცა თავად ქრისტიანული მსოფლიო და სადავეები ქრისტიანული მსოფლიოს ძალმოსილებისა. მეშვიდე მსოფლიო კრება ილუსტრაციაა იმისა, თუ როგორ ფეხდაფეხ მისდევს იუდეველთა მოდგმა ჯვარცმული ქრისტეს გამარჯვებას და ქრისტიანული მოძღვრების განვითარებისა და გავრცელების მსოფლიო დინამიკას, სულიერ ძლევას იუდეველთა მოძღვრებისას ქრისტეს მიერ. მეშვიდე მსოფლიო კრება ილუსტრაცია ხდება იმისაც, რომ იუდაიზმი და ებრაელი ხალხი დაუძინებელ მტრად არის ადევნებული მაცხოვრის მოძღვრებაზე, მაშინ, როდესაც საქართველო და ქართველი ერი ქრისტიანობის მებაირახტრე ქვეყნის – ბიზანტიის მცველად გვევლინება ქრისტიანობის სახელით, საქართველოს მეფენი ბიზანტიის იმპერატორთა სარდლები ხდებიან, ნამდვილნი „მახვილნი მესიისანი“ და მისი მოძღვრების, ხოლო ბიზანტიის დასუსტების შემთხვევაში, მზად არიან თავად იტვირთონ ჯვარი მსოფლიო

ქრისტიანობის წინამძღოლობისა. მეშვიდე მსოფლიო კრების დროს ქრისტიანობა უკვე რვა საუკუნეს ითვლის და უკვე მსოფლიო რელიგიაა. აღზევებული და მოზეიმე, დამკვიდრებული თავისი ეკლესიებითა და მონასტრებით. და სწორედ აქ, მსოფლიო ქრისტიანობის მებაირახტრე ქვეყანაში, ბიზანტიაში აღმოჩნდება ფესვმოკიდებული იუდეველთა გონი, რომელიც ქრისტიანულ სამყაროში შეჭრილი, ციხის შიგნიდან გატეხვის პოლიტიკას ირჩევს და ამისათვის ქრისტიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად ქრისტიანულად მონათვლის გზაზე დგება. მიზანი ინიციატივის აღებაა, წინამძღოლის მისიაში გადასვლა და ქრისტიანობის გადაჩეხვა გზიდან. და იმ დროს, როდესაც ქრისტიანობა მკვიდრდება, როგორც ეკლესიური ინსტიტუტი, **ქრისტიანულად მონათლული ვინმე იუდეველი სარანტიჰაგი**, ბიზანტიელი ისტორიკოსის, კედრენეს ცნობით, არაბთა მეფეს შთააგონებს, რომ ქრისტიანული ხატების შემოღება და ხატებთან ლოცვა, იგივე კერპთაყვანისმცემლობის დანერგვაა ქრისტიანობაში. სარანტიჰაგის გაბრძოლება ქრისტიანობის დასაცავად, სინამდვილეში ქრისტიანობის დასანგრევად, კერპთაყვანისმცემლობის ანუ ხატების დანერგვის აღსაკვეთად ეკლესიაში, იმხელა რეზონანს იღებს, რომ ეკლესიის უდიდეს მამას, იოანე დამასკელს, ხატების დამცავი თხზულების დაწერისათვის მარჯვენა ხელს მოჰკვეთენ, და ბიზანტიაში ხატების წინააღმდეგ გაჩენილი მთელი ლაშქარი, შეძლებს, რომ წინამძღოლად თავად ბიზანტიის იმპერატორი – ლეონ ისავრიელი დაიყენოს. ეს დაახლოვებით იმას ნიშნავდა, რომ რომელიმე სხვა „სარანტიჰაგს“ განგაში აეტეხა, წარმართული ტაძრების ნატაძრალებზე აშენებული ქრისტიანული ეკლესიები უწმინდურ ადგილებზეა აშენებული და უნდა დავანგრიოთო. საუბედუროდ ასეთ პროვოკაციებზე ბიზანტიაში ზოგჯერ თვით პატრიარქები და იმპერატორები ეგებოდნენ. სიმართლისა და ჭეშმარიტებისათვის ბრძოლა ქვეყანას აძლიერებს, მაგრამ ენერგიასაც ახარჯვინებს. ამით პროვოკაცია მაინც აღწევს თავის მიზანს.

პროცესები ბიზანტიაში ისე ვითარდება, რომ საჭირო ხდება მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა ხატების დასაცავად და იმპერიაში ატეხილი განხეთქილებების დასაოკებლად. კრებას ამ დროისათვის თავად იმპერატორი კონსტანტინე და დედოფალი ირინე წარმართავენ. კრების განჩინებით ხატები გადარჩნენ, ხოლო ებრაელები თვალთმაქცური ნათლობისათვის გზაგადაკეტილნი აღმოჩნდნენ ქრისტიანულ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის. „დიდი სჯულის კანონში“ შეტანილი გაფრთხილებები ცხადყოფენ, რომ მიმტევებლობისა და შემწყნარებლობის საკმაოდ დიდი ეტაპები გაიარა ბიზანტიურმა ეკლესიამ ებრაელთა მიმართ და საკითხი მეშვიდე მსოფლიო კრების დადგენილებით დაასრულა. დიდი სჯულის კანონში შეტანილია **ეფესოს მესამე მსოფლიო კრების** დადგენილებათა ერთერთი ასეთი პუნქტიც: „ვინც გაბედავს ჭეშმარიტი ცოდნის გადაქცვას... იუდევლობად... თუ ეპისკოპოსი იქნება ან მღვდელი, უნდა ჩამოერთვათ ეპისკოპოსობა და მღვდლობა...“ (7). მოგეხსენებათ, იკრძალება მხოლოდ ის, აკრძალვა შეიძლება დააწესო მხოლოდ ისეთი რამის, რაც არსებობს ან რამაც შეიძლება იარსებოს. ეფესოს კრების დადგენილებათა ეს პუნქტი მიუთითებს, რომ უკვე არსებობს მცდელობა ქრისტიანული მოძღვრების იუდაიზაციისა და უკვე საჭიროა კანონი აკრძალვისა და სასჯელის. კონსტანტინოპოლის კრება იუსტინიანეს ზეობაში იძულებული ხდება განაჩინოს: „ნურც სამღვდელო პირი, ნურც ერისკაცი ნუ გაიჩენს ურიათ მეგობრად, ნუ მოუხმობს სნეულების დროს და ნუ მიიღებს მათგან განკურნებას“ (11). მეშვიდე მსოფლიო კრება კი, იძულებული ხდება განაცხადოს რომ: „ებრაელები ინათლებიან სიცრუით“ და უნდა აიკრძალოს მათი მიღება ქრისტიანულ ეკლესიაში (8). ეკლესიის ისტორიის დღევანდელი

გადასახედიდან, ვფიქრობ, მკითხველისთვის სრულიად ნათელია ის ვითარება, რომელიც წინ უძღვის მეშვიდე საეკლესიო კრებას, ებრაელთა მიერ მოწყობილი სპეკულაცია ერთი იდეისა, მეორე იდეის დასანგრევად. ამჯერად სპეკულიაცია „ქრისტიანობის დაცვის იდეისა „კერპთაყვანისმცემლობისაგან“ მიმართულია ეკლესიური ინსტიტუტის გასაძარცვავად ხატებისაგან და ეკლესიის დასასუსტებლად. მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრების ისტორია ბრწყინვალე ილუსტრაციაა აგრეთვე იმისაც, თუ რაოდენ დიდი თანდაყოლილი უნარი აქვს ებრაულ გონებას, ადამიანთა ცთუნებისა და თვით საიმპერატორო ტახტის მფლობელთა ცნობიერებაში შეღწევისა მათივე სამართავი ქვეყნების დასაცემად. ეკლესია და ხატი რამ გაყო ერთმანეთისაგან. მაგრამ ებრაულმა გონებამ ვითომ ეკლესიის სიწმინდის დაცვით, შესძლო მთელი იმპერია ჩაეთრია ხატების წინააღმდეგ ბრძოლაში. თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ეთიკურ პრინციპებში ღრმად ჩახედული ადამიანი სრულიად მარტივად დაინახავს ანალოგიას ადამიანის თავისუფლების იდეის დაცვაში როგორ არის შემძვრალი ნამდვილი მიზანი ადამიანის მორალური განადგურებისა და კაცობრიობაზე შურისძიების. ფაქტია: მეშვიდე მსოფლიო კრების შემდგომ ბიზანტიამ ვეღარ მოიკრიბა ძალა ახალი მსოფლიო კრების მოსაწვევად და იმპერიის ქრისტიანულ-თეოლოგიური პრობლემების წინ წასაწევად. სრულიად ლოგიკურია, ევროპაში მიმოფანტულ ებრაულ მოსახლეობას, პაპის ხელშეწყობით წარმართულ ჯვაროსნულ ლაშქრობაში და ქრისტეს საფლავის ურწმუნოთაგან გამოხსნის იდეაში, თავიანთ მშობლიურ ქვეყანაში მიმავალი „მატარებელიც“ დაენახათ და ხელიდან არ გაეშვათ შანსი იერუსალიმში დაბრუნებისა საკუთარი ინტერესების წინ წასაწევად.

იერუსალიმში, სიონის მთაზე, იქ, სადაც სოლომონ ბრძენის სასახლე და სოლომონის ტაძარი იყო აშენებული, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ერთერთმა ხელმძღვანელმა – გოდფრეი ბულონსკიმ – 1090 წელს შექმნა „სიონის მთის ორდენი“, რითაც, ჩვენის აზრით, ნებით, თუ იმ დროის მსოფლიოსათვის თვალებში ნაცრის შეყრით, ჯვაროსნულ მოძრაობაში ჩართული ძალების მთავარი მიზანი გააცხადა.

1099 წელს, ივლისში, ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს, და დააარსეს იერუსალიმის სამეფო. ჰუგო დე პეინისა და გოდფრუა დე სენტ-ომერის ხელმძღვანელობით შეიქმნა ორდენი: „ქრისტეს და სოლომონის ტაძრის ღატაკი რაინდები“ (Pauperes Commilitones Christi Templique Solomonici). თანამედროვე გამოკვლევებით, როდესაც გაშიშვლებულია სპეკულაცია ქრისტეს საფლავის მუსულმანთაგან განთავისუფლების იდეისა, და გაცხადებულია სიონის მთის აღორძინების მიზანი, შენიღბული და კარგად შეფუთული ქრისტეს საფლავის განთავისუფლების იდეაში, სრული შესაძლებლობა გვეძლევა მოვლენათა ისტორიული განვითარების დახვეწილი ლოგიკური ანალიზისა და ისტორიის რეალური სურათის ჩვენებისა. ასევე სრული შესაძლებლობა გვეძლევა გავხსნათ ნამდვილი მიზანი მოძრაობისა: „ქრისტეს ღარიბი ჯარისკაცები და ტაძრელები“. პირველი ნაწილი მოძრაობის სახელწოდებისა – „ქრისტეს ღარიბი ჯარისკაცები“ – საფარველი და ნიღაბია სახელწოდების მეორე და მთავარი ნაწილისათვის: „ტაძრელებისათვის“. „ტაძრელები“ ანუ ევროპაში გავრცელებული ინგლისური ტერმინით: „ტამპლიერები“ და ფრანგული ტერმინით: „მასონები“, ყველა თვალსაზრისით და ყველა გზით წარმოადგენენ სოლომონის ისტორიული ტაძრის ახალ მსოფლმხედველობრივ და პრაქტიკულ მშენებლებს, ანუ ახალ „ქვისმთლელებს“, ფრანგულად, ხოლო ახალ „მეტაძრეებს“ – ინგლისურად, ფაქტიურად – სიმბოლურ ანალოგიებს სოლომონის ისტორიული ტაძრის მშენებლებისას:

„სოლომონს ჰყავდა სამოცდაათი ათასი

მტვირთავი და ოთხმოციათასი ქვისმჭრელი მთაში, გარდა სამი ათას სამასი თავკაცისა, რომლებიც სამუშაოებზე ჰყავდა მიჩენილი სოლომონს და მომუშავეებს ზედამხედველობდნენ“ (3 მეფ. 5, 15-16). „ოცი წლისთავზე იყო რომ დაასრულა სოლომონმა ორი სახლის: უფლის სახლისა და სამეფო სახლის შენება“ (3 მეფ. 9, 10).

თანამედროვე „ქვისმთლელთა“, ანუ „მეტაძრეთა“ რიცხვი, როგორც ცნობილია, რამოდენიმე მილიონს აღწევს.

ცნობილია, რომ პირველი ჯვაროსნები სწორედ იმ მთის ტერიტორიაზე დაბანაკდნენ, სადაც სოლომონის ტაძარი იყო აშენებული. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, **სარგის კაკაბაძე**, ისევე როგორც მასონურ ღონისძიებებში ჩაუხედავი მსოფლიო საზოგადოებრიობა, გაკვირვებას ვერ ფარავს ჯვაროსანთა საქციელის გამო და ვერ აუხსნია, რატომ აუარეს მათ გვერდი ქრისტეს საფლავის ეკლესიას და რატომ აირჩიეს თავიანთი ორდენის წმინდა ადგილად ებრაელთა დიდი მეფის – სოლომონის ნატაძრალი (ვსარგებლობ ინტერნეტში ამოწეული ინფორმაციით).

ავტორი „მსოფლიოს საიდუმლო ისტორიისა“ **ჯონათან ბლეკი** (2007 წ.) გადმოგვცემს, რომ სოლომონის ნატაძრალის ქვეშ, დიდ სიღრმეში, არქეოლოგიური გათხრებით მიგნებულ იქნა „არტეფაქტები“ ტამპლიერებისა, ანუ გვირაბები, რომლებიც გათხრილ იქნენ სავარაუდოდ საკურთხევლის მიმართულებით, დიდი ალბათობით წმიდათაწმიდისაკენ. ეს არ იყო, ცხადია, უბრალო ახირება. ეს იყო მოძიება იმ ადგილისა, სადაც უნდა შემდგარიყო პირველი ხელთდასხმა საიდუმლო ორდენის რაინდებისა: „სოლომონის ტაძრელებისა“, ანუ ევროპულად „ტამპლიერებისა“, რომელთა მსოფლმხედველობრივ მიზანდასახულობაში ბევრი რამ დღემდე აუხსნელი, გაურკვეველი და საიდუმლოებით არის მოცული. „ტამპლიერთა“ ენციკლოპედიური განმარტებები თითქმის საყოველთაოდ აღიარებდნენ, რომ მათი ღმერთი იყო „ბაჰომეტი“ (იგივ: „ბაფომეტი“), მეფე-დემონი, რომელიც თავის ამსახველ კერპში თხის თავით იყო გამოსახული. **ჯონათან ბლეკის** ინფორმაციით **ბაჰომეტის** ცნებაში „სიბრძნის“ მნიშვნელობა უნდა იყოს ჩადებული. რამდენად ზუსტია ეს განმარტება, ძნელი სათქმელია, რადგან არც სიტყვა „ბაფომეტის“ ეტიმოლოგია და არც ტამპლიერთა რელიგიური სიმბოლიკა ბოლომდე გაშუქებული არ არის. რატომ უნდა ყოფილიყო სოლომონის ტაძრის ხელახალი აშენების იდუმალ მეოცნებეთა ღმერთი **ბაჰომეტი** (ზოგი წაკითხვით: ბაფომეტი) **და არა იაჰვე**, რომელსაც ეძღვნებოდა სოლომონის ტაძარი, ამის ახსნას ვერსად მივაგენი. როგორც ჩანს, ტამპლიერებმა ეს საიდუმლო მაგრად ჩაკეტეს. თუმცა, მეფიქრება, რომ საკმაო ჩაძიების შემდეგ, მივხვდი: ორი მთავარი კითხვის პასუხია აუცილებელი, ვიცოდეთ, ტამპლიერთა ნამდვილი ვინაობის საცოდნელად: როგორია მათი ნამდვილი, შეუნიღბავი დამოკიდებულება ქრისტეს მიმართ, და რას ნიშნავს მათი ღმერთი, აღიარებული, როგორც ბაჰომეტი?!

ბაჰომეტი საყოველთაოდ აღიარებული ინტერპრეტაციით გამოისახება თხის თავით და, ბუნებრივია, მას რაღაც წარმართული ღვთაების მნიშვნელობით აღიქვამენ. მაგრამ რატომ უნდა იყვნენ ტაძრელები, ანუ ტამპლიერები, სოლომონის ტაძრისა და სოლომონის ღმერთის, იაჰვეს თაყვანისმცემელნი, ამავდროულად თხის თავით გამოსახული წარმართული ღვთაების თაყვანისმცემლები, როგორც ჩანს, არ ექვემდებარება წერილობით გადმოცემას და მხოლოდ ზეპირად გადაეცემოდათ ხელდასხმულებს. ამიტომ წყაროებით ეს საიდუმლო ახსნილი არ არის. არადა სულ ახლახანს, როგორც ინტერნეტით გვაუწყებენ, აშშ-ებში, ოკლაჰომას შტატში, ამერიკელმა მასონებმა, ოკლაჰომას კაპიტოლიუმის ბაღში, მოსეს ათი მცნების მემორიალის გასწვრივ ბაჰომეტის სკულპტურული გამოსახულების აღმართვა ითხოვეს. ცხადია, რომ ბაჰომეტი,

როგორც ტამპლიერთა ღმერთი, თანამედროვე ამერიკის მასონთა ცნობიერებაში, დღემდე ცოცხალია, ცოცხალია ისევე, როგორც – ტამპლიერთა მიზანი და ამოცანა. ხოლო რამდენადაც ტამპლიერთა მიზანი და ამოცანა სოლომონის ტაძრის აღდგენა-აშენებაა, მათი, ე. ი. სოლომონის ტაძრის „ახალ მშენებელთა", იგივ „მეტაძრეთა" მისია ახალი ჰირამ აბიფის მისიაა. ღმერთის ვინაობა ტაძრის მშენებლობის იდეასთან უნდა იყოს დაკავშირებული და ტაძრის ისტორიული მშენებლის მისტიურ შემწეობასთან. ყველა დროისა და ყველა ქვეყნის საიდუმლო ცენტრების ერთერთ ცნობილ მკვლევართან, რომელსაც სოლომონის ტაძრის ამშენებელი, ჰირამ აბიფი, ღვთაებრივ პიროვნებად ჰყავს აღწერილი, წავაწყდი ინფორმაციას, რომ ჰირამ აბიფი იყო დიონისური მისტერიების ხელდასხმული, ე. ი. თავისი დროისა და თავისი ქვეყნის საიდუმლო ცოდნის განდობილი. დიონისური მისტერიების ემბლემა კი, როგორც ცნობილია, იყო თხა (შდრ. ქართული: „მოდი ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი, მიველ ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი..."). დიონისე ცნობიერდებოდა როგორც ღმერთი ღვინისა, თრობისა და ირეალურში, ანუ არაამქვეყნიურ რეალობაში გადასახლებისა... ტამპლიერებმა, როგორც ჩანს, ჰირამ აბიფის საპატივცემულოდ პირდაპირ ჰირამ აბიფის ღმერთთან დაიჭირეს საქმე და ჰირამის აშენებული ტაძრის აღორძინებაში, როგორც ახალმა ჰირამელებმა, ანუ ახალმა აღმშენებლებმა ჰირამის ღმერთისაგან ითხოვეს შეწევნა, სწამდათ რა, რომ თავად ჰირამი ამ დიდ საქმეს თავისი ღმერთის შემწეობის გარეშე, ვერ განახორციელებდა. ტაძრელთა მოძრაობა ფაქტიურად უნდა ქცეულიყო გაჰირამებად, ანუ ჰირამ აბიფის განსხეულებად, რომელშიც ჰირამის სული უნდა ჩამდგარიყო, დიონისურ მისტერიებში განდობილის.

„ძველ საიდუმლო ცოდნაზე დამყარებული დიონისური მრწამსის ხუროთმოძღვარნი- წერს ავტორი, – ძალიან იყვნენ მსგავსნი თავიანთი პრინციპებითა და დოქტრინებით ფრიმასონურ წესებთან. ისინი წარმოადგენდნენ მშენებელთა ორგანიზაციას, რომელთაც ერთად ჰქონდათ შეკრული მიმართებანი მიწიერი ხუროთმოძღვრების მეცნიერებასა და ღვთიური ხუროთმოძღვრების მეცნიერებას შორის. სოლომონ მეფემ ისინი მიიწვია თავისი ტაძრის ასაშენებლად, მიუხდავად იმისა რომ ისინი არ იყვნენ არც ებრაელები და არც ებრაელთა ღმერთის თაყვანისმცემლები. არამედ ბახუსისა და დიონისეს თაყვანისმცემლები იყვნენ. არაერთი დიდი მონუმენტი აღმართეს ანტიკურობისა დიონისური მრწამსის არქიტექტორებმა. ისინი ფლობდნენ ხუროთმოძღვრების საიდუმლო ენას და ქვების ამოცნობის სისტემას. ჰქონდათ თავიანთი ყოველწლიური თავშეყრები და საიდუმლო დღესასწაულები. ზუსტი დახასიათება მათი დოქტრინებისა უცნობია. სარწმუნო აზრით **ჰირამ აბიფი** იყო ხელდასხმული დიონისური საიდუმლო წრეებისა".

ავტორის მასონურ-მენტალური მანერის მისამართით უნდა შევნიშნოთ, რომ დიონისური მრწამსის ხუროთმოძღვარნი ვერ იქნებოდნენ მსგავსნი ფრიმასონური წესებისა, ფრიმასონები კი, ფაქტია, დიონისური, ესოდენ წარმართული სიმბოლიკის გათავისებით, მართლაც ესწრაფვოდნენ მასთან მიმსგავსებას. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ როდესაც ხსენებული ავტორი ორფეოსზე საუბრობს, როგორც დიონისური მისტერიების რეფორმატორზე, გვერდს უვლის, ან არ აცნობირებს ორფეოსის კავშირს კოლხურ მისტერიებთან, რაც თავისუფლად იკითხება არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის მითოლოგიურ გადმოცემაში. ამ დონისა და მასშტაბის მკვლევარს კი არ ეკადრებოდა არც შეუმჩნევლობა ამ ფაქტისა და მითუმეტეს არც გვერდის ავლა. მაგრამ ამ საკითხის მეტი განვრცობის ადგილი აქ აღარ არის.

რაც შეეხება ტამპლიერთა საიდუმლო, ანუ ნამდვილ დამოკიდებულებას ქრისტეს მი-

მართ, შეიძლება ითქვას, რომ წყაროთა მასიური აღიარებით საზარლად უარყოფითია:

ცნობილია, რომ პაპა კლიმენტ მეხუთემ საგანგებო კომისიები შექმნა იმ ბრალდებათა გამოსაკვლევად, რომელიც მათ ედებოდათ.

„ტამპლიერებს პირველ რიგში ბრალად ედებოდათ, რომ ისინი უარყოფდნენ ქრისტეს ჯვარცმას და აფურთხებდნენ ჯვარს. ორდენის რიგებში მისაღებად გამზადებულებს, ნეოფიტებს განუმარტავდნენ, რომ ქრისტემ, როგორც „იუდეველთა მეფემ“ მოაწყო აჯანყება რომაელთა მიმართ, იმისათვის რომ გაეფუჭებინა ურთიერთობა ებრაელ ხალხსა და იმპერიის ხელისუფალთ შორის. ამ განმარტების შემდეგ ნეოფიტს ეძლეოდა მითითება მიეფურთხებინა ჯვრისათვის“ (Георгий Иванов-Frank – „Тамрлиеры: Загадки и современность“. 2006, Ин Франс). **ეს ინფორმაცია ფაქტიურად მასიურად არის ფესვგადგმული წყაროებში ტამპლიერთა ისტორიული დახასიათებისას. რაც შეეხება თანამედროვე პოლიტიკურ ორდენებს ტამპლიერებისას, რომლებიც ჯორჯ სოროსის „ღია სამოქალაქო საზოგადოებების“ ანალოგიით სოკოებივით არიან ამოსულნი პოსტ საბჭოთა სივრცეში, ჩემი ყურადღება მიიპყრო უკრაინელ ტამპლიერთა ორდენმა, მიიპყრო თავისი საოცარი ცინიზმით ქრისტეს მიმართ...**

სოლომონის ტაძრის ნატაძრალის ადგილები იყო „ტამპლიერთათვის“ იმდენად წმინდა და მნიშვნელოვანი, რომ თუ ტაძრის საძირკვლებს მიწისქვეშა გვირაბების გათხრით ეძიებდნენ, მიწის ზემოთ, დიდი პატივი იყო მათთვის სოლომონის სასახლის ყოფილი საჯინიბოების ადგილები მოეპოვებინათ. ეს საჯინიბოების ადგილი უფრო პასუხობდა მათ მიზანს, ვინემ ქრისტეს საფლავის ეკლესია, მაგრამ ამ მიზანსწრაფვის შენიღბვას ისინი ახერხებდნენ.

ერთი სიტყვით, ევროპულ ჯვაროსნულ მოძრაობაში სიონისტური მოძრაობა აღმოჩნდა შეფარული. ამ საიდუმლო სიონისტური მოძრაობისათვის მიზანში ორივე მტერი იყო ამოღებული: მუსულმანობაცა და ქრისტიანობაც. მუსულმანობა – ღიად, ქრისტიანობა – ფარულად. სიონისტური მოძრაობა, როგორც ლეგალური ფორმა ამ მიზანდასახულებისა, როგორც ვიცით, მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს გაფორმდება, აშშ-ებში, როგორც ოფიციალური მოძრაობა, ხოლო თავის მიზანს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აღწევს, ცხადია, გარკვეული დოზით და არა ბოლომდე.

ამგვარად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაფარული არ არის, რომ ტამპლიერები სოლომონის ტაძრის ტერიტორიაზე ბანაკდებოდნენ, რაც, როგორც ფაქტი, პირდაპირ მიუთითებს მათ მსოფლმხედველობრივ ვინაობაზე და პირდაპირ აზრობრივ კავშირზე სოლომონის ტაძართან, იმაზედ, რომ ისინი არიან არა „ტაძრელები“, არამედ „სოლომონის ტაძრელები“, ანუ „დავითისა და სოლომონის ტაძრელები“. თანამედროვე ტამპლიერები, რომელთაც ბინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აქვთ დადებული, მათ შორის „ქართველ ტამპლიერთა ორდენი“, რომელიც თავისი ოფიციალური, რეგისტრირებული წესდებით საქართველოს სამეფო და საპატრიარქო ტახტების პატრონობას აღგვითქვამს მომავალში, რეგისტრირებული, როგორც ქრისტეს და ბაგრატიონ მეფეთა, ანუ ღირსეულ **დავითიანთა** ლაშქარი, ისეთივე მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან დღეს, როგორც საუკუნეთა წინარე ჯვაროსნული ლაშქრობების დროს იყვნენ „ქრისტეს ღარიბი ჯარისკაცები“. ინტერნეტში დევს ქართველ და ამასთან მართლმადიდებელ „ტამპლიერთა“ დაჯილდოვების დოკუმენტი, დაჯილდოვებისა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, რაც პირდაპირ მეტყველებს საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანების მესვეურთა დაინტერესებაზე „ქართველი ტამპლიერების“ წარმატებითა და საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტით:

Грузинские православные „тамплиеры“ получили награду

31 августа 2012

Благотворительный Фонд „Тадзрели“ грузинского православного воинского братства „Тадзрелеби“ получил от аппарата госминистра по вопросам интеграции в европейские и евроатлантические структуры грамоту за победу во втором конкурсе „Программы Приграничного Сотрудничества стран Черноморского Бассеина” (Black Sea CBC), сообщает „Новости – Грузия“.

Церемония награждения прошла в Доме юстиции, в Батуми. Кроме Фонда „Тадзрели“, грамоты получили еще 12 организации. В программу включены восемъ стран – Грузия, Румыния, Болгария, Греция, Украина, Молдова, Турция, и Армения. Бюджет программы на 2007 – 2013 гг – 35 млн. Евро...

ქართულმა ფართე საზოგადოებრიობამ არაფერი არ იცის ამ პროცესების შესახებ. არაფერი არ იცის არც იმის შესახებ, რომ ჩვენს პარტნიორ სახელმწიფოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოკლაჰომას შტატის კაპიტოლიუმის ეზოში იდგმება გრანდიოზული ქანდაკება ბაჰომეტისა მოსეს ათი მცნების მემორიალის გასწვრივ. ქართულმა ფართე საზოგადოებრიობამ, ქართველმა ხალხმა თითქმის არაფერი იცის ქართველი მასონებისა და ქართველი ტამპლიერების შესახებ. მათთან დაკავშირებული პროცესები მიმდინარეობს ოფიციალურად და ღიად, მაგრამ მაინც ფარულად და შენიღბულად. ისინი ჰგვანან ადამიანის სხეულში გაჩენილ უმტკივნეულო კერებს, რომლებიც იმ დროს, როცა მათგან ტკივილს იგრძნობ და ამ ტკივილით – მათ არსებობას, შესაძლოა შენთვის უკვე საბედისწერონი აღმოჩნდნენ სასიცოცხლოდ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ლაშა ხომერიკი

პოეზია გვაღვიძებს

ხმა უსაზღვროებიდან

ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ – სენტ ეგზიუპერის ეს ფრაზა ხატოვან გამოთქმად იქცა, მას ხშირად იმოწმებენ, რადგან ურყევ ჭეშმარიტებას ღაღადებს. მეც ჩემი ბავშვობიდან მოვდივარ; ოჯახი, რომელშიც ვიზრდებოდი, წიგნის, პოეზიის, საერთოდ ხელოვნების სიყვარულით სულდგმულობდა. დედის წყალობით სულ პატარაობიდანვე შევიგრძენი ლექსის ანდამატი. მახსოვს, დასაძინებლად დაწოლილს, დედა თავსასთუმალთან ჩამომიჯდებოდა და ზღაპრებს მიკითხავდა, მერე ლექსებზე გადადიოდა... ახლაც ჩამესმის ყურში მის მიერ წაკითხული „ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის...“ როცა ლაპარაკი დავიწყე, თურმე პირველად სწორედ ეს ლექსი მითქვამს... კიდევ არა ერთი მოგონება ხშირად მახსენებს თავს, ისინი მწერლებს უკავშირდება; ჩვენი ოჯახი ხშირად მასპინძლობდა ზოგიერთ მათგანს, რომელთა სტუმრობა ლიტერატურულ საღამოებად გადაისახებოდა, ვიჯექი მათ ახლოს და ინტერესით ვუსმენდი.

თბილისიდან გურამ დოჩანაშვილი და ნუგზარ შატაიძე 80-იან წლებში რამდენჯერმე გვეწვია. მამაჩემმა (ლიტერატორი მურმან ხომერიკი) ისინი სკოლაში მიიწვია (სადაც თვითონ ლიტერატურას ასწავლიდა), დედაჩემმა (მწერალი გენრიეტა ქუთათელაძე) კი ყოროლისთავი, ურეხი, ახალშენი, ჩაისუბანი, სარფი, გონიო შემოატარა (დედა რაიონული გაზეთის რედაქტორი იყო) და იქაურებს შეახვედრა, გაიმართა ლიტერატურული საღამოები, რომელთა მონაწილე მეც ვიყავი, უფრო უკეთ – მსმენელი. ჩვენს ოჯახს დროდადრო სტუმრობდნენ ბათუმელი პოეტები და მწერლები. რამდენჯერმე გვესტუმრა ზურაბ გორგილაძეც. მაგონდება მამაჩემის სიტყვები – ზურაბი ისეთი პოეტია, რომ მასთან მიმართებაში ეპითეტები უფერულდებიანო. მართლაც, სიტყვები თითქოს უძლური არიან მისი არსების გამოსახატავად. ის მართლაც რომ გამორჩეული იყო, რაღაც სხვანაირი ნათლით მოსილი, ასე მგონია ასხივებდა, უზარმაზარ სითბოსა და სიკეთეს ვგრძნობდი, როცა ლაპარაკობდა. ლექსს ისე კითხულობდა, რომ გულისგულამდე ატანდა, ასე მეგონა, ეს ხმა უსაზღვროებიდან მოედინებოდა. სიტყვების მაგიური ძალა და ჟღერადობა იმდენად ძლიერი იყო, რომ ახლაც, ათეული წლების შემდეგ, იმდროინდელი ემოცია არ გამნელებია, ცხადად წარმომიდგება ზურაბის ხატი – კეთილაღნაგი, დიდი ბავშვი, ფაქიზი, კეთილი, მგრძნობიარე, ნიჭიერი, მუსიკალური, მართალი, გულწრფელი, ნატიფი, რაინდი, სიყვარულით სავსე, სიტყვის ჯადოქარი, წინასწარმეტყველი, დიდი ფიქრიანი თვალებით, მგზნებარე, ზოგჯერ ვეფხვივით შემართული... დახასიათებისათვის თავად მას დავესესხები: „ტაოკლარჯეთის ბოკვერი ბღეზი ბეწვებით...“ ზოგჯერ სევდით შეძრული... თუმცა ეს სევდა-წუხილი ერთი თვალის შევლებით არ ჩანდა, მას მხოლოდ ფიქრთა თანამოაზრე გამოიცნობდა. ეს თავადაც შესანიშნავად იცოდა და ამიტომაც ამბობდა: „მტკიოდა მუდამ და სიხარულს ვამხელდი, მიცნობდნენ ბედნიერ პოეტის სახელით...“

ხალხის დიდი სიყვარულით იყო გარემოსილი, რადგან თავის ზეციურ დანიშნულებას პირნათლად ასრულებდა, წერდა ისეთ ლექსებს, რომელსაც ვერ დაივიწყებ, ერთხელაც რომ წაიკითხო. ეს ლექსები საქართველოს საგალობელია, ტკივილიანია, რადგან სამშობლოს წარსული და აწმყოა მისი ფიქრის სათავე, როგორც თავად ამბობს, ძირმწარეა ეს სიმღერა: „ასე ძირმწარედ არ უმღერია არცერთ მგალობელს და არცერთ პოეტს". მართალია, ეს „სიმღერა" უფრო ტირილს წააგავს, რადგან როგორც თავად ამბობს: „სარფიდან დარიალამდე შევძრულვარ საქართველოთი..." ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა დიდ ნიჭს შეუძლია ყოფიერების სამანი გაარღვიოს და საქართველოს სადარდებელი, ანუ „ტკივილი იმღეროს". დიახ, „ტირილი მღერის", როცა მასზე ჭეშმარიტი პოეტი წერს აი ასე: „დგას ძველისძველი – ძველი ტირილი და საქართველოს სიმღერას მღერის".

მაინც, რა არის ამ ტკივილიანი სიმღერის წარმომშობი? – ძირმწარე წარსული, სისხლით გაპოხილი ჩვენი მიწა-წყალი, სარწმუნოებისთვის თავდადებული, ჭოროხსა და მაჭახელაში ჩახოცილი ჩვენი ქალ-ვაჟები... და პოეტიც შეძრული ამოიძახებს: „ტრიალებდა სისხლი, ბუღი და მარჭობდნენ სულში ისლამს..." მაგრამ ასეთი ძალადობის მიუხედავად, მომხვდურმა ვერ შესძლო აჭარელის ცნობიერებაში ჩაეკლა ეროვნული სული, პირიქით, განსაცდელმა გამოაწრთო აქაური „ნენე და ბაბა"; „დარდებს გულში ვიბეჭსნიდი, აჭარელი ვიყავ განა..." ეს აქაური კაცის კოლექტიური პორტრეტია, მტკიცე, მომთმენი ადამიანისა, რომელსაც ეიმედება მომავალი, არ ეშინია განსაცდელისა, ენაც შეინარჩუნა და ქრისტიანული რწმენაც გულში ღრმად შემოინახა – კერიის დიასახლისი ჭადზე ჯვარს ასვამდა, ეს ფაქტი ხომ სწორედ ამის დასტურია, იმის გახსენება, რომ სწორედ ამ მხარეში აენთო პირველად ქრისტიანული ნათელი, აქ იქადაგეს მახარობლებმა, აქედან გადანათდა დანარჩენი საქართველო. „ღვთაებრივი ქრისტეს ჯვარი საქართველოს მე პირველმა მივეცი" – იტყვის მერე ზურაბ გორგილაძე და მისებურად, ზურაბისეულად ამოიკვნესებს: „საქართველოვ, ჩემო დედავ, ჩემი სუნთქვაც გენაცვალა, ჩემი ყველა მქუხარება, მწუხარება გენაცვალა".

წარსულთან ერთად აწმყოც ანაღვლიანებდა პოეტს, ის აწმყო, რომელშიც მთელი საბჭოთა საქართველო ცხოვრობდა (ჯერ კიდევ ამ 25-ოდე წლის წინათ) და რომელიც მედროვეთა ტაშითა და ზეიმებით იყო გაჯერებული. და აუმბოხდა ამ სავალალო სინამდვილეს პოეტი, თითქმის ყველა ჩვენგანის გულისთქმა ამოიცნო და ომახიანად შესძახა: „ფარდა! ყველა ყალბ ზეიმებს, დღეობებს, შორს! ტახტები და ტაშები ქების, უპირველეს შენს დროებას უნდა ეომო, რომ მერმისმა არ გესროლოს ქვები". საქართველოს ცხოვრების ამ უძრაობის ხანას პოლიტიკურ ასპექტებთან ერთად გაქსუებული და განჯგონებული ქართველებიც განაპირობებდნენ – ესენი იყვნენ ნიღბიანი ჩინოვნიკები, სხვადასხვა სახეს რომ ირგებდნენ, პოეტი ემიჯნებოდა მათ და გულმოკლული წერდა: „სამ სახეობას ვერ ვიტან კაცისას, უპირველესად კარისკაცისას... შემდგომ ამისა მატყუარისას... შემდგომ ამისა ტაკიმასხრისას..." ასეთი ადამიანებით დასახლებული საქართველო მისთვის მიუღებელია, მით უფრო მაშინ, როცა ხედავს: „მხოლოდ ხურდა აცვივა ქუჩაში უქმად გაშვერილ ხელებს" და გულშეძრული ამოიძახებს: „რა ვქნა, ჩემი საქართველო უფრო სხვანაირი მინდა". ეს ეგზალტირებული მოწოდება კი არაა, ნამდვილი მამულიშვილის, პოეტის მართალი სიტყვაა, თვისტომთა გამოღვიძება რომ სურს. ლექსი „მინაწერი ფილმზე ტაოკლარჯეთი" ამის დასტურია: „ჩემო ციხევ და ნათელო, ჭირიმე შენი გამჩენის... შიგნით რას მერჩი ქართველო, გარეთ გვყავს გადასარჩენი!" როგორც თავად ამბობს, „მართალი სიტყვის პატრონი" მუდამ ცხენშეკაზმულია, შეურიგებელი ყოველივე მანკიერებისადმი, ამიტომაც სავსებით ლოგიკურად აღვიქ-

ვამთ პოეტის ქვემოთ მოხმობილ სტრიქონებს: „ჩემს ლექსებს ახლავს „მარად ზენაარი, ზაფრა განუკურნელი, ყაბალახის, თუთუნის და საქართველოს სურნელი“. საქართველოს სურნელით გაჟღენთილი პოეზია და პოეტი – ამაღლებული და საკრალური! – ასე ფიქსირდება ჩემს ცნობიერებაში ზურაბ გორგილაძე და ახლა მეც მასთან ერთად ვმოგზაურობ ჩვენს დალოცვილ მთა-ბარში, ხან ძენწმანში, ხან ჭვანაში, ხან ვერნებში, ხანაც თაგოსა თუ ნენიაში და ლამის მეც პოეტივით ამოვიძახო: „ძენწმანო და ჭვანის ჭალავ, ვერნებო და ბოძაურო, რაც ამ ქვეყნად თავი მახსოვს, ჩემს ძარღვებში მოგზაურობთ“. მერე ეს მოგზაურობა უფრო ფართო არეალს მოიცავს, მარადიდს, კახაბერს გადაუვლის და გონიოსთან ყოვნდება:

„კახაბრის მინდორს გადაუფრენს ნისლი,
ვაშლოვანის ნისლი, მარადიდის ნისლი
და გონიოს კართან, ვით გრიალი ზღვათა,
ქოჩახელას მძლავრი მოძახილი ისმის...“

მაინც რა ძალამ აუნთო სულში პოეზიის უქრობი ვარსკვლავი ამ ღვთითკურთხეულ პოეტს? ასე მგონია, ჩვენმა ულამაზესმა ბუნებამ, როცა დაინახა: „კლდის კატარში მზე ყვაოდა, კლდის ბორჯღალზე ბენჩქვი ყანა“ და მერე, შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს იგრძნო, რომ „ქარში შეცბუნებული, ქანცმილეულ ალივით ძირს პირველი ჩამოდის იასამნის ყვავილი“ და შემოდგომის ფოთოლცვენაში დაღმართს დაუყვა... „ო, ეს ფოთლები... ზენაარის ბანგით ფერილი“ ფოთლები თითქოსდა რაღაც უცხო და იდუმალ სამყაროსკენ მიაქანებდა, მერე წყლის დუდუნიც ჩაესმა, საფორჩხელას ღელეში „ფოთლებით და წვიმებით გალეშილ ჭინკასაც“ შეხვდა და მთვარიან ღამეს, ვარსკვლავთა სილამაზითა და იდუმალებით შეძრულმა უზენაესს მიაწვდინა გულის ძახილი:

„წიფლი ფოთოლ ლექსებს ვწერდი,
დამწიფებულ მოცვითაო,
ბუნჯგალ-ბუნჯგალ ვარსკვლავები
სულ მთებზე გადმოცვივდაო“.

ეს მშვენიერი პეიზაჟები მერე ერთ უმშვენიერეს ხატად აღიქვა და „ხატიმამულიც“ ასე შეიქმნა – ნამდვილი საგალობელი. დავუგდოთ ყური ამ გალობას:

„ხალა!... ეს ჩემი ხატიმამული,
ლოდზე ჯვარი და მზე,
მზეზე ატმების აბდგიალება,
კვირტებში ჩიტების რძე.
ვენახის ბური და მხურვალება
გადაბურდული მთებს,
ჩემი წინაპრის ცხელი თვალებით
გამგელებული მდევს“.

„ნუ დამტოვებ ამ თაროზე, გადამფურცლე, იქნებ მოგეწონები“ – ასე მიმართავს თავისი ერთ-ერთი რჩეულის წინასიტყვაობაში მკითხველს. ამ რჩეულს „ოჰოი ნანა“ ჰქვია, იგი არ ჰგავს სხვა წიგნებს, თუნდაც იმიტომ, რომ მთელი კრებული ზურაბის ხელნაწერის ილუსტრაციას წარმოადგენს. ვინც, თუნდაც პოეზიაში ოდნავ ჩახედული და მოყვარული, გადაფურცლავს ამ წიგნს, შეუძლებელია აღფრთოვანების გრძნობა არ დაეუფლოს, ნამდვილ ესთეტიკურ ტკბობას შეიგრძნობს, მშვენიერება რომ იწვევს, ამჯერად სიტყვაში განსხეულებულიც. აქედან მშობლიური ჰანგები ისმის, ქართული სული, გონი და ძალა იგრძნობა, სიტყვის დიდი ოსტატის ხელწერა იმდენად შთამბეჭდავი და თავისთავადია, იმდენად გამოკვეთილი, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, მას ქართული ლექსის ერთ-ერთ ნოვატორად წარმოაჩენს. მასთან სიტყვები თითქოს გრძნეულ ფრთებს ისხამენ და ჩვენც დაგვაქროლებენ პოეზიის იდუმალ სამყაროში. „ოჰოი, ნანა“, „სულხან-საბა“, „მემედ ბატონო“, „შუახევური სახუმარო“, „ნენემ დიმინიშნა ქალი“ და ბევრი სხვა იმდენად პოპულარულია, რომ მას მოსწავლე-ახალგაზრდები სკოლებში ლიტერატურულ ღონისძიებებში ზეპირად კითხულობენ. არაერთხელ მომისმენია მოსწავლეთაგან წაკითხული ლექსები და ყოველთვის მიპყრობდა განცდა, რომ ერს, რომელსაც ასე უყვარს პოეზია, გადაშენება არ უწერია.

იქნებ, სწორედ პოეზიის ტრფიალია ისტორიის ქარტეხილებიდან გამოღწევის კოდიც?! ალბათ, ასეთ მოსაზრებასაც გამოუჩნდება მომხრეები. ეს აზრი მით უფრო სწორად მივიჩნიე, რადგან დამკვიდრებული აზრია: „ლექსის მკითხველი ადამიანის დაძლევა ძნელია“.

„სიტყვავ, ხან იის წვეთო, ხან ნაკვერჩხალო, ხან დაფლეთილო, ხან დადაფნულო...“ – ასე იტყვის ერთგან, რა მშვენიერი მიგნებაა, გააზრებაა შემოქმედებითი პროცესისა, სიტყვასთან ჭიდილი, სიტყვის ძიება, იმ ერთადერთის, საჭიროს, ღვთიურის, რომლის პოვნა მხოლოდ ისეთ პოეტს შეეძლო, როგორიც ზურაბ გორგილაძე იყო – უაღრესად ნიჭიერი, ინტელექტუალური, სათუთი და წმინდა ხმის პოეტი, სამანგადამლახველი, განდობილი...

ზურაბ გორგილაძემ უკვე ათი წელია იმიერ სამყაროში, შეიძლება ითქვას – უკვდავებაში გადაინაცვლა და ახლა ამიერში დარჩენილებს მრავალ შედევრთან ერთად, სულის საოხად ეს სტრიქონებიც დაგვიტოვა:

„შენ არ გეგონოს, მოვკვდი და მორჩა!
შენ არ გეგონოს ჩავქრი და მორჩა!
აქედან უფრო ლამაზად მტკივა,
აქედან უფრო ლამაზი მოჩანს...“

ჩემი ბავშვობისა და ყრმობის ულამაზესი მოგონებაა შეხვედრები ზურაბ გორგილაძესთან, მეამყება, რომ მისი თანამედროვე ვიყავი, რომ ახლოს ვიცნობდი, რომ მისთვის არაერთხელ მომისმენია, ახლაც ჩამესმის მისი მგზნებარე ხმა, ხმა, რომელმაც ლექსის მუსიკას, ლექსის სილამაზეს მაზიარა და სიცოცხლის მშვენიერება განმაცდევინა.

„პოეზიაზე წერა ძალიან ძნელია, რადგან ვერაფრით დააღწევ თავს სუბიექტურობას“ – თამაზ ჭილაძის ამ სიტყვებს თავდაზღვევის მიზნით როდი ვიმეორებ, პირიქით; ვფიქრობ, ჩემმა სუბიექტურმა განწყობამ ამჯერად ხელი შემიწყო, რომ ზურაბ გორგილაძე გულის თვალებით დამენახა და კიდევ ერთხელ დავრწმუნებულიყავი – სიტყვას მართლაც საკურნებელი ძალა აქვს; ჰოდა, როცა ცუდ გუნებაზე იქნები, მკითხველო, გადაშალე ზურაბ გორგილაძის ნებისმიერი წიგნი, მერწმუნეთ, გუნება გამოგიკეთდებათ, სულიერად ამაღლდებით ერთი საფეხურით და ამაყად თავაწეული გაივლით მისი სახელობის ქუჩაზე, ჩვენი ქალაქის ყველაზე გამორჩეულ უბანში, სადაც პოეტს ბევრი ჩვენი თანაქალაქელი სიყვარულით იგონებს. ეს სიყვარული უნაპიროა... მარადისობაში გარდასული ზურაბ გორგილაძე მუდმივად ჩვენი თანამედროვეა.

როცა ბათუმში წვიმს...

წვიმს, გადაუღებლად წვიმს... ქუჩაში მივდივარ და ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს ციური შხაპის ქვეშ მოვხვდი. ზაფხულის წვიმას ბათუმში სხვა ანდამატი აქვს. საუკუნის წინათ, ეს მანდელშტამმაც შეიგრძნო და მერე დაწერა კიდეც თავის მემუარებში: წვიმაში ეს ქალაქი ერთ დიდ აბანოს მაგონებსო.

აბანოსი რა გითხრათ, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ბათუმური წვიმა მართლაც ღვთიური გარდამოსვლაა, როგორც პოეტები წერენ?!

თანამედროვე ბათუმსა და მის წვიმას ახლაც ჰყავს ერთი გამორჩეული მგალობელი; ეს ვახტანგ ღლონტია, ძირძველი ბათუმელი, მთვარის რაინდად და მზემესიტყვედ წოდებული, სრულიად საქართველოში აღიარებული, პოპულარული პოეტი, რომლის პოეზია თავისთავადობითაა ნიშანდებული. ახლა, ამ ბათუმურმა წვიმამ სწორედ ის მომაგონა და მეც მის ლექსებთან ერთად შევუდექი სახლისკენ მიმავალ გზას. მეხსიერებამ პოეტის მიერ ლიტერატურულ საღამოებზე წაკითხული „ბათუმური წვიმის სერენადა“ ამოატივტივა და ცხადად ჩამესმა პოეტის სიტყვები: „ბათუმი არის წვიმა და არაფერი სხვა... მოკვდები, ჩუმად გიტირებს მისი წვიმების ხმა... ბათუმი მაინც წვიმაა და არაფერი სხვა“. დამემოწმე-

ბით, ალბათ, რომ ეს სიტყვები გულისგულამდე ატანს. მშობლიური ქალაქის სიყვარულის განცდა ხომ ყველასათვის ახლობელი და ბუნებრივია, ალბათ, ამიტომაც ვითავისებთ მის ამ სტრიქონებსაც: „ნუ გამომიყვანთ წვიმიდან, მცემს წვიმის შარავანდედი“.

ვახტანგ ღლონტმა ბათუმურ წვიმას მართლაც რომ საგალობელი აღუვლინა, „წვიმა“ მისთვის ხან ბათუმის სინონიმია, ხანაც – სახე-სიმბოლო ღვთიური გარდამოსვლისა. ეს აზრი მისმა ამ სიტყვებმა მიკარნახა: „უფრო ახლოს ხარ იესო, უფრო მახსოვხარ წვიმიდან“. ჰოდა, პოეტისა არ იყოს, ახლა მეც „წვიმის ტყვე“ ვარ ჩემივე ნებით, „წვიმა უფრო უმატებს ტირილს“ და მეც მიხარია, როცა შევნიშნე, ერთი ბათუმური სახლის ფანჯრიდან „ასი წლის კაცი წვიმას უცქერის და იღიმება“... თუმცა, მერე, პოეტივით მეც სევდამ შემიპყრო, როცა მისი ეს სტროფი გავითავისე:

„ზღვას აწვიმს... აწვიმს მდინარეს...
პოეტის ცრემლებს აწვიმს...
აწვიმს წვიმასაც, იმ დარებს
რომ არ დამდგარა აწი...
მეც მიმაქვს (საით – ვიცოდე?!)
წვიმების მძიმე ჯაჭვი...
აწვიმს სიკვდილს და სიცოცხლეს... აწვიმს...“

ბევრი, ალბათ, ამ სტრიქონების მოხმობისას წვიმის მხატვრულ ფუნქციაზე გაამახვილებდა ყურადღებას და მის სხვა ლექსებში მარგალიტებივით მიმობნეულ მეტაფორებს აკინძავდა, მე კი არ მინდა ამ ნაცად გზას დავადგე – ვახტანგ ღლონტის, ამ თვითნაბადი და ღრმად მოაზროვნე პოეტის შემოქმედება პროკრუსტეს სარეცელში მოვაქციო და აპრობირებული მეთოდებით მიმოვიხილო. დიახ, ვახტანგ ღლონტი ჩარჩოებს ვერ ჰგუობს, იგი, უპირველეს ყოვლისა, მეამბოხე და მებრძოლი პოეტია, ყოველგვარ რუტინულსა და ყავლგასულთან დაპირისპირებული, კოსმოსის უსასრულობაში გაჭრილი, მეოცნებე და მოფიქრალი, მასზე თავისუფლად შეიძლება ითქვას, კოსმიური ცნობიერების ადამიანი, რომელიც თავისი პოეზიით შთამაგონებლად და ხატოვნად აცხადებს – მხოლოდ და მხოლოდ ზნეობრივი, მღვიძარე პიროვნების ხვედრია ჭეშმარიტების შემეცნება და რომ „სიყვარული კი არც იწყება და არც მთავრდება, იგი გვიწყებს და გვამთავრებს კიდეც“. სიყვარულის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი გამოხატულება პატრიოტიზმია. სწორედ სამშობლოს ბედით შეწუხებული, მედროვეთა და ფარისეველთა მოქმედებით აღშფოთებული და მუდამ მართლის მთქმელი პოეტის ტკივილიანი შეძახილი იმდენად ძლიერი და ყოვლისმომცველია, რომ ეკლესიის ზარების გუგუნივით გაისმის:

„არ ეპატიოს,
ვინც დაივიწყოს საკუთარი მოდგმა და ჯიში,
არ ეპატიოს!
არ ეპატიოს!“
არ ეპატიოს, ვის მამული უყვარს თავისი
და სისხლის ნაცვლად,
მამულისთვის ცრემლი ანთხიოს...
ვინც მომხვდურს თავი შეავრდომოს
ვაით და ვიშით,
არ ეპატიოს!
არ ეპატიოს!
არ ეპატიოს!

„სამშობლო მე ვარ“ – იტყვის ერთგან ვახტანგ ღლონტი, ასე მხოლოდ ჭეშმარიტ პოეტს და მამულიშვილს შეუძლია განაცხადოს, რომლის მწარე შეძახილი: „ოჰ, სამშობლოვ, სამშობლოში რატომ ვერსად მომაგენი“, არა მარტო სევდიან ფიქრებს, არამედ პროტესტსაც აღძრავს. ჩვენს ყოფიერებაზე, დამცროლილ, დაკნინებულ სულიერებაზე, მანქურთებზე, ფარსაგებსა და ფარისევლებზე ისე წერს (ტკივილით და არა სიძულვილით), რომ, დარწმუნებული ვარ, როგორც თავად პოეტი ამბობს, ამ სონეტებს „წაიკითხავენ როგორც განაჩენს“... ამ მხილებას მხოლოდ ჩვენი სულიერი ფერისცვალების სურვილი კვებავს. ალბათ, სწორედ ამიტომაცაა, რომ მისი ბევრი ლექსი ლოცვასავით იკითხება, თუნდაც „ვედრება“. ამონარიდს შემოგთავაზებთ:

„ღმერთო, შენ უშველე ყველა გაჭირვებულს,
იქმენ კაცთა გლოვის მონაწილე,
ყველა დავრდომილს და ატირებულს
ლხინი გაუმრავლე, ჭირი მოაცილე“.

მხოლოდ მაღალნიჭიერ პოეტს, ჭეშმარიტად სულიწმიდის მადლით მირონცხებულს ძალუძს ასე შთამბეჭდავად წარმოგვისახოს ჩვენი რეალობა, დღევანდელი ყოფიერება:

„გაუფასურდა სიტყვა,
რომელიც იყო ღმერთი,
რომელიც იყო პირველ
და იყო ღმრთისა თანა...
მუნჯები ამეტყველდნენ,
ხოლო მზემესიტყვენი,
ვით განწირული ტყვენი,
სიტყვაგამშრალი დგანან“.

ამ ტრაგიკული რეალობის გაცნობიერების შემდეგ პოეტის ნათქვამიც „ქვეყანას მკვდარი პოეტი მოსწონსო“, აღარ გვეუცხოება, მით უმეტეს, თუ წარსულსაც გავიხსენებთ. განა თვით აკაკიც, ხალხის უზომო სიყვარულით გარემოსილი, გულისტკივილით არ ამბობდა, ჩვენში ღირსეულს სიცოცხლეში იშვიათად მიაგებენ პატივსო? ეს საწუხარი ვახტანგ ღლონტის სტრიქონებში ასე ჟღერს:

„სამეფო სიტყვის მამინაცვლებს
შენთვის სიტყვაც კი ებევრებათ,
ალბათ, სიმდიდრედ ჩაგითვალეს
ცრემლი დაღვრილი შედეგრებად,
არადა, ბავშვიც აღარ გეთქმის,
როცა სიკვდილი გეფერება“.

პოეზია გვაღვიძებს, დიახ, ასეა, ცხადია, მხოლოდ ნამდვილი, ჭეშმარიტი პოეზია. ლექსი ხომ სულიერ თვალს გვიხელს, გვაღვიძებს და გვაფაქიზებს, ამაღლებულის განცდა მოაქვს, გვაძლიერებს კიდეც; ბროდსკის ნათქვამი მაგონდება: „ლექსის მკითხველი კაცის დაძლევა ძნელიაო“. მართლაც, პოეზიით განათებული სული ტრანსცენდენტურ სამყაროში მიჰქრის და საგზლად მიაქვს საყვარელი პოეტის ლექსები. ჩემთვის ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული და უზეშთაესი შთაგონების პოეტი ვახტანგ ღლონტია, რომლის ლექსებმა ბათუმის ერთ წვიმიან დღეს უსამანო სივრციდან მზის ცისფერი სხივები მომფინა და მისი ეს ერთი გამორჩეული კრებული „სიტყვები ქარისათვის“ ახალი თვალით დამანახა. პოეტის ჩანაფიქრი სიმბოლური და ნიშანდობლივია, ხატოვნად რომ ვთქვათ, მგოსნის სიტყვები ქარმა გაიტაცა, მიმოფანტა ყველგან, მიწაზე, ცაში... მეც მომწვდა ეს სიტყვები (ალბათ სხვებსაც) და ამ წვიმიან და ქარიან დღეს სერენადასავით ჩამესმა, გამამხნევა, სავალი გზა გამიიოლა, სულიერად გამაძლიერა...

მზის ერთი სხივი

ალბათ, ბათუმში არ ჩატარებულა ლიტერატურული შეხვედრა, ბელა ქებურიას რომ არ მიეღო მონაწილეობა. არაერთხელ მომისმენია მისთვის და ყოველთვის დავრწმუნებულვარ, ეს ქალბატონი, უპირველესად, მართლაც გამორჩეული ინტელექტითა და ლამაზი სულით იწვევს საყოველთაო პატივისცემას. სულის სილამაზე მის ლექსებში იმდენად საგრძნობია, რა გასაკვირია, რომ მკითხველებში სიყვარულს აღძრავს. მეც მისი ერთ-ერთი მკითხველი ვარ.

ამბობენ, პოეტის ვინაობა ყველაზე უკეთ მის ლექსებში ჩანსო. თუ გსურს გაიგო, როგორი ადამიანია შემოქმედი, ამაზე, პირველ რიგში, მისი წიგნები მეტყველებს. ბელას ლექსების კრებულების წაკითხვის შემდეგ ეს აზრი უფრო განმიმტკიცდა – დავინახე ამაღლებული, ტკივილით სავსე, უსათნოესი და ფაქიზი ბუნების ადამიანი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს თავისი ქვეყანა, ბუნება, ყოველი სულდგმული, თითოეული ადამიანი. დღეს მკითხველის ყურადღებას ბელას ცხოვრების ქრონიკებს კი არა, სწორედ მის შემოქმედებას მივაპყრობ.

„მოდით, გაღიმებულს მომისწარით“, „აქ, ამ ყოფიერ დედამიწაზე“, „ჩემს ცისარტყელას ჩამოათოვა“ – ეს ბელა ქებურიას ის წიგნებია, რომლებიც ახლა მსურს თქვენთან ერთად გადავფურცლო. კითხვა დავიწყე, გავოცდი, „სევდა მძივებით ასხმული“ იმდენად მშვენიერი იყო, იმდენად ახლობელი... მართლაც, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, კარგი ლექსი არა მარტო იკითხება, არამედ ისმინება როგორც მუსიკა, ვხედავთ როგორც ნახატს...

ბელა ქებურია მხოლოდ კალენდარულად როდი ცხოვრობს 21-ე საუკუნეში, იგი თავისი თვალსაწიერითაც ამ საუკუნის შვილია, რომელიც კოსმოსის უსასრულობას, სიკვდილსიცოცხლის და ჭეშმარიტების მარადიულ ამოუხსნელ კითხვებს ჩაღრმავებია და მისი სულიც სამოგზაუროდ გაჭრილა ვარსკვლავეთში.

„ვგრძნობ, რომ მიველტვი ფერად სამყაროს,
უცხო სამყაროს (რაღა გაშორებს),
რადგანაც სული, რომ ვეღარ იჭერ,
ანცად მოირბენს ვარსკვლავთ გაზონებს“.

პოეტის ეს სტრიქონები შეიძლება მისი შემოქმედების გასაღებადაც მივიჩნიოთ. თუმცა დღეს ბელა ქებურიას შემოქმედების ანალიზს არ ვაპირებთ (ეს ლიტმცოდნეების საქმეა), მხოლოდ იმაზე ვისაუბრებთ, როგორ ვკითხულობ მის ლექსებს... მაშ, ასე, მე ვხედავ პოეტს, რომელსაც ანდამატივით იზიდავს ცა თავისი იდუმალებით, მზის ამოსვლა და ვარსკვლავთ ციალი სულს უცისკროვნებს.

ვხედავ პოეტს, რომელსაც სამყაროს უსასრულობაზე ფიქრი არ ტოვებს და ეს ფიქრი კითხვებად ასე ჩამოიქნება: „ღმერთო, ვინა ვარ, რისთვის გავჩნდი, ან რას მოველი, რას წარმოვადგენ სამყაროსთვის, ვიცოდე ნეტავ“...

ვხედავ პოეტს, რომელსაც ფიქრები ჩიტებივით შემოსჩვევია: „ოჰ, ფიქრი, ფიქრი, ჭრელქათიბა, მტანჯველი ეგზომ, ნათელი შუბლის გალიაში მბორგავი ჩიტი შემომეჩვია“...

ვხედავ პოეტს, რომლის ტკივილი, უპირველესად, სამშობლოს ტკივილია და მისი „იმდენი დარდის, ცრემლის მხილველი, ჯავრის, ტკივილის, ხიზნის მტვირთველი“, გულიც ლამის დადუმდეს, რადგან „ირგვლივ ნაცნობი სანახებია, მაგრამ სული კი არაქართული“.

ვხედავ პოეტს, რომლის „ხელისგულებში გამომწყვდეული ჩიტის ბარტყის გულივით ფეთქავს მთრთოლვარე სული“...

„და გაოგნების ბინდისფერ კედლებს
თავგამეტებით ისე აწყდება,
თითქოს იმედი, რომ თქვენს სულებში
ჩაახედებს მთვარის სხივებს
და ხვალინდელი საქართველოს
ელვარე დილას“...

ვხედავ პოეტს, რომლის პოეტური წარმოსახვები იმდენად შთამბეჭდავია, რომ უნებლიეთ მისი განცდების თანამოაზრე ხდები.

„წვიმს... გულში მითრთის სველი ოცნება,
ვით გამეტება ან გაოცება,
წვიმს... მეც მგონია, ვიქეცი წვიმად“...

ვხედავ პოეტს, რომელიც ორიგინალური სახეებით აზროვნებს და სიმართლე უშუალოდ მიაქვს მკითხველამდე. ეს აზრი „სურომ“ მიკარნახა: „მოერია... აცოცდა! რომ აცოცდა, გაოცდა... მიხვდა გაოგნებული, არად ღირდა სიმაღლე, რადგან სულ სხვა აღმოჩნდა სიმაღლიდან – სიმართლე!“

ვხედავ პოეტს, რომელსაც შორსმჭვრეტელი მზერა ებოძა, ეს კი მადლია, რომელსაც იგი სხვებსაც უზიარებს. აკი ამბობს კიდეც: „ვგრძნობ, მთვარის სხივით – იდუმალით მევსება მზერა“. ეს მზერა ხან მაგნოლიის ტოტზე ყოვნდება, ხანაც წვიმის წვეთზე, ხანაც უთავსაფრო ლტოლვილ შაოსან ქალზე, ხანაც კიდევ მონათესავე სულის პოეტზე და ერთხელ კიდევ ვრწმუნდები – პოეზია მართლაც სულის აღზევებაა, ცნობიერების ღვთაებრივი გამონათება, პოეტი კი ადამიანი, რომელიც სულიერ თვალს გვიხელს, გვაღვიძებს და გაფაქიზებული აღვიქვამთ ჩვენს ყოფიერებას.

ორდინარული ადამიანები ყველაზე ცოტა დროს საკუთარ თავთან განმარტოებას უთმობენ, პოეტი კი პირიქითაა და სწორედ ამის გამოა, ალბათ, რომ სამანგადასული კითხვე-

ბიც ლექსად ჩამოიქნება, ისე, როგორც ბელა ქებურია იტყვის: „მწამს, რომ სამყაროს დამხობის ჟამსაც ცისკენ ავყვები სიმღერად ღრუბლებს“...

და მაინც, ზემოთ დაწერილი სტრიქონების წაკითხვის შემდეგ თუ გაგიჩნდათ კითხვა ბელა ქებურიას პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ, მერწმუნეთ, ამის პასუხს მის ამ ლექსში ამოიკითხავთ:

„ვინ ვარ?
მზის ერთი სხივი ვარ,
ცისკართან ერთად ავდგები, წვიმას
ღვთის მადლად ვღებულობ,
ქარებს მეგობრად დავყვები, ზოგჯერ
ზღვის მეცხრე ტალღა ვარ,
თეთრად გაშლილი აფრებით,
ბაბუაწვერას სუნთქვა ვარ,
მომიქროლებ და... გავქრები...
სამშობლოს ცრემლის წვეთი ვარ,
მისთვის სიცოცხლის გამღები,
რაცა ვარ, აი, ესა ვარ,
არც მეტი და არც ნაკლები“.

„მე მიყვარს ეს ქალბატონი, რადგან ვიცი, მისი მზერა საქართველოს მომავლისკენაა მიმართული, ოღონდ არა უფესვოდ და უსაგნოდ, არამედ ძირის-ძირიდან ზეცამდე... წარსულიდან მომავლისკენ, მიწიდან უფლამდე, სიყვარულიდან რწმენამდე“ – საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მაყვალა გონაშვილის ამ სიტყვებს ბელა ქებურიას პიროვნებისა და შემოქმედების თაყვანისმცემლები სავსებით ეთანხმებიან, ვეთანხმები მეც და სწორედ ამიტომაც შემოგთავაზეთ.

„ხშირად ვრწმუნდები – რარიგ ძნელია,
იყო პოეტი და იყო ქალი“.

ბელა ქებურიას ეს სტრიქონები ვისაც გულზე მოხვდება, მათ გასამხნევებლად ვიტყვი – ყველა ჭეშმარიტი პოეტი დროშია განფენილი, იგი უძლეველია და საკრალური, ღმერთთან წილნაყარი...

ამ ლირიკული ესკიზის ეპილოგად, ვფიქრობ, ყველაზე უპრიანია თვით ბელა ქებურიას ამ ლექსის მოხმობა:

„ჩემში ათასამდე მზის სხივია,
იქნებ ათასამდე გლოვის ზარიც,
ჩემში ჯერჯერობით ღიმილია,
მოდით, გაღიმებულს მომისწარით“.

მისი პოეზიისა და პიროვნების ყველა თაყვანისმცემლის სურვილები ამ ათიოდე წლის წინათ ისე მშვენივრად გაახმოვანა დიდმა ზურაბ გორგილაძემ, რომ მე მათ ახლაც სიხარულით გავიმეორებ:

„სურვილი ბევრია და დიდი, მაგრამ მე სამი სურვილით შემოვიფარგლები – დიდხანს სიცოცხლე, ადამიანური ბედნიერება, ასეთივე მოწიწება, ასეთი სისადავე ცხოვრებაში და დიდი გალაკტიონივით უნდა შევძახო: „ფრთები, ფრთები გინდა“, ჩემო უსაყვარლესო დაიკო, რომ მოევლო თავს შენს სათაყვანებელ საქართველოს! ამინ!“.

ალექსანდრე ბაბაიძე

იოსებ სტალინის და ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში ინახება ბ. ჯაშის ფერწერული ტილო „ი.ბ. სტალინი გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში ი. ჭავჭავაძესთან ერთად“. ფერწერულ ტილოზე თავის სამუშაო მაგიდასთან ზის გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი ილია. ის სასიამოვნო, მომღიმარი სახით შესცქერის ახალგაზრდა სემინარიელს იოსებ ჯუღაშვილს, რომელიც ფეხზე დგას, ხელში ლექსი უჭირავს და თავის აზრებს გადასცემს ბრძენ მოხუცს.



მე-19 ს. მიწურულს და მე-20 ს. დასაწყისში საქართველოს ჰყავდა ნიჭიერი, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, მაგრამ მათ შორის დროთა განმავლობაში წამოიმართა ილია ჭავჭავაძე. ის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აღიარებულ ლიდერად, ერის მამად, უგვირგვინო მეფედ იქცა და წმინდანადაც კი შერაცხეს. რატომ გამოირჩა ის სხვებს შორის? როდის დაიწყო მისი აღზევება?

ილია ჭავჭავაძემ თავისი ცხოვრება ბრძოლას შესწირა. თავის გზაზე მას მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავდა, როგორც გარეშე ისე შინაური, მათ შორის საქართველოს ბედნიერებისათვის მებრძოლი, საკუთარი აზრის მქონე ადამიანები.

ი. ჭავჭავაძე აფასებდა რუსეთის პროგრესულ როლს საქართველოს ისტორიაში, ამასთან ებრძოდა ცარიზმის რეაქციულ პოლიტიკას, ამიტომ ხელისუფლება მას ცუდად უყურებდა. თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკში ილიას ოპონენტები ცდილობდნენ მის ჩამოცილებას ბანკის მმართველობიდან. მასზე ხმებს ყრიდნენ როგორც მკაცრ მემამულეზე. განუდგნენ ყოფილი თანამებრძოლები. კერძოდ, პროგრესულად მოაზროვნე, თუმცა საკუთარი შე-

ხედულებების მქონე ნიკო ნიკოლაძესთან ილიას ურთიერთობა საკმაოდ დაიძაბა, მათი შერიგება შეუძლებელი იყო. გაზეთი „კვალის“ რედაქტორთან გიორგი წერეთელთან დაპირისპირება იქამდე მივიდა, რომ ილია (1900 წ.) მის დასაფლავებაზეც კი არ მისულა. ასევე არ დასწრებია ის სერგი მესხის დასაფლავებასაც, რომელზედაც განაწყენებული იყო. საყოველთაოდ ცნობილია ნოე ჟორდანიას (მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის) და ილია ჭავჭავაძეს შორის გამართული გააფთრებული დისკუსიები. ილია იყო არჩილ ჯორჯაძის, ილია ხონელის და სხვათა მკაცრი ოპონენტი (1.14-15).

მართალია ი. ჭავჭავაძეს მომხრეებიც ჰყავდა, თუმცა შექმნილ პირობებში მის ლიდერობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. მაგრამ იყო ერთი, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ქართველი იოსებ სტალინი, რომელმაც თავისი ინტუიციით ბავშვობიდანვე აუღო ალღო ვინ იყო ილია ჭავჭავაძე. მას ილიაზე არასდროს მთელი ცხოვრების მანძილზე არათუ ცუდი არ წამოსცდენია, პირიქით მიუხედავად იმისა, რომ მის შეხედულებებს მთლიანად არ იზიარებდა, თავისი ავტორიტეტი გამოიყენა მის წამოსაწევად.

გორის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებელ ლავროვთან კამათისას მოსწავლე იოსებ ჯუღაშვილმა ქართველებს შორის გამოარჩია შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე და დაადასტურა თავისი პატივისცემა მათ მიმართ (2.48).

თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლისას 1895 წ. ი. ჯუღაშვილმა დაწერა თავისი ცნობილი ლექსი:

„ვარდს გაეფურჩქნა კოკორი
გადაჰხვეოდა იასა,
ზამბახსაც გაღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა.

ტოროლა მაღლა-ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით გალობდა,
ბულბულიც გახარებული
ნაზის ხმით ამას ამბობდა:

აჰყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო“.

ლექსის ავტორი არჩევანის წინაშე იდგა. მას შეეძლო ის დასაბეჭდათ სადმე სხვაგან წაეღო, მაგრამ შეარჩია გაზეთი „ივერია“ და მის რედაქტორს ილია ჭავჭავაძეს ესტუმრა. რედაქტორმა წაიკითხა შესანიშნავი ქართულით დაწერილი ლექსი და მისი ავტორი შეაქო: „კარგი ლექსია, ახალგაზრდავ, იმეცადინე, სწერე და კარგი მწერალი იქნებიო“ (2.198). ლექსი გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“ 1895 წ. 14 ივნისს. იმავე წელს ილიამ სხვა ლექსებიც დაუბეჭდა იოსებ ჯუღაშვილს.

1907 წ. წიწამურის ტრაგედიის შემდეგ ილიას წამოწევის მცდელობანი მარცხისთვის იყო განწირული. დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921 წწ.) კი, სადაც ქვეყნის სათავეში მისი დაუძინებელი ოპონენტები იყვნენ მოქცეულნი, მისი ადგილი უკანა პლანზე იყო განკუთვნილი. ამ მხრივ სიტუაცია დიდად არ შეცვლილა ხელისუფლებაში ბოლშევიკთა მოსვლის შემდეგაც. მართალია გარკვეულწილად მისი ავტორიტეტი გაიზარდა, მისი ტომებიც დაიბეჭდა, თუმცა ძირითადად მაინც ჩრდილში იყო მოქცეული. ასე რომ გაგრძელებულიყო ღმერთმა უწყის როგორ წარმოგვიდგენდნენ დღეს და სამომავლოდ როგორც ცარიზმთან, ისე გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან დაპირისპირებულ, ქვეყნის კეთილდღეობისათვის დაუღალავ მებრძოლს.

მე-XX ს. 20-იან წლებში ილია ჭავჭავაძეს როგორც ყოველთვის საქრთველოში საკმაოდ ჰყავდა მოწინააღმდეგები, ხოლო ი. სტალინი ჯერ კიდევ ვერ იყო საკმაოდ მომაგრებული. 30-იან წლებში მდგომარეობა შეიცვალა. მართალია ი. სტალინი ღმერთი არ იყო, ყველაფერს ვერ დაინახავდა და ვერ გააკეთებდა

მაგრამ ბევრი რამ კი შეძლო. 1933 წ. ის განრისხდა როცა გაიგო, რომ აპირებდნენ ილიას გადასვენებას მთაწმინდიდან კუკიაზე, მაშინვე თბილისში გადარეკა და ჩაშალა უგუნური განზრახვა.

1934 წ. აგვისტოში მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობა. საქართველოს წარმომადგენლობიდან მოხსენებით უნდა გამოსულიყო მ. ტოროშელიძე. მისი მოხსენების განხილვისას ი. სტალინმა თქვა: „საქართველოში თურმე რაღაც უაზრო და ყოვლად ყალბი თვალსაზრისი გაუვრცელებიათ, თითქოს ილია ჭავჭავაძე თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის იდეოლოგი და ამ კლასების ინტერესების დამცველი ყოფილიყოს. ვის მოუვიდა თავში ასეთი სიყალბე, ასეთი მცდარი და უკუღმართი აზრი? თურმე საქართველოში ვიღაცეებს უპირისპირებენ ილია ჭავჭავძეს. აქვს ვისმეს მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა შორის თუნდაც ისეთი ძლიერი სოციალური პროტესტი, როგორიც მოცემულია ილიას შემოქმედებაში? მე ამის შესახებ რამდენჯერმე ველაპარაკე ქართველ ამხანაგებს,მაგრამ აქედან დასკვნები არ გაუკეთებიათ. იმას ხომ არ ელოდებიან თუ როდის გამოვცემთ დეკრეტს ამ საკითხზე?! (3.67-68) ეს იყო ბელადის მკაცრი მითითება, დაიწყო ილიას აღზევება. გაზეთმა „ПРАВДА“-მ 1936 წ. 4 სექტემბერს მაღალი შეფასება მისცა ილია ჭავჭავაძეს (3.67). ცნობილია იმავე წელს კრემლში საქართველოს დელეგაციებს სტუმრობისას ი. სტალინისა და ცნობილი ქართველი მეცნიერის კ. კეკლიძის გასაუბრება: „პირდაპირ მითხარი, ილია ჭავჭავძეა უფრო დიდი თუ მე? კორნელი კეკელიძე არც დაფიქრებულა ისე უპასუხა: ცხადია, თქვენ, იოსებ ბესარიონის ძევ!-პასუხად სტალინმა მწარედ გაიღიმა, თავი გადააქნია და მიუგო: „თუ ნამდვილად არ იცი, ძალიან მეცოდები, თუ იცი და ძალიან მეპირფერები, უფრო მეცოდები! თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ილია ჭავჭავაძე მსოფლიოს პრეზიდენტად გამოდგებოდა. საქართველო მისთვის პატარა იყო, ისე მცირე და ვიწრო, როგორც არწივისათვის გალია (3.68). ცხადია ამ სიტყვებით ბელადმა თავმდაბლობა გამოიჩინა, ამასთან მისთვის ცნობილი გახლდათ ილიას ძლიერი ინტელექტით დაწერილი მრავალრიცხოვანი ნაშრომი ლიტერატურათმცოდნეობის, საქართველოს ისტორიის, პოლიტეკონომიის, სახალხო მეურნეობის, ბანკისა და ფინანსების საკითხებზე, სადაც ავტორი ამჟღავნებდა ენციკლოპედიურ ცოდნას, ფაქტებისა და მოვლენების განსჯის იშვიათ უნარს.

ბელადის ვერდიქტმა ილია ჭავჭავაძე საბჭოთა ეპოქის საქართველოში ლიდერად აქცია. წარსულს ჩაბარდა მასზე უსამართლო თავდასხმები. მოიძიეს ილიას მკვლელობაში მონაწილე ცოცხლად დარჩენილი გიგლა ბერბიჭაშვილი, მასზე ჩატარდა საჩვენებელი სასამართლო პროცესი. მართალია სხდომა დახურული იყო, მაგრამ მას ესწრებოდა ასამდე კაცი, მათ შორის იყვნენ ცნობილი ადამიანები, ლიტერატურის, მეცნიერების და კულტურის მოღვაწეები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მავანი ცდილობდა თავდასხმის მონაწილეებში გაერია სერგო ორჯონიკიძე. ობიექტურობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმის მრავალმა კვლევამ ვერ დაადასტურა ეს ფაქტი. არსებობს უდანაშაულობის პრეზუმცია. ბოლოს-დაბოლოს ცოდვაა პოლიტიკური მოტივით დააბრალო ადამიანს მკვლელობა, რომელშიც დარწმუნებული არ ხარ.

ი. სტალინი შემდეგაც გაიხსენებდა ხოლმე თავის პოზიციას ი. ჭავჭავძის მიმართ. ცნობილი ქართველი კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი იგონებს: „სიტყვა ჩამოვარდა ქართველ კლასისკოსს ილია ჭავჭავაძეზე, რომელიც ერთხანს მივიწყებული იყო.

– შეცდომა იყო, – შენიშნავს ბელადი – ანალოგიური ამბავი მოხდა ლევ ტოლსტოის მიმართაც. ლენინი კი ამბობდა, რომ ამ გრაფზე ადრე ასეთი სიმართლით გლეხზე არავის და-

უწერიაო. იმიტომ ხომ არ ვერიდებით ილია ჭავჭავაძეს, რომ ის თავადთაგანი იყო? მერე, განა რომელიმე ქართველმა მწერალმა მოგვცა ისეთი ფურცლები მემამულეთა და გლეხთა ფეოდალური ურთიერთობის შესახებ, როგორც მოგვცა ჭავჭავაძემ? მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართველ მწერალთა შორის ილია ჭავჭავაძე უთუოდ დიდი ფიგურა იყო“ (2.268).

სახელმწიფომ იზრუნა მუზეუმების გახსნაზეც. 1937 წელს ყვარელში დაფუძნდა ი. ჭავჭავძის სახლ-მუზეუმი. 1951 წელს მცხეთის რაიონში, სოფელ საგურამოშიც დაფუძნდა ი. ჭავჭავძის მუზეუმი, ხოლო 1957 წელს კი საქართველოს დედაქალაქში თბილისში დაფუძნდა ი. ჭავჭავძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი (4).

მისასალმებელია, რომ აღნიშნულ საკითხზე ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამკიდრდა ობიექტური შეხედულება. 2012 წ. გამოცემულ წიგნში „საქართველოს ისტორია“ ვკითხულობთ: „30-იან წლებში ილია ჭავჭავძის მიმართ არსებული ნიჰილისტური დამოკიდებულება შეიცვალა, რაშიც აშკარაა სტალინის როლი. სისტემატურად ქვეყნდებოდა მისი ნაწარმოებები, იქმნებოდა მონოგრაფები მისი შემოქმედების სხვადასხვა ასპექტის გასაშუქებლად. 1937 წლის მაისში ჩატარდა ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა“ (5.361).

შესაბამისად, კომუნისტურ ეპოქაში ოფიციალურად ჩამოყალიბებული შეხედულების მიხედვით, ილია ჭავჭავაძის მიზანს წარმოადგენდა ქართველი ხალხის როგორც ეროვნული ისე სოციალური თვითშეგნების გამოცოცხლება, ამაღლება და რომ ის იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელი.

ჩვენც გვახსოვს საბჭოთა პერიოდში ჩატარებული ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი ღონისძიებები. მისი მოღვაწეობის ადგილები ისტორიული პატივისცემის ძეგლებად იქცა. წინ იყო წამოწეული მისი შემოქმედების სოციალური და ეროვნული მოტივები. იხსენებდნენ მენშევიკებთან დისკუსიებს. დაიჩრდილა მისი დაპირისპირება ზოგ პროგრესულად მოაზროვნე ქართველ მოღვაწესთან. 1987 წელს ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ გადაწყვიტა, რომ ილია ჭავჭავაძე წმინდანია და შესაბამისი აქტით გაფორმა მიღებული გადაწყვეტილება.

ლიტერატურა

1. ვ. გურული, იოსებ ჯუღაშვილის არჩევანი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2007 წ.
2. ნ. ზაქარიაძე, სტალინი და საქართველო, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, 1997 წ.
3. ა. სურგულაძე, დიახ, სტალინს ახსოვდა საქართველო, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 1996 წ.
4. ინტერნეტი: ილია ჭავჭავძის მუზეუმები.
5. საქართველოს ისტორია, ტ. IV, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის, შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, სარედაქციო კოლეგია: აკადემიკოსები, მარიამ ლორთქიფანიძე (მთავარი რედაქტორი), ოთარ ჯანელიძე, დავით მუსხელიშვილი, როინ მეტრეველი, თბილისი, 2012 წ.

ნანი გუგუნავა

პატრიარქის პედაგოგიური შეხედულებები

უაღრესად საპატიო და სასიამოვნო შესაძლებლობა მეძლევა, უდიდესი მოწიწებითა და კრძალვით, უღრმესი პატივისცემით, ქრისტესმიერი სიყვარულით მივესალმო ქართველთა დიდ იმედს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელსა და ქართველი ერის სულიერ მამას ილია მეორეს და მივულოცო ღირსშესანიშანვი საიუბილეო თარიღები – დაბადებიდან 80 და კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრების 35 წლისთავი.

კათოლიკოს-პატრიარქი ღვთის ნებით მობრძანდა ქართული ეკლესიის სათავეში. ამ დღიდან დაიწყო დიდი სულიერი აღმშენებლობის პროცესი. საქართველოს ეკლესიები მრევლით აივსო და კვლავ რწმენამ დაისადგურა ჩვენი ხალხის გულში. პირადად პატრიარქის იმედით დაიწყო ქართული სულისა და გონის გამოფხიზლების ხანა, ამოძრავდა ეროვნული სული.

საიუბილეო დღეებში, საქართველოს მოძღვართმოძღვარი საუკუნის ადამიანად აღიარეს. ასეთი საპატიო ტიტული არცერთ პატრიარქს არ ხვდომია წილად. თუმცა კათოლიკოს-პატრიარქისათვის ყველაზე დიდი ჯილდო ქართველი ხალხის სიყვარული და აღიარებაა და არა მარტო ქართველი ხალხის.

ჩვენი პატრიარქის დარი ადამიანი მართლაც საუკუნეში ერთხელ იბადება და გვაქვს ბედნიერება სიცოცხლეშივე ვუმზიროთ, როგორც წმინდანს.

ჩემი თაობა ამაყობს, რომ კათოლიკოს-პატრიარქის თანამედროვეა. მოწმე ვართ მისი მრავალმხრივი ნაყოფიერი მოღვაწეობისა, იმ დიდი შრომის, შემოქმედებისა და ღვაწლის, რომელიც მან დასდო ერს და სამშობლოს.

ქართველი ერის სულიერმა მამამ ილია მეორემ თავისი მოღვაწეობის ხანას „მზიანი ღამე“ უწოდა და დაამატა „ნუ გეშინიათ, მალე გათენდება“. არ შეიძლება არ აღვნიშნო, – მიუთითებს კათოლიკოს-პატრიარქი, რომ ათეისტური ხელისუფლების პერიოდშიც, მრავალმა მეცნიერმა და ინტელიგენციის სახელოვანმა წარმომადგენელმა გაუძლო მძიმე წნეხს. მათ არა მარტო თავად შეინარჩუნეს რწმენა, არამედ რაღაც გზებით ფარულად გადასცეს იგი თავიანთ მოსწავლეებსა და სტუდენტებს. უფალმა აკურთხოს ისინი, მე კი მადლიერებით ვხრი თავს მათ წინაშე. ურწმუნოებისა და მონობის ხანა თავისუფლებამ და ცხოვრების ახალმა წესმა შეცვალა, მაგრამ მას ხალხი მოუმზადებელი შეხვდა. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა დღესაც არ იცის, რა არის სინამდვილეში თავისუფლება (2, 268).

ბევრი იყო ამ დიდ და ღირსეულ გზაზე ამაღლებაც და განსაცდელიც. კათოლიკოს-პატრიარქმა ნამდვილად უდიდესი საქვეყნო ტვირთით იცხოვრა და ღირსეულად, დიდებულად, სიყვარულით აგრძელებს თავის მადლმოსილ, ღვთიური მადლით შუქმოსილ მოღვაწეობას. იგი მოთმინებით, რუდუნებით ატარებს ერის სულიერების მძიმე ჯვარს. დროის მდინარებამ მის დიდებულ მოღაწეობას, მის მოძღვარებას, რომელშიც მთელი ეპოქის სუნ-

თქვაა ჩადებული, კიდევ უფრო მეტი სიღრმე და სიდიადე მიანიჭა.

კათოლიკოს-პატრიარქი მთელ თავის მრავალმხრივ მოღვაწეობას ქართველი ერის სულიერი სრულყოფის, ქრისტიანული კაცთმოყვარეობის სულისკვეთებით აღზრდის საქმეს ახმარს. ჩვენი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ გაწეულმა ძალისხმევამ, კათოლიკოს-პატრიარქის პიროვნებამ საზოგადოდ, რომელშიც ჰარმონიულად არის შერწყმული სიბრძნე, ცოდნა, მოთმინება, მორჩილება განსაზღვრა თითოეული ჩვენთაგანის ადგილი, როლი და ფუნქცია ამქვეყნიურ ცხოვრებაში. ამისი ერთ-ერთი ნათელი დასტურია მისი „საშობაო და სააღდგომო ეპისტოლენი“, ქადაგებები.

სწორედ კათოლიკოს-პატრიარქის „საშობაო და სააღდგომო ეპისტოლენი“ დაედო საფუძვლად ჩვენს ნაშრომს, რომელსაც პატრიარქის „შეგონებები“ ჰქვია. უწმინდესის „შეგონებები“ მრავალმხრივი მნიშვნელობის ფასდაუდებელი განძია. იგი თანამედროვე საქართველოს უახლესი ისტორიის ობიექტური და პირუთვნელი მატიანეა. პატრიარქის „ეპისტოლენი“ და „შეგონებები“ ქართველი ერის აზროვნების, ცოდნისა და მართლმადიდებელი სარწმუნოების განმტკიცებას, გაძლიერებას ემსახურება. იგი შეიცავს უდიდეს ცხოვრებისეულ სიბრძნეს, ცხოვრებისეულ საგანძურს, რომელიც თანმიმდევრობით და მიზანდასახულად მიჰყვება ჩვენი ცხოვრების მდინარებას და მიზნად ისახავს ქვეყნაში რეალურად არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. მოძღვრება, რომელიც ამ დიდებულ „შეგონებებშია“ ასახული, ჩვენი იდეოლოგიაა, მითუმეტეს ჩვენს ქვეყანას ჯერ კიდევ არ გააჩნია მწყობრი, მსოფლმხედველობრივი სისტემა. სწორედ პატრიარქის „შეგონებებზე“, ამ ეროვნულ ფასეულობებზე დაფუძნებულ იდეოლგიაზე უნდა იზრდებოდეს ჩვენი ახალგაზრდობა.

„სამწუხაროდ, წარსულმა წლებმა ჩვენს აზროვნებას ფსიქოლოგიური რღვევის დაღი დაასვა. მისი მიზანი იყო ადამიანის არსიდან ღვთის განდევნა და მისი ადგილის დაკავება. ამიტომ ყველაფერი, რაც აღნიშნულ პრინციპს არ ემორჩილებოდა, იდეოლოგიისათვის მიუღებელი იყო. არ სჭირდებოდა მას დემოკრატია, სიყვარული, თავისუფლება, ჭეშმარიტება... რწმენის უარყოფამ განაპირობა მსოფლმხედველობისა და ზოგადადამიანური მრწამსის რღვევა. სულიერება ისე დაინთქა, ისე გაილია და გაფერმკრთალდა, ვერც კი ვიგრძენით, როდის დავკარგეთ იგი. საერთოდ, საზოგადოებას საფრთხე შეიძლება ორი უკიდურესობიდან დაემუქროს. ერთის მხრივ, ფანატიზმის, კარჩაკეტილობის, იზოლაციისა და თვითდაჯერებულობის მდგომარეობიდან, მეორეს მხრივ კი, პირიქით, თავისუფლების უგუნური გაგებიდან, ზედმეტი ლიბერალიზმისა და ყველაფრის ნებადართულობის პრინციპიდან. ჩვენს დღევანდელ ყოფაში შეიმჩნევა როგორც ერთის, ისე მეორე უკიდურესობის ნიშნები. თუ სახელმწიფოს არა აქვს სწორი რელიგიური და ეროვნული იდეოლოგია, ლიბერალიზმი აუცილებლად გარე ძალების სასარგებლოდ იმუშავებს და შინაგანად ზიანს მიაყენებს ქვეყანას, გააუფასურებს ეროვნულ ღირებულებებს“ (2, 225).

როგორც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მიუთითებს: „უგუნური ლიბერალიზმი სათავეა მრავალი ნეგატიური მოვლენის, მათ შორის კორუფციის, დანაშაულთა გამრავლების, საერთო მიშვებულობისა და განუკითხაობისა. ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, კულტურა... აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს და გამომდინარეობდეს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან“ (2, 225). მაშასადამე, მისი საფუძველი უნდა იყოს ეროვნული იდეოლოგია. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ასეთი იდეოლოგია, დასძენს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. ამიტომაც, პრობლემები გვიათმაგდება. ყველაზე

საშიში სულიერი კრიზისია, რადგან ავტორიტარულმა რეჟიმმა, ღრმა კვალი დაგვიტოვა – ურწმუნოება, სულიერების ნაკლებობა, ადამიანთა დამახინჯებული შინაგანი სამყარო...

უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტ თავისუფლებას, რომელიც ზნეობრიობის საფუძველია. თავისუფლება სრულყოფილებაა, სრულყოფილება – ღმერთი და ღმერთი სიყვარული არს. ნებისმიერი სახელმწიფო ამა თუ იმ მორალის მქონე საზოგადოებას ემყარება. მაღალზნეობივი საზოგადოება ძლიერი და განვითარებული სახელმწიფოს საწინდარია.

სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგიის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეო-პოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები. ამ ინტერესებს უმნიშვნელოვანესად უნდა მიიჩნევდეს როგორც ხელისუფლება, ისე პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მასმედია (2, 435).

არ შეიძლება საზოგადოება უარყოფდეს თავის ისტორიულ ზნეობრივ საფუძვლებს და ამავდროულად აშენებდეს წარმატებულ ქართულ სახელმწიფოს, რადგანაც ნებისმიერი სახელმწიფო მისი ისტორიიდან მომდინარეობს და საკუთარ ტრადიციებზეა დაფუძნებული.

როგორც ყოველთვის, ანალიტიკური, სახელმწიფოებრივი აზროვნებით გამოირჩევა პატრიარქის პოზიცია, ეროვნული იდეოლოგიის შემუშავების აუცილებლობის მიმართულებით.

აქედან გამომდინარე, პატრიარქი საერთო სახალხო დარბაზის შექმნის საკითხს აყენებს, რომელიც ყველა ფენიდან შეკრებს ჯანსაღ, გონივრულ წინადადებებს და მასალას მოუმზადებს ხელისუფლებას ეროვნული იდეოლოგიის განსაზღვრისათვის.

„ეპისტოლენში“ ფართო ადგილი უჭირავს ერის სულიერი მამის, უწმინდესისა და უნეტარესის, თანამედროვე პედაგოგიკური აზროვნების კლასიკოსის ილია მეორეს პედაგოგიკურ შეხედულებებს, რომელიც აღზრდისა და განათლების თეორიაში ახალ პედაგოგიკურ კატეგორიებს შეიცავს.

როგორც პატრიარქი ბრძანებს, პიროვნების ინტელექტუალური და სულიერი ჩამოყალიბებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლას. იგი ამავე დროს ყურადღებას ამახვილებს მასწავლებლის როლისა და დანიშნულების თაობაზე. მასწავლებლობა ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო და საპატიო პროფესიაა მთელ მსოფლიოში. ჩემი შეხედულებით, ბრძანებს კათალიკოსი, ყველაზე დიდი ხელფასი, ნებისმიერი პროფესიის ადამიანებთან შედარებით, პედაგოგებს უნდა ჰქონდეთ, აქ უნდა მივიზიდოთ ყველაზე ნიჭიერი კადრები, რომელნიც გამორჩეულნი იქნებიან, როგორც ცოდნით, ასევე რწმენით, სიყვარულით, მოთმინებით, მაღალი სულიერებით, ზნეობით, კულტურით.

პატრიარქი საუბრობს განათლების სისტემის გარდაქმნის, სასწავლო გეგმის დახვეწის, სწავლების შინაარსის სრულყოფისა და არსებული სტრუქტურის გაუმჯობესების საკითხებზე. სასწავლო პროგრამა თანდათან უნდა რთულდებოდეს ისე, რომ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მივიღოთ ანალიტიკურად ღრმად მოაზროვნე ახალგაზრდები. საშუალო სკოლის პროგრამა და საგნები ცალკ-ცალკე შეიქმნას ჰუმანიტარული და ტექნიკური მიმართულებით. ე.ი. გავხსნათ ერთი ტიპის სკოლები ჰუმანიტარებისთვის, მეორე ტიპის კი – მათთვის, ვისაც ტექნიკური საგნები იტაცებს, მაგრამ ისე, რომ ორივე სახის სკოლაში დარჩეს ზოგადსაგანმანათლებლო კურსი.

სასურველია, სკოლები დაიყოს კლასების მიხედვით. მაგალითად, ერთი სკოლა დაწყებითი კლასებისთვის, მეორე მოზარდებისთვის და ა.შ.

ყმაწვილის დატვირთვა თავდაპირველად მსუბუქი ფორმით 5 ან 10 წუთით უნდა დავიწყოთ. შემდეგ კი ნელ-ნელა გავზარდოთ დრო, რომ ის სიბეჯითეს თანდათან შეეჩვიოს. ბავშვს ისეთი დავალება უნდა მივცეთ, რომ

მიცემულ დროში ჩაეტიოს, რომ მას გამოუმუშავდეს დაწყებულის აუცილებლად დამთავრების სურვილი და მოთხოვნილება.

პატრიარქი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხზე და აღნიშნავს, რომ სამწუხაროდ, ჩვენი უძველესი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხი, რეალური სახით თანამედროვე საზოგადოებამ ნაკლებად იცის. ცარიზმი და საბჭოთა იმპერია ცდილობდნენ, იგი არაობიექტურად წარმოეჩინათ. მათ არ სურდათ, ჩვენს ხალხში ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება, რადგან იგი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნის საშიშროებას შეიცავდა.

ჩვენმა ცნობილმა მკვლევარებმა გადაარჩინეს და დღემდე მოიტანეს ჩვენი ერის ისტორიული სიმართლე (9, 655).

პარტიარქი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შრომის სწავლებას და დასძენს: „უნდა აღვზარდოთ ისეთი პიროვნებები, რომელთათვისაც შრომა იქნება ბუნებრივი სასიცოცხლო მოთხოვნილება. სამწუხაროდ არც ოჯახში, არც სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში ამ მიმართულებით დღესდღეობით არაფერი კეთდება. შრომა არის ადამიანის მიწიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. აუცილებელია პიროვნების სულიერი და ფიზიკური სრულყოფისათვის ზრუნვა“ (2, 112).

პატრიარქი რეკომენდაციას გვაძლევს შემოღებული იქნას „სულიერი და ზნეობრივი კულტურის“ სასკოლო კურსი, ასევე „ღრმა აზროვნების“, „ანალიტიკური აზროვნების“, „საოჯახო ეთიკის“, „ესთეტიკის“ სწავლებისათვის (8, 186). აუცილებელია შემოღებული იქნას ისეთი საგანი, რომელსაც აღმზრდელობითი დანიშნულება ექნება, რათა მომავალი თაობა მოვამზადოთ ცხოვრებისთვის. პატრიარქი აყენებს საკითხს ქვეყანაში უმაღლესი დიპლომატიური სკოლის შექმნის შესახებ. პოლიტიკა ნამდვილი პოლიტიკოსების საქმეა. მიტინგებისა და დემონსტრაციების დონეზე წარმოებული პოლიტიკა პოლიტიკა არ არის და არც პიროვნების ორატორული ნიჭი ნიშნავს ქვეყნის მართვის უნარს. დღეს საჭიროა მშვიდი, ფრთხილი დიპლომატია (2, 18).

პროგრამის ათვისებასთან ერთად აუცილებელია მოსწავლეებისთვის მორალური, ზნეობრივი, სულიერი საზრდოს მიწოდება, რათა ისინი ჭეშმარიტ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ.

აქედან გამომდინარე, საჭიროა მეცნიერთაგან შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეიმუშავებს პროგრამებსა და ცალკეულ საგნებში სახელმძღვანელოებს.

შევეხებით აღზრდის სამი გარემოს ახლებურ გააზრებას. როგორც ცნობილია, თეორიული პედაგოგიკა აღზრდის სამ გარემოში მოიაზრებს **ოჯახს**, **სკოლასა** და **საზოგადოებას**. აღზრდა სკოლასა და ოჯახში კარგად არის მეცნიერებაში დამუშავებული. რაც შეეხება აღზრდას „საზოგადოებაში“, დღემდე პედაგოგიკის სპეციალისტები ამ საკითხს გვერდს უვლიან; არავითარი კვლევა ამ მიმართულებით არ მიმდინარეობს. მაშასადამე, არც აღზრდის პროგრამა გაგვაჩნია. აქედან გამომდინარე, კათალიკოს-პატრიარქმა სავსებით სამართლიანად და ობიექტურად „საზოგადოება“ **ეკლესიით** ჩაანაცვლა. ჯერ ერთი, ეკლესიაში საზოგადოების ყველა სოციალური ფენაა წარმოდგენილი, (ღმერთს მადლობა საქართველოში ყველა ეკლესია-ტაძარი სავსეა მრევლით) სადაც საეკლესიო ცხოვრება, წირვა-ლოცვა აღზრდის მაღალი ეფექტის შემცველი, შესანიშნავი სკოლაა. ამიტომაც პატრიარქის მიერ **საზოგადოების ეკლესიით** ჩანაცვლება უაღრესად საყურადღებო, საჭირო და აუცილებელი მოსაზრებაა, რასაც პედაგოგიური საზოგადოებრიობა სამართლიანად უჭერს მხარს.

პატრიარქის პედაგოგიურ შეხედულებათაგან გამოვყოფთ საზოგადოების სრულ-საერო და სასულიერო განათლებით შეიარაღების პრობლემას. პოსტსაბჭოურ საქართველოში სრული განათლებისათვის მოძრაობის აღორ-

ძინება საქართველოს პატრიარქის სახელთან არის დაკავშირებული. მან ეს იდეა პირველად 1988 წლის 1 სექტემბერს გაახმიანა თბილისის სასულიერო აკადემიის გახსნისადმი მიძღვნილ სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში და იდეალური პიროვნება უწოდა სასულიერო და საერო განათლების მქონე ადამიანს. აი, ასე ამდიდრებს პატრიარქი თანამედროვე ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებას პერსპექტიული მეცნიერული იდეებით.

ცალკე უნდა შეიქმნას აღზრდის პროგრამა, – მიუთითებს კათოლიკოს – პატრიარქი, რაც გულისხმობს ურთიერთობების კულტურასა და ქცევების წესების შესწავლას. დღეს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ეს მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია მოისუსტებს და მისთვის მხოლოდ ოჯახი ზრუნავს. საჭიროა აღზრდის საერთო მეთოდით ხელმძღვანელობდეს და ურთიერთკავშირში იყოს ოჯახიც, ეკლესიაც და სასწავლებელიც, ანუ გამთლიანდეს ის გარემო, სადაც მოზარდი ყალიბდება (3, 295).

უარყოფითი საინფორმაციო ველი ყველაზე მეტად მომავალ თაობაზე მოქმედებს. ისინი ხომ ცხოვრების დიდ ნაწილს ტელევიზორთან და ინტერნეტთან ატარებენ და, არავინ არის მათი სწორად ფორმირებისათვის ხელშემწყობი, რადგან სკოლაც და უმაღლესი სასწავლებელიც ვეღარ ასრულებენ აღმზრდელობით ფუნქციას, არც მშობლებს სცალიათ შვილებისათვის. ეკლესიაც მათთან მისულთა მიმართ ძირითადად აღსარებითა და ზიარებით იფარგლება. ეს ასე აღარ უნდა გაგრძელდეს. ამიტომაც კარგად უნდა ავითვისოთ ახალი ტექნოლოგიები და მათი საშუალებითაც უნდა გავუჩინოთ ახალგაზრდებს ღრმა აზროვნების სურვილი, ავისა და კარგის გარჩევის უნარი. აუცილებელია, ვასწავლოთ მათ საქართველოს ისტორია და ლიტერატურა, ეროვნული ტრადიციები... ჩვენ უნდა შევქმნათ კონკურენტუნარიანი საინფორმაციო გარემო, რომელიც ზემოაღნიშნულ ფასეულობებს დაეფუძნება და მათ თანამედროვეობასთან შეაზავებს. ეს კი დიდად დაეხმარება ახალგაზრდებს, დამოუკიდებლად გასცენ პასუხი დროის გამოწვევას, მიუთითებს პატრიარქი (8, 654).

პატრიარქის „შეგონებებში“ სხვადასხვა ასპექტით ვხვდებით შეფასებებს სულიერი ფასეულობების აღზრდის მიმართულებით. ქართული იდეა ორ უმთავრეს სვეტს ეყრნობა. ესაა სულიერი ღირებულებები, რაც გულისხმობს მართლმადიდებელ სარწმუნეობას, მის წეს-ჩვეულებებს და ეროვნულ-კულტურული ფასეულობები, რითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა (4, 357).

„თუ არ აღვზრდით ჩვენში სულიერ ფასეულობებს – ღვთის რწმენასა და მისგან გამომავალ სიკეთეს, არ ექნება აზრი და მიზანი ჩვენს ფიზიკურ ძალას, ჯანმრთელობას, გონებრივ განვითარებასა და თვით სიყვარულის უნარსაც კი. აუცილებელია პიროვნების სულიერი და ფიზიკური მონაცემების ჰარმონიული განვითარება და არა მისი ცალკეული შესაძლებლობების წინ წამოწევა.

სულიერება ხალხში თავდაპირველად გზას იკვლევს ცალკეულ მადლმოსილ პიროვნებათა წყალობით. შემდეგ კი ეს ნიჭი ეფინება მთელ ერს და ამაღლებს მას, ამიტომაც პიროვნების როლი ქვეყნის ცხოვრებაში უდიდესია (5, 357).

თუკი არსებობს სულიერი ფასეულობანი: რწმენა, იმედი, სიყვარული, ჭეშმარიტება, სიკეთე... მაშინ კაცობრიობის ისტორია ამ ღირებულებათა ცხოვრებაში თანდათანობით განხორციელებას უნდა გვიჩვენებდეს, სინათლისა და სიკეთის მიერ ბოროტის და ბნელის დაძლევას ადასტურებდეს. ამ მეტად რთულ პროცესში უნდა მონაწილეობდეს ღვთაებრივი და ადამიანური ძალა, ამ ორი ძალის სინერგია. სულიერ ფასეულობას ვერავითარი მეცნიერება, ტექნიკა და სხვა რამ მატერიალური ვერ შეცვლის – ბრძანებს პატრიარქი.

„ეპისტოლენში“ გარკვეული ადგილი უჭირავს ერის სულიერი მამის – ილია მეორის შეხე-

დულებას ქალის, დედის როლისა და დანიშნულების შესახებ. სწორად უთქვამთ: როგორიცაა ქალი, ისეთია ოჯახი, როგორიცაა ოჯახი, ისეთია სახელმწიფო. ქართველი ქალი, დედა, მუდამ ფუძე და საძირკველი იყო ქართული ოჯახისა, ქართული სახელმწიფოსი. გავიხსენოთ ის პირველი ქალები, რომლებმაც თავინთი ძლიერი სულით და გონიერებით უდიდესი როლი შეასრულეს ქვეყნის ისტორიაში. ამის დასტურად ქალთა მოდგმის სიამაყის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხსენება კმარა.

დღეს განსაკუთრებული მისია ეკისრებათ ქართველ დედებს, რომლებმაც უნდა შეძლონ ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში ეროვნული ღირებულებების დამკვიდრება. მათ უნდა ჩაუნერგონ შვილებს ღვთისა და მოყვასის სიყვარული, ერთგულების, თანაგრძნობის უნარი... ჩვენს შვილებს უნდა შეეძლოთ მოთმინებაც, შენდობაც, გატანაც. ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს მათ არ უნდა ვასწავლოთ ღირსების დაცვა. მაგრამ მათ ღირსება ღირსეულად უნდა დაიცვან – მიუთითებს კათალიკოს-პატრიარქი და იქვე დასძენს: „დედობა ღვთისა და ერის წინაშე დიდი პასუხისმგებლობაა, ახლა დედა ვეღარ ასრულებს იმ მოვალეობებს, რასაც უნდა ასრულებდეს. ბედნიერია ის ოჯახი, სადაც დედა თავს სწირავს ოჯახისათვის... ახლა გავრცელებულია ასეთი ტერმინი – თანასწორია ცოლი და ქმარი. საღმრთო წერილი ამბობს: ოჯახის მეთაური არის ქმარი. ოჯახი ესაა ერთი სხეული და შეუძლებელია, ერთ სხეულზე იყოს ორი თავი...“

რა მაღალზნეობრივია ქალი, რომელიც გამოირჩევა ღვთისმოშიშობით, სინაზით, სათნოებით, პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით, სიფაქიზით, მზრუნველობით, კეთილგონიერებით. ასეთი ადამიანი სიკეთეს უხვად გასცემს და გარშემომყოფებზეც კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს (6, 143).

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ძლევამოსილი მეფის გვირგვინი ამშვენებდა ქართველ ქალს. რად ღირს დიდებული მეფეთმეფე თამარის სახელი, რომლის წინამძღოლობის პერიოდში საქართველო ერთიანი და ძლიერი იყო.

აი, რას ბრძანებს კათალიკოს-პატრიარქი: „წმიდა თამარ იქმნა ის ბრწყინვალე, დაუვალი ვარსკვლავი, რომელიც მარად უნათებს საქართველოს და ათბობს ყოველი ქართველის გულს“ (1, 137).

სამაგალითო შვილები ხშირად საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ ერის ღირსებას და უდიდეს გავლენას ახდენდნენ ქვეყნის განვითარებაზე. გავიხსენოთ თუნდაც ქეთევან წამებული. არა მარტო საქართველოს, შუა საუკუნეების მთელ ქრისტიანულ სამყაროს არ ჰყავს ასეთი დიდი მოწამე (7, 386).

კათალიკოს-პატრიარქის „ესპიტოლენი“ შეიცავს უაღრესად საყურადღებო და საგულისხმო მასალებს – ცოდნისა და რწმენის, ცოდნისა და განათლების, კულტურის, რწმენისა და მეცნიერების სინთეზის, ეროვნული ცნობიერების, სახელმწიფოებრივი აზროვნების და სხვა უამრავ ცხოვრებისეულ საკითხზე. ეს უნდა იყოს მეცნიერთა მუდმივი კვლევის საგანი და თითოეული ქართველი ადამიანის ყოველღიური მოქმედების კრედო, ცხოვრების წესი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის „ეპისტოლენი“, მისი „შეგონებები“ – ეს ნამდვილი საუნჯე უნდა გახდეს სახელმწიფოს მართვის საფუძველი, ქვეყნის მოქალაქეთა, ქართველი ახალგაზოდობის აღზრდის პროგრამა და ძირითადი ორიენტირი.

ფასდაუდებელია კათოლიკოს-პატრიარქის ღვაწლი აჭარის სულიერი აღორძინების საქმეში. ის ხშირად აღნიშნავს, რომ ქრისტეს ნათელი პირველად აჭარიდან შემოვიდა ქრისტეს შობიდან პირველ საუკუნეში და დასძენს: „აჭარამ უნდა მოაქციოს დანარჩენი საქართველო“. შემთხვევითი არ არის, რომ აჭარაში მასობრივი მონათვლები კათოლიკოს-პატრიარქის სახელთანაა დაკავშირებული. მე მომსწრე და მონაწილე ვარ, როგორც იმხანად აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, იმ

დღესასწაულისა, მოსახლეობის იმ მასობრივი მონათვლისა ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში, რომელიც პატრიარქმა ჩაატარა და როგორც ტრადიცია, იგი დღესაც გრძელდება აჭარის სინამდვილეში.

„შეგონებებიდან“ მოვიხმობ კათოლიკოს-პატრიარქის სიტყვებს: „არიან ადამიანები, ღვთის ნიშნით გამორჩეულნი, რომელნიც თესენ სიყვარულს, სათნოებას, ქმნიან, აშენებენ, თვითონ იწვიან და სხვას გზას უნათებენ“. ჭეშმარიტად ასეთი პიროვნება ბრძანდება თავად უწმინდესი და უნეტარესი.

დიდი მადლია, ღვთის უშურველი წყალობაა, ასეთი სულიერი საჭეთმპყრობელი და წინამძღოლი რომ ჰყავს ქართველ ერს. მრავალ წელს ჯანმრთელ და ბედნიერ ცხოვრებას ვუსურვებთ კათოლიკოს-პატრიარქს ჩვენი მომავლის, საქართველოს ეკლესიის, ერისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, „ეპისტოლენი“, ტ. I, თბ., 2009.

2. კათოლიკოს-პატრიარქი, „ეპისტოლენი“, ტ. II, თბ., 2009.

3. კათოლიკოს-პატრიარქი, სააღდგომო ეპისტოლე, „საქართველოს ეკლესიის ყოველ ერთგულსა და ღვთივკურთხეულ შვილს“, თბ., 2004.

4. კათოლიკოს-პატრიარქი, საშობაო ეპისტოლე, „....შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი თვისი“, თბ., 2007.

5. კათოლიკოს-პატრიარქი, საშობაო ეპისტოლე, „ივერიის წმიდა მიწის ღვითკურთხეულ შვილებს“, თბ., 1993.

6. კათოლიკოს-პატრიარქი, სააღდგომო ეპისტოლე, „საქართველოს ეკლესიის ღვითსმოყვარე შვილებს“, თბ., 1998.

7. კათოლიკოს-პატრიარქი, საშობაო ეპისტოლე, „...ყოველთა მკვიდრთა საქართველოისა“, თბ., 2008.

8. პატრიარქის „შეგონებები“, (შეადგინეს ნანი გუგუნავამ და იური ბიბილეიშვილმა). ქუთაისი, 2012.

9. კათოლიკოს-პატრირაქი, „ესპიტოლენი“ თბ., 2012.

10. კათოლიკოს-პატრირაქი, სააღდგომო ეპისტოლე, თბ., 1991.

ნუნუ
ლიასამიძე

მეფე თამარი და ქალის როლი საქართველოში

იაფეტური მოდგმის, ქართველური მოდგმის ძირითადი ღვთაება დედა-ქალღმერთი იყო, რომელიც სხვადასხვა ასპექტით გვევლინება ამ მოდგმის სხვადასხვა განშტოებებში. ცენტრალური დედა-ქალღმერთი, რომლის ქანდაკება ფაზისი შესავლელში იდგა, ჩვენში ცნობილია როგორც „დედა უფალი“, „ადგილის დედა“ – ხოლო პროტოქართველურ ქვეყნებში გვევლინებოდა როგორც დემეტრა, როგორც ჰერა.

„წავიყვან ჰერას მწვერვალთა
ღმერთქალო მთათა
ტროა ზღუდესთან წინათ
შენ მოგმართავდი კრძალვით
მძლეთა-მძლე დედას, მბრწყინავს“

– ვკითხულობთ მითოლოგიაში.

წმინდა ნინო საქართველოში მოსვლის შემდეგ დაეუფლა ქართულ ენას, მას ძლიერ იზიდავდა იბერია, სადაც გადმოცემით დაფლულია ქრისტეს კვართი. მან გადაწყვიტა ქრისტიანობა ექადაგა ჩვენს ქვეყანაში – საქართველოში. ნინო წარმოშობით მოსხი, კაბადოკიელი იყო, რომელმაც დიდი ძლისხმევით გაავრცელა ქრისტეს სჯული, გარდა ამისა ჰელენე დედოფლის ზრუნვა ქართლის მოქცევისათვის და ნინოსთან მეგობრობა ისტორიული ფაქტია, წერს ზვიად გამსახურდია თავის ნაშრომში: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

მარიამი, რომელიც ნიადაგ უსმენდა მაცხოვარს, არის სიმბოლო სულის შინაგანი მდგომარეობისა; ასევე ნინო, მარადის მლოცველი და მმარხველი შედარებულია მარიამთან (ზ. გამსახურდია „საქართველოს სულიერი მისია“).

წმინდა ნინო დაუღალავად ქადაგებდა ქრისტიანობას და მკურნალობითაც გამოირჩეოდა. მან მძიმე სენით შეპრყობილი წარმართი დედოფალი ნანა მოარჩინა და გააქრისტიანა.

ქალბატონების როლი საქართველოში ყველა ეპოქაში ამაღლებულ ასპექტში გვევლინება. ჩვენი დედანი მარად იღწვოდნენ; არასოდეს განელებულა და არც დაკნინებულა ქალის ღვაწლი. ისევ დაგვნათის მეფე თამარი, ქეთევანი, ბაგრატოვანთა ბანოვანნი, ჭავჭავაძეთა უმშვენიერესი ასულნი, დედისიმედი, კრავაი ჯაყელი, დუდი ხანუმი ბეჟანიძე. მერი შერვაშიძის შარავანდი ისევ ხომ ხიბლს ჰმატებს ქალბატონებს, მათი შუქი მოგვიჩრდილავს და გვამზიანებს.

მეფე თამარი დედა-ქალღმერთი ბრძანდებოდა; და არც იყო გასაკვირი იმ დროისათვის ქალის მეფედ კურთხევა – ქალის კულტი ხომ კავკასიის ტომთა პანთეონში დასაბამიდან მოდის და ასეც მოხდა, ქალის გამეფების იდეას ხორცი უნდა შესხმოდა მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრილ ქვეყანაში.

„სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული“ – ბრძანებს რუსთაველი. 1173 წელს გიორგი III-მ თამარი თანამოსაყდრედ აკურთხა ყველა წესების დაცვით. თამარი ტახტზე აიყვანეს თანადგომითა ყოველი პატრიარქთა და ეპისკოპოსთა დიდებულთა იმერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა.

„გვირგვინოსანსა, პორფიროსანსა
უხდების პრყობა სკიპტრისა ხელსა
ჟამი დილისა მოწმენდილისა
გაბრწყინებულ-ჰყოფს წყვდიადსა ბნელსა“.

ექვსი წლის განმავლობაში თამარი მამასთან და დიდ სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთად განაგებდა ქვეყანას.

თამარის დედა ბრძანდებოდა ოსეთის მთავრის ხუდანის ასული ბურდუხან. დედოფალი ბურდუხანი ქართველებს დიდად უყვარდათ. თამარი იზრდებოდა სამეფო სახლში, მას ზრდიდნენ იმ დროის ქალების სწავლის წესდების კვალად. უმეტეს ყურადღებას აპრყობდა რუსუდან დედოფალი, მამიდა თამარის. თამარ მეფე სწავლაში მეტად ხალისიანი ყოფილა. ყველა საგანს იგი ადვილად ითვისებდა. თამარმა კარგად შეისწავლა ქართული ენა, საქართველოს ძველი ისტორია, საღმრთო წერილი, სხვადასხვა საგნები: ბერძნული ენა და მათი მწიგნობრობა, ლათინური ენა და წერა, თათრული, სომხური.

თამარს დიდად უყვარდა საქართველო, ნამეტურ ხშირად დაბრძანდებოდა ხოლმე ბათუმის ახლო-მახლო, ამიტომაცაა რომ სამხრეთ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ აჭარაში ზეპირსიტყვიერი მასალები უხვადაა შეკრებილ-შესწავლილი. აჭარის ისტორულ წარსულს უკავშირდება თამარ მეფის სახელი, რომელზეც განსაკუთრებულად საუბრობენ, აქაურ ქართველების მეხსიერებაში მეფე თამარი აღბეჭდილია როგორც ღვთის მოშიში, ეკლესიისთვის მზრუნველი, ქვრივ-ობოლთა გამკითხავი წმინდა და უბიწო – წერს ზაქარია ჭიჭინაძე.

„დანდალოს ახლოს თამარის ხიდთან,
სადაც სისხლისფრად ყვავის ვარდები“.

ბატონი აზიზ ახვლედიანი წერს: არ არის ისეთი სოფელი, სადაც არ იყოს დაცული, რაიმე გადმოცემებით ნაამბობი თამარზე, მაშინ როცა სხვა მეფეებზე არაფერია შემონახული. თედო სახოკია წერს: თამარის კულტი გავრცელებულია მთელ აჭარაში და განსაკუთრებით სოფელ ფურტიოში, სწორედ ამ სოფელზე გადის სხალთის ტაძრისაკენ მიმავალი გზა, რომლითაც თამარი სალოცავად დადიოდა“

თამარისდროინდელად თვლიან აჭარაში თაღოვან ხიდებს, რომლებიც თავისი სიმტკიცით დღესაც აოცებს მნახველს. ხალხის გადმოცემით მახუნცეთის, დანდალოსა და ფურტიოს ხიდები ერთდროულად აუშენებია თამარს. თამარ მეფის სახელთან არის დაკავშირებული აგრეთვე სხალთის ტაძრის აშენებაც – მის შესახებ ორი თქმულებაა შემორჩენილი, წერს თედო სახოკია – პირველი ტოპონომიური ხასიათისაა და ტაძრის სახელდებასთან არის დაკავშირებული; იგი მოგვითხრობს თუ როგორ უნებებია თამარს ტაძრის აშენება დიდ მსხალთან, სახელი სხალთას ტაძარს აქედან შემორჩენილა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მემედ აბაშიძე გულგრილი არ დარჩენილა თამარ მეფის ღვაწლის მიმართ. ამის შესახებ საინტერესო მასალას გვაწვდის შუშანა ფუტკარაძე. მემედ აბაშიძე 1916 წელს წერს საინტერესო სტატიას, „თამარ მეფე და სამაჰმადიანო საქართველო“. დაბეჭდა გაზეთმა „სახალისო ფურცელმა“ (იხ. №564) იგი ეძღვნება თამარ მეფის ხსოვნას აჭარაში.

აღსანიშნავია, რომ ცნობილი ლექსი „ათასი კაბა ყმა მყავდა“ აქ აჭარაში შემოუნახავთ:

„ათასი კაბა ყმა მყავდა
ყველანი ოქროს ღილითა
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა
ვასმევდი ბროლის ჭიქითა
ვინცა შემება შევები
ალალითა და ჯიქითა
აწი თქვენ იცით მეფენო
ვინც დარჩით ამას იქითა“.

ეს ლექსი პეტრე უმიკაშვილს ჩაუწერია ხუსეინ ბეჟანიძისგან და პირველად 1883 წელს გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა – წერს ქალბატონი შუშანა ფუტკარაძე. ასევე ცნობილია, რომ ბეჟანიძის ძეთა ძველნი იწოდებოდნენ პირმსახურის ძედ. დღევანდელ ბეჟანისძეთა ძველნი თამარ მეფის მსახურნი ყოფილან.

თამარი მეორედ დააქორწინეს ოსეთის მთავრის შვილზე დავით სოსლანზე, რომელიც ბაგრატოვანი იყო და მას თამარის მამიდა რუსუდანი ზრდიდა. ქორწილის შემდეგ

მეფე თამარმა დიდი წყალობა გასცა ღარიბებზე. როგორი მოწყალეც ბრძანდებოდა თამარი, ისეთივე აღმოჩნდა დავით სოსლანიც. ამათ ქართველთა შორის დაამყარეს მშვიდობიანი წესები, ურჩნი დაამუხლეს, მჩაგვრელნი ალაგმეს, სამეფოს საქმეები ოსტატურად მოაწყვეს, ყველა სახელმწიფოსთან ოსტატურად იწყეს კავშირი, უმეტეს ამათ ყურადღება მიაქციეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კუთხეებს და იწყეს ციხე კოშკების გაკეთება.

„თვალი ხარ ბრმათა, ვით მზრდელი ყრმათა,
მშიერი პურთა, უსახლ-სართული
მამა ობოლთა მსაჯული ქვრივთა,
შიშველთ სამოსლად მოვლინებული“.

თამარ მეფეს კარგად იცნობდნენ და აქებდნენ ბერძნები, ფრანგები, თათრები, რუსნი, სომეხნი, სპარსნი, ეგვიპტელნი, ჰინდნი, სლავიანთა ტომნი და მრავალნიც სხვა ტომთა ძენი. მის სახელს ყველგან ქებით იხსენიებდნენ. ამის სახელს ამოსჭრიდნენ დანებზე, ხმალსხანჯალზე, საეკლესიო ნივთებზე, ჭურჭელზე, სახლის კარებზე ყვავილიანის ასოებით. ასევე მემატიანე მოგვითხრობს, რომ თამარი ასრულებდა სჯულის ყოველ წესს – ღამით ლოცულობდა და თავის ხელით უკერავდა ტანსაცმელს ღარიბებს და სამღვდელოებას, ის აგრეთვე ხელსაქმობდა.

ძლიერი მეფის ზეობა და საშინაო საქმეების გონივრულად მოგვარება და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვებები მემატიანეებს აღტაცებას ჰგვრის. ეს ქვეყანა განგების ძალთა ასპარეზია და უფრო მეტად თამარის სულის მოძრაობას გვიჩვენებენ მემატიანეები. შთამბეჭდავია ქართველთა ლაშქრის ომების ამბავი და თამარის ლოცვა. შამქორის ომის წინ თამარის ლოცვა ასეა აღწერილი: „ხოლო თვით წარიხადნა სამოსელნი ფერხთანი და მიიწია ტაძარსა და არა დასცხრებოდა ცრემლითა ვედრებად, ვიდრემდის სრულყო ღმერთმან სათხოვნელი მისი“-გადმოცემის თანახმად, თამარი სიცოცხლეშივე შერაცხეს წმინდანად.

მკითხველის თვალწინ ჩაივლის თამარის ცხოვრების არაერთი ეპიზოდი. მოვლენები იცვლებოდნენ, მაგრამ თამარი აუღელვებელია და არ იცვლება. პირველი მეუღლის გაძევება-თამარი ისევ აუღელვებელია და ბრძენი. რუქნადინის მიერ გამოგზავნილი წერილის თავხედურ ტონს თამარი იშვიათი ამაღლებულობით და მეფური სიმტკიცით შეეგებება: „რა ვითარ შემოგითვლია, წარმომივლენია მხედრობა ქრისტეს მოსახელე არა შენდა თაყვანისცემად, არამედ დამხობად შენდა – ზვავისა მაგის და ამპარტავნისა გულისა შენისა, რათა განისწავლო ღმრთისა მიერ არღარა გმობად სახელსა მისსა. იყავნ ნება ღმრთისა და ნუ შენი, სამართალი მისი და ნუ შენი“. ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში“.

„თამარ შენ გიძნობ, ასულად გიცნობ:
მზე დაუვალი, შუქმომფინარი!
მხიარულ იქენ! ნაქმარი გიქენ,
გესმნეს ნატიფნი და მშვიდი, წყნარი,
ელვა-ეთერი და სიტყვიერი,
დარმანის ველი, ედემს მაღნარი“.

ვკითხულობთ ჩახრუხაძის „თამარიანში“, სადაც სამეფო კარის პოეტი ხოტბას ასხამს. ფრიად აღსანიშნავია ის, რომ მეფე ქალი პოეტად გვევლინება. ცნობილ ლექსით „ცასა ცათასა“. – ვკითხულობთ: შენგან, ქალწულო, რომელსა შენთვის დავით

„როკვიდა, ძისა ღმრთისა ძედ შენდა ყოფად,
მე, თამარ, მიწა შენი და მიერივე,
ცხებულობასა ღირსმყავ და თვისობასა
ედემს, ღადირთად, სამხრეთით
და ჩრდილოეთით“.

თამარის თანამზრახველთა შორის ვხედავთ ნიკოლოზ გულაბერიძეს, რომელსაც მეფემ „პირველად აღმოუწოდა წმინდა ქალაქით იერუსალიმით“. ამ ცნობილ მოღვაწეს, რომელსაც თამარზე უწერია, ის ყოველთვის ხვთისმეტყველურ საფუძველს უძებნის თამარის გამეფების ფაქტს. ის გვამცნობს რომ: ბერძნები სიბრძნეს არიან მინდობილნი და ენამჭევრობას ესწრაფვიან, ღვთისა და თავის

მკლავის მოიმედე ქართველები კი უმანკოების უღელს ეზიდებიან.

ქართველი ერისათვის მეფე თამარი ქვეყნის ისტორიის თვალია, ხალხის სიამაყე; ხოლო ქალბატონებისათვის დიდი ძალის მომცემი და ქალის როლის ასე აღმატებულად წარმომჩენი საზოგადოებრივ ასპარეზზე. როგორც ვაჟა ამბობდა: „რათა, ყველა ქალი იყოს განათლებული, რომ სთესდეს თესლს სიკეთისა“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ელადის მუზა“. თარგმანი რომან მიმინოშვილისა. მითოლოგიური ლექსიკონიდან.
2. მარი ბროსე „ საქართველოს ისტორია“
3. თ. კომახიძე „მამულიშვილი“.
4. ზვიად გამსახურდია „წრილები და ესეები“
5. ქართული მწერლობა III ტომი.
6. ზაქარია ჭიჭინაძე „ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება“. 1916 წ.



იური სიხარულიძე

მოგონებები

თავბათუმი

1947 წლის სექტემბერი იდგა. ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი ვახტანგ პარკაძე (შემდეგ პროფესორი და პარიზის მეცნიერებათა ისტორიის აკადემიის წევრი) დერეფანში იდგა და ინსტიტუტის ეზოს შესცქეროდა.

მივუახლოვდი, მივესალმე და ჩემი ვინაობა გავაცანი.

– სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი ხართ, აქტიურად უნდა მუშაობდეთ – ბრძანა მან.

– რომ ვმუშაობ იმიტომ მოვედი თქვენთან. ამ დღეებში „თავბათუმის“ საძებრად მიმყავს წრის წევრები და მინდა თქვენც იცოდეთ. – ვუთხარი მე.

– რის საძებრად მიგყავს სტუდენტები? პირველად მესმის ასეთი სახელწოდება.

– ისტორიამ დაივიწყა, ბატონო ვახტანგ, სასურველია მისი მოძებნა და შესწავლა.

– ძალიან კარგია ასეთი ძიება, გისურვებთ წარმატებას, ძიების შედეგი მომახსენეთ.

გამოვემშვიდობე დირექტორს და გასამგზავრებლად მზადება განვაგრძე.

მეორე დღეს, კვირას, მე და ჩემი ორი ახალი მეგობარი ალი კაკაბაძე და რიზალი საკანდელიძე შუა ბათუმისაკენ მიმავალ გზას დავადექით. ყველაფერს ვაკვირდებოდით, განსაკუთრებით ციხის და ეკლესიის ნანგრევი გვაინტერესებდა.

ჩაისუბნის ცენტრს რომ მივუახლოვდით ორი შუა ასაკის კაცი შეგვხვდა და იმათ ვკითხეთ „თავბათუმი“ ხომ არ გაგიგონიათო.

– თავბათუმი არა, მაგრამ ყოროლისთავი აქვე ახლოს არისო.

მადლობა გადავუხადეთ და გზა განვაგრძეთ. ყოროლისთავის ცენტრში არავინ იყო და სოფლის დათვალიერებას შევუდექით. შემდეგ დავსხედით და აზრები გავუზიარეთ ერთმანეთს.

თუ ოდესმე არსებობდა სოფელი „თავბათუმი“, ამ ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო გაშლილი.

დროთა განმავლობაში დიდი ცვლილებები მომხდარა. მდინარეს სახელი შეუცლია და „ბათუმის“ ნაცვლად ყორილი მიუღია.

ეს უბრალო ცვლილება არ ყოფილა და „ნათესავთა“ (ტომი) შეცვლას გულისხმობდა. ამავე პრინციპს უნდა გადაჰყოლოდა ამ ხევის სახელიც „თავბათუმი“. ამ სახელმა ისტორიის ქარტეხილებს მხოლოდ ხევის შუა წელსა და ქვემოთ გაუძლო. ერთმაც და მეორემაც ჩვენ დრომდე მოაღწიეს. შუამ „ორთა ბათუმის“, ხელო ქვემომ – ბათუმის სახელით.

ამ პერიოდში მეზობელი ენების (რუსული, თურქული) გავლენით ორივემ ერთგვარად შეუცვალეს „ბათომს“ სახელი და მის „ბათუმის“ ფორმით დამკვიდრებას შეუწყვეს ხელი.

მეორე დღეს დაპირებისამებრ, ვეწვიეთ ინსტიტუტის დირეტორს და ჩვენი გასვლის ეს შედეგები ვუამბეთ.

დირექტორი კმაყოფილი დარჩა და ასეთი ძიების გაგრძელება გვისურვა.

აკაკი შანიძე

დიდ ქართველ მეცნიერს აკაკი შანიძეს თავისი გამოკვლევებით მოსწავლეობის დროიდან ვიცნობდი, პირადად კი ასპირანტობის ხანიდან დავუახლოვდი. ამაში დიდი როლი აკადემიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა (1862-1953) შეასრულა, რადგან ხშირად მგზავნიდა ბატონ აკაკისთან სხვადასხვა დავალებით. ბატონი აკაკი დიდი უბრალოებით გამორჩეული პიროვნება ბრძანდებოდა. ამასთან ერთად ძალიან უყვარდა ახალგაზრდები.

გაცნობისთანავე მან დაწვრილებით გამომკითხა ვინაობა და ძალიან ესიამოვნა.

თანდათან გავუშინაურდი ბატონ აკაკის და ქართულ ხალხურ სიმღერებზე ჩამოვუგდე სიტყვა. სიმღერა დიდი ფენომენია – ბრძანა მან და „მასპინძელსა მხიარულსა“ წამოიწყო.

შემდეგ კრიმანჭულიან სიმღერებზე გადავედით. ჩემი კრიმანჭული მოეწონა და ამიერიდან ყოველთვის კრიმანჭულიან სიმღერებს ირჩევდა.

ჩვენი ერთობლივი გამოსვლა ფართო აუდიტორიის წინაშე პროფესორ ქსენია სიხარულიძის საიუბილეო საღამოზე შედგა თბილისის უნივერსიტეტის რესტორანში. მომღერალთა შორის იმ საღამოს ამშვენებდნენ ანანია ერქომაიშვილი, მიხეილ კოროშინაძე და გარსევან სიხარულიძე. მათ მეც მიმიხმეს, რადგან კრიმანჭული ესაჭიროებოდათ. ცოტა ხნის შემდეგ ბატონი აკაკიც შემოგვიერთდა. თამადამ (აკაკი ვეკუა) მოიწონა ჩვენი ანსაბლი და შეგვაქო კიდეც.

ეს იყო ჩვენი ერთდადერთი ერთობლივი გამოსვლა, სხვა შეხვედრები აკაკის სამუშაო კაბინეტში იწყებოდა და მთავრდებოდა.

გარდა სიმღერისა, ბატონ აკაკისთან თავის ტოპონიმიურ კვლევებზეც ხალისით ვსაუბრობდით.

მხცოვანი მეცნიერი დიდად აფასებდა ჩემს სატოპონიმო მუშაობასაც. კარგად იცნობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკის ჩემ ორ წიგნეულსაც. გაუხარდა, რომ მუშაობა სვანეთზეც გავაგრძელე და იქაც ორი წიგნი გამოვეცი.

ამ წიგნებს იგი პატარა, მაგრამ, მშვენიერი რეცენზიით გამოეხმაურა.

აკაკი შანიძის ეს რეცენზია პროფესორმა თეიმურაზ კომახიძემ ჩემი ცხოვრების ამსახველ წიგნშიც შეიტანა.

ბატონი აკაკი ძალიან მიყვარდა და მსურდა, რომ ჩემს შთამომავლებსაც გადადებოდა იგი. ამიტომ ერთხელ მას ჩემი პატარა უფროსი შვილიშვილი (ახლა თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის მასწავლებელი) ვასტუმრე ბატონ აკაკის.

ამან ძალიან გაახარა მეცნიერი, თავის საწერ მაგიდასთან დასვა პატარა სტუმარი და სულ მალე სახლიდან გამოგზავნილი ნობათით (თეთრი ყურძენი) გაუმასპინძლდა. ამ დღესაც ხალისით იგონებს ჩემი შვილიშვილი, რაც მეც ძალიან მახარებს.

ბატონმა აკაკიმ ცხოვრების დიდი გზა განვლო, დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და 1920 წელს თბილისში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ამ დროს ის არჩეული გახლდათ პროფესორად. 1939 წელს ბატონი აკაკი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრადაც აირჩიეს. წარმატებები არც შემდეგ მოკლებია. 1941 წელს ის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრიც გახდა, ხოლო აკადემიკოს ჯანაშიას გარდაცვალების (1947 წ.) შემდეგ საქართველოს აკადემიის ვიცე პრეზიდენტიც კრგახანს იყო, ხოლო 1951 წელს შეცვალა მისმა სტუდენტმა, აკადემიკოსმა ნიკოლოზ ბერძენიშვილმა (1890-1965).

დიდი მეცნიერი სიცოცხლის ხანგძლივობითც სამაგალითო ბრძანდებოდა. მან ასი წელი გაარღვია და თბილისის უნივერსიტეტის მამების გვერდით დაიდო საუკუნო განსასვენებელი.ბატონი აკაკის პიროვნება და სამეცნიერო მემკვიდრეობა დაუვიწყარია.

ნიკო მარი

ჩვენს ოჯახში ბებიაჩემისა (ფატი ლომთათიძე – 1881-1956) და მამაჩემის – ჩოხატაურის ჰუმანიტარული ტექნიკუმის სტუდენტის მოსე სიხარულიძის (1962-1986) წყალობით, ნიკო მარისა და მისი ვაჟის პროფესორ იური მარის სახელი ხშირად ისმოდა.

აბა რას ვიფიქრებდი, თუ ამ დიდ მეცნიერს უფლი შემახვედრებდა.

1932 წლის ცხელი აგვისტო იდგა. მე 6 წლისა და 2 თვის გახლდით (1926 წლის 24 მაისს დავბადე) და ბებიამ თავის დედულეთში (სოფ. სუფსის ხეობაში, სოფელ იანეულში ისურვა წასვლა.

რადგან დიდი სიცხეები იყო, ბებიამ ადრე მოინდომა წასვლა და ის იყო ჩხიკვიშვილების წყაროს მივატანეთ, როდესაც მზეც ამოიწვერა.

გზაზე ვიღაც კაცი გამოჩნდა, რომელიც ჩვენკენ მოდიოდა.

– ბებია, ნიკო მარს რომ აქებს მამაშენი, ის დიდი კაცი მოდის. ის რუსეთში ცხოვრობს, მაგრამ ზაფხულში თავის სახლკარსაც მოინახულებს ხოლმე, ძალიან უყვარს თვისი სოფელიც და მთელი საქართველო.

ბებიას საუბარი დამთავრებული არ ჰქონდა, როდესაც ის კაცი მოგვიახლოვდა და ბებიასთან შეჩერდა.

– გამარჯობა ფატი, როგორ ხართ? – ჰკითხა მან ბებიას.

ბებიაც თბილად მიესალმა მას.

შემდეგ ნიკომ მე მომაქცია ყურადღება, თავზე ხელი გადამისვა და ბებიას ჩემი ვინაობა ჰკითხა.

– ჩემი შვილიშვილია, – უთხრა ბებიამ.

მეცნიერი ჩემი სახელითაც დაინტერესდა: იური ჰქვია, ბატონო ნიკო, თქვენი ვაჟის სახელი.

– ეს როგორ?!

– როგორ და თქვენი ვაჟი ამ ბიჭის მამის მასწავლებელი ბრძანდება ჩოხატაურის გიმნაზიაში და მის საპატივცემულოდ შემოვიდა ეს სახელი ჩვენს ოჯახში.

– საინტერესოა, ბრძანა ნიკომ, გამოგვემშვიდობა და ჩოხატაურისკენ გაეშურა.

მე და ბებია კარგახანს ვუცქეროდით მას, შემდეგ კი ჩვენც განვაგრძეთ გზა და სუფსის გაბმულ ხიდს მივადექით...

ჩემს ცხოვრებაში მრავალ შესანიშნავ პიროვნებას შევხვედრილვარ, მაგრამ ყველაზე ადრე ღმერთმა ნიკო მარს შემახვედრა.

მისი ხელის სითბო დაუვიწყარია და რაღაც სიმბოლიკითაც არის დატვირთული.

ამის მერე მე ის აღარ შემხვედრია (1934 წელს გარდაიცვალა), მაგრამ სულ მახსოვდა და ვეძებდი მის შრომებს.

1938-19339 წლებში ბათუმში ვსწავლობდი და კლასში ნიკი მარით ჩემსავით გატაცებული არავინ იყო. ვინც არ იცოდა ამის მიზეზი, უკვირდათ, ვინც იცოდა – ამ გატაცებას ბუნებრივად მიიჩნევდა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების (01.09.1939) შემდეგ მამამ ბათუმიდან შინ დამაბრუნა და ნ. მარის სახელობის ჩოხატაურის საშუალო სკოლაში (დირექტორი იონა ტრაპაიძე) შემიყვანა.

ვწერდი რეფერატებს. ერთი ნ. მარსაც მივუძღვენი.

ეს გატაცება არც მერე შენელებულა. 1949 წელს ნ. მარის იუბილეს მეც რეფერატით შევხვდი. მაშინ უკვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი და ბათუმის სახლმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი გახლდით.

სულ მალე დიდი მეცნიერი გააკრიტიკეს. მე ძალიან დიდ ინტერესს ვიჩენდი ამ კრიტიკისადმი, მაგრამ არ ავყოლილვარ მას. მახსოვდა ჩემი დიდი მასწავლებლის აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის (1890-1965) ბრძნული შეგონება: „ნიკო მარი დიდი მეცნიერი გახლდათ. მისი აზრები არც ისე ადვილადაა მისაწვდომი. ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთო“.

1964 წელს ისტორიის ინსტიტუტმა ლენინგრადს (ახლა პეტერბურგი) მიმავლინა საკავშირო სატოპონიმო კონფერენციაზე. მაშინ

მომეცა საშუალება ნიკო მარის საფლავი მომენახულებინა. მარტო არ ვყოფილვარ, ჩემთან ერთად იყო ნ. მარის მოწაფე პროფესორი ალექსანდრე ღლონტიც.

დიდი მეცნიერი გურიაში ყოფნისას ინტერესით აკვირდებოდა გარემოს, სწავლობდა ფოლკლორს და სხვა. ის განსაკუთრებით იყო დაინტერესებული სურების ხეობით. სამწუხაროდ, ეს მხარე მაშინ სრულებით შეუსწავლელი იყო, არც ბუკის ციხე იყო შესწავლილი და არც მის სამხრეთ ფერდობზე არსებულ ძველ ნაქალაქარს იცნობდა ვინმე, თორემ ნ. მარს არ გაუძნელდებოდა არც ამ ციხის რაობის შეცნობა და იმ ნაქალაქარსაც თავის ადგილს მიუჩენდა სურების ხეობის ისტორიაში.

მიუხედავად ამისა, თავისი წვდომის მეოხებით, მან მრავალი საფიქრალი გაუჩინა მომავალ თაობებს, რომელთა დიდი ნაწილი კვლავ ნიჭიერ მკვლევარს ელის.

გიორგი ხეჩინაშვილი

ერთ-ერთი პირველი პროფესორი, რომელიც ბათუმში გავიცანი 1938 წლის შემოდგომაზე, ბატონი გიორგი ხეჩინაშვილი (აჭარის მთავარი მეანი) ბრძანდებოდა. ამას მის ვაჟს, ჩემს თანაკლასელს, დაუვიწყარ მეგობარს ლევან ხეჩინაშვილს ვუმადლი. ის ძალიან დამიახლოვდა და ერთხელ სახლშიც წამიყვანა. რამდენიმე ხნის შემდეგ ბატონი პროფესორიც მობრძანდა და თბილი მოპყრობით სამუდამოდ დამამახსოვრა ეს მშვენიერი დღე.

1939 წლის ბოლოს იძულებული გავხდი სოფელს (ჩოხატაურის რაიონი, სოფ. გოგოლესუბანი) დავბრუნებოდი, მაგრამ ხეჩინაშვილების საუკეთესო ოჯახი არ შეიძლებოდა რომ დამვიწყებოდა და 1944 წლის შემოდგომიდან ისევ განახლდა ჩვენი ურთიერთობა.

1944 წლის 14 ნოემბერს ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასისტენტი გავხდი, რაც გ. ხეჩინაშვილმა გულთბილად მომილოცა და შემდგომი წარმატებები მისურვა.

1953 წლის 19 მაისს თბილისში ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხიც მოვიპოვე და ბევრი მეგობარი გავახარე, მათ შორის მამა-შვილი გიორგი და ლევან ხეჩინაშვილები.

არც ლევანს შეგვიანებია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის დაცვა.

საზოგადოება „ცოდნას“ ხაზითაც ხშირად ვკითხულობდი ლექციებს, ზოგჯერ საჯაროსაც.

1954 წლის შემოდგომაზე ერთ-ერთი ლექცია („საქართველო რუსთაველის ეპოქაში“) საზოგადოების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა იბრაგიმ აბაშიძემ მასწავლებელთა საოლქო სახლშიც მოაწყო. ლექციას დიდძალი ხალხი დაესწრო (უმეტესად პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესურიდან). ლექციის პრეზიდუმის მაგიდას ამშვენებდნენ საზოგადოება „ცოდნას“ ადგილობრივი ხელმძღვანელები პროფესორი გ. ხეჩინაშვილი, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი ნადიმ ნიჟარაძე და სახელმოხვეჭილი პოეტი მამია მალაზონა.

ლექცია პროფ, გ. ხეჩინაშვილმა გახსნა და სცენაზე მიმიხმო. ლექცია შესვენებით წავიდა, მაგრამ დარბაზს კაცი არ დაკლებია. საინტერესო იყო, რომ ლექციას ესწრებოდა საქართველოს ეკლესიის ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის მღვდელმთავარი მეუფე ეფრემი (სიდომონიძე) და ბათუმის სამღვდელოების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ლექციის ბოლოს იყო შეკითხვები და აზრიც გამოთქვა ზოგიერთმაც.

საყურადღებო გახლდათ, რომ სიტყვა მეუფემაც ითხოვა და ეს ბრგე, ასაკში შესული პიროვნება კათედრიდან დაელაპარაკა დარბაზს. მისი თქმით, ასეთი რთული ლექციის ასე ოსტატურად წარმართვა ლექტორის უთუოდ დიდი წარმატებაა. შემდეგ მიმიხმო კათედრასთან და მირონი წამისვა შუბლზე.

ასეთი რამ უჩვეულო რამ გახლდათ იმდროინდელი ლექციებისა და ლექტორთა ცხოვრებაში.

ბოლოს პროფ. გ, ხეჩინაშვილმა შემაწია რამდენიმე თბილი სიტყვა და სხდომაც დამთავრდა.

დრო გადიოდა, მაგრამ ლექციის მზე ჩასვლას არ აპირებდა, მისი დამსწრენი ხშირად იგონებდნენ იმ უჩვეულო დღეს.

ამის შემდეგ პროფ. გ. ხეჩინაშვილი კიდევ უფრო დამამახსოვრდა და ერთ დღეს სახლშიც მიმიწვია. სამწუხაროდ მისი სახელოვანი ვაჟი ცოცხალი აღარ იყო.

პროფ. გ. ხეჩინაშვილი ბათუმის დიდი სიმდიდრე გახლდა, რომელიც ხშირად უნდა გავიხსენოთ.

ნადია ჯიბუტი

ქალბატონი ნ. ჯიბუტი 1938 წლის სექტემბრის დამდეგს გავიცანი, როდესაც ბათუმის საბაზო სანიმუშო სკოლაში დავიწყე სწავლა.

იმ დროს მე-5 კლასში გახლდით. ოთხი კლასი მშობლიურ გოგოლისუბნის დაწყებით სკოლაში დავამთავრე წარჩინებით. რუსულსა და უცხო ენაში (ფრანგული) მიჭირდა, თორემ სხვა საგნები ბათუმშიც წარჩინებით შემეძლო შესწავლა.

შესანიშნავი მასწავლებლები მუშაობდნენ ბათუმის საბაზო-სანიმუშო სკოლაში. ბევრის ნათელი ხსოვნა დღემდე მომყვა. მათ შორისაა თინათინ სიხარულიძე, რომელიც ქართულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა, ისტორიის მასწავლებელი მჟავია და სხვები. განსაკუთრებით დამამახსოვრდა გეოგრაფიის მასწავლებელი ნადია ჯიბუტი, რომელიც იმავე დროს რუსთაველის სახელობის ბათუმის სასწავლებლო ინსტიტუტშიც (პირველი დირექტორი ნაკაიძე) კითხულობდა ლექციებს.

ნ. ჯიბუტმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტი დაამთავრა და ცოლად გაჰყვა იმავე ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ახალგაზრდას ნადიმ ნიჟარაძეს.

ახალგაზრდა მეუღლეებმა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბათუმს მიაშურეს, სადაც დაიწყეს მუშაობაც. ნ. ნიჟარაძე მალე დააწინაურეს და განათლების მინისტრი გახდა, ხოლო ნ. ჯიბუტი ბათუმის საბაზო-სანიმუშო სკოლის მასწავლებელი და ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის ლექტორი. ქალბატონისათვის ეს დიდი წარმატება გახლდათ.

ამიერიდან მისი ცხოვრება იმ გზით უნდა წარმართულიყო, რომელიც პროფესორობასთან მიიყვანდა.

დიდი ოჯახის დიასახლისობის, სამეცნიერო კვლევა-ძიების და პედაგოგობის შეთავსება არ იყო იოლი საქმე, მაგრამ ქალბატონ ნადიას ესენი უნდა შეეთავსებინა. სხვა გზა არ ჰქონდა და მან თითქმის შეუძლებელი შეძლო, შესანიშნავად ააწყო ცხოვრება.

ქალბატონი ნადია კარგი პედაგოგიც ბრძანდებოდა. თავისი ღრმა ერუდიციითა და ტაქტით ის მოსწავლეთა დიდი ნაწილის სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა.

სამწუხაროდ, მაშინ დიდხანს აღარ დავრჩენილვარ ზღვისპირეთში. მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, მამაჩემმა ისევ დამაბრუნა ზემო გურიაში და ჩოხატაურის აკადემიკოს ნ. მარის სახელობის საშუალო სკოლაში (დირექტორი იონა ტრაპაიძე) განვაგრძე სწავლა. მაგრამ, მასწავლებელთა ის სიყვარული, რომელიც ბათუმიდან გამომყვა, დიდიხანს მითბობდა გულს.

1944 წელს დავამთავრე ჩოხატაურის საშუალო სკოლა და უფალმა კვლავ ბათუმში ინება ჩემი დაბრუნება.

იმავე წელს სწავლა დავიწყე მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტის ბათუმის სასწავლო პუნქტში. სწავლა არ მიჭირდა და სახელიც მალე მოვიხვეჭე.

ჩემი ბათუმს დაბრუნება ქალბატონმა ნადიამაც შეიტყო და სტუდენტობა მომილოცა. 1945 წელს ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე სწავლა მოვინდომე და გეოგრაფიის გამოცდაზე ქალბატონ ნადიასაც შევხვდი.

ამიერიდან ის არამარტო სიყვარულით მიგონებდა როგორც ყველა მოსწავლეს, არამედ ყურადღებით ადევნებდა თვალს ჩემს წარმატებებსაც. განსაკუთრებით გაახარა საქართველოს სტუდენტთა პირველ კონფერენციაზე (ქუთაისი) ჩემმა წარმატებამ.

ამას მალე ჩემი ასპირანტობა და ასისტენტობაც მოჰყვა. ორი დიდი სიხარული მომილოცა და დიდ გზაზე შედგომაც დამილოცა.

1953 წლის 19 მაისს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატიც გავხდი და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტშიც მიმიწვიეს.

ყველაფერი ამით ქალბატონი ნადია და ბატონი ნადიმიც ძალიან გახარებულნი იყვნენ. ყველაფერს ვინ ჩამოთვლის, მაგრამ საწუთრო რა იქნებოდა, თუ სიხარულს შხამსაც არ შეურევდა დრო და დრო და ნადიმიც გარდაიცვალა. ერთი წლის თავზე ოჯახმა მისი მოგონების საღამო გამართა და თამადობა მე მომანდო.

საღამოს ბათუმის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილთან ერთად მარად კეთილად მოსაგონარი ჭაბუა ამირეჯიბიცა და რეჟისორი რობიკო სტურუაც ესწრებოდნენ.

პროფესორ ნ. ნიჟარაძის ოჯახი ჯერ კიდევ ჭაბუა ამირეჯიბის პაპის, მიხეილ ნაკაშიძის სახლში ცხოვრობდა და თბილისელი სტუმრებიც ამ გზით მოხვდნენ პროფესორ ნ. ნიჟარაძის მოგონების საღამოზე. მოსაგონარს რა გამოლევს, მაგრამ ერთი რამ რომ მაინც არ გავიხსენოთ არ შეიძლება.

1995 თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტმა (რექტორი, პროფესორი სიხარულიძე) ასეთი ფაკულტეტი (ისტორიის) ჩოხატაურში გაიტანა.

ამ ფაკულტეტის მუშაობაში ქალბატონი ნ. ჟიბუტიც მონაწილეობდა და ამის გამო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ის პროფესორად აირჩია. რამდენი წელია ის საწუთროში აღარაა და ზღვისპირეთში განისვენებს. უფალმა გაანათლოს!!!

ნადიმ ნიჟარაძე

შესანიშნავი პიროვნება და პროფესიით გეოგრაფი, პროფესორი ნადიმ ნიჟარაძე, 1938 წლის დამდეგს გამაცნო მისმა მეუღლემ (ნადია ჯიბუტი), რომელიც ჩემი მასწავლებელი ბრძანდებოდა ბათუმის-საბაზო სკოლაში (ნინოშვილის ქუჩა №35).

– იმედია კარგად ისწავლი ყმაწვილო და კარგი პიროვნებაც დადგები, – მითხრა ეს, თავზე ხელი გადამისვა და დამემშვიდობა.

მერე ხშირად ვხვდებოდი ქუჩაში და მორიდებით ვესალმებოდი ხოლმე. ასე გაგრძელდა 1939 წლის მიწურულამდე, ვიდრე მამაჩემი ისევ ზემო გურიაში დამაბრუნებდა მეორე მსოფლიო ომის განვითარებით დაფიქრებული.

გავიდა წლები და 1944 წლის შემოდგომაზე ისევ დავუბრუნდი ზღვისპირეთს, მაგრამ ახლა, როგორც სტუდენტი.

მაშინვე ვინახულე ჩემი მასწავლებელი და ჩემი გასტუდენტებაც ვახარე.

– კარგია იურისტობა რომ აგირჩევია, მაგრამ მე მეგონა შენ ამას გეოგრაფობას ამჯობინებდი და კარგი პედაგოგიც იქნებოდი, – მითხრა მან ერთგვარი გულისტკენით.

მან არ იცოდა, იურიდიული ჩემი არჩევანი კი არ იყო, არამედ გვიან ჩავედი ბათუმს და პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლა უკვე იყო დაწყებული, კარები ღია მხოლოდ მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტის ბათუმის სასწავლო პუნქტში დამხვდა და სხვა გზა რომ არ მქონდა იმას მივადექი.

ასე დარჩა მხოლოდ ერთ სასწავლო წელს (1944-1945).

1945 წელს უკვე ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი (აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის მითითებით).

რადგან ამ საქმეში ასეთი დიდი და წმინდა კაცი ერთია, ჩემს მასწავლებლებს საყვედური არ უთქვამს.

1949 წელს წარჩინებით დავამთავრე ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის მისაღებ გამოცდებში ვცადე ბედი.

იმავე წლის ოქტომბრის ბოლოს დამთავრდა გამოცდები და 14 დღის შემდეგ (1949 წლის 14 ნოემბერი) ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორმა ბატონმა ნადიმ ნიჟარაძემ ხელი მოაწერა ბრძანებას ჩემი ასისტენტად დანიშვნაზე.

პროფესორი ნ. ნიჟარაძე გაბედული კაცი ბრძანდებოდა, თორემ სხვას, ალბათ, ძალიან გაუძნელდებოდა ასე ახალგაზრდა კაცის (4 თვის წინ ის სტუდენტი გახლდათ) ასისტენტად დანიშვნა. ასე ზურგგამაგრებულმა საკანდიდატო დისერტაციაც დროზე დავიცავი (1953 წლის 19 მაისი) და ბატონმა ნადიმმა ისევ ბათუმში მიმიწვია.

ჩემი ხელმძღვანელი აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი ძალიან გაახარა ნ. ნიჟარაძის მოქმედებამ და გულითადად დამილოცა გზა ბათუმისაკენ. ბათუმში 1956 წლის ნოემბრამდე დავრჩი, შემდეგ თბილისს დავბრუნდი ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

მიუხედავად ამისა ბათუმში მაინც ხშირად გახლდით, სადაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ექსპედიციაში (ხელმძღვანელი აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილი) გახლდით ჩარიცხული და ბატონ ნადიმსა და ქალბატონ ნადიასაც ხშირად ვხვდებოდი.

იმ დროს ბატონი ნადიმი საქართველოს საგეოგრაფიო საზოგადოების აჭარის ორგანიზაციასაც ედგა სათავეში და სხდომებზეც ხშირად მიწვევდა. ჩემთან ერთად იწვევდა პროფესორ დავით კომახიძესაც. ჩვენ სამნი ძალიან ვიყავით დაკავშირებულნი და სად არ გავდიოდით სამეცნიერო მიზნით. ერთხელ პატარა იუბილეც კი მოვუწყვე ბატო ნადიმს ჩოხატაურში, რითაც ის ძალიან ნასიამოვნები დარჩა.

ბატონ ნადიმს ზემო გურიაში ძალიან უყვარდა სოფელი შუაგანახლება (ამდროინდელი შუაამაღლება), საიდანაც გახლდათ მისი მეუღლე, პროფესორი ნადია ჯიბუტი. სამწუხაროდ, პროფესორი ნ. ნიჟარაძე ნაადრევად გარდაიცვალა. დაკრძალულია ბათუმის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ღვაწლმოსილი პიროვნებების გახსენება დიდი მადლია. უფალმა ნათელი დაუმკვიდროს.

მამია დუმბაძე

1947 წლის ერთ მშვენიერ დღეს ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის მეორე კურსის აუდიტორიის კარი ახალგაზრდა ლექტორმა შემოაღო. ის დოცენტი მამია დუმბაძე (1915-1990) გახლდათ (შემდეგ პროფესორი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი).

მან პროფესორი სარგის კაკაბაძე (1886-1967) შეცვალა. ჩვენ ძალიან გვსურდა პროფესორი პროფესორს შეეცვალა, მაგრამ იმ დროს ამდენი პროფესორი სად იყო და ისევ დოცენტს უნდა მივნდობოდით.

ორიოდე დღის შემდეგ სასტუმროშიც ვეწვიე და მალე გავუშინაურდი კიდეც. პატივცემული დოცენტი ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობ „ინსტურისტში“ კი არ ბრძანდებოდა, არამედ რკინიგზის ვაგზალის ახლოს მდებარე „პირველ მაისში“. როდესაც ვესტუმრე ი. ჯავახიშვილის „ქართლის ერის ისტორიის“ პირველი წიგნი ედო წინ.

მცირეოდენი საუბრის შემდეგ რეფერატის თემად „ბათუმის უძველესი წარსული“ შევთავაზე. მომიწონა და როდესაც დავამთავრე, ისევ იმავე სასტუმროში მივუტანე სარეცენზიოდ.

რეფერატი ალაგ-ალაგ ჩაასწორა და პატარა რეცენზიით დამიბრუნა. ამასობაში ინსტიტუტის სტუდენტთა კონფერენცია გაიმართა და რეფერატიც იქ წავიკითხე. მოგვიანებით

ეს რეფერატი თანდათან შეივსო და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომებშიც დაიბეჭდა.

1949 წლის 14 ნოემბერს მის ასისტენტად დამნიშნეს, ხოლო 1953 წლის აგვისტოს ბოლოდან შევცვალე კიდეც. მ. დუმბაძის ყურადღება არასოდეს მომკლებია. 1953 წლის 19 მაისს ისიც იყო ჩემი ერთ-ერთი ოპონენტი, როდესაც საკანდიდატო დისერტაციას ვიცავდი ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში (თემა: „გურიის 1841 წლის აჯანყება“, ხელმძღვანელი აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილი, კონსულტანტი აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი).

ბატონი მამია იმავე საღამოს ჩემს ქორწილსაც დაესწრო და კარგი სიტყვაც წარმოთქვა. მალე ის მეცნიერების დოქტორი და პროფესორიც გახდა და ჩემს სადოქტორო მუშაობასაც ყურადღებით ადევნებდა თვალს.

1967 წელს თბილისში დაიბეჭდა ჩემი სადოქტორო ნაშრომი „ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII-XIV საუკუნეებში“, რომლის რედაქტორი ბატონი პროფესორი მამია ბრძანდებოდა. ბატონი მამიავე ბრძანდებოდა ჩემი სადოქტორო პაექრობისადმი მიძღვნილი სადილის თამადაც. მანვე ამიბა მხარი, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 1983 წლის არჩევნებში წარმადგინეს.მისი გვერდის ავლით არც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 1987 წლის არჩევნებში ვყოფილვარ წარდგენილი.

შესანიშნავი პიროვნება გახლდათ, მის ამაგს ვინ გადაიხდის. უკანასკნელად იაშვილის კლინიკაში ვნახე, როდესაც მკურნალობდა. გარდაიცვალა 1990 წელს, დაკრძალეს თბილისის საბურთალოს პანთეონში. გამოსათხოვარი სიტყვების მთქმელთა შორის მეც გახლდით.

თავის სახელოვან ძმისშვილთან (ნოდარ დუმბაძე) ერთად მანაც დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს, რისთვისაც ყველასთვის ღირსეულ პატივს მიაგებებს მომავალი თაობები.

სიმონ ყაუხჩიშვილი

გამოჩენილ ქართველ ელინისტსა და ქართველოლოგს, პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილს თავისი ნაშრომებით სტუდენტობის პირველ წლებში გავეცანი, ხოლო პირადად 1947 შევხვდი ბათუმის სახელმწიფო ინსტიტუტში. მაშინ ამ ინსტიტუტის დირექტორი ბრძანდებოდა დოცენტი ვახტანგ პარკაძე, რომელმაც ოცამდე პროფესორი ჩამოიყვანა ბათუმში. მათ შორის პროფესორი ყაუხჩიშვილიც გახლდათ.

ბატონი სიმონი ისტორიის ფაკულტეტზე ბიზანტიის ისტორიას კითხულობდა. იმ დროს მე მეორე კურსზე ვიყავი და ბერძნული ენის შესწავლითაც გახლდით დაინტერესებული.

რადგან ქალაქში ბერძნული ენის მასწავლებელს ვერ მივიკვლიე, ჩემს მეგობარს ბერძენ სტუდენტს ნიკოლოზ მურადოვს ვთხოვე დახმარება. მურადოვს ესიამოვნა ჩემი ასეთი დაინტერესება და წიგნიც მომიტანა და თვითინაც ხალისით მასწავლიდა.

ბატონი სიმონი ზადა სართულზე კითხულობდა ლექციებს, ამიტომ იქ დავხვდი ლექციის დაწყების წინ და ვთხოვე გაესინჯა ჩემი მუშაობა ბერძნულ ენაში.

პროფესორს ესიმაოვნა ჩემი ასეთი დაინტერესება და იმავე საღამოს ინტურისტის სასტუმროში დამინიშნა შეხვედრა. მანამდე ლექციაზეც მიმიპატიჟა და იმ დღეს პირველად ვეზიარე ბიზანტიის ისტორიის ლექციებს.ზოგი რამ ცნობილიც იყო ჩემთვის, რადგან უკვე ვიცნობდი ბატონ სიმონის – „ვესტნიკის“ ზოგ წიგნს.

იმის გაბედულებაც არ მაკლდა, რომ ზოგჯერ ადგილიდანაც შევხმიანებოდი ლექტორს. მალე შევატყვე, რომ მას ეს კიარ სწყინდა, არამედ, პირიქით, უხაროდა კიდეც, რადგან აუდიტორიაში ერთი სტუდენტი მაინც აღმოჩნდა, რომელიც იცნობდა ბიზანტიის ისტორიის მასიურ თარგმანს.

რადგან ლექციები დღის მეორე ნახევარში გვქონდა, ცხრა საათამდე ვეღარ ვეახელი ბატონ პროფესორს. ამაზე მას არაფერი უთქვამს, რადგან კარგად იცოდა რისი ბრალიც იყო.

– ახლა წავიდეთ სავახშმოდ და შენი ბერძნული მერე გავსინჯოთო, – ბრძანა მან და ინტურისტის რესტორნისაკენ გავეშურეთ.

ეს რესტორანი ბავშობაშიც მინახავს, მაგრამ იქ არასოდეს მისადილია აქამდე და თავს ბედნიერად ვთვლიდი. ვივახშმეთ და უკან გავბრუნდით. უკვე ღამის 11 საათი იყო.

ეს დრო ბატონ პროფესორსაც სრულებით არ აშინებდა, რადგან იგი თითქმის ყოველდღე ღამე დიდხანს მუშაობდა.

პალატაში მან გამომართვა ბერძნულის ის წიგნი, რომელიც მე მქონდა და ჩემი სამუშაო რვეულიც, გადაათვალიერა და მითხრა: – არ გეწყინოს, მაგრამ ეს არც ძველი ბერძნულია და არც ბიზანტიური, ეს ახალი ბერძნულია. ამიტომ შენ ჯერ ძველი ბერძნულის შესწავლით უნდა დაიწყო. როდესაც მე ჩამოვალ, მე წაგიძღვები, როდესაც მე არ ვიქნები, მაშინ ჩემს მოწაფეს, დოცენტ პანტელეიმონ ბერაძეს (შემდეგ პროფესორი) ვეტყვი, იმან გააგრძელოს სწავლება.

– დღეს ეს ვიკმაროთ, უკვე გვიანია და შემდეგ ვეცადოთ უფრო ადრე დავიწყოთ მეცადინეობა.

ეს იყო ჩემი ცხოვრების ერთი უბედნიერესი დღე, დავწექი, მაგრამ ძილი დიდხანს არ მომეკარა.

მეორე დღეს ჯერ ბატონ სიმონის ლექციებს დავესწარი, ხოლო საღამოს ისევ „ინტურისტს“ ვეწვიე. ჩემი პატივცემული მასწავლებელი ისევ „ძველი ბერძნულის ლიტერატურის“ ტომეულებზე მუშაობდა. მცირე საუბრის შემდეგ კვლავ რესტორანში წამიყვანა სავახშმოდ, შემდეგ კი მეცადინეობა გაგრძელდა.

მესამე საღამოს მეცადინეობა აღარ შედგა, რადგან პროფესორი თბილისს მიემგზავრებოდა. მაგრამ მაინც მივედი „ინტურისტში“ და ძალიანაც გავახარე მასწავლებელი. ერთადერთი გამცილებელი ვიყავი, მაგრამ ის ამას სრულებით არ განიცდიდა.

შემდეგ კვირაში პანტელეიმონ ბერაძე ჩამობრძანდება და ის გააგრძელებს ბერძნულ ენაში მეცადინეობებსო – მითხრა. ასეც მოხდა.

როდესაც შევხვდი მას, ვუთხარი ვინც გახლდით და მანაც იმავე „ინტურისტში“ დამინიშნა შეხვედრა. შესანიშნავი პიროვნება ბრძანდებოდა ბატონი პანტელეიმონი, მაგრამ ცოტა ფიცხი. ის ბატონი სიმონივით იოლად როდი იტანდა შეგირდის შეცდომებს ძველი ბერძნული სიტყვების წარმოთქმისას.

მეცადინეობის დაწყებამდე მან ჯერ მე გამომკითხა ვინაობა, ხოლო შემდეგ თავისიც ბრძანა: – ვარ ზემო გურული ბერაძე, სოფელ ქვემო ჯვარცმიდან. ახლა „ჩაისუბანს“ უწოდებენ.

შენ, როგორც გოგოლესუბნელს არ შეიძლება არ იცოდე ეს სოფელი.

– ჩოხატაურის საშუალო სკოლაში სწავლისას არამარტო ქვემო ჯვარცმას, არამედ რაიონის ბევრს სხვა სკოლაშიც ვყოფილვარ, მათ შორის ზემო სურებში, თავსურეთს, ჩხაკოურას და ა. შ. მაშინ შენ, ალბათ, სამეცნიერო თვალით არ უცქეროდი იმ სოფლებს, მაგრამ მოგზაურობა მაინც გაძლევდა რაღაცასო.

რამოდენიმე დღის შემდეგ ისიც გაემგზავრა თბილისს და ბატონი სიმონის ლოდინის ერთი „გრძელი კვირა“ დადგა. ენაში მეცადინეობის გარდა იგი ძველი საბერძნეთისა და ბიზანტიის ისტორიის მოვლენებზეც მესაუბრებოდა დროდადრო. ამასობაში საკონფერენციო თემის არჩევის დროც მოვიდა. მე მას ციხისძირის ციხე (ბიზანტიური სახელით „პეტრა“, ქართული – „ქაჯეთი“) დავუსახელე, თემა მოიწონა.

ეს თემა ჯერ ინსტიტუტში წავიკითხე, ხოლო შემდეგ საქართველოს პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტის პირველ სამეცნიერო კონფერენციაზე. ეს კონფერენცია 1944 წლის მარტში გაიმართა, ჩემი მოხსენება კონფერენციის პირველი პლენარული სხდო-

მის ღირსად ჩათვალეს და იმ დღეს მე-4 მომხსენებლად მარგუნეს გამოსვლა.

ზეპირად გამოვდიოდი ხოლმე და ქუთაისშიც ასე მოხდა. დიდმა აუდიტორიამ მომიწონა გამოსვლა და ტაშით დამაჯილდოვა. არც შეკითხვებისას მომხდარა რაიმე გაუგებრობა. მდგომარეობა მხოლოდ პროფესორ სარგის კაკაბაძემ გაართულა, მან არაფრად ჩააგდო აუდიტორიის აზრი და თითქმის სულ გადაუსვა ხაზი ჩემს შრომას, მართალი გითხრათ ამას არ მოველოდი. ბატონი პროფესორი ჩემი რამოდენიმე რეფერატის ხელმძღვანელი ბრძანდებოდა, როდესაც ბათუმში მუშაობდა. ის მაქებდა კიდეც, მაგრამ ახლა, როდესაც ჩემი ხელმძღვანელი სხვა აღმოჩნდა, არ დამინდო. მაგრამ, ამას მე არ შევუშინდი და ისე გაბედულად დავარღვიე მისი მოსაზრებები, რომ კვლავ ტაში მივიღე საჩუქრად. პროფესორი ისევ აღარ გამოსულა. ჩემი ქუთაისური წარმატება კი თბილისმაც შეიტყო.

მილოცვები ბათუმშიც გაგრძელდა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმაც დამიბარა თბილისში. ამან ძალიან გაახარა ჩვენი ინსტიტუტის დირექტორი, დოცენტი ვახტანგ პარკაძე და თბილისაც ღირსეულად გამაგზავნა. ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა (აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილი) კარგად მიმიღო და მითხრა: – არავითარი ბიზანტია, შენ საქართველოს ისტორიის ასპირანტი უნდა გახდე და შემოდგომაზე უნდა მიიღო მონაწილეობა კონკურსში. ასე დამთავრდა ჩემი ბიზანტიის ისტორიის ასპირანტობაზე ზრუნვა და საქართველოს ასპირანტთა სააკადემიო გამოცდისათვის დავიწყე მზადება.

ბატონი სიმონი ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი გახლდათ და საჯაროდ ამის წინააღმდეგ არაფერი უთქვამს. ასპირანტურაში ჩემი ხელმძღვანელი უკვე აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი ბრძანდებოდა, მაგრამ მე მაინც წინანდებურად ვხვდებოდი ჩემს დაუვიწყარ მასწავლებელს.

ამას არც ნ. ბერძენიშვილი ეწინააღმდეგებოდა, პირიქით, 1960 წლის აპრილში სადოქტორო ნაშრომი რომ წარვადგინე ისტორიის ინსტიტუტში, პროფესორი ს. ყაუხჩიშვილი რეცეზენტად დაინიშნა და საინტერესო შეფასება მისცა მას.

ბატონი სიმონი ბრწყინვალე პიროვნება და მეცნიერი ბრძანდებოდა, მისი ნათელი ხსოვნა სამარემდე მიყვება მის ყველა მოწაფეს, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორს.

ნაზი კეჭაყმაძე

საქართველოს სახალხო არტისტს ნაზი კეჭაყმაძეს ძალიან უყვარდა თავისი ქმრის, საქართველოს დამსახურებული არტისტის მიხეილ ჯალაღანიას სოფელი გოგოლესუბანი და მეუღლესთან ერთად ხშირად სტუმრობდა მას.

გამოჩენილ თეატრის მოღვაწეებს იქ ეგულებოდათ დიდი მომღერლის მიხეილ ჯალაღანიას ბიძა ერმალო სიხარულიძე (1888-1963) და მისი განათლებული ოჯახი.

ამ ბედნიერებას მწუხარების დიდი ღრუბელი დააწვა 1963 წელს, როცა ბატონი ერმალო გარდაიცვალა. მალე ამას (1967 წელს) შესანიშნავი მსახიობის და რეჟისორის მ. ჯალაღანიას გარდაცვალება მოჰყვა.

ამ დიდი მწუხარების მიუხედავად ნაზი კეჭაყმაძე არ ივიწყებდა გოგოლესუბანს და ერ. სიხარულიძის ოჯახს და შვილთან მხატვარ თამაზ ჯალაღანიასთან ერთად ხშირად სტუმრობდა მათ.

ახლა უკვე მისი მასპინძელი იყო ერმალო სიხარულიძის ვაჟი, აგრონომი და მომღერალი ვალერიან სიხარულიძე და მისი შესანიშნავი მეუღლე.

მ. ჯალაღანიას ძალიან ეწადა გოგოლესუბანში საკუთარი სახლი ჰქონოდა. ამისათვის ბიძამ სამოსახლო ადგილი გამოუყო თავისი

საკარმიდამოს სამხრეთ ნაწილში, მაგრამ სიცოცხლეში იქ სახლის აგება ვერ მოახერხა.

ამ დიდ საქმეს, მხოლოდ მისმა მეუღლემ ნაზი კეჭაყმაძემ მოაბა თავი. აშენდა მშვენიერი სახლი პატარა, ლამაზი ეზოთი, რომლის აღმოსავლეთით მთის შესანიშნავი პატარა ნაკადული „რუწითელა“ ჩამოუჩუხჩუხებდა, ხოლო სამხრეთით დიდი სათემო შარა მიემართებოდა ასფალტით დამშვენებული.

სოფელს ძალიან ახარებდა სახალხო არტისტის ნ. კეჭაყმაძის ეს წარმატება. ის ყველას უყვარდა გოგოლესუბანში. იყო სოფლის სკოლის ხშირი სტუმარი და გოგოლესუბნის მაცხოვრებელთა ჭიშკრებსაც ააჭრიალებდა ხოლმე ხანდახან.

სამწუხაროდ, სახალხო არტისტს სახლის აშენების შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია, დაკრძალულია ბათუმში. ნაზიმ ქართული თეატრი არაერთხელ ასახელა შინ თუ გარეთ. მან წარუშლელი ღვაწლი დასდო ოზურგეთის ალ. წუწუნვას სახელობის და ჩოხატაურის სახელმწიფო თეატრებს.

უდროოდ გარდაცვლილა ნ. კეჭაყმაძის ვაჟიც თამაზიც და ამ ახალმა სახლმა ასე ზედიზედ დაკარგა თავისი ბინადარნი, რომელთა სახელებს ისტორია სათუთად შეინახავს.



ბაღრი დოლიძე

თვალსაგრისი: ანბანური ჭეშმარიტება

ქართველებმა ასომთავრულ ანბანში დაშიფრეს ძირითადი მსოფლიო ისტორიული მოვლენა – წარღვნა. წელთაღრიცხვით – „ქართული ადამს აქეთ“ – („ქართლის ცხოვრება“ – მატიანე) ასომთავრულ ანბანში წარღვნა მოდის – უ – ასონიშანზე, რომელიც დაწერილია ორი ასონიშნით. ერთი არის Ⴓ – ო – ასონიშანი. მისი ციფრითი მნიშვნელობა უდრის 400-ს. ესე იგი წელთაღრიცხვით „ქართული ადამს აქეთ“ წარღვნა მომხდარა 400 წელს. ხოლო მეორე არის Ⴕ – ვიე, ასომთავრულში უ – არის რიგითი ოცდამესამე (23), ხოლო რიგით ოცდამეორე – (22) არის Ⴕ – ვიე, რომელსაც რიცხვითი მნიშვნელობა არ გააჩნია. მისი რიცხვითი მნიშვნელობა უდრის ნულს (0). ამიტომაც მეორე ქართული წელთაღრიცხვა, რომელსაც ქვია წელთაღრიცხვა „დასაბამიდან“, იწყება წარღვნის შემდეგი დროიდან, ანუ ნულიდან. ამიტომ და ბევრი სხვა მიზეზის გამო მიჩნეულია, რომ ქართული ასომთავრული ანბანი არის სამყაროს გენეტიკური კოდი – დასაწყისიდან დასასრულამდე, ესე იგი ანიდან – ჰოემდე.

მეორე „ღირსშესანიშნავი“ მოვლენა, რომელიც ქართველებს თავს გადახდენიათ და რომელიც შეუტანიათ ანბანში, არის ბაბილონის დაცემა, რომელიც ღმერთმა მოიმოქმედა იმისთვის, რომ ენები აერია, ანუ „ვინც მახვილით მოკლავს, მახვილითვე დაეცემა“.

იოანე ზოსიმეს „ქებაის“ – „ოთხი დღისა მკვდარი“ – დაკავშირებულია სახარებაში ლაზარეს სიკვდილთან, რომელიც ასევე არის „ოთხი დღის მკვდარი“ და დავითის წინასწარმეტყველება – „დღე ერთი, ვითარცა წელი ათასი“ – უკავშირდება 4000-ს, რომელიც არის „წილი“ ასონიშნის რიცხვითი მნიშვნელობა.

თუ წილ ასონიშნიდან გადმოვითვლით 4000 წელს, მოვხვდებით 8000 წელში, რომელიც არის ჯ – ასოს რიცხვითი მნიშვნელობა. წელთაღრიცხვით – „ქართული ადამს აქეთ“ ჩვენ ვიმყოფებით 8015 წელში. მაშინ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ „ლაზარეს“, ანუ ქართული ენის გაცოცხლების პროცესი დაწყებულია.

ისეთი ურყევი მტკიცებულება, როგორიც „წარღვნაზე“ მოგვეპოვება, ბაბილონთან არ გვაქვს, მაგრამ გვაქვს ბრწყინვალე მაგალითი ქრისტესი, რომ – ვისწავლოთ ნიშნებით.

„დამარხულ არს ენაი ქართული, დღემდე მეორე მოსვლისა მესიისა საწამებლად“, – ასომთავრულში „ჯ“ – ასონიშანი იწერება, როგორც ტახტი – საჯდომი Ⴣ – რომელზედაც უფალი დაბრძანდება.

შემდეგი 33-ე ასონიშანი არის „ჰ“ – ჰაე. ანუ ცივილიზაციის ბოლო ჟამი. ბოლო ჟამს...

ასომთავრულ ანბანში ჯ-ჯან ასოს რიცხვითი მნიშვნელობა უდრის 8000.

8000 ნიშნავს, რომ ჩვენი ცივილიზაცია ითვლის დასაწყისიდან, ანუ ადამიდან 8000 წ-ს.

ჩინური ანბანის მიხედვით ჯ-ს სახელია ვეი-ჯი, რაც ნიშნავს, რომ ჯერ არ არის დასასრული. შემდეგი ასონიშანი ქართულ ასომთავრულში არის ჰ – ჰაე – 9000. რადგან ახლა 2015 წელია, ესე იგი ჩვენ ვიმყოფებით ადამიდან 8015 წელშ, ჰაე – 9000 დაიწყო. ესე იგი ჩვენ ვუახლოვდებით ამ ცივილიზაციის დასასრულს, რომელიც მოიცავს 10 000 წელს. შემდეგ დაიწყება ახალი ცივილიზაცია. ჩვენ



გადავალთ ახალ ცივილიზაციაში.

– თბილისელ პარაფსიქოლოგს და დამოუკიდებელ მკვლევარს ნ. ხანიაშვილს ცნობილ სტატიაში – „ქართველები შუმერთა წინაპრები“ – (ლიტ. საქართველო, 31.10.2014 წ.) ლაპარაკი აქვს ქვის ბეჭედზე, რომელიც ნაპოვნია შუამდინარეთში და არის ძვ. წელთაღრიცხვით 3400 წლის და რომელიც ამჟამად ინახება ბრიტანეთის მუზეუმში. ნ. ხანიაშვილის მტკიცებით, ამ ქვაზე აღბეჭდილი სურათი არის შუმერული წინასწარმეტყველება გასული ბოლო 4000 წლის შესახებ. ესე იგი ძვ.წ-ის 2000 და ახალი წ-ის 2000 წლის ჩათვლით შუმერთა წინასწარმეტყველება შედარებულია ხევსურეთში არსებული კოპალა-იაღსარის მითოლოგიურ ცნობებთან. ისინი ერთმანეთს ემთხვევა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შუმერთა წინასწარმეტყველებამ დროთა განმავლობაში შეიცვალა თავისი პირვანდელი შინაარსი, ხოლო ხევსურეთში ის თავისი პირვანდელი სახით არის შემონახული – ამტკიცებს ნაზი ხანიაშვილი.

– არსებობს ამ ისტორიის მეორე ვარიანტიც.

„კოპალა-იაღსარის“ მითში მეორე არის „ბუქნა ბაადური“, რომელიც შუმერთა ქვის ბეჭედზე წყალში წელამდე ჩაბუქნული ინათლება და შეესაბამება ხ – ხან ასონიშნის 6000 წელს.

შემდეგი ღვთისშვილი არის „თერგვაული“ – § – ხარ – 7000, და ბოლო მეოთხე „იაღსარი-

დობილიანი“, რომელიც გამოხატულია ორი სახით – მამაკაცის და ქალის. ეს ხდება ჯ-ზე. მეოთხე ღმერთკაცი, ანუ „იაღსარი დობილიანი“ შეესაბამება სამყაროს ოთხი ძირითადი სტიქიიდან მეოთხეს – ცეცხლის სტიქიას – ეს ჩანს ქვის ბეჭედზე სიმბოლოების სახით. ასევე გამოხატულია თევზის ზოდიაქოს დასასრული, რომლის სიმბოლოა მდინარე თევზით. იგი მთავრდება „იაღსარის“ ფეხთან.

– დამთავრდა ჯ-ჯან – 8000 წელი და გადავედით ჰ – ჰაე – 9000 წელში. ჰ – ჰაე ცივილიზაციის დასასრულის დასაწყსია – აკი უფალი ქრისტე ამბობს – „მე ვარ ანი და ჰოე, დასაწყისი და დასასრული“. ცივილიზაცია განიმარტება, როგორც „ადამის კულტურა“. იწყება პრაგმატული – ფიზიკური სამყაროს დასასრული და მეტაფიზიკურის – სულიერის დასაწყისი, – ანუ გაღმერთება. სწორედ ეს არის ასახული შუმერების ქვის ბეჭედზე მეოთხე ათასწლეულის ბოლოს – ჯ-ჯანის დასასრულს და ჰ-ჰაეს – 9000 დასაწყისში. „იაღსარ დობილიანი“ არც კაცია და არც ქალი – ეს არის გაღმერთება... ფიზიკური მე-ს გადასვლა სულიერ მე-ში... იგივეს იმეორებს 5400 წლის წინანდელი შუმერთა ქვის ბეჭედზე ასახული წინასწარმეტყველება.

– ამაზე მეტყველებს ხევსურთა – „კოპალა-იაღსარის“ მითოლოგია და თვით ქართული წელთაღრიცხვა დაწყებული ადამიდან და დამთავრებული ცივილიზაციის დასასრულით, რომელიც შეესაბამება ცივილიზაციის დასასრულის დასაწყისს ჰ – ჰაე – 9000 და დასასრულს, რომელი დგას ასომთავრული ანბანის ბოლოში და არის ჶ – ჰოე – 10000.

ᲙᲝᲠᲬᲘᲚᲘ 6 2015

ᲙᲝᲠᲬᲘᲚᲘ

6 2015

ISSN 0134-3459
15006
9 770134 345001

მალხაზ ფაღავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა

2015

malkhaz.pagava@mail.ru